ჯეი ასშერი

# 13

# მიზეზი

# ცამეტი მიზეზი

– სერ, როდის გნებავთ, რომ თქვენმა გზავნილმა ადრესატამდე მიაღწიოს? – მიმეორებს შეკითხვას ფოსტის ოპერატორი.

თავი მისკდება. თითებს მარცხენა საფეთქელზე ძლიერად ვიჭერ და ისე ვპასუხობ:

– სულერთია.

ოპერატორი ამანათს იღებს. ოცდაოთხი საათიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ეს ფეხსაცმლის ყუთი ჩემს პარმაღზე აღმოვაჩინე. ახლა ისევ ყავისფერ ქაღალდშია გახვეული და საგულდაგულოდ დაწებებული, თუმცა ამჯერად სხვა მისამართზე იგზავნება – მომდევნო ადრესატთან ჰანა ბეიკერის სიიდან.

– ბეიკერის ცამეტეული, – ვბუტბუტებ და საკუთარი თავი მძულს.

– უკაცრავად, რა ბრძანეთ?

თავს ვაქნევ და ვეკითხები:

– რამდენი უნდა გადავიხადო?

ოპერატორი ყუთს თხელ სასწორზე ათავსებს და კლავიატურაზე ფასის აკრეფას იწყებს.

გაზგასამართ სადგურზე ნაყიდ ყავის ჭიქას დახლზე ვდგამ და ეკრანს ვაკვირდები, შემდეგ საფულიდან რამდენიმე კუპიურას ვიღებ, ჯიბეში ხურდას ვიჩხრეკ და ფულს დახლზე ვდებ.

– ეტყობა, ყავამ ვერ გამოგაფხიზლათ, – მაიმედებს ოპერატორი, – ერთი დოლარი აკლია.

დოლარს ვაწვდი და თვალებს ვიფშვნეტ, რომ როგორმე გამოვფხიზლდე. ყავას ვწრუპავ, მაგრამ ისე უგემურად ნელთბილია, რომ გადაყლაპვა მიჭირს. მაინც უნდა დავლიო, უნდა გამოვფხიზლდე. თუმცა, იქნებ უკეთესიც იყოს, მთელი დღე ნახევრად მძინარემ გავატარო, რომ დღევანდელი დღე გადავიტანო?!

– ადრესატთან ხვალ ან ზეგ იქნება, – მეუბნება ოპერატორი და ყუთს უკან მდგარ ურიკაში აგდებს.

წესით, სკოლის შემდეგ უნდა მოვსულიყავი. ახლა კი ჯენის სიმშვიდე უფრო მალე დაირღვევა. მაგრამ ღირსია.

აი, ხვალ ან ზეგ სკოლიდან დაბრუნდება და კართან ამანათს იპოვის. თუ დაბრუნებას მშობლები დაასწრებენ, მაშინ საწოლზე დახვდება. ჯენის სასიამოვნო მღელვარება შეიპყრობს, ისევე, როგორც მე, როცა ვიპოვე.

გამომგზავნის მისამართი არ ეწერა. ნეტა დაავიწყდათ თუ განგებარ დააწერეს? იქნებ საიდუმლო თაყვანისმცემელი მყავს?

– ქვითარი გნებავთ?

უარის ნიშნად თავს ვაქნევ, თუმცა, ქვითარი მაინც იბეჭდება, ოპერატორი ახევს და სანაგვეში აგდებს.

ქალაქში ერთადერთი ფოსტა გვაქვს. საინტერესოა, ჩემამდე ვინც მიიღო ამანათი, ყველას ეს ოპერატორი ემსახურებოდა? იქნებ დანარჩენებმა ქვითრები სახსოვრად შეინახეს, კომოდში ჩაჩურთეს ან კედელზე მიაკრეს?..

ლამისაა, ქვითარი მოვითხოვო, ვუთხრა, რომ გადავიფიქრე.

მაგრამ არა, სახსოვარი რომ მნდომებოდა, კასეტების ასლს გადავიღებდი ან რუკას შევინახავდი. ამის მოსმენა აღარ მინდა, თუმცა ჰანას ხმა არასოდეს დამავიწყდება. ეს სახლები, ქუჩები და სკოლაც ყოველთვის მას გამახსენებს.

ამანათი კი თავის გზას აგრძელებს. უკვე ვეღარაფერს შევცვლი. ფოსტიდან ქვითრის გარეშე გამოვდივარ.

მარცხენა წარბთან ტკივილს ისევ ვგრძნობ. ყავას მომჟავო გემო აქვს. რაც უფრო ვუახლოვდები სკოლას, მით უფრო სუსტად ვგრძნობ თავს. მგონია, ცოტაც და გონებას დავკარგავ.

მინდა კიდეც, რომ ასე მოხდეს. მინდა სუროში ჩავეფლო, რადგან როგორც კი ამ სუროს გავცდები, ტროტუარი მოუხვევს და სკოლის კუთვნილი ავტომობილების სადგომს გაუყვება. შემდეგ სკოლის წინ გაზონის გადაჭრა და შენობაში შესვლა მომიწევს; დერეფანს გავივლი, მოსწავლეების პირად კარადებსა და საკლასო ოთახებს შორის ჩავივლი და პირველ გაკვეთილზე შევალ.

იქ, მოსწავლეების მერხების წინ, ბატონი პორტერის მაგიდა დგას, იმ ბატონი პორტერისა, რომელიც ბოლოა ჰანა ბეიკერის სიაში. ოთახის შუაგულში, მარცხნივ კი თვით ჰანას ცარიელი მერხია.

# გუშინსკოლის შემდეგ

სახლის კართან ფეხსაცმლის ყუთისხელა ამანათია მიყუდებული. ჩვენს წინკარს წერილების ჩასაგდები პატარა ჭრილი აქვს, რომელშიც საპონზე უფრო სქელს ვერაფერს შეაცურებ. ამანათს გაკრული ხელით აწერია, რომ კლეი ჯენსენისთვისაა. ეს კი მე ვარ, ამიტომაც ამანათს ვიღებ და სახლში შევდივარ.

ამანათი სამზარეულოში შემაქვს და მაგიდაზე ვდებ. უჯრას ვაღებ, მაკრატელს ვიღებ და ამანათს ვხსნი. შიგნით რაღაც შეფუთული დევს. ფუთას ვხსნი და შვიდ აუდიოკასეტას ვპოულობ.

თითოეულ კასეტას მარჯვენა მხარეს მუქ ლურჯად აწერია ნომერი. ფრჩხილის ლაქით დაწერილს ჰგავს. კასეტების ორივე მხარე დანომრილია, პირველ კასეტაზე 1 და 2 წერია, მეორეზე – 3 და 4 და ასე შემდეგ. მხოლოდ ბოლო კასეტას აწერია ერთ მხარეს 13, მეორე მხარე კი ცარიელია.

ვის უნდა გამოეგზავნა ასეთი ამანათი? კასეტებს ხომ აღარავინ უსმენს. ან მე რით მოვუსმინო?

უცებ, მახსენდება, რომ ავტოფარეხში სტერეო გვაქვს. მამაჩემმა ძველმანების ბაზრობაზე იყიდა ჩალის ფასად. ძველია, ამიტომაც არც ენაღვლება, თუ მტვერში ამოიგანგლება ან საღებავებით მოითხვრება.

სტერეოსთან სკამს ვდგამ, ზურგჩანთას ძირს ვაგდებ და ვჯდები. ღილაკს ვაჭერ და პირველ კასეტას ვდებ.

# პირველი კასეტა: A მხარე

4

სალამი, ბიჭებო და გოგოებო. ჰანა ბეიკერს უსმენთ.

რაო? არ მჯერა.

ყურადღებით მისმინეთ, რადგან ეს აღარ განმეორდება და ვერც ვეღარაფერს მომთხოვთ.

ვერ ვიჯერებ. ჰანამ ხომ თავი მოიკლა!

იმედი მაქვს, მზად ხართ ჩემს მოსასმენად, რადგან ვაპირებ, ჩემი ცხოვრების შესახებ გიამბოთ. უფრო კონკრეტულად კი იმის შესახებ, თუ რატომ დასრულდა ჩემი სიცოცხლე. იცოდეთ, თუ ახლა ამ კასეტას უსმენთ, ამის ერთ-ერთი მიზეზი თქვენ ხართ.

რაო? არა, შეუძლებელია!

წინასწარ არ ვიტყვი, რომელი კასეტა ვის ეხება, მაგრამ ნუ იღელვებთ – თუ ეს ძვირფასი ყუთი მიიღეთ, თქვენს სახელს აუცილებლად ვახსენებ... ამას გპირდებით.

აბა, რატომ უნდა თქვას ტყუილი მკვდარმა გოგომ?

ხუმრობასავით ჟღერს: რატომ უნდა თქვას ტყუილი მკვდარმა გოგომ? პასუხი: იმიტომ, რომ ვერ შეამოწმებთ.

რა ხდება? ნუთუ ეს თვითმკვლელის ისტერიკული ბოლო სიტყვაა?

მიდით, იცინეთ.

არ გეცინებათ? მე კი მეგონა, სასაცილო იყო.

გასაგებია, ჰანამ სიკვდილის წინ ეს ჩანაწერები გააკეთა, მაგრამ რატომ?

მხოლოდ ორი წესია და ძალიან მარტივი. წესი პირველი: კასეტებს უსმენთ. წესი მეორე: მომდევნო ადრესატს უგზავნით. იმედი მაქვს, რომ არც ერთის შესრულება არ იქნება თქვენთვის იოლი.

– კლეი, რას უსმენ მანდ?

– დედა!

სტერეოსკენ ვიწევ და სიჩქარეში რამდენიმე ღილაკს ერთად ვაჭერ.

478;

– შემაშინე, – ვეუბნები დედას, – ისეთს არაფერს, სკოლის დავალებაა.

ყველა სიტუაციაში ამას ვპასუხობ. სახლში გვიან რატომ ბრუნდები? სკოლისთვის რაღაც მაქვს გასაკეთებელი. ზედმეტი ფული რაში გჭირდება? სკოლაში დამავალეს რაღაც.

ახლა კი კასეტებზეც ეს მოვიმიზეზე. იმ გოგოს კასეტებზე, რომელმაც ორი კვირის წინ მთელი მუჭა აბები გადაყლაპა.

– შეიძლება მეც მოვუსმინო?

– ჩემი არაა, – ვპასუხობ და ფეხსაცმლის წვერით ბეტონის იატაკს ვფხაჭნი, – მეგობარს ვეხმარები. ისტორიის მასწავლებელმა დაავალა, მოსაწყენი რამეა.

– კარგი ბიჭი ხარ, – დედა იხრება და იღებს მტვრიან ჩვარს, რომელიც დანარჩენ კასეტებს ეფარა. შემდეგ კი შუბლზე მკოცნის, – კარგი, აღარ შეგაწუხებ.

ვიცდი, სანამ კარს გაიხურავს, და თითს ჩამრთველს ვადებ. ძალა აღარ მაქვს, თითები, ხელები, კისერი, ყველაფერი მომიდუნდა. ერთი ღილაკის ჩართვაც კი აღარ შემიძლია.

მტვრიან ჩვარს ვიღებ და ფეხსაცმლის ყუთს ვაფარებ, რადგან მისი დანახვა აღარ მინდა. ნეტა არასდროს მენახა არც ყუთი და არც ეს კასეტები. თავიდან სტერეოს ჩართვა ისევე სასიამოვნო და იოლი იყო, როგორც ნამცხვრით პირის ჩატკბარუნება, მაგრამ მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, წინ რა მელოდა.

მეორედ ჩართვაზე კი ფიქრიც არ მინდა.

თუმცა, ხმას ვუკლებ და ჩამრთველს ვაჭერ.

4

...პირველი: კასეტებს უსმენთ. წესი მეორე: მომდევნო ადრესატს უგზავნით. იმედი მაქვს, რომ არც ერთის შესრულება არ იქნება თქვენთვის იოლი.

როდესაც ცამეტსავე მხარეს მოუსმენთ – რადგან ამ ამბავს ცამეტი მხარე აქვს – კასეტებს გადაახვევთ, ყუთში ჩააბრუნებთ და ამბის მომდევნო გმირს გაუგზავნით. შენ კი, იღბლიანო მეცამეტევ, შეგიძლია კასეტები ჯოჯოხეთში გამოიყოლო, როცა მოკვდები. შესაძლოა, იქ შეგხვდე კიდეც.

არ გაბედოთ წესის დარღვევა! იცოდეთ, მე მათი ასლებიც მაქვს და თუ ეს გზავნილი ცამეტივე თქვენგანთან არ მოხვდება, მაშინ კასეტები საჯაროდ გავრცელდება.

ეს უბრალო მუქარა არ გეგონოთ.

ახლა მაინც დამაფასეთ სათანადოდ.

არ მჯერა, ამას როგორ ამბობს?!

გაფრთხილებთ, შემოწმდება, დაიცავთ წესებს თუ არა.

;

მუცელში ისეთი სპაზმი მაქვს, შეიძლება ვაღებინო. იქვე, ტაბურეტზე, დაპირქვავებულ პლასტმასის ვედროს ვხედავ. ორ ნაბიჯზეა. თუ დამჭირდება, შემიძლია სახელურს

ჩავეჭიდო და გადმოვატრიალო.

ჰანა ბეიკერს თითქმის არ ვიცნობდი. მინდოდა, ახლოს გამეცნო, მაგრამ შესაძლებლობა არ მომეცა. ზაფხულში ერთად ვმუშაობდით კინოთეატრში. არცთუ დიდი ხნის წინ, ერთ-ერთ წვეულებაზე შევხვდი და ვაკოცე. მაგრამ ამაზე მეტი ჩვენ შორის არაფერი ყოფილა.

ჰანას ყოველთვის ვაფასებდი და ცუდად არასდროს მოვქცევივარ, ამიტომ ეს კასეტები ჩემთვის არ უნდა გამოეგზავნათ. ეს რაღაც შეცდომაა...

ან ბოროტი ხუმრობა.

ნაგვის ყუთს ვწვდები და ჩემკენ მოვათრევ. კიდევ ერთხელ ვამოწმებ ამანათზე შემოხვეულ ქაღალდს და გამომგზავნის მისამართს ვეძებ. იქნებ თავიდან ვერ შევამჩნიე? ჰანა ბეიკერის კასეტები მის სიაში მყოფ ადრესატებს ეგზავნება. იქნებ ვიღაცამ ასლი გააკეთა და თავშესაქცევად მე გამომიგზავნა? ხვალ სკოლაში რომ მივალ, ალბათ ვინმე გაიცინებს ან თვალს ამარიდებს. ხვალ გავიგებ, ვინ ქნა ეს.

და მერე? მერე რას ვიზამ?

არ ვიცი.

4

კინაღამ დამავიწყდა. თუ ჩემს სიაში ხართ, რუკაც უნდა მიგეღოთ.

შესაფუთ ქაღალდს ისევ სანაგვეში ვაგდებ.

სიაში მეც ვარ, რადგან ამ რამდენიმე კვირის წინ, ჰანას თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, სკოლის კარადისკარში გაჩრილი კონვერტი დამხვდა. კონვერტზე წითელი მარკერით ეწერა: „შეინახე, დაგჭირდება“, შიგნით კი ქალაქის რუკა იდო. ზედ წითელი ვარსკვლავებით იყო მონიშნული თორმეტიოდე ადგილი.

დაწყებით სკოლაში სწორედ ასეთი რუკებით გვასწავლეს ჩრდილოეთის, სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გარჩევა. კომერციის განყოფილების მიერ გამოშვებული რუკა იყო, გვერდით კერძო კომპანიების დასახელებები ჩამოეწერათ, ზედ რუკაზე კი მათი შესაბამისი პატარა ლურჯი რიცხვები იყო მიმოფანტული.

მაშინ ეს რუკა ჩანთაში ჩავიგდე, მინდოდა, სკოლაში სხვებისთვის მეჩვენებინა და მეკითხა, მათაც თუ მიიღეს მსგავსი რამ ან თუ იცოდნენ, რას ნიშნავდა. მაგრამ შემდეგ რუკა სახელმძღვანელოებსა და რვეულებს შორის ჩაიკარგა და სულ გადამავიწყდა.

ახლა კი გამახსენდა.

გზადაგზა ჩვენი საყვარელი ქალაქის სხვადასხვა ადგილს ვახსენებ ხოლმე, თქვენ კი

წახვალთ და ამ ადგილებს მოინახულებთ. წასვლას ვერ გაიძულებთ, მაგრამ თუ გინდათ, რომ ჩემს ამბავს უკეთ ჩასწვდეთ, გირჩევთ, რუკაზე მონიშნულ ვარსკვლავებს მიჰყვეთ. თუ არადა, შეგიძლიათ რუკები გადაყაროთ. მე მაინც ვერ გავიგებ.

ასე მესაუბრება ჰანა სტერეოს მტვრიანი დინამიკებიდან, მე კი უეცრად ვგრძნობ, რომ ფეხზე მაწვება ჩემი ზურგჩანთა, რომლის ძირშიც ჰანას რუკაა ჩაკუჭული.

ან იქნებ გავიგო კიდეც. წარმოდგენა არ მაქვს, რა მომივა სიკვდილის შემდეგ. ვინ იცის, იქნებ ახლა თქვენ გვერდითაც კი ვდგავარ.

წინ ვიხრები, იდაყვებს იმ მაგიდაზე ვაყრდნობ, რომელზეც სტერეო დგას, სახეს ხელებში ვრგავ და თითებს ოფლიან, სველ თმაში ვიცურებ.

მაპატიეთ, ეს არ უნდა მეთქვა.

აბა, მზად ხარ, ბატონო ფოლი?

ჯასტინ ფოლი უფროსკლასელია. ვიცი, რომ ჰანამ პირველად მას აკოცა ტუჩებში.

მაგრამ საიდან ვიცი, აღარ მახსოვს.

ჯასტინ, საყვარელო, ჩემი პირველი კოცნა შენ გეკუთვნოდა, მიუხედავად იმისა, რომ შენ ერთი არაფრით გამორჩეული ბიჭი ხარ. არა, ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ გული გატკინო... სულაც არა, პირიქით, გქონდა რაღაც ისეთი, რამაც მომანდომა, რომ ჩემი შეყვარებული ყოფილიყავი. დღესაც ვერ ვხვდები, რა იყო ეს, მაგრამ ნამდვილად იყო... და თანაც, ძალიან ძლიერი.

შენ არ იცი, მაგრამ ორი წლის წინ, როდესაც უმაღლესი სკოლის პირველ კლასში ვიყავი, სულ კუდში დაგდევდი. მოსწავლეთა დასწრების აღმრიცხველ განყოფილებაში ვმუშაობდი და შენი ცხრილი სულ ზეპირად ვიცოდი. ასლიც კი გადავიღე, მგონი, ახლაც სადღაც მაქვს შენახული. ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს ნივთებს რომ დაათვალიერებენ, ალბათ ამ ცხრილს გვერდით მოისვრიან, როგორც უფროსკლასელის უმნიშვნელო გატაცებას. ვითომ მართლა უმნიშვნელოა?!

არა, ჩემთვის სწორედაც რომ მნიშვნელოვანია. ჩემი ამბის შესავალი სწორედ შენ ხარ. ყველაფერი შენგან იწყება.

ნეტა მე მერამდენე ვარ ამ სიაში? მეორე? მესამე? იქნებ ჰანას ამბავი თანდათან უარესდება? ხომ თქვა, იღბლიან მეცამეტეს შეუძლია კასეტები ჯოჯოხეთში გაიყოლოსო.

ჯასტინ, როდესაც კასეტებს ბოლომდე მოუსმენ, იმედი მაქვს, მიხვდები, რა როლი შეასრულე ჩემს ცხოვრებაში. ახლა შეიძლება გეგონოს, რომ ეპიზოდური როლი გქონდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველა უმნიშვნელო დეტალი მნიშვნელოვანია.

საშინელებაა, როცა ნდობას არ გაგიმართლებენ.

ვიცი, რომ სულაც არ გინდოდა, ჩემს იმედგაცრუებად ქცეულიყავი. მეტიც, უმრავლესობას ალბათ წარმოდგენაც არ გქონდათ, რას სჩადიოდით...

რა ჩავიდინე, ჰანა? მართალი ხარ, წარმოდგენა არ მაქვს, რაზე ლაპარაკობ. ის ღამე, თუ შენც იმავე ღამეს გულისხმობ, ჩემთვისაც ისეთივე უცნაური იყო, როგორიც შენთვის. ახლაც კი არ ვიცი, რა ჯანდაბა მოხდა, აი, შენ კი გცოდნია.

ჩემს პირველ ვარსკვლავს ჩ4 უჯრაზე იპოვით. დაადეთ თითი ჩ-ს და შემდეგ 4-თან ჩამოიტანეთ, თითქოს „ჩაძირობანას“ თამაშობთ. პირველ კასეტას რომ მოისმენთ, ამ ადგილს უნდა ეწვიოთ. ეს ის სახლია, რომელშიც ქალაქში გადმოსვლისას დავბინავდით, თუმცა იქ ცოტა ხანს ვცხოვრობდით – ზაფხულში, სწავლის დაწყებამდე.

ჯასტინ, პირველად სწორედ იქ გნახე, ალბათ შენც გაგახსენდება. მაშინ ჩემს მეგობარ ქეითზე იყავი შეყვარებული. სკოლის დაწყებამდე კიდევ ორი თვე იყო დარჩენილი, მე კი მთელ ქალაქში მხოლოდ ქეითს ვიცნობდი, რადგან მეზობლად ცხოვრობდა. ქეითმა მიამბო, რომ მთელი წლის განმავლობაში ყურადღებას არ აკლებდი; ეს კი იმაში გამოიხატებოდა, რომ დაჟინებით უცქერდი და დერეფნებში „შემთხვევით“ ეჯახებოდი.

მართლაც შემთხვევით ხდებოდა, ხომ ასეა?

ქეითმა ისიც მითხრა, რომ სემესტრის დასასრულის აღსანიშნავ ბანკეტზე როგორც იქნა, გაბედე და დაჟინებით ცქერასა და დაჯახებებზე მეტიც მოიმოქმედე. გავიგე, რომ შენ და ქეითმა ყველა წყნარ მელოდიაზე ერთად იცეკვეთ. ქეითი ამბობდა, რომ მალე კოცნის ნებასაც დაგრთავდა და ეს მისი პირველი კოცნა იქნებოდა. რა პატივია!

ალბათ მართლაც საშინელ ისტორიებს ჰყვება ჰანა. სხვაგვარად არ აიხსნება, რატომ ემორჩილებიან მას ადრესატები და რატომ უგზავნიან ერთმანეთს ამ კასეტებს. ეტყობა, ეშინიათ.

რატომ უნდა მოგინდეს ისეთი ჩანაწერების გავრცელება, ადამიანისთვითმკვლელობამდე მიყვანაში რომ გდებს ბრალს? ეს ნამდვილად არავის მოუნდება. მაგრამ ჰანას სურს, რომ ვინც სიაში ვართ, მისი სათქმელი მოვისმინოთ. ჩვენც ვემორჩილებით, კასეტებს ვაგზავნით, რათა ამ ჩანაწერებმა სიის გარეთ არ გააღწიოს.

„სია“. ეს რაღაც ჩაკეტილი საიდუმლო კლუბივით ჟღერს.

ჯერ არ ვიცი, რატომ, მაგრამ მეც ამ კლუბის წევრი ვარ.

ჯასტინ, მომინდა, მენახა, როგორი იყავი, ამიტომაც ჩემი სახლიდან დაგირეკეთ და დაგპატიჟეთ. ჩემი სახლიდან კი იმიტომ დავრეკეთ, რომ ქეითს არ უნდოდა, მისი

მისამართი გაგეგო. თუმცა, ჩემი სახლიც ხომ მისი სახლის გვერდით იდგა.

შენ, არ ვიცი კალათბურთისა თუ ბეისბოლის გამო, გვიანობამდე ვერ მოხვედი. ჩვენ კი გიცდიდით.

კალათბურთს თამაშობდა. იმ ზაფხულს კალათბურთს ბევრნი ვთამაშობდით, რადგან უმაღლესი სკოლის გუნდში მოხვედრა გვინდოდა. ჯასტინი, რომელიც მეორე კლასში გადადიოდა, უკვე გუნდში იყო. იმედი გვქონდა, რომ მისგან რამეს ვისწავლიდით და იმ ზაფხულს ხშირად ვეთამაშებოდით ხოლმე. ზოგიერთს ამგვარი ვარჯიში მართლაც გამოადგა, ზოგს კი, სამწუხაროდ, არა.

მე და ქეითი ჩემი სახლის ფანჯრის რაფაზე ვისხედით და ვჭორაობდით. ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდი შენს ერთ მეგობართან ერთად... სალამი, ზაკ!

ზაკი? ზაკ დემპსი? ეს ბიჭი ჰანასთან ერთადერთხელ ვნახე, სწორედ იმ ღამეს, როცა ჰანა გავიცანი.

იმ სახლის წინ ორი ქუჩა კვეთს ერთმანეთს. ფანჯრიდან დავინახეთ, როგორ მოაბიჯებდით შუა ქუჩაში.

;

საკმარისია. უნდა დავფიქრდე.

მაგიდაზე ფორთოხლისფერი საღებავის ლაქაა, ვცდილობ, გადავფხიკო. რატომ ვუსმენ ამას? რაში მჭირდება ეს ყველაფერი? განა, არ ჯობია, კასეტა ყუთში ჩავაბრუნო და მთელ გზავნილს ნაგავში გადავუძახო?

გული ყელში მებჯინება. თვალებზე ცრემლები მადგება.

არ შემიძლია ასე მოქცევა, რადგან ეს ჰანას ხმაა. ხმა, რომელსაც ვეღარასდროს გავიგონებ. არ შემიძლია ამის გადაგდება.

და კიდევ, წესების გამოც. ნაჭერგადაფარებულ ფეხსაცმლის ყუთს შევყურებ. ჰანა ამბობს, რომ ამ კასეტების ასლები აქვს. იქნებ ცრუობს? იქნებ არც არაფერი მოხდება და, უბრალოდ, დასრულდება ეს ამბავი.

მეორე მხრივ, იქნებ ამ ჩანაწერებში რამე ისეთია, რამაც შეიძლება სახელი გამიტეხოს? იქნებ ჰანა სულაც არ ხუმრობს? მაშინ ჩანაწერები საჯაროდ გავრცელდება და მათი მოსმენა ყველას შეეძლება.

საღებავის ლაქა იფხვნება, თავს ვანებებ.

ვინ გარისკავს და ვინ არ შეასრულებს ჰანას წესებს?

შენ სანიაღვრე არხიდან გაზონზე გადმოაბოტე. მამაჩემს სარწყავი მოწყობილობა მთელი დილა ჩართული ჰქონდა, ამიტომ ბალახი ჯერაც სველი იყო. შენ ფეხი დაგიცურდა და გაზონზე გაიშხლართე. ზაკი ამ დროს ფანჯრისკენ იყურებოდა და ცდილობდა, ქეითის ახალი მეგობარი, ანუ მე, შევეთვალიერებინე. ამიტომაც შენი წაქცევა ვერ შენიშნა, ფეხი წამოგდო და შენ გვერდით, ბორდიურზე დაეცა.

შენ მას ხელი ჰკარი და წამოხტი. ისიც ადგა და ერთმანეთს შეაცქერდით, ბოლოს კი თავქუდმოგლეჯილები უკანვე გაიქეცით, მე და ქეითი ფანჯრის რაფაზე ვისხედით და გიჟებივით ვხარხარებდით.

ეს ისტორია მეც მახსოვს. ქეითი მიყვებოდა გამოსამშვიდობებელ წვეულებაზე, თან სიცილით კვდებოდა.

იმ წვეულებაზე შევხვდი პირველად ჰანას.

ღმერთო, რა ლამაზი იყო, თანაც – უცხო. სწორედ ამან მომხიბლა. მაშინ (და ახლაც) საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან საუბრის დაწყებისთანავე ენა მებორკებოდა. მაგრამ ჰანა ახალი გოგო იყო და შემეძლო მეცადა, მასთან უფრო თავდაჯერებული კლეი ჯენსენი ვყოფილიყავი – ისეთი, როგორც უმაღლესი სკოლის მოსწავლეს შეეფერება.

ქეითი სწავლის დაწყებამდე გაემგზავრა ქალაქიდან, მე კი მისი „დატოვებული“ ბიჭი შემიყვარდა. ცოტა ხანში ამ ბიჭმაც დაიწყო ჩემ მიმართ ყურადღების გამოჩენა. ალბათ იმიტომ, რომ როგორღაც ყოველთვის მის გვერდით ვიყავი.

საერთო გაკვეთილები არ გვქონდა, მაგრამ პირველი, მეოთხე და მეხუთე გაკვეთილები ახლო-ახლო საკლასო ოთახებში გვიტარდებოდა. ჩემი მეხუთე გაკვეთილი უფრო დიდხანს გრძელდებოდა და რომ გამოვდიოდი, ხანდახან უკვე წასული მხვდებოდი. სამაგიეროდ, პირველი და მეოთხე გაკვეთილები ერთსა და იმავე დერეფანში გვქონდა და ხშირად გხვდებოდი.

ქეითის წვეულებაზე ყველა სახლის წინ, ეზოში იყო გამოფენილი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ციოდა. მგონი, იმ ზაფხულს ყველაზე ცივი ღამე იყო. მე კი, რა თქმა უნდა, ქურთუკი სახლში დამრჩა.

რაღაც ხნის შემდეგ, გავბედე და მოგესალმე. ცოტა ხნის შემდეგ შენც გაბედე, რომ სალმით გეპასუხა. ერთხელაც უსიტყვოდ ჩაგიარე. ვიცოდი, ამას ვერ აიტანდი და, მართლაც, ამ საბაბით შედგა ჩვენი პირველი მრავალსიტყვიანი საუბარი.

თუმცა, არა, ქურთუკი კი არ დამრჩა, დავტოვე. მინდოდა, ბავშვებს ჩემი ახალი მაისური შეემჩნიათ.

მაინც რა იდიოტი ვიყავი.

– რატომ არ მესალმები? – მკითხე შენ.

ჩავიღიმე და შენკენ მოვბრუნდი.

– რატომ უნდა მოგესალმო?

– იმიტომ, რომ ყოველთვის მესალმებოდი.

შემდეგ გითხარი, შენ ხომ ჩემზე საერთოდ არაფერი იცი-მეთქი.

ქეითის წვეულებაზე,ჰანას პირველად რომ გამოველაპარაკე, თასმების შესაკვრელად დავიხარე, მაგრამ ვერაფრით შევიკარი, რადგან სიცივისგან გათოშილ თითებს ვერ ვიმორჩილებდი.

ჰანამ შემომთავაზა, მე შეგიკრავო. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. მოვიცადე, სანამ ამ უხერხულ საუბარში ზაკი ჩაერეოდა, და სახლში შევედი ხელების თბილი წყლით დასაბანად.

ამ სიტუაციის გამო თავი ნამდვილი იდიოტი მეგონა.

ერთხელ, როცა დედას ვკითხე, ბიჭის ყურადღება როგორ უნდა მივიპყრო-მეთქი, დამარიგა, თავი უკარება და მიუწვდომელ გოგოდ უნდა წარმოაჩინოო. მისი რჩევა გავითვალისწინე და გაამართლა კიდეც. ჩვენი საუბრის შემდეგ გაკვეთილების დასრულების მერე მელოდებოდი ხოლმე.

თითქოს რამდენიმე კვირა გავიდა, სანამ ტელეფონის ნომერს მკითხავდი. ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ასე მოხდებოდა, ამიტომ ნომრის ხმამაღლა წარმოთქმაში ვვარჯიშობდი. ვცდილობდი, ძალიან მშვიდად და თავდაჯერებულად მეთქვა, ისე, თითქოს ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, თითქოს ნომერს დღეში ათჯერ გავცემდი.

ძველ სკოლაში კი უკითხავთ ბიჭებს ჩემი ნომერი, მაგრამ აქ, ახალ სკოლაში, შენ პირველი იყავი.

საერთოდ, პირველი იყავი, ვინც ჩემი ნომერი მიიღო.

სხვებისთვისაც მინდოდა მეთქვა, მაგრამ ვფრთხილობდი. მინდოდა, ახალ ქალაქში და ახალ სკოლაში თავად განმესაზღვრა, რას იფიქრებდა ხალხი ჩემზე. ყოველდღე ხომ არ გვეძლევა მეორე შანსი?

ჯასტინ, შენამდე თუ ვინმეს ნომერი უკითხავს, ბოლო ციფრი ყოველთვის არასწორად მითქვამს... ამას შეგნებულად ვაკეთებდი.

ზურგჩანთას კალთაში ვიდებ და მის ყველაზე დიდ ჯიბეს ვხსნი.

ჩემს ნომერს რომ იწერდი, ადგილზე ვცქმუტავდი, მაგრამ, საბედნიეროდ, შენ ისე

ნერვიულობდი, რომ არ შეგიმჩნევია. როცა ბოლო ციფრიც სწორად გითხარი, სახეზე ბედნიერი ღიმილი გადამეფინა.

შენ კი ხელი ისე გიკანკალებდა, რომ შემეშინდა, ვაითუ ნომერი შეცდომით ჩაგეწერა. ამას ვერ დავუშვებდი.

ზურგჩანთიდან ჰანას რუკას ვიღებ, მაგიდაზე ვდებ და ვშლი.

– აქ შვიდი უნდა იყოს, – ერთ-ერთ ციფრზე მიგითითე.

– შვიდია.

ჩანთიდან ხის სახაზავსაც ვიღებ, რომ რუკის ნაკეცები გავასწორო.

– კარგი, იმედია, გაარჩევ, რა გიწერია.

– გავარჩევ, – მითხარი შენ, მაგრამ შვიდიანი მაინც მოხაზე, რითაც კიდევ უფრო დაამახინჯე.

ჩემი პერანგის სახელო ჩამოვქაჩე და კინაღამ შენკენ გამოვიწიე, რომ შენი შუბლიდან ოფლი მომეწმინდა... – დედაჩემი იქცეოდა ხოლმე ასე – მაგრამ საბედნიეროდ, თავი მოვთოკე. ეს რომ მექნა, ალბათ აღარასდროს ჰკითხავდი გოგოს ნომერს.

გარედან დედა მეძახის. სტერეოს ხმას კიდევ უფრო ვუკლებ და გამომრთველ ღილაკს თითს ვადებ, რომ გამორთვა მოვასწრო, თუ დედა შემოვა.

– გისმენ.

სახლში რომ მივედი, მითხრეს, რომ უკვე ორჯერ დაგერეკა.

– ვიცი, რომ მუშაობ, მაგრამ მაინტერესებს, ჩვენთან ერთად ისადილებ თუ არა, – მეუბნება დედა.

დედამ მკითხა, ვინ არის ის ბიჭიო და ვუთხარი, რომ საერთო გაკვეთილი გვაქვს; ალბათ, საშინაო დავალება აინტერესებდა-მეთქი. დედამ მითხრა, რომ შენც იგივე გითქვამს.

პირველ წითელ ვარსკვლავს დავყურებ. ჩ4. ვიცი, სადაც არის, მაგრამ წავიდე თუ არა?

წარმოუდგენელია, ჯასტინ, დედაჩემისთვის ტყუილი გითქვამს.

მაინც რამ გამახარა ასე?

– არა, – ვპასუხობ დედას, – მეგობართან მივდივარ დავალების გამო.

ალბათ კარგად მენიშნა, რომ ერთნაირად ვცრუობდით.

– კარგი, მაშინ შენს წილს მაცივარში შევინახავ და რომ დაბრუნდები, მერე გაიცხელე, – მეუბნება დედა.

დედამ მკითხა, რა საგანზე ხართო და ვუთხარი, მათემატიკაზე-მეთქი. ეს მთლად

ტყუილიც არ იყო. ბოლოს და ბოლოს, მათემატიკას ორივე ვსწავლობდით, უბრალოდ, სხვადასხვა კლასში.

– გასაგებია, იმ ბიჭმაც ეს მითხრა, – თქვა დედამ.

დედას ვუსაყვედურე, საკუთარ შვილს როგორ არ ენდობი-მეთქი, ფურცელი ზედ შენი ნომრით ხელიდან გამოვტაცე და ჩემს ოთახში ავედი.

გადავწყვიტე. წავალ ამ ვარსკვლავზე. მაგრამ მანამდე ამ მხარეს ბოლომდე მოვუსმენ და ტონისთან შევივლი.

ტონის ავტომობილში ძველი მაგნიტოფონი აქვს. ამბობს, ასე უკეთესია, მე თვითონ ვწყვეტ, რას მოვუსმენო. თუ ვინმეს დაიმგზავრებს და მას თავისი მუსიკა მოაქვს, ეუბნება, შეუსაბამო ფორმატიაო.

დაგირეკე.

– ჯასტინ, ჰანა ვარ. დედამ მითხრა, რომ მათემატიკაში ჩემი დახმარება გჭირდება.

ტონის ძველი „მუსტანგი“ ჰყავს, რომელიც მანამდე მის ძმას ეკუთვნოდა, უფრო ადრე – მამას და იქამდე ალბათ – ბაბუას. ტონი და მისი „მუსტანგი“ ისეთი ახლობლები არიან, რომ მგონი სკოლის ვერც ერთი შეყვარებული წყვილი ვერ შეედრება. ტონის გოგოები იმიტომ შორდებოდნენ, რომ „მუსტანგზე“ ეჭვიანობდნენ, მე კი ამდენი გოგოსთვის არცკი მიკოცნია.

უცებ დაიბენი, მაგრამ მერე გაგახსენდა, რა უთხარი დედაჩემს და ბოდიში მოიხადე.

ტონი ჩემი ძმაკაცი არ არის, მაგრამ ზოგი დავალება ერთად მოგვიმზადებია, ამიტომ ვიცი, სადაც ცხოვრობს. ტონის ძველი, კასეტის „უოქმენიც“ აქვს. ყვითელია, პლასტმასის წვრილი ყურსასმენებით. დარწმუნებული ვარ, მათხოვებს. რამდენიმე კასეტას წავიღებ და ჰანასძველი სახლისკენ რომ გავისეირნებ, გზაში მოვუსმენ. თანაც, ეგ ადგილი ტონის სახლიდან მხოლოდ ერთი-ორი კვარტლითაა დაშორებული.

– ჯასტინ, მაინც რომელი ამოცანა ვერ ამოხსენი? – გამომცდელად გკითხე.

ნებისმიერ შემთხვევაში, სადმე ისეთ ადგილას უნდა წავიღო ეს კასეტები, სადაც ჩემი მშობლები არ იქნებიან. მართალია, ისინი ჰანას ხმას ვერ იცნობენ, მაგრამ მე მაინც ჩემი სივრცე მჭირდება. პირადი სივრცე.

შენც ამყევი ამ თამაშში და მიპასუხე, რომ მატარებელი ა შენი სახლიდან გადის 3:45 საათზე, ხოლო მატარებელი ბ ჩემი სახლიდან გადის ათი წუთის შემდეგ.

შენ ვერ ხედავდი, ჯასტინ, მაგრამ ეს რომ მითხარი, ხელი ისე ავწიე, თითქოს სკოლაში, გაკვეთილზე ვიჯექი და არა საკუთარ საწოლზე.

– ბატონო ფოლი, მე ვიცი პასუხი.

– კარგი, ბეიკერ, გისმენთ.

ჩემი გვარი რომ წარმოთქვი, მივხვდი, რომ დედას ნაკარნახევი „უკარებას წესი“ სულ აღარ მანაღვლებდა. გითხარი, რომ ორი მატარებელი აიზენჰაუერის პარკში, სასრიალოსთან ხვდებოდა ერთმანეთს.

მაინც რა მოსწონდა ჰანას ამ ბიჭში? ვერაფრით ვხვდებოდი. ჰანაც იმას ამბობდა, არ ვიცი, რა მიზიდავსო. ჯასტინი მიმზიდველი გარეგნობით არ გამოირჩევა, მაგრამ მაინც ბევრ გოგოს მოსწონს.

ერთი ეს კია, რომ მაღალია. ალბათ მისი იდუმალებაც იზიდავთ, სულ ფანჯრიდან რომ იყურება ჩაფიქრებული მზერით.

ამას დიდი პაუზა მოჰყვა, ჯასტინ, ძალიან ხანგრძლივი პაუზა.

– ესე იგი, როდის ხვდებიან მატარებლები? – მკითხე ბოლოს.

– 15 წუთში.

შენ მითხარი, რომ მატარებლებს უფრო სწრაფადაც შეუძლიათ მოძრაობა და თხუთმეტი წუთი დიდი დროა.

ო, ღმერთო. ცოტა შეანელე, რა, ჰანა.

ვიცი, ახლა რასაც ფიქრობთ. ფიქრობთ, რომ ჰანა ბეიკერი კახპაა.

ვაი. მიაქციეთ ყურადღება, რომ აწმყო დროში ვსაუბრობ? ეს არასწორია. ჰანა ბეიკერი აღარ არის.

ჰანა ჩუმდება.

სკამს სტერეოსკენ უფრო ახლოს ვაჩოჩებ. გამჭვირვალე პლასტმასის მიღმა ორი შვერილი კასეტის ლენტს ატრიალებს. ძლივსგასაგონი შიშინი და გაბმული ზუზუნი ისმის.

ნეტა რა ხდება ახლა ჰანას გონებაში? თვალდახუჭულია? ტირის? იქნებ თითი გამომრთველ ღილაკზე უდევს და ცდილობს, ძალა მოიკრიბოს, რომ დააჭიროს? მაინტერესებს, რას აკეთებს, მაგრამ სტერეოდან არაფერი მესმის.

არ არის მართალი.

ხმა უკანკალებს, გაბრაზებული ჩანს.

ჰანა ბეიკერი არ არის და არც არასდროს ყოფილა კახპა. მაშინ რას ნიშნავს ის, რაც თქვენ მოისმინეთ?

უბრალოდ, კოცნა მინდოდა. უმაღლესი სკოლის მოსწავლე ვიყავი და ჯერ არავისთვის მეკოცნა. ბიჭი მომეწონა, მასაც მოვეწონე და გადავწყვიტე, მისთვის მეკოცნა. სულ ეს არის მთელი ამბავი.

მე ეს ამბავი სხვანაირად ვიცოდი, თუმცა ზუსტად ვერ ვიხსენებ, როგორ.

ჩვენს შეხვედრამდე ხშირად ვხედავდი ერთსა და იმავე სიზმარს. ზუსტად ერთი და იგივე მესიზმრებოდა. გიამბობთ, მაგრამ ჯერ პატარა შესავალი უნდა გავაკეთო.

იმ ქალაქში, სადაც ადრე ვცხოვრობდი, ერთი პარკი იყო, რომლის საბავშვო მოედანზეც ისეთივე „კოსმოსური ხომალდი“ იდგა, როგორიც აქ, აიზენჰაუერის პარკშია. მგონი ერთი და იმავე კომპანიის ნაწარმია. ხომალდის წითელი წვერო ცისკენაა აშვერილი. წვეროდან ძირამდე, მწვანე ფარფლებამდე, ლითონის გისოსები ეშვება. ფარფლებსა და წვეროს შორის სამი ბაქანი და ზედ ასასვლელი სამი კიბეა. ბოლო „სართულზე“ ხომალდის საჭეა, მეორე „სართულიდან“ კი მიწისკენ სასრიალო ეშვება.

ზაფხულში, სწავლის დაწყებამდე, ამ ხომალდზე ვძვრებოდი, ვჯდებოდი და თავს საჭეზე ვდებდი. გისოსებიდან მონაბერი ღამის ნიავი მამშვიდებდა და იმ ქალაქს მახსენებდა, საიდანაც წამოვედი.

ერთხელ მეც ავძვერი ამ ხომალდზე, მაშინ ხუთი წლის ვიყავი. შემეშინდა და აღრიალებულმა უკან ჩამოსვლაზე კატეგორიული უარი განვაცხადე. მამაჩემი მეტისმეტად ზორბა იყო იმისთვის, რომ ბაქნებს შორის გაჭრილ ხვრელებში გატეულიყო, ამიტომ იძულებული გახდა, სახანძრო გამოეძახა. ხომალდზე მეხანძრე ქალი ამოძვრა და მამასთან ჩამიყვანა. ასეთი შემთხვევები ალბათ ხშირი იყო, რადგან რამდენიმე კვირის წინ ქალაქმა ხომალდი-სასრიალოს დემონტაჟი გადაწყვიტა.

ალბათ ეს არის იმის მიზეზი, რომ სიზმარში პირველად ამ ხომალდთან გაკოცე. ხომალდი ჩემთვის უმანკოებასთან ასოცირდებოდა. სწორედ ასეთი მინდოდა ყოფილიყო ჩემი პირველი კოცნაც. უმანკო.

ალბათ ამიტომ არ მონიშნა ჰანამ პარკი წითელი ვარსკვლავით. სანამ ეს კასეტები მთელ სიას მოივლის, ხომალდი შეიძლება აღარც კი იყოს პარკში.

ამ სიზმარს იმ დღიდან ვხედავდი, როცა საკლასო ოთახთან პირველად დამელოდე. იმ დღიდან ვიცოდი, რომ მოგწონდი.

ჰანამ მაისური გაიხადა და ჯასტინს ლიფზე ხელი მოაკიდებინა. გამახსენდა. მე ასე ვიცოდი ეს ამბავი.

რა სისულელეა. შუაგულ პარკში ამას რატომ იზამდა?

მესიზმრებოდა, რომ ხომალდის ბოლო „სართულზე“ ვიდექი და საჭეს ვატრიალებდი. მართალია, ეს ისევ საბავშვო მოედნის „კოსმოსური ხომალდი“ იყო და არა ნამდვილი, მაგრამ რამდენჯერაც საჭეს მარცხნივ დავატრიალებდი, პარკში ხეები ფესვიანად

ამოდიოდნენ მიწიდან და მარცხნივგადააბიჯებდნენ; თუ საჭეს მარჯვნივ ვატრიალებდი, მაშინ ხეები, შესაბამისად, მარჯვნივ მიდიოდნენ.

შემდეგ მიწიდან შენი ხმა მესმოდა, ჯასტინ:

– ჰანა, მორჩი ხეებთან თამაშს და ჩემთან ჩამოდი!

საჭეს ვტოვებდი და მეორე „სართულზე“ ვეშვებოდი. მაგრამ იქ ვხვდებოდი, რომ ტერფები თვალსა და ხელს შუა გამზრდოდა და ქვევით მიმავალ ხვრელში აღარ მეტეოდა.

რაო, დიდი ტერფებიო? სიზმრების ახსნისა ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ მგონია, რომ ჰანას აინტერესებდა, დიდი ჰქონდა თუ არა ჯასტინს.

თავს გისოსებს შორის ვყოფდი და გიყვიროდი:

– მეტისმეტად დიდი ტერფები მაქვს. მაინც გინდა, რომ ჩამოვიდე?

– ძალიან მომწონს დიდი ტერფები. მიდი, ჩამოსრიალდი. მე დაგიჭერ.

სასრიალოზე ვჯდებოდი და ქვევით ვეშვებოდი. მაგრამ მეტისმეტად ნელა მივდიოდი. სანამ ბოლომდე ჩავსრიალდებოდი, ვასწრებდი შემემჩნია, რომ ძალიან პატარა ტერფები გქონდა. თითქმის არც ჩანდა.

ხომ ვამბობდი!

შენ ხელებგაშლილი მოდიოდი სასრიალოსთან, რომ დაგეჭირე. როდესაც ძირს ვხტებოდი, ჩემი დიდი ტერფებით შენს პატარა ფეხებს ნამდვილად არ ვაბიჯებდი.

– ხედავ? ერთმანეთისთვის ვართ შექმნილები, – მეუბნებოდი შენ. შემდეგ ჩემკენ იხრებოდი, რომ გეკოცნა. შენი ტუჩები მიახლოვდებოდა... და ამ დროს ვიღვიძებდი.

მთელი კვირა, ყოველღამე, ზუსტად კოცნის წინ მეღვიძებოდა. ახლა კი, ბოლოს და ბოლოს, ცხადში გხვდებოდი, ჯასტინ. იმავე პარკში, იმავე სასრიალოსთან. ახლა კი ვეღარსად წახვიდოდი და ბევრს მაკოცებდი, მიუხედავად იმისა, მოგეწონებოდა ეს თუ არა.

ჰანა ჯასტინსაც თუ ისევე ჰკოცნიდა, როგორც მე იმ წვეულებაზე, დამიჯერეთ, ჯასტინს ნამდვილად მოეწონებოდა.

შეხვედრა თხუთმეტ წუთში იმიტომ დაგითქვი, რომ პარკში შენზე ადრე მივსულიყავი. მინდოდა, ხომალდზე ამძვრალი დაგხვედროდი, როგორც ჩემს სიზმარში. ასეც მოხდა... ცხადია, მოსიარულე ხეებისა და უზარმაზარი ტერფების გამოკლებით.

ხომალდის ბოლო „სართულიდან“ შორიდანვე დაგინახე. ხშირ-ხშირად ამოწმებდი მაჯის საათს, თან სასრიალოსკენ მოდიოდი და აქეთ-იქით იყურებოდი, მაგრამ ზემოთ არ ამოგიხედავს.

საჭე მთელი ძალით დავატრიალე, რომ ხმაური გაგეგონა. შენ ერთი ნაბიჯით უკან

დაიხიე, ზემოთ ამოიხედე და დამიძახე. ჩემი სიზმრის ახდენა კი მინდოდა, მაგრამ ნამდვილად არ ველოდი, ზუსტად ასე თუ მიჰყვებოდი და მეტყოდი, ხეებთან თამაში შეწყვიტეო.

– ახლავე ჩამოვალ, – გითხარი მე, მაგრამ შენ მიპასუხე, მე თვითონ ამოვალ შენთანო.

– არა, მინდა, რომ ჩამოვსრიალდე, – ჩამოგძახე.

აი, მაშინ კი ის ჯადოსნური, სიზმრისმიერი სიტყვები გამიმეორე:

– მე დაგიჭერ.

ჩემს პირველ კოცნას ეს ნამდვილად სჯობს. მეშვიდე კლასში რომ ვიყავი, ანდრეა უილიამსს ვაკოცე სკოლის შემდეგ, სპორტული დარბაზის უკან. ლანჩის დროს მოვიდა ჩემს მაგიდასთან და ჩურჩულით შემომთავაზა, რის შემდეგაც მთელ დღეს ერექცია არ მომშორებია.

ჩვენი კოცნა ალბათ სულ სამიოდე წამს გაგრძელდა, მაგრამ მარწყვისარომატიანი ტუჩსაცხის გემო შევიგრძენი. შემდეგ ანდრეა მიბრუნდა და გაიქცა. ჩუმად გავყევი უკან და დავინახე, როგორ მისცა ორმა მეგობარმა ხუთდოლარიანი. წარმოუდგენელია! ნუთუ ათდოლარიანი სანაძლეოს გამო მაკოცა?

კარგია ეს თუ ცუდი? ალბათ ცუდია, დავასკვენი ბოლოს.

სამაგიეროდ, მარწყვის ტუჩსაცხი შემიყვარდა.

გაბადრული სახით ჩამოვედი კიბეზე, სასრიალოზე დავჯექი და შევყოვნდი. როგორც იქნა-მეთქი, ვფიქრობდი. ყველა ჩემს ძველ მეგობარს პირველი კოცნის გემო საშუალო სკოლაში სწავლისას გაეგო. ჩემი პირველი კოცნა კი სასრიალოს ძირას მელოდა, სწორედ ისე, როგორც მე მინდოდა. ერთი ჩასრიალებაღა რჩებოდა.

ადგილიდან დავიძარი.

ვიცი, რომ სინამდვილეში ასე არ იყო, მაგრამ ახლა იმ წუთებს რომ ვიხსენებ, ყველაფერს შენელებულ კადრებად ვხედავ. სასრიალოზე ვზივარ და ქვევით ვეშვები, თმა მიფრიალებს, შენ ხელებს შლი, რომ დამიჭირო. მეც ვშლი ხელებს, რომ საქმე გაგიადვილო.

მაინც როდის გადაწყვიტე ჩემთვის გეკოცნა, ჯასტინ? როცა პარკში შემოხვედი? თუ ეს სპონტანურად მოხდა, როდესაც მკლავებში ჩაგივარდი?

აბა, ვის გინდათ გაიგოთ, რა იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება კოცნაზე? აი, რა გავიფიქრე – ჯასტინს ცხარესოუსიანი ჰოთდოგი უჭამია-მეთქი.

ეგ რა მოგსვლია, ჯასტინ.

ბოდიში, ჯასტინ, არც ისეთი ცუდი კოცნა იყო, მაგრამ პირველად სწორედ ეს გავიფიქრე.

მარწყვის ტუჩსაცხზე საწუწუნო არაფერი მაქვს.

არ ვიცოდი, როგორი გამოდგებოდა ეს კოცნა, ჩემი ძველი მეგობრები იმდენნაირ კოცნას აღწერდნენ... მაგრამ კარგი გამოდგა, ენა პირში ღრმად არ შეგიყვია, არც ჩემი საჯდომი ჩაგიბღუჯავს. უბრალოდ ტუჩები მივადეთ ერთმანეთს... და ვაკოცეთ.

სულ ეს არის.

მოიცა, მოიცა, არ გადაახვიოთ. არ არის საჭირო, რადგან არაფერი გამოგრჩენიათ. კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ. სულ ეს არის. მთელი ამბავი.

თქვენ სხვანაირად იცოდით, არა?

ჟრუანტელი მივლის.

კი, სხვანაირად ვიცოდი. ყველამ სხვანაირად იცოდა.

თუმცა, მართლები ხართ. რაღაც კიდევ მოხდა. ჯასტინმა ხელი ჩამკიდა, საქანელებთან მივედით და ცოტა ხანს ვიქანავეთ. შემდეგ ჯასტინმა ისევ ისე მაკოცა.

მერე, ჰანა? მერე რა მოხდა?

მერე... წავედით. ის თავისი გზით, მე – ჩემით.

მაპატიეთ, რომ იმედი გაგიცრუეთ. ალბათ რამე უფრო სექსუალურს ელოდით, არა? გინდოდათ, გაგეგოთ, როგორ წავიღე ხელი მისი შარვლის ღილისკენ. გინდოდათ, მოგესმინათ...

არც კი ვიცი, რის მოსმენა გინდოდათ. მე თვითონ იმდენი ვერსია მაქვს მოსმენილი, რომ არც კი ვიცი, რომელია ყველაზე პოპულარული. სამაგიეროდ, ვიცი ყველაზე ნაკლებად პოპულარული – ჩემი ვერსია, სიმართლე.

ამიერიდან სიმართლე აღარ დაგავიწყდებათ.

ახლაც თვალწინ მიდგას სკოლაში, თავის მეგობრებს შორის მდგარი ჯასტინი. მახსოვს, როგორ ჩაიარა ჰანამ და მთელი ჯგუფი ერთბაშად დადუმდა. თვალები აატრიალეს. ჰანა რომ გასცდა, აფხუკუნდნენ.

რატომ მახსოვს ეს ასე კარგად?

იმიტომ, რომ ქეითის გამოსამშვიდობებელი წვეულების შემდეგ ჰანასთან დალაპარაკება სულ მინდოდა, მაგრამ ვერ ვბედავდი ჩემი სიმორცხვის გამო. იმ დღეს ჯასტინისა და მისი საძმოს შემხედვარემ ვიეჭვე, რომ ჰანას თავს რაღაც ხდებოდა, მაგრამ ვერ მივხვდი, რა, ცოტა ხნის შემდეგ კი „კოსმოსურ ხომალდთან“ მომხდარი მისი

სექსუალური თავგადასავლის შესახებ შევიტყვე. ჰანა სკოლაში ახალი იყო და ამ ჭორებმა ყველა სხვა ინფორმაცია გადაფარა.

დავასკვენი, ჰანა ჩემთვის მიუწვდომელია, ასეთი გამოცდილი გოგო მე არც კი შემომხედავს-მეთქი.

ჯასტინ, გულწრფელად გიხდი მადლობას. ჩემი პირველი კოცნა ძალიან კარგი იყო. ის ერთი თვე, სანამ ერთად ვიყავით, ყველა კოცნა მშვენიერი იყო. შენ ძალიან კარგი იყავი.

მაგრამ მერე ტრაბახი დაიწყე.

ერთი კვირა ისე გავიდა, არაფერი გამიგია. შემდეგ კი მოხდა ის, რაც გარდაუვალი იყო, და ჭორებმა ჩემამდეც მოაღწია. როგორც ცნობილია, ჭორის აგორება ძალიან ადვილია.

ვიცი, ახლა რასაც ფიქრობთ. ამ ამბავს რომ ვყვებოდი, მეც იმავეს ვფიქრობდი. „როგორ, თავის მოკვლა ნუთუ კოცნაზე გავარდნილი ჭორის გამო გადაწყვიტე?“

არა. კოცნაზე დაფუძნებულმა ჭორმა დაამახინჯა ის, რაც მინდოდა, ტკბილ მოგონებად დარჩენილიყო. ამ ჭორმა სახელი გამიტეხა, ადამიანებმა ირწმუნეს ჭორი და შესაბამისადაც მექცეოდნენ. ხანდახან ასეთ ჭორს თოვლის გუნდის ეფექტი აქვს, უბედურება თანდათან იზრდება.

ეს ჭორი მხოლოდ დასაწყისია, წინ კი სხვა ისტორიებია.

შეგიძლიათ კასეტა გადააბრუნოთ და მოისმინოთ.

ხელს სტერეოსკენ ვიშვერ, რომ გამოვრთო.

ჯასტინ, საყვარელო, გირჩევ, შენც გააგრძელო მოსმენა. ვერც კი წარმოიდგენ, კიდევ სად ვახსენებ შენს სახელს.

თითს გამომრთველ ღილაკს ვადებ და შიშინსა და შვერილებზე ფირის ტრიალის ძლივსგასაგონ წრიპინს ვუსმენ. ისევ ჰანას ხმის გაგონებას ველი. მაგრამ ჰანა აღარაფერს ამბობს. ეს ისტორია დასრულდა.

<

ტონის სახლს ვუახლოვდები. მისი „მუსტანგი“ ბორდიურთან დგას, ტონი და მამამისიც იქვე ტრიალებენ. ტონის პატარა ფანარი უჭირავს, მამამისი კი ქანჩით რომელიღაც ჭანჭიკს უჭერს.

– გაფუჭდა თუ ერთობით? – ვეკითხები ტონის.

ტონი მხარსზემოდან გამომხედავს და ჩემს დანახვაზე ფანარი ხელიდან უვარდება.

– ჯანდაბა.

მამამისი წელში იმართება და ზეთიან ხელებს უკვე გაზინთულ მაისურზე იწმენდს.

– ეს ყოველთვის კარგი გასართობია. თუ ფუჭდება, კიდევ უკეთესი, – ამბობს და ტონის თვალს უკრავს.

ტონი შუბლშეკრული იხრება ფანრის ასაღებად.

– მამა, კლეი ხომ გახსოვს?

– რა თქმა უნდა, – პასუხობს მამა, – კლეი, მიხარია შენი ნახვა.

ხელს არ მართმევს, მაგრამ მისი გაზინთული მაისურის შემხედვარე, დიდად არც ვდარდობ.

ვფიქრობ, ცრუობს. არ ვახსოვარ.

– უი, გამახსენდი, – მეუბნება უცებ, – ერთხელ სადილზე დაგვეწვიე და სულ „თუ შეიძლებას“ და „გმადლობთს“ გაიძახოდი. მაგ სადილის შემდეგ, ტონის დედა მთელი კვირა ჩაგვჩიჩინებდა, უფრო ზრდილობიანად მოიქეცითო.

ვუღიმი.

რა მეთქმის? ჩემი თანატოლების მშობლებს, როგორც წესი, მოვწონვარ.

– კი, ის არის, – ეუბნება ტონი და ხელებს ჩვრით იწმენდს, – რა არის ახალი, კლეი?

მის სიტყვებს გონებაში ვიმეორებ. რა არის ახალი? რა არის ახალი? ოჰ, რადგან მეკითხები, სხვათა შორის, დღეს თვითმკვლელი გოგოსგან ფოსტით კასეტები მივიღე. როგორც ჩანს, მეც რაღაც მაკავშირებს თვითმკვლელობასთან. რა მაკავშირებს, ჯერ ზუსტად არ ვიცი, ამიტომ მინდა, რომ შენი „უოქმენი“ ვითხოვო და ყველაფერი გავიგო.

– არაფერი, – ვპასუხობ ტონის.

ტონის მამა მთხოვს, იქნებ მანქანაში ჩაჯდე და დაქოქვა სცადოო.

– გასაღები ადგილზეა.

ზურგჩანთას სალონში, სავარძელზე ვაგდებ და საჭესთან ვჯდები.

– მოიცა, მოიცა, – იძახის ტონის მამა, – ტონი, აქ მომინათე.

ტონი ავტომობილთან დგას და მე მიყურებს. ჩვენი თვალები ერთმანეთს ხვდება, მზერას ვეღარ ვაშორებ. ნეტა თუ იცის კასეტების შესახებ?

– ტონი, მომინათე-მეთქი, – ისევ ეძახის მამა.

ტონი თვალს მარიდებს და ფანრიანად იხრება, თუმცა, ხშირ-ხშირად გადმომხედავს ხოლმე.

იქნებ ისიც არის ამ ჩანაწერებში? იქნებ სულაც ჩემ წინ იყო და ეს ამანათიცმან გამომიგზავნა?

თანდათან პანიკა მიპყრობს. არა, შეიძლება, არც არაფერი იცის და, უბრალოდ, იმიტომ მიყურებს, რომ დანაშაულში გამოჭერილი ადამიანივით ვიქცევი.

დაქოქვაზე მითითების მოლოდინში, სალონს ვათვალიერებ. მგზავრის სავარძლის უკან დაგდებულ „უოქმენს“ ვხედავ. ყურსასმენების სადენი მჭიდროდ აქვს შემოხვეული. რა მოვიმიზეზო, რისთვის მჭირდება-მეთქი?

– ტონი, ეს ქანჩი გამომართვი და მაგ ფანარს მე დავიჭერ, შენ რაღაც მეტისმეტად აჯანჯღარებ, – ტონი და მამამისი ერთმანეთს ფანარს და ქანჩს უცვლიან, მე კი ამით ვსარგებლობ და „უოქმენს“ ვტაცებ ხელს. აი, ასე, დაუფიქრებლად ვიღებ და ზურგჩანთის ღია ჯიბეში ვაგდებ.

– კლეი, აბა, დაქოქე, – მეძახის ტონის მამა.

გასაღებს ვატრიალებ და ძრავა მაშინვე იქოქება.

– ხელის შევლება სჭირდებოდა, ახლა კი ყველაფერი რიგზეა. კლეი, შეგიძლია გამორთო, – ტონის მამა იღიმის. ჩანს, კმაყოფილია თავისი ნამუშევრით.

ტონი ძრავას თავს ახურავს. მამამისი კი რამდენიმე გაზინთულ ჩვარსა და ინსტრუმენტების ყუთს იღებს და ავტოფარეხისკენ მიდის.

მე ზურგჩანთას მხარზე ვიგდებ და მანქანიდან გადმოვდივარ.

– გმადლობ, – მეუბნება ტონი, – შენ რომ არ გამოჩენილიყავი, ალბათ დილამდე აქ ვიდგებოდით.

ზურგჩანთა მეორე მხარზეც გადამაქვს და ტონის ვეუბნები:

– სახლში ყოფნა აღარ შემეძლო. დედაჩემმა შემჭამა.

ტონი ავტოფარეხისკენ იხედება და ჩუმად მეუბნება:

– მეც მაგ დღეში ვარ. სამეცადინო მაქვს, მამაჩემს კი სულ ძრავასთან ჩალიჩი უნდა.

ჩვენ თავზემოთ ლამპიონი ციმციმებს.

– აბა, რისთვის მოხვედი, ძმაო? – მეკითხება უცებ ტონი.

ზურგჩანთაში „უოქმენის“ სიმძიმეს ვგრძნობ.

– უბრალოდ, ვსეირნობდი და დაგინახეთ. ვიფიქრე, მივესალმები-მეთქი.

ტონი ისე დაჟინებით მიყურებს, რომ ვეღარ ვუძლებ. მზერა ავტომობილზე გადამაქვს.

– „როუზთან“ მივდივარ, გინდა წაგიყვანო? – მეკითხება ბოლოს.

– არა, გმადლობ, გავისეირნებ.

– მაინც, საით მისეირნობ? – ტონი ხელებს ჯიბეში იწყობს.

ო, ღმერთო, იმედია, სიაში არ არის. მაგრამ თუ არის, იქნებ უკვე მოუსმინა ჩანაწერებს

და ზუსტად იცის, ახლა რაზეც ვფიქრობ. იცის, სად მივდივარ. იქნებ სიაში ჩემ შემდეგაა და ჩანაწერები ჯერ არც მიუღია. ეს კიდევ უარესი, რადგან როცა ჩანაწერებს მოუსმენს, ეს წუთი გაახსენდება.

— არსად, — ვპასუხობ და ხელებს მეც ჯიბეებში ვიწყობ, — აბა, ხვალამდე.

ის არაფერს ამბობს. მე კი ზურგს ვაქცევ და გზას ვაგრძელებ. ვგრძნობ, როგორ მიყურებს და ყოველ წამს იმის მოლოდინში ვარ, სადაცაა, წამოიძახებს, სად არის ჩემი „უოქმენიო“. მაგრამ არა, „უოქმენის“ აწაპვნას ვერ ამჩნევს.

პირველსავე მარჯვენა შესახვევში ვუხვევ თუ არა, თითქმის მაშინვე მესმის „მუსტანგის“ ძრავის ხმა და ხრეშზე ბორბლების ღრჭიალი. ტონი გაზს აჭერს. მანქანა ჩემს ზურგს უკან ქუჩას ჭრის და მშორდება.

ზურგჩანთას ვიხსნი და ტროტუარზე ვდებ. „უოქმენს“ ვიღებ, დახვეულ ყვითელ ყურსასმენს ვშლი და ვიკეთებ. ჩანთით პირველი ოთხი კასეტა მაქვს წამოღებული იმის იმედად, რომ დაღამებამდე მოსმენას მოვასწრებ. დანარჩენები შინ დავტოვე.

ზურგჩანთის ყველაზე პატარა ჯიბეს ვხსნი და პირველ კასეტას ბ მხარით ვდებ „უოქმენში“.

# პირველი კასეტა: B მხარე

4

აი, ისევ აქ ვარ. გმადლობთ, რომ ჩემთან დარჩით და მისმენთ.

„უოქმენს“ ქურთუკის ჯიბეში ვიდებ და ხმას ვუწევ.

ორი ვარიანტია, თუ რატომ უსმენთ ამას. ა: ჯასტინ, ეს შენ ხარ და გაინტერესებს, ვინ არის შემდეგი; ბ: ჯასტინი არ ხართ და თქვენი სახელის გაგონებას ელოდებით.

მაშასადამე...

თმა ცხელი ოფლით მეცვარება.

ალექს სტენდოლ, შენი ჯერია.

ვგრძნობ, როგორ მოგორავს საფეთქელზე ოფლის წვეთი, და ვიწმენდ.

ალბათ გიკვირს, ამ სიაში რომ ხარ, ალექს. ფიქრობ, რომ ცუდად კი არ მომექეცი, პირიქით, სამსახური გამიწიე, როცა კლასის „საუკეთესო ტრაკად“ დამასახელე. აბა, ეს რა საწყენია?

ჰოდა, მისმინე, ალექს.

ბორდიურზე ვჯდები და ფეხებს სანიაღვრე არხში ვყოფ. ჩემს ფეხსაცმელთან ახლოს, ცემენტიდან ბალახის რამდენიმე ღერი ამოწვერილა. მზე ჯერაც არ ჩასულა, მაგრამ ქუჩის ორივე მხარეს ლამპიონები უკვე ანთია.

თუ ფიქრობ, რომ სისულელეს ვროშავ; თუ ფიქრობ, რომ ერთი პატარა, შტერი გოგო ვარ, რომელიც ყველა წვრილმანზე ფეთდება და ყველაფერი გულთან მიაქვს, შეგიძლია არ მომისმინო. მესმის, რომ კასეტების ასლებით შენზე ზეწოლას ვახდენ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რა გენაღვლება, თუნდაც ყველამ გაიგოს, რას ფიქრობ ჩემს ტრაკზე?

ჩემ გარშემო სახლებში და რამდენიმე კვარტლის იქით, ჩემს სახლშიც, ოჯახები ახლა ვახშმობას ამთავრებენ და ჭურჭლის სარეცხ მანქანებში ჭურჭელს ალაგებენ. ბავშვები საშინაო დავალებებს უბრუნდებიან.

ამ ოჯახებისთვის ერთი ჩვეულებრივი დღეა.

მაგრამ შემიძლია ბევრი ადამიანი დაგისახელო, ვინც ძალიანაც ინაღვლებს, თუ ეს ჩანაწერები საჯაროდ გავრცელდება.

ამიტომაც, სჯობს მომისმინო.

წინ ვიხრები, მკლავებს ფეხებზე ვიხვევ და შუბლს მუხლებს ვაყრდნობ.

მახსოვს ის დილა, სია რომ გაავრცელე. მეორე გაკვეთილზე ვისხედით. ჩანდა,

ქალბატონ სტრამს შაბათ-კვირა შესანიშნავად გაეტარებინა, რადგან იმ დღისთვის არაფერი ჰქონდა მომზადებული.

ჩვეულებისამებრ, რაღაც ძალიან მოსაწყენ დოკუმენტურ ფილმს გვაყურებინებდა. ფილმი არ მახსოვს, მაგრამ მთხრობელს მძიმე ბრიტანული აქცენტი ჰქონდა. რომ არ ჩამძინებოდა, მერხიდან ზედ მიკრული ლენტის ნაგლეჯის აფხეკას ვცდილობდი. მთხრობელის ხმა ჩემთვის მხოლოდ ფონი იყო, უღიმღამო ხმაური. მთხრობელის ხმაც და... კლასის ჩურჩულიც.

უცებ თავი ავწიე და ჩურჩული შეწყდა. ყველამ მაშინვე თვალი ამარიდა, მაგრამ შევამჩნიე, რომ ერთმანეთს რაღაც ფურცელს გადასცემდნენ. ფურცელმა ლამის მთელი კლასი მოიარა და ბოლოს ჩემ უკან მჯდარ ჯიმი ლონგთან აღმოჩნდა.

ყველას, ვინც იმ დღეს გაკვეთილზე იყავით და ახლა მისმენთ, გთხოვთ, გაიხსენოთ – ჯიმი ნამდვილად ცდილობდა, ჩემი სკამის საზურგეში შეეჭყიტა? მე რატომღაც ასე წარმომიდგენია, რადგან გავიგონე, როგორ წაიჩურჩულა: ნაღდად ეგრეა.

მუხლებს უფრო მაგრად ვებღაუჭები. ტუტუცი ჯიმი.

– იდიოტი ხარ, გამოშტერებულო, – გავიგონე სხვისი ჩურჩულიც.

ჯიმისკენ მივბრუნდი, მაგრამ ჩურჩულის გუნებაზე არ ვიყავი.

– რა არის ნაღდად ეგრე?

მოგეხსენებათ, ჯიმი მუდმივად გოგოების ყურადღებასაა დახარბებული. ის სულელურად გაიკრიჭა და თავის მერხზე დადებულ ფურცელს დახედა. ისევ გავიგონე სიტყვა „იდიოტი“ და არაერთხელ. თითქოს არავის უნდოდა, უცნაური ხუმრობის მონაწილე მეც გავმხდარიყავი.

მე ეს სია ისტორიის გაკვეთილზე მომაჩეჩეს. რამდენიმე სახელი ჩემთვის უცნობი იყო. ზოგიერთს ან ჯერ არ ვიცნობდი ან მათი სახელები არ მახსოვდა, მაგრამ ჰანას სახელი კი მეცნო. გამეცინა, სიაში რომ ვნახე. ვიფიქრე, ჯერ სულ ცოტა ხანია, აქ არის და უკვე რა სახელი მოუხვეჭია-მეთქი.

მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ მისი რეპუტაცია ჯასტინ ფოლის მდიდარი ფანტაზიის დამსახურება იყო.

თავი გვერდზე გადავხარე, რომ როგორმე ამომეკითხა სათაური: პირველი კლასი – სექსუალურები და მახინჯები.

ჯიმიმ უკან გადაიწია და სკამი ააჭრიალა. მივხვდი, რომ ჩვენკენ ქალბატონი სტრამი მოდიოდა, მაგრამ მე სიაში ჩემი სახელის პოვნა მინდოდა. იმწუთას არ მიფიქრია, რა

„ნომინაციაში“ ვიყავი, არც ის მანაღვლებდა, სექსუალურებში ვეწერე თუ მახინჯებში. უბრალოდ, ვგრძნობდი, ვერ მოვისვენებდი, სანამ არ გავიგებდი, რა საერთო მოსაზრება არსებობდა ჩემზე. ქალბატონი სტრამი კი ჩვენკენ მოდიოდა და სადაც იყო, ჯიმის ფურცელს წაართმევდა. აღელვებისგან სად წავსულიყავი, აღარ ვიცოდი.

სად წერია ჩემი სახელი? სად არის? აი, მივაგენი!

იმავე დღეს, დერეფანში ჰანამ რომ ჩამიარა, თვალი გავაყოლე და გულში დავეთანხმე ნომინაციის ავტორს – ნამდვილად შეეფერებოდა ჰანას.

ქალბატონმა სტრამმა სია აიღო, მე კი ისევ წინ შევბრუნდი. რამდენიმე წუთი გავიდა, სანამ გამბედაობას მოვიკრებდი, რომ ოთახის მეორე ბოლოსკენ გამეხედა. როგორც მოსალოდნელი იყო, ჯესიკა დევისი გაცოფებული ჩანდა.

რატომ? იმიტომ, რომ სიაში მისი გვარიც ეწერა, მაგრამ, „მახინჯების“ სვეტში.

ერთიანად აჭარხლებული, ფანქრით ისე გამალებული წერდა რვეულში რაღაცას, გეგონებოდათ, მორზეს ანბანს იყენებსო.

უნებურად გავიფიქრე, მადლობა ღმერთს, მორზეს ანბანი არ ვიცი-მეთქი.

სიმართლეითქვას, ჯესიკა დევისი ჩემზე ბევრად ლამაზია. სხეულის ყველა ნაწილის სიაც რომ ჩამოვწეროთ, დარწმუნებული ვარ, ყველაფერში მომიგებს.

არ გეთანხმები, ჰანა, არ გეთანხმები.

ყველამ იცის, რომ ჯესიკას ჩვენს კლასში ყველაზე „უშნო ტრაკი“ სულაც არა აქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არავის აინტერესებდა, რატომ მოხვდა ჯესიკა ამ ნომინაციაში.

შენ გარდა, ალექს... შენ, ჩემ და ჯესიკას გარდა.

ახლა კი სხვებიც გაიგებენ, რატომ.

შეიძლება ვინმე ფიქრობს, რომ სწორი არჩევანი გააკეთე, როცა მე დამასახელე. მე კი ასე არ ვფიქრობ. მოდი, სხვაგვარად ვიტყვი: ჩემი აზრით, აქ გადამწყვეტი ფაქტორი ჩემი ტრაკი კი არა, შურისძიება იყო.

სანიაღვრე არხში ამოსულ ბალახებს ვგლეჯ და ფეხზე ვდგები. გზას ვაგრძელებ, თან ბალახს ვსრეს.

მართალია, ეს ჩანაწერი შენს მოტივებზე არ არის, ალექს, მაგრამ ესეც უნდა მეხსენებინა. ეს ჩანაწერი იმაზეა, როგორ იცვლებიან ადამიანები მას შემდეგ, რაც სახელს სულელურ სიაში ამოიკითხავენ. ახლავე გეტყვი, რაზეცაა ეს ჩანაწერი...

ჰანა ჩუმდება. ხელს ჯიბეში ვყოფ, ხმას ვუწევ და ფურცლის შრიალი მესმის.

აი, ისევ გადავხედე იმ სახელებსა და ისტორიებს, რაც ამ ჩანაწერებშია. აბა, თუ

მიხვდები, რატომ? იმიტომ, ალექს, რომ ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდა და რასაც ახლა ვყვები, შეიძლება არ მომხდარიყო, იმ სიაში ჩემი სახელი რომ არ ჩაგეწერა. სულ ეს არის.

შენ, უბრალოდ, გჯირდებოდა ვიღაც, ვისაც ჯესიკას დაუპირისპირებდი. ჯასტინის პატარა ოინის შემდეგ მე ისედაც გარყვნილის იმიჯი მქონდა, ამიტომ იდეალური კანდიდატი ვიყავი. ხომ ასეა, ალექს?

და აი, გუნდა მიგორავს და იზრდება. დიდი მადლობა, ჯასტინ.

ალექსის სია უბრალო ხუმრობა იყო. შეიძლება ცუდი ხუმრობა, მაგრამ ალექსი ალბათ ვერასდროს წარმოიდგენდა, თუ ეს ჰანაზე ასე იმოქმედებდა. ჰანა უსამართლოდ ადანაშაულებს.

ნეტა მე რა ჩავიდინე? მე რაში დამდებს ჰანა ბრალს? წარმოდგენა არ მაქვს, რა უნდა იყოს. ან ეს ხალხი რას იფიქრებს ჩემზე მას შემდეგ, რაც ამას მოუსმენს? ზოგიერთმა, სულ ცოტა ორმა მაინც, უკვე იცის, რატომ მოვხვდი ამ სიაში. ნეტა ჩემზე აზრი შეეცვალათ?

არა, ასე არ შეიძლება. ჩემი ადგილი ამ სიაში არ არის, ამაში დარწმუნებული ვარ.

მე არაფერი დამიშავებია!

კიდევ განვმარტავ, ალექს. ეს ჩანაწერი არ არის იმის შესახებ, თუ რატომ ჩაიდინე ის, რაც ჩაიდინე. ეს ჩანაწერი შენი ქმედებით გამოწვეულ შედეგებზეა, რაც მე ვიწვნიე. ვიცი, შენ ამაზე არ გიფიქრია... ამას ვერც კი წარმოიდგენდი.

ო, ღმერთო. წარმოუდგენელია.

;

პირველი წითელი ვარსკვლავი ჰანას ძველი სახლია. აი, მოვედი კიდეც.

მაგრამ თვალებს ვერ ვუჯერებ.

ამ სახლში ნამყოფი ვარ. ახლა აქ მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობს. დაახლოებით ერთი თვის წინ, საღამოს კაცი მანქანით მიდიოდა და ტელეფონზე ცოლს ელაპარაკებოდა. სწორედ ამ დროს შეეჯახა მეორე ავტომობილს.

თვალებს ვხუჭავ და თავს ვაქნევ, რომ მოგონება თავიდან ამოვიგდო. არ მინდა ამის გახსენება, მაგრამ მოგონება ჩემზე ძლიერია. კაცი ისტერიკაში ჩავარდა, ტიროდა და იძახდა, ახლავე უნდა დავურეკო ჩემს ცოლსო. მისი ტელეფონი შეჯახებისას სადღაც გადავარდა. ჩემი ტელეფონით ვცადე დარეკვა, მაგრამ ხაზი დაკავებული იყო – შეშინებულს და დაბნეულს, ალბათ ერჩივნა, იმ ხაზზე დარჩენილიყო, რომელზეც ცოტა ხნის წინ ქმარს ესაუბრებოდა.

კაცმა მითხრა, სუსტი გული აქვს და ახლავე უნდა გავაგებინო, რომ არაფერი

დამიშავდაო.

მე ჯერ პოლიციაში დავრეკე, მერე კაცს დავპირდი, რომ კვლავ ვცდიდი მის ცოლთან დაკავშირებას. მაგრამ კაცმა დაიჟინა, ახლავე უნდა წახვიდე და უთხრა, რომ კარგად ვარ, ჩვენი სახლი აქვეაო.

შეჯახების ადგილას ხალხი შეგროვილიყო და მეორე ავტომობილის მძღოლს ეხმარებოდნენ. მძღოლი ჩვენი სკოლელი აღმოჩნდა, უფროსკლასელი, ჩემს მოხუცზე ბევრად უარეს მდგომარეობაში იყო. ხალხს გავძახე, სასწრაფოს მოსვლამდე ყურადღება მოხუცსაც მიაქციეთ-მეთქი და მისი სახლისკენ გავქანდი, რომ ქალი დამემშვიდებინა. მაშინ ნამდვილად არ ვიცოდი, რომ იმ სახლისკენ მივქროდი, სადაც ოდესღაც ჰანა ცხოვრობდა.

ეს ზუსტად ის სახლია.

მაგრამ ამჯერად არ მივრბივარ, ზაკის და ჯასტინის მსგავსად, მშვიდად მივუყვები გზას „აღმოსავლეთ ყვავილოვანი კანიონისკენ“, სადაც, როგორც ჰანამ თქვა, ორი ქუჩა კვეთს ერთმანეთს.

ფართორაფიანი ფანჯრის ფარდები ახლა დაშვებულია, ზაფხულში კი, სწავლის დაწყებამდე, იქ ჰანა იჯდა ქეითთან ერთად და ფანჯრიდან უყურებდა, როგორ მიდიოდა მათკენ ორი ბიჭი, როგორ გადავიდნენ გაზონზე, როგორ აუცურდათ ფეხი სველ ბალახზე და ერთიმეორის მიყოლებით გაიშხლართნენ.

სანიაღვრე არხამდე მივდივარ, მერე გაზონზე გადავდივარ და ვჩერდები. ფეხი არ მიცურავს. უცებ აზრი მომდის: იმ დღეს ჯასტინს და ზაკს ჰანას სახლამდე რომ მიეღწიათ, იქნებ ჰანას ჯასტინის ნაცვლად ზაკი შეჰყვარებოდა და ჭორებიც აღარ გავრცელებულიყო?

ასეთ შემთხვევაშიჰანა ახლაც ცოცხალი იქნებოდა.

4

ის დილა არც იმდენად ტრავმული აღმოჩნდა ჩემთვის. ვიცოდი, რომ შენი სია ხუმრობა იყო. დერეფნებში ვხედავდი ბავშვებს, რომლებიც სიის ამა თუ იმ მფლობელის ირგვლივ კრავდნენ წრეს. მათაც იცოდნენ, რომ ეს ხუმრობა იყო. უწყინარი ხუმრობა.

და მაინც, რა შეიძლება მოხდეს მას მერე, რაც კლასის „საუკეთესო ტრაკად“ დაგასახელებენ? ახლავე გეტყვი, ალექს, და მომისმინე, რადგან შენით ვერასდროს მიხვდები ამას. ეს მოვლენა ადამიანებს – ზოგიერთს მაინც – უბიძგებს, ისე მოგექცნენ, თითქოს სხეულის მხოლოდ ეს კონკრეტული ნაწილი იყო და სხვა არაფერი.

მაგალითი გჭირდება? კი ბატონო. რუკაზე ბ3 მოძებნეთ – მაღაზია „ლურჯი ლაქა“.

ვიცი ეს მაღაზია, აქვეა.

არ ვიცი, ასე რატომ ჰქვია, მაგრამ ჩემს ძველ სახლთან არის. როცა სასუსნავი მომინდებოდა, იქ მივდიოდი ხოლმე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქ ყოველდღე დავდიოდი.

„ლურჯი ლაქა“ გარედან ერთობ ბინძური ადგილის შთაბეჭდილებას ტოვებს, ამიტომ შიგნით არასდროს შევსულვარ.

„ლურჯი ლაქა“, ყოველთვის ცარიელი იყო. მხოლოდ მე და მოლარე ვიყავით ხოლმე.

შეიძლება ხალხი ვერც ამჩნევს, რადგან ერთი ციცქნაა, თანაც შეჭეჭყილი – ორ სხვა მაღაზიას შორის, რომლებიც ახლა დაკეტილია. გარედან „ლურჯი ლაქა“ სიგარეტისა და ალკოჰოლური სასმელების სარეკლამო პოსტერების დაფას ჰგავს. შიგნიდანაც დაახლოებით ასეთივეა.

ჰანას ძველ სახლთან, ტროტუარზე მივაბიჯებ. მცირე აღმართია. ტრასა ავტოფარეხის ხის კართან ადის.

ზედ დახლის წინ, მავთულის ცხაურიან თაროზე, მშვენიერი შოკოლადები აწყვია. ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან მომწონს. საკმარისია, კარი შევაღო, რომ მოლარე მაშინვე აჩხაკუნებს სალაროს, რადგან იცის, შოკოლადს აუცილებლად ვიყიდი.

ერთხელ ამ მოლარეზე ვიღაცამ თქვა, სახე ნიგოზს მიუგავსო. მართლაც ასეა, ალბათ ბევრი მოწევისგან. თუმცა მისი სახელი, ნიგოც, ხელს უწყობს ამ ასოციაციას.

ჰანა სკოლაში ცისფერი ველოსიპედით დადიოდა. ახლაც თვალწინ მიდგას: ზურგზე ჩანთამოგდებული, ავტოფარეხიდან გამოდის და ველოსიპედს დაღმართზე მოაგელვებს. შემდეგ უხვევს და ტროტუარზე გვერდით ჩამივლის. ვდგავარ და გავყურებ, როგორ მიჰქრის ველოსიპედით ტროტუარზე, როგორ ჩაუვლის ხეებს, სახლებს და ჩამწკრივებულ ავტომობილებს. ბოლოს თვალს ეფარება.

ვტრიალდები და გზას ვაგრძელებ.

„ლურჯ ლაქაში“ ბევრჯერ ვარ ნამყოფი, მაგრამ ნიგოსგან ერთი სიტყვაც არასდროს გამიგონია. ვერ ვიხსენებ, ოდესმე „გამარჯობა“ ან „ნახვამდის“ ეთქვას, ან თუნდაც რამე ჩაებურტყუნოს. მისი ხმა ერთადერთხელ გავიგონე და შენი დამსახურებით, ალექს.

აი, როგორ გამომადგა შენთან ნაცნობობა.

ალექსი! ახლა გამახსენდა. გუშინ სკოლაში ვიღაცამ ხელი ჰკრა და ალექსი მე დამეჯახა. ნეტა ვინ ჰკრა ხელი?

იმ დღესაც ჩვეულებისამებრ შევედი მაღაზიაში. ჩემ თავზემოთ ზარი გაწკარუნდა. სალარო აპარატიც აჩხაკუნდა. მე თაროდან შოკოლადი ავიღე, მაგრამ რომელი შოკოლადი იყო, აღარ მახსოვს.

ალექსს ხელი შევაშველე, რომ არ წაქცეულიყო, და კარგად ხარ-მეთქი, ვკითხე, მაგრამ მან ზედაც არ შემომხედა, თავისი ზურგჩანთა აიღო და გაიქცა. ალბათ რაღაცით გავაბრაზე-მეთქი, ვიფიქრე. მის საქციელს სხვა ახსნა ვერ მოვუძებნე.

სანამ ზურგჩანთაში ფულს ვეძებდი, ვიღაც შემოვიდა. შემიძლია გითხრათ მისი სახელი, მაგრამ არ ღირს – ერთი რიგითი კრეტინია, რომლის მსგავსიც მრავლად მინახავს.

არ ვიცი, იქნებ არავინ არ უნდა დავინდო და ყველას სახელი გითხრათ, თუნდაც იმ კრეტინის საშინელი საქციელი შენის პირდაპირი შედეგი იყოს, ალექს.

თანაც იმ კრეტინს ამ ჩანაწერებში ცალკე ისტორია ეძღვნება...

გამაჟრჟოლა. მაინც რა მოხდა მაღაზიაში?

არა, არ მინდა გავიგო. არც ალექსის ნახვა მინდა, არც ჯასტინისა და აღარც იმ სქელტრაკა ჯიმის. ღმერთო, კიდევ ვინ არის გარეული ამ ამბავში?!

მოკლედ, კარი შემოაღო და საშინელი, ქედმაღლური ტონით თქვა:

– გამარჯობა, ნიგო! – ეს მისგან ისე ბუნებრივად ჟღერდა, რომ მივხვდი, ეს ტონი მისთვის ჩვეული იყო – ხაზს უსვამდა, რომ ნიგო მასზე დაბლა იდგა. მერე მე მომიბრუნდა: – ოჰ, ჰანა, გამარჯობა. ვერ დაგინახე.

ალბათ წინდაწინ უნდა მეთქვა თქვენთვის, რომ მისი შემოსვლისას დახლთან ვიდექი და შეუძლებელი იყო, კარის გაღებისას ვერ დავენახე.

კრეტინს ოდნავ გავუღიმე, ჩანთიდან ფული ამოვიღე და ნიგოს დანაოჭებულ ხელში ჩავუდე. ნიგოს კრეტინისთვის არ უპასუხია, არაფრით შეუმჩნევია მისი შემოსვლა, არც მზერით, მიმიკით ან ღიმილით მისალმებია, როგორც მე მესალმებოდა ხოლმე.

კუთხეში ვუხვევ, სახლებიან ქუჩებს ვშორდები და „ლურჯი ლაქისკენ“ მივიწევ.

საოცარია, რა განსხვავებულია ეს ქალაქი. საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც უკვე გავცდი, განსაკუთრებულად დიდი ან მდიდრული არ არის, მაგრამ მის მახლობლად ქალაქის კიდევ უფრო გაპარტახებული ნაწილია.

– ნიგო, იცი, ეს ვინ არის? – ჩემი მხრის ზემოდან გადასძახა ნიგოს კრეტინმა.

ჩანთა ჯერ კიდევ დახლზე მედო. დავინახე, რომ ნიგომ მზერაქვემოთ, ჩემი წელისკენ მიმართა და მაშინ კი მივხვდი, რაც მოხდებოდა.

კრეტინმა ტრაკზე ხელი დამარტყა და გამოაცხადა:

– ჩვენი კლასის საუკეთესო ტრაკია. გაგიმართლა, რომ შენი კლიენტია, ნიგო!

ამის გამკეთებელ ძალიან ბევრ ბიჭს ვიცნობ. თვალწინ მიდგას მათი ქედმაღლობა და ცინიზმი.

მეტკინა თუ არა? არა, არ მტკენია, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, ჰქონდა თუ არა კრეტინს ამის გაკეთების უფლება? ვიმედოვნებ, რომ პასუხი თავისთავად ცხადია.

მისი ხელი სწრაფი ხელისკვრით მოვიშორე. ეს ილეთი ალბათ ყველამ გოგომ უნდა დაამუღამოს. სწორედ მაშინ გავიგონე ნიგოს ხმა. პირიც კი არ გაუღია, მხოლოდ კბილები გააკრაჭუნა, მაგრამ ამ უმნიშვნელო ხმაურითაც კი მიიქცია ჩემი ყურადღება. მივხვდი, ეს იმას ნიშნავდა, რომ ნიგო გაბრაზებული იყო.

აი, ისიც, ნეონის წარწერა – „ლურჯი ლაქა“. მოვედი.

;

ამ კვარტალში ამჟამად მხოლოდ ორი ასეთი მაღაზია მუშაობს – „ლურჯი ლაქა“ და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს – „უწყვეტი ვიდეო“. „ლურჯი ლაქა“ უწინდელივით ბინძური ჩანს, სიგარეტისა და სასმელის რეკლამები ვიტრინაში შპალერივით გამოუკრავთ.

კარს ვაღებ და ჩემ თავზემოთ თითბრის პატარა ზარი წკარუნობს. იგივე ზარი ეგებებოდა შოკოლადის საყიდლად მისულ ჰანასაც. კარს ხელით ვიჭერ და ნელა ვხურავ, რომ ზარის ხმა ისევ გავიგონო.

– რით შემიძლია დაგეხმაროთ?

ვხვდები, რომ ეს ნიგო არ არის.

რატომ მწყდება გული? მე ხომ ნიგოს სანახავად არ მოვსულვარ.

გამყიდველი უფრო ხმამაღლა მიმეორებს შეკითხვას, მაგრამ მე დახლს თვალს ვარიდებ. ჯერ არ ვარ მზად. არ მინდა წარმოვიდგინო, როგორ იდგა იქ ჰანა.

მაღაზიის ბოლოში, გამჭვირვალე კარს მიღმა, მაცივარში სასმელი აწყვია. იქით მივდივარ, თუმცა არ მწყურია. ერთ-ერთ კარს ვაღებ და რაც ხელში მხვდება, იმას ვიღებ – გაზიან სასმელს ფორთოხლის არომატით. შემდეგ უკან ვბრუნდები და ჩანთიდან საფულეს ვიღებ.

დახლთან შოკოლადებით სავსე თაროს ვხედავ. მაშ, ესენი უყვარდა ჰანას.

მარცხენა თვალი მიტოკავს.

– სულ ეს არის? – მეკითხება გამყიდველი.

ქილას დახლზე ვდგამ, თავს ვხრი და თვალს ვისრეს. თვალზემოთ ტკივილს ვგრძნობ, რომელიც თანდათან მიმძაფრდება – აუტანლად მჩხვლეტს.

– იქითაც აწყვია, – მეუბნება გამყიდველი, რომელსაც ჰგონია, რომ შოკოლადებს ვუყურებ.

თაროდან ერთ შოკოლადს ვიღებ და ჩემი სასმელის გვერდით ვდებ. დახლზე

რამდენიმე დოლარსაც ვდებ.

გამყიდველი ხურდას მიბრუნებს და ამ დროს ვამჩნევ, რომ დახლზე პლასტმასის ნიშნულია, ზედ სახელიც წერია.

– ისევ მუშაობს აქ?

– ვინ, ნიგო? – დუდღუნით მპასუხობს გამყიდველი, – კი, დილის ცვლაშია.

გარეთ რომ გავდივარ, ზარი ისევ წკარუნობს.

4

ზურგჩანთა მხარზე მოვიგდე, ჩავიბუტბუტე, უკაცრავად-მეთქი და კრეტინს ჩავუარე. თვალი შეგნებულად არ გავუსწორე.

უკვე კარისკენ მივდიოდი, მაგრამ მაჯაში ჩამავლო ხელი და შემომაბრუნა.

სახელით მომმართა და თვალებში რომ ჩავხედე, მივხვდი, აღარ ხუმრობდა.

ვცადე, ხელი გამომეტაცა, მაგრამ ძლიერად მიჭერდა.

გზის გადაღმა აციმციმებულ ნეონის წარწერას ვხედავ – „უწყვეტი ვიდეო“.

უკვე მივხვდი, ვისზეც ყვება ჰანა. მაჯის ჩაბღუჯვის ილეთი ადრეც მინახავს, სხვა გოგოებზეც გამოუყენებია. ამას რომ ვხედავ, სულ მინდება, პერანგით დავითრიო და იქამდე ვანჯღრიო, სანამ გოგოს არ გაუშვებს. ამის ნაცვლად კი ისე ვიქცევი, თითქოს ვერაფერს ვამჩნევ. სხვა რა შემიძლია?

კრეტინმა ბოლოს და ბოლოს გამიშვა, ხელი ამჯერად მხარზე დამადო და მითხრა:

– უბრალოდ გეთამაშები, ჰანა, ნუ იძაბები.

კარგი, ახლა დროა, მომხდარი გავაანალიზოთ. „ლურჯი ლაქიდან“ სახლში რომ ვბრუნდებოდი, მთელი გზა ამაზე ვფიქრობდი. ალბათ იმიტომაც არ მახსოვს, რომელი შოკოლადი ვიყიდე.

გარეთ კიდეჩამომტვრეულ ბორდიურზე ვჯდები, ქილას გვერდით ვიდგამ, შოკოლადს კი მუხლზე ვიდებ. სასუსნავისკენ გული არ მიმიწევს.

აბა, რატომ ვიყიდე? მხოლოდ იმიტომ, რომ ჰანა ყიდულობდა? რა მნიშვნელობა აქვს? პირველი წითელი ვარსკვლავი მოვინახულე, მეორეც. სულაც არ არის აუცილებელი, ყველაფერი ისე გავაკეთო, როგორც ჰანა იტყვის.

ჯერ მის სიტყვებს განვიხილავ, შემდეგ მის საქციელს.

პირველი განცხადება: „უბრალოდ გეთამაშები, ჰანა“.

თარგმანი: შენი ტრაკი ჩემი სათამაშოა. შენ შეიძლება ფიქრობ, რომ საკუთარ სხეულს თვითონ უნდა განკარგავდე, მაგრამ ასე არ არის. ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ

„მხოლოდ ვთამაშობ“.

შოკოლადს თითს ვკრავ და მუხლზე ვაქანავებ.

მეორე განცხადება: „ნუ იძაბები“.

თარგმანი: კარგი რა, ჰანა, მე, უბრალოდ, უნებართვოდ შეგეხე, სხვა არაფერი. ადექი და შენც შემეხე, სადაც გინდა, თუ ეს თავს უკეთ გაგრძნობინებს.

ახლა მის საქციელზე გადავიდეთ.

პირველი ქმედება: ჩემს ტრაკზე ხელის წავლება.

ახსნა: წინასწარ გეტყვით, რომ ეს ბიჭი წინათ ტრაკზე არასდროს შემხებია. აბა, ახლა რატომ შემეხო? ჩვეულებრივი შარვალი მეცვა, განსაკუთრებულად ვიწრო და ტანზე მომდგარი არა.მართალია, დაბალწელიანი იყო და ალბათ თეძო მიჩანდა, მაგრამ ხელი თეძოზე კი არა, ტრაკზე მომკიდა.

უკვე ვხვდები, რაზე ლაპარაკობს ჰანა. მუცელი მტკივნეულად მეკუმშება.

„საუკეთესო ტუჩები“. იმ სიაში ასეთი ნომინაციაც იყო.

ალექს, გგონია, იმას ვამბობ, რომ შენმა სიამ იმ ტიპს ასე მოქცევის ნება მისცა? არა, უბრალოდ, საბაბი მისცა, და მას მეტი არც არაფერი სჭირდებოდა.

იმ სიამდე ანჯელა რომეროს ტუჩებისთვის ყურადღება არასდროს მიმიქცევია, მაგრამ მას შემდეგ მოხიბლული დავდიოდი. როცა გაკვეთილზე რამეს ყვებოდა ან საუბრობდა, მისი ტუჩების მოძრაობას მივშტერებოდი და ერთი სიტყვაც არ მესმოდა. მოჯადოებული შევცქეროდი, განსაკუთრებით ზოგიერთი სიტყვის წარმოთქმისას, როცა ენის ნაწილი გამოჩნდებოდა ხოლმე.

მეორე ქმედება: მაჯით დამიჭირა, შემდეგ ხელი მხარზე დამადო.

ამის ახსნაზე დროს არ დავკარგავ, უბრალოდ იმას გეტყვით, მე რამ გამაცოფა. საჯდომზე ხელი ადრეც შემხებია, ამჯერად კი იმიტომ შემეხნენ, რომ ჩემი სახელი სიაში ეწერა. ის კრეტინი მიხვდა, რომ მე ეს არ მომეწონა, მაგრამ ბოდიშის მოხდა აზრადაც არ მოსვლია, პირიქით, უფრო გათავხედდა. შემდეგ მოწყალება მოიღო და მითხრა, ნუ იძაბებიო. ხელი მხარზე დამადო, თითქოს მის ამ შეხებას როგორღაც უნდა დავეწყნარებინე.

ბიჭებო, ერთ რჩევას მოგცემთ. გოგოსთან თუნდაც ხუმრობით შეხებისას, თუ ის თავიდან მოგიშორებთ, თავი დაანებეთ! შეჩერდით. თქვენი ხელმეორედ შეხება მას მხოლოდ ზიზღს მოჰგვრის.

ამგვარად, მხოლოდ ანჯელას ტუჩები მხიბლავდა. სხვა მხრივაც არ არის ცუდი გოგო,

მაგრამ არც მომაჯადოებლად ლამაზია.

გასულ ზაფხულს მეგობრის სახლში „ბოთლი დავატრიალეთ“. აღმოჩნდა, რომ იქ მყოფთა უმეტესობა პირველად ვთამაშობდით ამ თამაშს. დიდხანს ვითამაშე იმის მოლოდინით, რომ ჩემი დატრიალებული ბოთლი ანჯელაზე გაჩერდებოდა, ან პირიქით, ანჯელასი გაჩერდებოდა ჩემზე. ბოლოს, როგორც იქნა, გამიმართლა და მაშინ ჩემი ტუჩები ნელა და ზუსტად მივაბჯინე ანჯელას ტუჩებს.

ამქვეყნად არცთუ ცოტა ტრავმირებული და ავადმყოფი ადამიანი დადის, ალექს. შეიძლება მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ, მაგრამ მთავარი სხვა რამეა, როდესაც ადამიანს მასხრად აიგდებ, პასუხისმგებლობაც უნდა აიღო შედეგზე, როგორ იმოქმედებენ ამის შემდეგ სხვები.

შემდეგში მე და ანჯელამ მისი სახლის უკან, ტერასაზე ვიკოცნავეთ. მისი ტუჩებით ვერ ვძღებოდი.

აი, როგორ იმოქმედა ჩემზე იმ სიამ.

თუმცა მე ვცდები, შენ მასხრად სულაც არ აგიგდივარ, ხომ ასეა? ჩემი სახელი „სექსუალურების“ სვეტში იყო, „მახინჯებში“ კი ჯესიკა ჩაწერე. ესე იგი, მასხრად ჯესიკა აიგდე. ჩემი თოვლის გუნდა ისევ მიგორავს და სისწრაფეს იკრებს.

ჯესიკა, ძვირფასო... შემდეგი შენ ხარ.

<

კასეტას „უოქმენიდან“ ვიღებ.

ჩანთის ყველაზე პატარა ჯიბეში მომდევნო კასეტას ვპოულობ, რომელსაც კუთხეში ლურჯად 3 აწერია, და „უოქმენში“ ვათავსებ.

# მეორე კასეტა: A მხარე

4

მცირე პაუზის შემდეგ ჰანა მონოლოგს განაგრძობს:

აი, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ და თანმიმდევრულად მივიწევთ წინ.

შენობებს მიღმა მზე ჩადის. უკვე მთელი უბანი ლამპიონებით არის გაჩახჩახებული. შოკოლადს და სასმელს ვიღებ და ვდგები.

თქვენ უკვე მოუსმინეთ ერთ კასეტას. გთხოვთ, დარჩეთ ჩემთან. ამბავი სულ უფრო საინტერესო ხდება, ან სულ უფრო საშინელი. მოუსმინეთ და თავად განსაჯეთ.

„ლურჯი ლაქის“ კართან ლურჯად შეღებილი სანაგვე ურნა დგას. ურნასთან მივდივარ და შოკოლადს გაუხსნელად ვაგდებ, რადგან ვიცი, ყელში მაინც არ გადამივა.

სკოლის დაწყებისას ალბათ ახალი მარტოსული მოსწავლე გეგონეთ, მაგრამ სინამდვილეში ქალაქში ახალი გადმოსული კიდევ ორი კლასელი გვყავს. ამ ჩანაწერებში ორივეს საპატიო ადგილი აქვს: ალექს სტენდოლს და ჯესიკა დევისს. მართალია, ისინი ჩემი ახლო მეგობრები არ გამხდარან, მაგრამ სკოლის დაწყების პირველ კვირებში ერთმანეთს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოვუჩინეთ.

ქილას ხუფს ვხსნი და სასმელს ვეწაფები.

სკოლის დაწყებამდე ერთი კვირა იყო დარჩენილი, როცა შინ ქალბატონი ენტილი მეწვია, მთხოვა, სკოლაში მომაკითხე და როგორც ახალ მოსწავლეს, კონსულტაციას გაგიწევო.

შეგახსენებთ, რომ ქალბატონი ენტილი სკოლის მიერ დანიშნული მრჩეველი იყო იმ მოსწავლეებისთვის, რომელთა გვარები ა-დან ვ-მდე ასოებზე იწყება. თუმცა იმავე წელს სამუშაოდ სხვა სკოლაში გადავიდა.

მახსოვს ქალბატონი ენტილი. მისი წასვლის შემდეგ მისი პოზიცია ბატონმა პორტერმა დაიკავა. თითქოს დროებით, მაგრამ ბატონი პორტერი ახლაც მრჩეველია და ინგლისური ლიტერატურის მასწავლებელიც.

მისი წასვლა ძალიან სამწუხარო აღმოჩნდა. მაგრამ ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებ.

შუბლზე ცივი ოფლი მასხამს. რას გულისხმობს ჰანა? ვითომ ბატონი პორტერიც გარეულია ამაში?

თავბრუ მეხვევა, ირგვლივ ყველაფერი ტრიალებს. რომ არ დავეცე, ტროტუარზე რომელიღაც ხეს ვეჭიდები.

ქალბატონ ენტილის თავიდანვე რომ ეთქვა, სხვა ახალი მოსწავლის გასაცნობად გეპატიჟებიო, ნამდვილად არ მივიდოდი. ხომ შეიძლება, მე და იმ მოსწავლეს საერთო არაფერი გვქონოდა, ან მე მომჩვენებოდა, საერთო არაფერი გვაქვს-მეთქი, მას კი პირიქით? არც ის იყო გამორიცხული, მე მომესურვებინა მასთან დამეგობრება, იმას კი – არა.

მოკლედ, ერთობ სარისკო შეხვედრა იყო.

შუბლით ხეს ვეყრდნობი და ვცდილობ, დავწყნარდე.

ეს „სხვა“ მოსწავლე კი ჯესიკა დევისი აღმოჩნდა. ეტყობოდა, რომ იქ ყოფნა მასაც ჩემსავით არ უნდოდა.

თავიდან ორივეს გვეგონა, ქალბატონ ენტილის ჩვენი „ფსიქოლოგიური მომზადება“ ჰქონდა განზრახული – რას ნიშნავს „იყო კარგი მოსწავლე“ და როგორ უნდა მივაღწიოთ ამას; რომ ეს სკოლა შტატში საუკეთესოა და ნიჭიერი ბავშვებით სავსე; რომ აქ ყველას თანაბარი შესაძლებლობები აქვს, მთავარია, არ ვიზარმაცოთ და ასე შემდეგ...

მაგრამ ამის ნაცვლად მან ორივეს მეგობარი გვიბოძა.

თვალებს ვხუჭავ. უკვე ყველაფერი ნათელია, მაგრამ არ მინდა ამის დაჯერება. იმ დღეს, როცა ჰანა სკოლაში არ გამოცხადდა, მითქმა-მოთქმა ატყდა. გაკვეთილზე ბატონმა პორტერმა გვკითხა, ჰანაზე რატომ ლაპარაკობენო. აღელვებული ჩანდა, ცუდად გამოიყურებოდა. თითქოს პასუხი უკვე იცოდა, მაგრამ უნდოდა განსხვავებული და სარწმუნო ვერსია მოესმინა.

ერთმა გოგომ უპასუხა, მის სახლთან სასწრაფო დახმარების მანქანა იდგაო.

ქალბატონმა ენტილიმ გვითხრა, აქ ერთმანეთის გასაცნობად დაგიბარეთ და ამიერიდან შეგიძლიათ იმეგობროთო. მე და ჯესიკამ ერთმანეთს შევხედეთ. ჯესიკამ თითქოს რაღაცის თქმაც კი დააპირა, მაგრამ რას იტყოდა, სანამ მეც იქ ვიჯექი? თავს მოტყუებულად და თავგზააბნეულად გრძნობდა.

ეს ვიცი, რადგან მეც იმავეს ვგრძნობდი.

ქალბატონი ენტილის რეაქცია არასოდეს დამავიწყდება, ძლივს ამოღერღა:

– ან... შეგიძლიათ არ იმეგობროთ.

თვალებს ვხუჭავ და ვცდილობ, ის გაკვეთილი რაც შეიძლება ზუსტად აღვიდგინო.

რას გამოხატავდა ბატონი პორტერის სახე? ტკივილს? შიშს? იდგა და ჰანას მერხს თვალს არ აცილებდა. ყველანი ჩუმად ვისხედით, მაგრამ შიგადაშიგ ერთმანეთისკენ ვაპარებდით თვალს.

მერე ბატონი პორტერი საკლასო ოთახიდან გავიდა და სკოლაში მთელი კვირა აღარ გამოჩენილა.

რატომ მოიქცა ასე? ჰანას ამბავში მისი ხელიც ერია? რა ჩაიდინა?

შევეცდები, გავიხსენო, რა ვთქვით მაშინ.

მე: მაპატიეთ, ქალბატონო ენტილი, არ მეგონა, ამისთვის თუ მიბარებდით.

ჯესიკა: არც მე ვიცოდი და რომ მცოდნოდა, არ მოვიდოდი... დარწმუნებული ვარ, ჰილარი კარგი ადამიანია და ალბათ საერთოც ბევრი გვაქვს, მაგრამ...

მე: ჰანა მქვია.

ჯესიკა: უი, ჰილარი ვთქვი. ბოდიში.

მე: არა უშავს. უბრალოდ, რაკი საუკეთესო მეგობრები უნდა გავხდეთ, აჯობებს, ჩემი სახელი იცოდე.

სამივემ გავიცინეთ. მე და ჯესიკა ერთნაირად ვიცინოდით, რაც კიდევ უფრო სასაცილო იყო. ჩვენ გულიანად ვიცინოდით, ქალბატონი ენტილი კი – ნერვიულად, მაგრამ მაინც იცინოდა. გვითხრა, მოსწავლეების დამეგობრება ადრე არასდროს მიცდია; ეს ალბათ პირველი და უკანასკნელი შემთხვევააო.

აბა, გამოიცანით რა მოხდა შემდეგ? მიუხედავად ამდენი უხერხულობისა, მე და ჯესიკამერთად გავისეირნეთ.

თქვენმა ფანდმა გაჭრა, ქალბატონო ენტილი.

სკოლიდან ერთად გამოვედით. საუბრის დაწყება გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც მესიამოვნა, რომ ჩემი მშობლების გარდა კიდევ ვიღაც გამომელაპარაკა.

ჩემ წინ ჩერდება ვერცხლისფერი ავტობუსი ლურჯი ზოლებით.

ჩემი სახლისკენ გადასახვევს ისე ჩავუარეთ, არაფერი მითქვამს. ჯესიკასთან საუბრის გაგრძელება მინდოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, არ მინდოდა მისი სახლში დაპატიჟება, ვინაიდან ჯერ სათანადოდ არ ვიცნობდი. ამიტომ გზა გავაგრძელეთ და ქალაქის ცენტრამდე მივედით. მოგვიანებით გავიგე, რომ ჯესიკაც ჩემსავით მოქცეულა, რომ ჩემთან საუბარი გაეგრძელებინა.

ბოლოს ყავის სახლ „მონეს ბაღში“ შევედით. რუკაზე ე7 მოძებნეთ.

ავტობუსის კარი იღება.

ყავა არც ერთს არ გვიყვარს, მაგრამ ეს მყუდრო ადგილად გვეჩვენა.

დაორთქლილ ფანჯარაში ჩანს, რომ ავტობუსი თითქმის ცარიელია.

ორივემ ცხელი შოკოლადი შევუკვეთეთ. მე ყოველთვის ცხელ შოკოლადს ვუკვეთავ

ხოლმე.

ქალაქის ავტობუსით არასოდეს მიმგზავრია, მაგრამ ახლა ცივა და ბნელდება.

;

ამიტომ ავტობუსში ავდივარ. ვიცი, რომ ღამით მგზავრობა უფასოა. მძღოლი ზედ არ მიყურებს, მეც არაფერს ვეუბნები. ავტობუსის სკამებს შორის მივაბიჯებ, თან ქურთუკის ღილებს ვიკრავ იმაზე მეტი გულმოდგინებით, ვიდრე საჭიროა. სხვა მგზავრების სახეების დანახვა არ მინდა. მათ თვალში ალბათ დაბნეული, განადგურებული დამნაშავესავით გამოვიყურები.

ბოლო რიგის შუა სკამზე ლურჯი გადასაკრავი გახეულა და შიგნიდან ყვითელი რბილობი მოჩანს.

ფანჯარასთან ვჯდები და თავს მინას ვადებ. მინა ცივია, მაგრამ მსიამოვნებს.

4

არც კი მახსოვს, რაზე ვილაპარაკეთ იმ დღეს. შენ გახსოვს, ჯესიკა? თვალებს რომ ვხუჭავ, სხვადასხვა კადრი წარმომიდგება. ვიცინით. ვცდილობთ, სასმელი არ დავღვაროთ. ლაპარაკისას ხელებს ვიქნევთ.

თვალებს ვხუჭავ. მინა გახურებულ სახეს მიგრილებს. არ მაინტერესებს, საით მიდის ეს ავტობუსი. სანამ არ ჩამაგდებენ, აქ მანამ ვიჯდები და კასეტებს მოვუსმენ. იქნებ ჩამეძინოს კიდეც.

შემდეგ ჩემკენ დაიხარე და ჩურჩულით მითხარი:

– მგონი, ის ბიჭი შენ გიყურებს.

მივხვდი, ვისზეც მეუბნებოდი, რადგან მეც შევამჩნიე, მაგრამ ის მე არ მიყურებდა, და გიპასუხე:

– არა, შენ გიყურებს.

ვინც ახლა მისმენთ, იცოდეთ, რომ ამ შემთხვევაში ჯესიკამ მაჯობა.

– უკაცრავად, – მიმართა მან ალექსს. ჰო, ეს იმათთვის, ვინც აქამდე ვერ მიხვდა, ვინ იყო ეს „იდუმალი უცნობი“, – შეგიძლია გვითხრა, რომელ ჩვენგანს უყურებ?

რამდენიმე თვის შემდეგ ჰანა და ჯასტინი დაშორდებიან. ჰანაზე ჭორები გავრცელდება და ალექსი შეადგენს სიას – „სექსუალურები და მახინჯები“. მაგრამ იქ, „მონეს ბაღში“, ჯერ არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რა მოჰყვებოდა მათ შეხვედრას.

მინდება, კასეტა უკან გადავახვიო, დროც გადავახვიო და ჰანა გავაფრთხილო ან შეხვედრაში ხელი შევუშალო, მაგრამ ეს შეუძლებელია. წარსულს ვერ შეცვლი.

ალექსი ერთიანად გაწითლდა. დააპირა ეთქვა, არ გიყურებდითო, მაგრამ ჯესიკამ შეაწყვეტინა:

– ნუ გვატყუებ. გვითხარი, რომელს გვიყურებდი.

ფანჯრიდან ლამპიონებს და ნეონის ნათებას ვხედავ. მაღაზიები უკვე დაუკეტავთ, ბარები და რესტორნები კი ღიაა.

იმწუთას ისე მომეწონა ჯესიკას სითამამე, რომ ბევრ რამეს დავთმობდი მასთან მეგობრობისთვის. ასეთ გულწრფელ და პირდაპირ გოგოს არასდროს შევხვედროდი.

გულში ქალბატონ ენტილის მადლობა გადავუხადე.

ალექსს ენა დაება. ჯესიკა კი მისკენ გადაიხარა, ხელი მოხდენილად დადო მის მაგიდაზე და თქვა:

– დავინახეთ, რომ გვიყურებდი. ჩვენ ამ ქალაქში ახლახან გადმოვედით და გვაინტერესებს, რომელმა ჩვენგანმა მიიქცია შენი ყურადღება. ეს მნიშვნელოვანია.

ალექსმა ბორძიკით ამოღერღა:

– მე... მე, უბრალოდ... მეც ახალგადმოსული ვარ.

მე და ჯესიკამ დავირცხვინეთ. ამჯერად ჩვენ გავწითლდით. საბრალო ალექსს თურმე ჩვენთან შემოერთება უნდოდა. ჩვენც ავდექით და ჩვენს მაგიდასთან მივიპატიჟეთ. კიდევ ერთ-ორ საათს ვისაუბრეთ. სამივეს გვიხაროდა, რომ ახალ სკოლაში პირველ დღეს მარტო არ ვიქნებოდით. გადაწყდა, რომ დერეფნებში ერთად ვისეირნებდით და სკოლის კაფეშიც ერთად ვისადილებდით.

მაინც საით მიდის ეს ავტობუსი? სხვა ქალაქში თუ აქაურ ქუჩებს არტყამს წრეს?

ჩაჯდომამდე უნდა გამერკვია.

„მონეს ბაღში“ გატარებულმა დღემ სამივეს შვება მოგვგვარა. მანამდე, ძილის წინ, სკოლის პირველ დღეზე ფიქრი არ მასვენებდა, მეშინოდა. ჩვენი შეხვედრის შემდეგ კი შიში გამიქრა, ახლა უკვე მოუთმენლად ველოდი სკოლის დაწყებას.

თუმცა, ჯესიკა და ალექსი ჩემს მეგობრებად არასდროს მიმიჩნევია. ვიცი, რომ მათაც ამგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ. ვიცი, რადგან ეს საკითხი განვიხილეთ. ვისაუბრეთ ჩვენს ძველ მეგობრებზე და იმაზე, თუ რატომ დავუმეგობრდით მათ. ისიც ვუთხარით ერთმანეთს, თუ რა მოლოდინი გვქონდა ახალი მეგობრებისგან, რომლებიც ახალ სკოლაში უნდა შეგვეძინა.

მიუხედავად ამისა, „მონეს ბაღი“ ჩვენს მყუდრო სავანედ, ჩვენს თავშესაფრად იქცა და ასე გაგრძელდა რამდენიმე კვირას, სანამ დავიშლებოდით. როცა მძიმე დღე გვქონდა და

ვგრძნობდით, რომ ახალ გარემოსთან შეგუებაგვიჭირდა, „მონეს ბაღში“ მივდიოდით. „ჩვენი“ მაგიდა ბაღის ბოლოში, მარჯვენა კუთხეში იდგა.

ზუსტად არ მახსოვს, ვინ წამოიწყო ეს, მაგრამ წესად იქცა, რომ ვისაც ყველაზე მძიმე დღე ჰქონდა, ხელს მაგიდის ცენტრში დებდა და ამბობდა: „როცა ვიტყვი „ი“, მაშინ გამოდი!“ დანარჩენი ორიც თავის ხელს ზემოდან ადებდა. ასე ვიწყებდით ამბების მოყოლას, თან რაიმე სასმელს ვწრუპავდით. მე და ჯესიკა ყოველთვის ცხელ შოკოლადს ვუკვეთავდით, ალექსმა კი თანდათან მთელი მენიუ დააგემოვნა.

„მონეს ბაღში“ რამდენჯერმე ვარ ნამყოფი. მგონი, ახლაც სწორედ იმ ქუჩაზე მოვხვდი.

ვიცი, ეს ცოტა სენტიმენტალურია. ვწუხვარ, თუ ამ ეპიზოდმა ვინმე გაგაღიზიანათ. ჩემი გემოვნებისთვისაც მეტისმეტად დაშაქრულია, მაგრამ მაშინ ეს შეხვედრები სიცარიელეს გვივსებდა და ეს კი სამივეს გვჭირდებოდა.

არ ინერვიულოთ... ასე დიდხანს არ გაგრძელებულა.

სკამიდან ვდგები და მძღოლისკენ მივდივარ.

პირველად ალექსმა დაგვტოვა. დერეფნებში ერთმანეთს მეგობრულად ვესალმებოდით ხოლმე, მაგრამ უფრო ახლო ურთიერთობა აღარ გვქონია.

ყოველ შემთხვევაში, მე აღარ მქონია.

სკამების საზურგეებს ვეჭიდები და წინ მივიწევ.

მე და ჯესიკა მარტო დავრჩით და ჩვენ შორისაც ყველაფერი მალევე შეიცვალა. ჩვენი საუბრები უაზრო ლაყბობად იქცა.

– შემდეგი გაჩერება როდისაა? – ვეკითხები მძღოლს.

ძრავის ღმუილსა და ჰანას ლაპარაკში, საკუთარი ხმა ძლივს მესმის.

მძღოლი სარკიდან მიყურებს.

ჯესიკამ „მონეს ბაღში“ სიარული შეწყვიტა. მე კიდევ რამდენჯერმე მივედი იმ იმედით, რომ რომელიმე შემოვიდოდა, მაგრამ ბოლოს მეც შევწყვიტე იქ სიარული.

შემდეგ კი...

– ახლა ყველას სძინავს, – მპასუხობს მძღოლი, მის ტუჩებს ვაკვირდები, რომ არაფერი გამომეპაროს, – სადაც გინდა, იქ გაგიჩერებ.

ჯესიკას ამბავში კარგი ისაა, რომ ბევრი რამ ხდება ერთსა და იმავე ადგილას, ანუ „მონეს ბაღში“. ეს ჩემი რუკის ვარსკვლავების მონახულებისას საქმეს გიადვილებთ.

ავტობუსმა ყავის სახლს ჩაუარა.

– აქ გამიჩერეთ.

ჯესიკა პირველად ქალბატონი ენტილის კაბინეტში ვნახე, მაგრამ ერთმანეთი „მონეს ბაღში“ გავიცანით.

ავტობუსი სვლას ანელებს და ბორდიურთან აჩერებს. რომ არ წავიქცე, სკამს მაგრად ვეჭიდები.

ალექსიც იქ გავიცანით. შემდეგ კი... აი, რა მოხდა შემდეგ.

კარი იღება.

ერთ დღეს, სკოლაში ჯესიკა ჩემთან მოვიდა და მითხრა:

– უნდა ვილაპარაკოთ.

არ უთქვამს, სად ან როდის, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ „მონეს ბაღში“ უნდა მივსულიყავი... საუბრის თემასაც მივხვდი.

ავტობუსიდან ჩავდივარ და ტროტუარზე გადავდივარ. ყურსასმენებს ვისწორებ და უკან, „მონეს ბაღისკენ“ მივემართები.

რომ მივედი, ჯესიკა უკვე ადგილზე დამხვდა. სკამზე იჯდა გულხელდაკრეფილი, თითქოს დიდი ხანი იყო, მელოდებოდა. იქნებ ასეც იყო, ალბათ იფიქრა, რომ ბოლო გაკვეთილს გავაცდენდი და უფრო ადრე მივიდოდი.

დავჯექი და ხელი მაგიდის ცენტრში დავდე.

– როცა ვიტყვი „ი“, მაშინ გამოდი!

ჯესიკამ მაგიდაზე ფურცელი დადო, ჩემკენ გამოსწია და შემოაბრუნა, რომ წამეკითხა. შემობრუნება აუცილებელი არ იყო, რადგან ეს ის სია იყო – „სექსუალურები და მახინჯები“.

ვიცოდი, სიის რომელ მხარესაც ჩამწერა ალექსმა, წინ კი ჩემი „საპირისპირო“ მეჯდა. ერთად ვისხედით თავშესაფარში, რომელიც ერთ დროს ალექსის თავშესაფარიც იყო.

– სისულელეა, – ვუთხარი ჯესიკას, – ეს არაფერს ნიშნავს.

ყელში ბურთი მეჩხირება. მახსოვს, სია რომ წავიკითხე, დაუფიქრებლად გადავაწოდე გვერდით მჯდომს. მაშინ ეს უბრალო გასართობი მეგონა.

– ჰანა, მე არ მანაღვლებს, რომ ალექსმა შენ აგირჩია და არა მე, – მითხრა ჯესიკამ.

მივხვდი, საითაც მიჰყავდა საუბარი და ვცადე, შემეჩერებინა.

და ახლა რა მგონია? ან რა უნდა მექნა? – ვინმეს თუ სიას დავუნახავდი, ხელიდან გამომეგლიჯა და გადამეგდო. აი, რა უნდა მექნა.

– მას მე არ მოვწონვარ, ჯესიკა. მე იმიტომ ამირჩია, რომ შენ გაგამწაროს, ალბათ თვითონაც ხვდები. იცოდა, რომ შენ ყველაზე მეტად ჩემი დასახელება გატკენდა გულს.

ჯესიკამ თვალები დახუჭა და ჩურჩულით წარმოთქვა ჩემი სახელი.

გახსოვს, ჯესიკა? მე არ დამვიწყებია.

როდესაც ვინმე ასე ამბობს შენს სახელს და ამ დროს თვალებშიც კი არ გიყურებს, რაც უნდა თქვა ან მოიმოქმედო, სულერთია, ვეღარ გადაარწმუნებ.

– ჰანა, ჭორებიც ვიცი.

– არაფერიც არ იცი.

რა სულელი ვიყავი... იმედი მქონდა, რომ ამ ქალაქში ჭორების ატანა აღარ მომიწევდა, რომ ჭორები უკან მოვიტოვე.

– ჭორები მოისმინე, მაგრამ სიმართლე არ იცი.

– ჰანა, – შენ ისევ წარმოთქვი ჩემი სახელი.

მეც ვიცოდი ეგ ჭორები. დავიფიცე, სკოლის გარეთ ალექსი ერთხელაც აღარ მინახავს-მეთქი, მაგრამ შენ არ დამიჯერე.

ან რატომ უნდა დაგეჯერებინა? განა იმ ჭორის დაჯერება არ სჯობდა, რომელიც ძველ ჭორებს ასე ჰარმონიულად ავსებდა და აგრძელებდა? შენ რას იტყვი,ჯასტინ?

ჯესიკამ ალბათ ბევრი რამ მოისმინა ალექსზე და ჰანაზე. მაგრამ ყველაფერი სიცრუე იყო.

ჯესიკასთვის უფრო მარტივი იყო, ეფიქრა, რომ ცუდი ადამიანი ვიყავი, და დაევიწყებინა ის ჰანა, რომელიც ამ ყავის სახლში გაიცნო. ასე უფრო მარტივი და გასაგები იყო ყველაფერი.

მას სჭირდებოდა, რომ ჭორები სიმართლე ყოფილიყო.

მახსოვს, გასახდელში როგორ ელაზღანდარავებოდნენ ალექსს ბიჭები. „ბეიკერის ფუნთუშებს მოეფერე, ბიჭო?“ ყველამ იცოდა, რაც იგულისხმებოდა.

შემდეგ დანარჩენები გავიდნენ და მხოლოდ მე და ალექსი დავრჩით. ეჭვიანობისგან შიგნეულობა დამეკრუნჩხა. ქეითის წვეულების შემდეგ სულ ჰანაზე ვფიქრობდი, მაგრამ ვერ გავბედე, ალექსისთვის მეკითხა, მართალია თუ არა, რაც ბიჭებმა თქვეს-მეთქი. მეშინოდა, რომ დამიდასტურებდა.

ალექსი ფეხსაცმლის თასმებს იკრავდა, ჩემთვის ზედაც არ შემოუხედავს.

– კარგი, – ვუთხარი მე, – გმადლობ, რომ პირველი რამდენიმე კვირა ჩემ გვერდით იყავი. ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ვწუხვარ, რომ ალექსმა ამ სიით ყველაფერი გააფუჭა, მაგრამ რას ვიზამთ.

ჯესიკას ვუთხარი, რომ მისი და ალექსის ურთიერთობის შესახებ ვიცოდი. პირველ დღეს „მონეს ბაღში“ ალექსი ჯესიკას უყურებდა და არა მე. ვაღიარებ, რომ შემშურდა.

მაგრამ მინდოდა, ჯესიკას თავი უკეთ ეგრძნო, ამიტომ, მზად ვიყავი, დამეთმო და არ შევდავებოდი, როცა ალექსთან დაშორების მიზეზს ჩემში ეძებდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სიმართლე არ იყო!

„მონეს ბაღს“ ვუახლოვდები.

გარეთ, კედელთან, ორი ბიჭი დგას. ერთი სიგარეტს ეწევა, მეორეს კი ცხვირი ქურთუკში აქვს ჩარგული.

ჯესიკამ კი ჩემი ნათქვამი ისე გაიგო, თითქოს მათ დაშორებაში ჩემს წვლილს ვაღიარებდი.

უცებ წამოდგა და ხელი მომიქნია.

ჯესიკა, მაინც რას აპირებდი? უნდა დაგერტყა თუ დაგეკაწრე? თითქოს ვერ ჩამოყალიბდი და ერთდროულად ორივე გამოგივიდა.

თანაც რაღაც მიწოდე, რაც ვერ გავიგონე, რადგან იმას ვცდილობდი, მომეგერიებინე და თავი გამეწია... მაგრამ შენ მაინც მომწვდი! ახლა მნიშვნელობა არ აქვს, რა თქვი, მაგრამ მეტი სიზუსტისთვის კარგი იქნებოდა.

ალბათ ყველას გინახავთ ჩემს წარბთან პატარა ნაიარევი. ეს კვალი ჯესიკას ფრჩხილმა დამიტოვა...

ეს პაწაწინა ნაიარევი მის ლამაზ სახეზე რამდენიმე კვირის წინ შევნიშნე, წვეულებაზე. ვუთხარი, გიხდება-მეთქი.

საშინელი რეაქცია ჰქონდა.

ან იქნებ არც შეგიმჩნევიათ. აი, მე კი ყოველ დილა-საღამოს მახსენებს თავს, ყოველთვის, როცა სარკეში ვიხედები.

ხის მძიმე, შემინულ კარს ვაღებ და მაშინვე ვგრძნობ სითბოს. ყველა მე მიყურებს, ვინ არის ეს აბეზარი, სიცივე რომ შემოუშვაო. შევდივარ და კარს ვხურავ.

ეს ჩემთვის უბრალო ნაკაწრზე მეტია – მუცელში ჩარტყმული მუშტიცაა და გაწნული სილაც. ჯესიკა, შენ მე ზურგში დანა ჩამარტყი, რადგან ვიღაცის შეთხზული ჭორის დაჯერება ამჯობინე ჩემი სიმართლის მოსმენას.

ძვირფასო, ნეტა ჩემს დაკრძალვაზე თუ ბრძანდებოდი და ჩემი ნაიარევი თუ შეამჩნიე?

თქვენ, დანარჩენებმა, შეამჩნიეთ თქვენგან დატოვებული ნაიარევები?

ალბათ ვერა.

იმიტომ, რომ მათი უმეტესობა თვალისთვის უხილავი იყო.

იმიტომ, რომ დაკრძალვა არ ყოფილა, ჰანა.

# მეორე კასეტა: B მხარე

ჰანას ხსოვნის პატივსაცემად ცხელი შოკოლადი უნდა შევუკვეთო. „მონეს ბაღში“ ცხელ შოკოლადს ზეფირსაც აყრიან და ისე მოგართმევენ. ეს ჩემთვის ცნობილი ერთადერთი კაფეა, სადაც ასე იქცევიან.

თუმცა, როდესაც მიმტანი გოგონა მეკითხება, რას მიირთმევთო, ყავას ვითხოვ. ფულს ვზოგავ – ცხელი შოკოლადი მთელი დოლარით ძვირი ღირს.

გოგო დახლზე ცარიელ ფინჯანს დგამს და თვითმომსახურების ბარისკენ მითითებს. ფინჯანს ორი სხვადასხვა ყავით ვივსებ. მინდა, რაც შეიძლება მეტი კოფეინი მივიღო, რომ არ დამეძინოს და კასეტების ბოლომდე მოსმენა შევძლო.

ბოლომდე უნდა მოვუსმინო, ამაღამვე.

თუმცა, იქნებ არც ღირს ყველაფრის ერთ ღამეში მოსმენა? იქნებ უმჯობესია, ჩემი ისტორია მოვძებნო და ის მოვისმინო? შემდეგ ჩანაწერსაც ჩავრთავ, მხოლოდ იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება, რომ გავიგო, ვის უნდა გავუგზავნო კასეტები.

– რას უსმენ? – მეკითხება გოგო, რომელმაც ფინჯანი მომაწოდა. ახლა ჩემ გვერდით დგას და ყავის კონტეინერებს ამოწმებს, ყავა ხომ არ გამოილიაო. კისერზე ტატუ აქვს: საყელოდან ამომავალი ორი შავი ხაზი მოკლედ შეჭრილ თმაში იკარგება.

ყურსასმენის ყვითელ სადენს დავყურებ და ვპასუხობ:

– კასეტებს.

– კასეტებს? საინტერესოა, – ერთ-ერთ კონტეინერს იღებს, – ცნობილია?

თავს ვაქნევ და ყავაში შაქრის ნატეხებს ვიყრი.

გოგო ცალი ხელით კონტეინერს არწევს, მეორე ხელს კი მე მიწვდის.

– ორი წლის წინ ერთად ვსწავლობდით. შენ ხომ კლეი ხარ?

ფინჯანს დახლზე ვდგამ და ხელს ვართმევ. თბილი და რბილი ხელისგული აქვს.

– ერთი საგანი გვქონდა ერთად, – მეუბნება გოგო, – მაგრამ ბევრს არ ვსაუბრობდით.

თითქოს მეცნობა, მაგრამ ახლა მგონი სხვანაირი ვარცხნილობა აქვს.

– არ მიკვირს, რომ ვერ მცნობ. მადლობა ღმერთს, სკოლის შემდეგ საკმაოდ შევიცვალე, – მეუბნება და შეღებილ თვალებს ატრიალებს.

ხის ჩხირს ვიღებ და ყავას ვურევ.

– რომელი საგანი გვქონდა ერთად?

– ხის დამუშავება.

მაინც ვერ ვიხსენებ.

– მაგ საგნიდან ნაფოტების გარდა არაფერი მახსოვს, – მეუბნება ისევ, – უი, არა, პიანინოს სკამი გავაკეთე. თუმცა პიანინო ჯერაც არ მაქვს. შენ გახსოვს, რა დაამზადე?

– სუნელების თარო, – ვპასუხობ და ყავას ვურევ. ნაღებშერეული ყავა ღიავდება, თუმცა, მორევისას ისევ მუქ შეფერილობას იბრუნებს.

– შენზე ყოველთვის კარგი წარმოდგენა მქონდა, – მეუბნება გოგო, – სკოლაში კარგი ბიჭის სახელი გაქვს. მეტისმეტად წყნარი ხარ, მაგრამ ეგ არაფერია. მე კი მეუბნებოდნენ, ბევრი ლაპარაკი გიყვარსო.

დახლთან მომლოდინე კლიენტი ახველებს. ორივე მისკენ ვიხედებით, მაგრამ ის ჯერ ისევ სასმელების ჩამონათვალს შესცქერის.

გოგო ჩემკენ ბრუნდება და ისევ მართმევს ხელს.

– იმედია, კიდევ გნახავ და სალაპარაკოდაც მეტი დრო გვექნება, – მეუბნება და დახლს უკან ბრუნდება.

კარგი ბიჭის სახელი გაქვსო.

ნეტა რას იტყოდა, ეს ჩანაწერები რომ მოესმინა?

ტერასაზე გამავალი კარისკენ მივდივარ. გზადაგზა ფეხებში მებლანდება სკამები და ზედ მჯდარი ადამიანების ფეხები. ლამის ყავა დამექცეს.

ერთი წვეთი თითზე მეღვრება, შემდეგ იატაკისკენ აგრძელებს გზას. გაჩენილ სველ ლაქას ფეხს ვაბიჯებ და მანამ ვუსვამ, სანამ არ ქრება. ეს შემთხვევა სხვა მოვლენას მახსენებს. დღეს ფეხსაცმლის მაღაზიასთან ვიყავი და ფურცელი ჩამოვარდა.

ჰანას თვითმკვლელობის შემდეგ მისი მშობლების ფეხსაცმლის მაღაზიასთან ხშირად მივდიოდი. ჩვენს ქალაქში სწორედ ამ მაღაზიის გამო გადმოვიდნენ. ადრე იქ სხვა მაღაზია იყო, მისმა პატრონმა ოცდაათი წელი იმუშავა, ბოლოს გადაწყვიტა, მაღაზია გაეყიდა და პენსიაზე გასულიყო. ხსენებული ფართი ჰანას მშობლებმა იყიდეს.

არ ვიცი, იქ რატომ მივდიოდი. ალბათ მინდოდა, სკოლის გარეთაც მეპოვა რამე, რაც ჰანასთან იქნებოდა კავშირში, და სხვას ვერაფერს მივაგენი. ალბათ იქ ვეძებდი პასუხს ჩემს კითხვებზე, რომლებიც მის სიცოცხლესა და სიკვდილზე გამიჩნდა.

მაშინ ხომ წარმოდგენაც არ მქონდა, თუ მალე კასეტებიდან გავიგებდი ყველაფერს.

მაღაზიასთან პირველად ჰანას თვითმკვლელობის მეორე დღეს მივედი. შუქი არ ენთო. ფანჯარაზე ფურცელი მიეკრათ და ზედ შავი მარკერით მიეწერათ: „მალე გავიღებთ“.

„გავაღებთ“ უნდა იყოს, ალბათ სიჩქარეში შეეშალათ“, – გავიფიქრე უნებურად.

მინის კარზე ფოსტის კურიერს მიეწებებინა შეტყობინება: „ხვალ მოვალ“.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მივედი და კარზე ბევრად მეტი შეტყობინება დამხვდა.

მაღაზიასთან სკოლის მერე დღესაც გავიარე. კარზე მიკრულ შეტყობინებებსა და თარიღებს ვკითხულობდი, რომ კარს უცებ ყველაზე ძველი შეტყობინება მოსძვრა და ჩემს ფეხებთან დაეცა. ავიღე და ხელახლა მივაკარი.

გავიფიქრე, უკვე მალე დაბრუნდებიან-მეთქი. ჰანა თავიანთ ძველ ქალაქში გადაასვენეს და იქ დაკრძალეს. თვითმკვლელობა სიბერით ან კიბოთი სიკვდილი არ არის, რომ წინასწარ მოელოდე. ჰანას მშობლებს საქმეების შუა გზაზე მიტოვება მოუხდათ.

ტერასის კარს ფრთხილადვაღებ, რომ ყავა აღარ დავღვარო.

მკრთალი განათება ბაღში სიმყუდროვეს ქმნის. ყველა მაგიდა დაკავებულია. შორეულ კუთხეში, „ჰანას მაგიდასთან“, სამ კეპიან ბიჭს ცხვირი სახელმძღვანელოებში ჩაურგავს.

ისევ შიგნით შევდივარ და ფანჯარასთან პატარა მაგიდას ვპოულობ. ფანჯრიდან ბაღი ჩანს, მაგრამ „ჰანას მაგიდას“ სუროშემოხვეული აგურის სვეტი ეფარება.

ვჯდები და ჰაერს ღრმად ვისუნთქავ.

უკვე რამდენიმე ისტორია მოვისმინე და ყოველ ჯერზე შვებით ამოვისუნთქე, რომ ჰანას მე არ ვუხსენებივარ. თუმცა, ისევ მეშინია იმ მომენტისა, როცა ჰანა ჩემ სახელს ახსენებდა.

ვიცი, ეს მომენტი ახლოსაა. შეგუებული ვარ, რომ მოსმენა მომიწევს, და მინდა ეს მალე მოხდეს.

თქვი, ჰანა, რა დაგიშავე?

4

„უოქმენს“ ვრთავ და ფანჯრიდან ვიყურები. გარეთ ბნელა. ფანჯრის მინაზე საკუთარ ანარეკლს ვხედავ და თვალს ვარიდებ.

„უოქმენი“ მაგიდაზე დევს. ჯერ ხმა არ ისმის, თუმცა ჩართული მაქვს. ეტყობა გაიჭედა. ვთიშავ.

<

და ხელახლა ვრთავ.

4

ისევ არაფერი ისმის.

ხმას ვუწევ. ფირი ტრიალებს, ყურსასმენები შიშინებს. ხმას ცოტათი ვუკლებ და ვიცდი.

ჩუმად!.. ბიბლიოთეკაში ხმაური არ შეიძლება.

ჩურჩულით საუბრობს.

ჩუმად!.. კინოში ხმაური არ შეიძლება. არც ეკლესიაში.

სმენას ვძაბავ.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ირგვლივ არავინაა, ვინც მიგითითებს, ჩუმად იყავიო. ზოგჯერ მარტო ყოფნის დროსაც საჭიროა ჩუმად ყოფნა. ახლა სწორედ ეს შემთხვევაა.

ასე რომ, ჩუმად!

ოთახი ხალხით არის სავსე. მაგრამ მე მხოლოდ ჰანას სიტყვები მესმის. ყველაფერი დანარჩენი ფონია, მოგუდული ხმაური, რომელსაც ხანდახან მკვეთრი სიცილი კვეთს.

მაგალითად, თუ ვინმეს თვალთვალს და ვუაიერისტობას აპირებთ, აჯობებს, ჩუმად იყოთ. ხომ არ გინდათ, რომ თქვენმა მსხვერპლმა გამოგიჭიროთ?

ისევ ვგრძნობ შვებას. ეს ჩემზე არაა. არც ამჯერადაა ჩემზე.

რა მოხდება, თუ მსხვერპლი... ანუ მე... გავიგებ, რომ მითვალთვალებდნენ?

ჰოდა, გავიგე კიდეც, ტაილერ დოუნ.

სკამის საზურგეს ვეყრდნობი და თვალებს ვხუჭავ.

მეცოდები, ტაილერ, მართლა მეცოდები. დანარჩენები, რომლებმაც თავიანთსი ისტორია უკვე მოისმინეს, ალბათ თავს ცოტა უკეთ გრძნობენ. ზოგი მატყუარა გამოდგა, ზოგი კრეტინი, ზოგიც თავდაჯერებულობას მოკლებული საცოდავი არსება, რომელიც თავისი საცოდაობის გამო სხვებს ესხმის თავს. მაგრამ შენი ისტორია... პირდაპირ საზარელია, ტაილერ.

ყავას ვწრუპავ.

ტაილერი ვუაიერისტია? ვერასდროს წარმოვიდგენდი.

თავს ახლაც ისე ვგრძნობ, თითქოს თვითონ ჩავდიოდე რაღაც საზარელს. ეს იმიტომ, რომ ვცდილობ თავი შენს ადგილას წარმოვიდგინო, ტაილერ, და გავიგო, რა სიამოვნებაა ვიღაცის საძინებელში ჭვრიტინი; რა სიამოვნებაა, ფარულად უთვალთვალო ვიღაცას და ფაქტზე წაასწრო...

მაინც რას ელოდი, ტაილერ, რაზე წამასწრებდი? იმედი გაგიცრუვდა თუ სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩი?

ვინც მიხვდება, ახლა სად ვარ, ხელი ასწიოს.

ყავას მაგიდაზე ვდგამ, წინ ვიხრები და ვცდილობ, წარმოვიდგინო ჰანა, როდესაც ამ ჩანაწერს აკეთებდა. სად იყო მაშინ?

მიხვდით, სად ვდგავარ ახლა?

ჩემთვის უკვე ყველაფერი ნათელია. ტაილერის გამო სიბრალულით ვაქნევ თავს.

როგორ? ტაილერის ფანჯარასთან? მართალია. თქვენს რუკებზე ეს ადგილია ა4.

ტაილერი ახლა შინ არ არის, მისი მშობლები კი არიან. იმედი მაქვს, გარეთ არ გამოვლენ. საბედნიეროდ, აქ ისეთივე მაღალი და ხშირი ბუჩქებია, როგორიც ჩემს ფანჯარასთან, ასე რომ, თავს დაცულად ვგრძნობ.

და შენ როგორ გრძნობ თავს, ტაილერ?

წარმომიდგენია, რამხელა ტანჯვა იყო ტაილერისთვის ამ ჩანაწერის სხვისთვის გადაგზავნა. ეს ხომ მისი საიდუმლოს გამჟღავნებას ნიშნავდა!

ვიცი, რომ ამ საღამოს სკოლის ალბომზე მომუშავე ხალხი იკრიბება. ბევრი პიცა ექნებათ და ბევრსაც იმხიარულებენ. ამიტომ შინ რომ დაბრუნდები, უკვე სიბნელე იქნება. მე კი, როგორც დამწყები მოთვალთვალე, უკეთესს ვერაფერს ვინატრებ.

ასე რომ, გმადლობ, ტაილერ, რომ ასე გამიადვილე საქმე.

ნეტა სად იყო ტაილერი, როცა ეს მოისმინა? იქნებ ისიც აქ იჯდა, „მონეს ბაღში“, ოფლად იღვრებოდა და ცდილობდა, გარეგნულად მაინც შეენარჩუნებინა სიმშვიდე? იქნებ თავის ოთახში, ლოგინში იწვა და თვალებგადმოკარკლული იყურებოდა ფანჯრისკენ?

მოდი, შენს დაბრუნებამდეც შევიხედავ შენს ოთახში. ჰოლიდან შემომავალ შუქზე ყველაფერი მშვენივრად ჩანს. სწორედ იმას ვხედავ, რასაც მოველოდი – ოთახი სავსეა ფოტოკამერის აღჭურვილობით.

რამხელა კოლექცია გქონია, ტაილერ. ყველა შემთხვევისთვის დამატებითი ლინზა გაქვს.

ლინზა ღამის გადაღებისთვის. ტაილერმა ამ ლინზის წყალობით ჩვენი შტატის კონკურსში გაიმარჯვა „იუმორის“ ნომინაციაში. მის ფოტოზე გამოსახულია კაცი, რომელიც ღამით ძაღლს ასეირნებს; ძაღლი ხეს აშარდავს. ტაილერის ლინზამ შარდი ლაზერის მწვანე სხივს დაამსგავსა.

ვიცი, მესმის, ახლა რასაც ამბობ. „ესენი სასკოლო ალბომისთვის მჭირდება, ჰანა. მოსწავლეების ცხოვრება უნდა ავსახო“. დარწმუნებული ვარ, მშობლებიც ასე დაიყოლიე, შენთვის ეს ძვირად ღირებული აღჭურვილობა ეყიდათ. მაგრამ ვითომ მხოლოდ ამისთვის იყენებ? მოსწავლეების ღია და დაუგეგმავი გადაღებისთვის?

ჰო, დაუგეგმავი გადაღებისთვის.

სანამ აქ მოვიდოდი, ფოტოგრაფიაზე ცოტაოდენიინფორმაცია მოვიძიე. ახლა ვიცი, რომ ფოტოგრაფიაში არსებობს მიმართულება, რომლის ფარგლებშიც, მოძრავ ობიექტს პოზირების გარეშე, ბუნებრივ გარემოში იღებენ. აქ მთავარი სპონტანურობაა.

მაშ, რას იტყვი, საკმარისად სპონტანური ვიყავი თუ არა, როცა ფანჯარასთან მისაფრდებოდი? მოახერხე ჩემი ბუნებრიობის ჩვენება?

ერთი წუთით... ხმაური გესმით?

უნებურად წინ ვიხრები და იდაყვებს მაგიდაზე ვაყრდნობ.

მანქანა მიახლოვდება.

ხელები ყურებთან მიმაქვს, რომ უკეთ გავიგონო.

შენ ხარ, ტაილერ? უკვე ფარებიც გამოჩნდა.

უკვე მეც მესმის ავტომობილის ძრავის ხმა.

გული მიგრძნობს, შენ უნდა იყო. ღმერთო, როგორ მიცემს გული.

ავტოფარეხისკენ უხვევს.

ქვაფენილზე საბურავების ტრიალის ხმაც კი მესმის. ძრავის ხმა სუსტდება.

ნამდვილად შენ ხარ, ტაილერ. ძრავა ჯერ არ გამოგირთავს, ამიტომ ლაპარაკს გავაგრძელებ. ასეთ რისკზე წასვლა ერთობ ამაღელვებელიც კი ყოფილა.

ტაილერს ალბათ თავზარი დაეცა, ეს რომ მოისმინა. თან სხვებიც რომ უსმენენ. ეს ნამდვილად ჯოჯოხეთური ტანჯვა უნდა იყოს მისთვის.

აბა, მზად ხართ, მსმენელებო? მანქანის კარი იღება და...

ჩუმად!

ამას ხანგრძლივი პაუზა მოჰყვება.

ისმის კარის გაჯახუნება. გასაღების ჩხაკუნი. ნაბიჯების ხმა. კარის ჯახუნი.

მაშ ასე, ტაილერ: სახლში შეხვედი და კარი დახურე. ახლა ან შენს მშობლებს ეუბნები, რომ ყველაფერმა გადასარევად ჩაიარა და შესანიშნავი ალბომი გამოვა; ან წასახემსებლად სამზარეულოში შედიხარ.

სანამ გელოდები, დროს ვიხელთებ და მსმენელებს მოვუყვები, როგორ დაიწყო ყველაფერი. თუ რამე მეშლება, თუ ქრონოლოგიურ შეცდომას დავუშვებ, მაშინ შენ თვითონ მოგიწევს ჩემს მსმენელებთან მისვლა, ტაილერ – აუწყე მათ, რომ ჩემი თვალთვალი იმაზე ადრე დაიწყე, ვიდრე მე მივხვდებოდი.

ეს დანარჩენებსაც გეხებათ. ჩემი ისტორიები თქვენ უნდა გააგრძელოთ, რადგან ყოველი ისტორია ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას ჰბადებს.

პასუხგაუცემელი კითხვებიო? ჰანა, ჩემთვის არასდროს არაფერი გიკითხავს, თორემ პასუხს არ დავიშურებდი.

შენთან შემდეგი კითხვები მაქვს, ტაილერ: რამდენ ხანს დამდევდი? როგორ გაიგე,

რომ იმ დღეებში ჩემი მშობლები ქალაქიდან გადიოდნენ?

იმ წვეულებაზე ამიყვირდი, კითხვები კი არ დაგისვამს.

კარგი, დროა, ვაღიარო ჩემი მშობლების მიერ დადგენილი ერთი ასეთი წესი: როცა თავად სახლში არ არიან, მე ბიჭებთან შეხვედრა მეკრძალება. ეს არასოდეს უთქვამთ, მაგრამ ვიცი, ფიქრობენ, რომ შეიძლება ცდუნებამ მძლიოს და ბიჭი შინ შემოვიპატიჟო.

წინა ისტორიებში გითხარით, რომ ჩემზე გავრცელებული ჭორები სიმართლეს არ შეესაბამება. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაზე „წესიერი“ და კდემამოსილი გოგო ვარ. ჩემი მშობლების წესს ვარღვევდი და ბიჭებთან ერთად სასეირნოდ მივდიოდი, რადგან მხოლოდ ჩემი მშობლების არყოფნისას შემეძლო გარეთ გვიანობამდე დავრჩენილიყავი. იმ ღამეს, როცა ეს ყველაფერი დაიწყო, ტაილერ, მოგეხსენება, რომ სახლამდე ერთმა ბიჭმა მიმაცილა. დაიცადა, სანამ გასაღებს ამოვიღებდი და კარს გავაღებდი... მერე კი წავიდა.

ასე მგონია, ყველა მე მიყურებს, და ზემოთ ახედვის მეშინია. იქნებ ჩემი რეაქციებით მიხვდნენ, რომ მუსიკას არ ვუსმენ?

თუმცა იქნებ არც არაფერი შეუმჩნევიათ? ან რატომ უნდა შეემჩნიათ? ვის რაში აინტერესებს, რას ვუსმენ?

ტაილერს საძინებელში შუქი ჯერ კიდევ არ აუნთია. ესე იგი, ისევ ჭამს ან ისევ მშობლებს ელაპარაკება. დავიცდი, ტაილერ, სხვა რა გზა მაქვს. მანამდე შენზე ლაპარაკს გავაგრძელებ.

იმედი გქონდა, რომ იმ ბიჭს სახლში შევიპატიჟებდი? ასე რომ მექნა, მისი შეგშურდებოდა?

ყავას ხის კოვზით ვურევ.

როგორც უნდა იყოს, მე სახლში მარტო შევედი, პირი დავიბანე, კბილები გავიხეხე, ჩემს ოთახში შევედი და უცებ გავიგონე... „ჩხაკ“.

ფოტოკამერის გაჩხაკუნებას ყველა სცნობს. ზოგიერთ ციფრულ კამერასაც კი აქვს ასეთი ხმა განწყობის შესაქმნელად. ფანჯარა ყოველთვის ოდნავ ღია მაქვს ოთახის გასანიავებლად. ამიტომაც მივხვდი, რომ ფოტოკამერის ხმა გარედან გავიგონე. ფანჯარასთან ვიღაც იდგა.

თუმცა, ეს აზრი უკუვაგდე, რადგან ჩემი მშობლების გამგზავრების პირველსავე ღამეს მეტისმეტად საშიში იყო. „ნუ იგონებ, – ვუთხარი ჩემს თავს, დროა, მარტო ყოფნას შევეჩვიო“.

თუმცა არც იმდენად სულელი ვიყავი, რომ ტანსაცმელი პირდაპირ ფანჯრის წინ გამომეცვალა. საწოლზე დავჯექი და... ჩხაკუნი ისევ გავიგონე.

რა იდიოტი ხარ, ტაილერ. სანამ საშუალო სკოლაში ვსწავლობდით, შენზე ამბობდნენ, გონებრივად ჩამორჩენილიაო, მაგრამ არა, უბრალოდ, იდიოტი ხარ.

ვიფიქრე, იქნებ ეს ჩხაკუნი კი არა, ჭრიალია-მეთქი. ჩემს საწოლს ხის ჩარჩო აქვს და ხანდახან ჭრიალებს ხოლმე.

საბნის ქვეშ შევძვერი და ისე გავიხადე, შემდეგ პიჟამო ჩავიცვი. ყველაფერს ძალიან ნელა ვაკეთებდი, რადგან იმავე ხმის გაგონების მეშინოდა. არ ვიცოდი, ისევ იქ იყო თუ არა მოთვალთვალე.

გადავწყვიტე, თუ ჩხაკუნს ისევ გავიგონებდი, პოლიციას გამოვიძახებდი...

ვეღარ გამეგო, როგორ მოვქცეულიყავი. სახლში სულ მარტო ვიყავი და არ ვიცოდი, რას მოიმოქმედებდა მოთვალთვალე, თუ მე ტელეფონთან მივიდოდი.

სისულელეა,არა? მაშინ კი ლოგიკურად მეჩვენებოდა.

უნდა დაგერეკა, ჰანა. პოლიციაში უნდა დაგერეკა. ეს ალბათ შეაჩერებდა იმ თოვლის გუნდას, რომელსაც ასე ხშირად ახსენებ და რომელიც ისე უსაშველოდ გაიზარდა, რომ ყველას გადაგვიარა.

თქვენ ალბათ გაინტერესებთ: რატომ იყო ტაილერისთვის ასე ადვილი ჩემს ოთახში ჭვრიტინი? ფარდები ყოველთვის გადაწეული მაქვს?

მსხვერპლის დადანაშაულების მშვენიერი კლასიკური შეკითხვაა. მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად როდია. ფარდებს ცოტათი ღრიჭოდ ვტოვებდი, რადგან ასე მომწონდა. უღრუბლო ღამეებში საწოლიდან ვარსკვლავებს ვუყურებდი, წვიმიან ღამეებში კი – ელვას ღრუბლებში.

საწოლიდან ღამის ყურება მეც მიყვარს – გარეთ ყურებისას ჩაძინება სასიამოვნოა. მაგრამ ჩემი ოთახი მეორე სართულზეა, ამიტომ არ მეშინია, რომ ვინმე დამინახავს.

როდესაც მამაჩემმა გაიგო, რომ ფარდებს ღრიჭოდ ვტოვებ, გზის გადაღმა გადავიდა და სახლთან ჩაიარა, რომ შეემოწმებინა, შესაძლებელი იყო თუ არა ჩემი დანახვა. იქიდან არაფერი ჩანდა. მაშინ, ეზო გადმოჭრა, ჩემს ფანჯარასთან მოვიდა და აღმოაჩინა, რომ ჩემი დანახვა შეუძლია მხოლოდ ზომაზე მაღალ მოთვალთვალეს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ზედ ჩემს ფანჯარასთან თითის წვერებზე შედგება.

ჰოდა, რამდენ ხანს იდექი ასე დაძაბული, თითის წვერებზე, ტაილერ? რამდენი გიწვალია, რომ ჩემთვის თვალი მოგეკრა? იმედი მაქვს, რამეს მაინც მიაღწიე.

ნამდვილად მიაღწია, თუმცა არა იმას, რაც თვითონ უნდოდა; არამედ იმას, რომ ეს ჩანაწერები მიიღო.

რომ მცოდნოდა, რომ ეს შენ იყავი, ტაილერ, ფარდის ქვეშიდან რომ გამეჭყიტა და შენი სახე დამენახა, მაშინვე გარეთ გამოვვარდებოდი და გულს გაგიხეთქავდი.

სხვათა შორის, ეს მახსენებს კიდევ ერთ საინტერესო... ერთი წუთით... ტაილერი გამოჩნდა. იმ ამბავს მერე მოგიყვებით.

ყავის ფინჯანს, რომელიც ჯერ კიდევ ნახევრად სავსეა, მაგიდის ცენტრისკენ ვაჩოჩებ.

ახლა ნება მომეცით, ტაილერის ფანჯარა აღვწერო. ფანჯარაზე შტორებია დაშვებული, მაგრამ შიგნით შეხედვა მაინც შეიძლება. ბამბუკის შტორებია და მათ შორის პატარ-პატარა სივრცეა დარჩენილი. ტაილერის მსგავსად, თუ თითის წვერებზე შევდგები, ყველაფერს დავინახავ.

აი, ახლა შუქს ანთებს და კარს ხურავს. საწოლზე ჯდება. ფეხსაცმელებს იხდის... წინდებსაც.

ვოხრავ. ტაილერ, რამე სისულელე არ ჩაიდინო. შენს ოთახში ხარ და შეგიძლია ის აკეთო, რაც მოგესურვება, მაგრამ მაინც აჯობებს, თავი ამაზე მეტად აღარ შეირცხვინო.

იქნებ მაინც უნდა გავაფრთხილო? შანსი მივცე, რომ დაიმალოს ან საბნის ქვეშ გაიხადოს? ფანჯარაზე ხომ არ მივუკაკუნო?! თუ კედელს წიხლი მივარტყა?! იქნებ აჯობებს, მეც ისევე დავაფრთხო, როგორც მან დამაფრთხო თავის დროზე.

ჰანა ახლა უფრო ხმამაღლა ლაპარაკობს. ნუთუ უნდა, რომ ტაილერმა გაიგონოს და გამოიხედოს?!

ბოლოს და ბოლოს აქ ხომ იმიტომ ვარ, რომ შური ვიძიო?

არა. მეგონა, შურისძიება სასიამოვნო იქნებოდა და ერთგვარ ავადმყოფურ კმაყოფილებას მომგვრიდა, მაგრამ ახლა, როცა ტაილერის ფანჯარასთან ვდგავარ, ვერანაირ კმაყოფილებას ვერ ვგრძნობ.

მაშ, რატომ ვარ აქ?

კიდევ ვიმეორებ, აქ ჩემი სიამოვნებისთვის არ მოვსულვარ და თუ ამ ჩანაწერებს ერთმანეთს გადასცემთ, მაშინ სიის გარეთაც ვერავინ მოისმენს. ჰოდა, რატომ ვარ აქ?

გვითხარი, ჰანა, გთხოვ. მითხარი, რატომ ვუსმენ ამას. რა დაგიშავე?

დამშვიდდი, ტაილერ, აქ შენს სათვალთვალოდ არ მოვსულვარ. არ მაინტერესებს, რას აკეთებ. ამწუთას შენ აღარც გიყურებ. ზურგით კედელს ვარ მიყრდნობილი და ქუჩისკენ ვიყურები.

ქუჩის ორივე მხარეს ხეებია. მათი ზედა ტოტები ისეა ერთმანეთში გახლართული, როგორც ორი ხელის თითები. პოეტურად ჟღერს, არა? ერთხელ ლექსიც კი დავწერე ასეთი შედარებით.

ერთ-ერთ თქვენგანს ეს ლექსი წაკითხული აქვს, მაგრამ ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკებ.

ეს მე არ მეხება. არ კი ვიცოდი, ჰანა ლექსებს თუ წერდა.

ახლა კი ტაილერზე ვსაუბრობ. ჯერ კიდევ მის ქუჩაზე ვარ, ბნელსა და უკაცრიელ ქუჩაზე. უბრალოდ, მან არ იცის, რომ აქ ვარ... ჯერჯერობით. სანამ ის დასაძინებლად დაწვება, ჩემი ამბის შეჯამებასაც მოვასწრებ.

ტაილერის ჩემთან „ვიზიტის“ შესახებ სკოლაში ერთ გოგოს მოვუყევი. ამ გოგოზე ამბობენ, რომ კარგი მსმენელია და ყოველთვის მზადაა, თანაგიგრძნოს. მინდოდა, ვინმეს ენერვიულა ჩემზე, მინდოდა, ვინმეს დაედასტურებინა, რომ შიშის საფუძველი მართლაც მქონდა.

მაგრამ ეს გოგო ამ საქმისთვის არ გამომადგა. ის უცნაური მიდრეკილებისა აღმოჩნდა, რომლის შესახებაც თითქმის არავინ იცის.

– როგორ, ვუაიერისტი? – მკითხა მან, – ნამდვილ მოთვალთვალეს გულისხმობ?

– კი, მგონი ასეა.

– ყოველთვის მაინტერესებდა, როგორი შეგრძნებაა, როცა გითვალთვალებენ... რა ვიცი... როგორღაც სექსუალურად ჟღერს.

ნეტა ვინ იყო ეს გოგო?

ანდა, რატომ მაინტერესებს? რატომ ვკითხულობ ამას?

მერე წარბი ასწია, გაიღიმა და მკითხა:

– შენი აზრით, კიდევ მოვა?

ელდა მეცა. მანამდე აზრადაც არ მომსვლია, რომ მოთვალთვალე შეიძლებოდა დაბრუნებულიყო.

– რომ მოვიდეს, რა ვქნა?– ვკითხე.

– მომიყევი, თუ მოვა, – მითხრა მან და შემდეგ ზურგი მაქცია. ჩვენი საუბარი ამით დასრულდა.

მე და ამ გოგოს დრო ერთად არასდროს გაგვიტარებია. რამდენიმე არჩევითი საგანი გვქონდა ერთად, გაკვეთილებზე ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობას გამოვხატავდით და ისიც გვითქვამს, რომ სადმე ერთად უნდა წავსულიყავით, მაგრამ ეს არ მომხდარა.

ახლა კი კარგი შანსი მეძლეოდა. მხარზე ხელი დავადე და შევთავაზე, ჩემი მშობლები ქალაქიდან გავიდნენ და თუ გინდა, მოთვალთვალეს ერთად დაველოდოთ-მეთქი.

სკოლის შემდეგ მის სახლში წავედით, მისი ნივთები წამოვიღეთ და ჩემთან წავედით. რადგან დასვენების დღე არ იყო და სახლში დაბრუნებას გვიანობამდე არ აპირებდა, მან მშობლებს დაუბარა, სკოლის დავალებაზე უნდა ვიმუშაოთო.

ღმერთო. ნუთუ ყველა ამას იმიზეზებს?

დავალებები სასადილო ოთახის მაგიდაზე დავწერეთ. ჩემი სახლის წინ გაჩერებული ჩემი სტუმრის მანქანა მოთვალთვალისთვის ნამდვილი სატყუარა იყო.

ორი გოგო ერთად. აბა, როგორ გაუძლებდა ასეთ ცდუნებას?

მოუთმენლობისგან ავწრიალდი.

სასადილოდან ჩემს საძინებელში გადავინაცვლეთ, საწოლზე ერთმანეთის პირისპირ დავსხედით და ლაპარაკი დავიწყეთ. ვიცოდით, თუ მოთვალთვალის გამოჭერა გვინდოდა, ხმადაბლა უნდა გველაპარაკა, რათა კარგად გაგვეგონა – „ჩხაკ“.

უცებ მას თვალები გაუბრწყინდა და ჩურჩულით მითხრა, ლაპარაკი არ შეწყვიტოო.

– გააგრძელე. ვითომ არაფერი გაგიგონია.

მე თავი დავუქნიე.

შემდეგ პირზე ხელი აიფარა და თეატრალურად მკითხა:

– ღმერთო ჩემო! სად მოაკიდებინე ხელი?

ორიოდე წუთს ასე „ვჭორაობდით“ და ვცდილობდით, არ გაგვცინებოდა, რომ მოთვალთვალეს არაფერი ეეჭვა. მაგრამ საჭორაო მალე გამოგველია, თან ჩხაკუნიც აღარ ისმოდა.

– იცი, რა მომიხდებოდა ახლა? – მითხრა მან უცებ, – ერთი კარგი ზურგის მასაჟი.

– რა ბოროტი ხარ, – ვუთხარი ჩურჩულით.

მან თვალი ჩამიკრა, მუხლებზე დადგა, წინ გადაიწია, ხელები კატასავით გაჭიმა და საწოლზე პირქვე დაწვა. „ჩხაკ“.

იმედი მაქვს, ეს ფოტოები წაშალე, ტაილერ. იმაზე ფიქრიც არ მინდა, რა გელის, თუ ფოტოები გავრცელდება, თუნდაც ეს შენგან დამოუკიდებლად მოხდეს.

მე ზედ შევაჯექი. „ჩხაკ“.

თმა გადავუწიე. „ჩხაკ“.

მხრების მასაჟი დავუწყე. „ჩხაკ“. „ჩხაკ“.

მან თავი მიატრიალა და ჩურჩულით მკითხა:

– ხვდები, რასაც ნიშნავს, თუკი სურათების გადაღებას შეწყვეტს?

ვუთხარი, ვერ ვხვდები-მეთქი.

– ეს ნიშნავს, რომ სხვა საქმით დაკავდა.

„ჩხაკ“.

მასაჟს ვაგრძელებდი. ეტყობა, საკმაოდ კარგად გამომდიოდა, რადგან მან ლაპარაკი შეწყვიტა და სახეზე ნეტარი ღიმილი გადაეფინა. შემდეგ ახალი იდეა მოუვიდა და ჩურჩულით გამანდო, როგორ უნდა წაგვესწრო ფაქტზე მოთვალთვალისთვის.

იდეა არ მომეწონა. ვუთხარი, აჯობებს, ერთ-ერთი ჩვენგანი ოთახიდან გავიდეს ვითომ ტუალეტში და პოლიცია გამოიძახოს-მეთქი. ამით ყველაფერი დასრულდებოდა.

მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

– არავითარ შემთხვევაში, – მითხრა მან, – მანამ არ წავალ, სანამ არ გავიგებ, ვინ არის. იქნებ ჩვენს სკოლაში სწავლობს?

– ამას რა მნიშვნელობა აქვს?! – ვკითხე მე.

მან მითხრა, გავიგებთ, ვინც არის, ეგ საქმე მე მომანდეო და ჩემს ფეხებს ქვემოდან გამოძვრა. მისი გეგმის თანახმად, როდესაც „სამს“ იტყოდა, ფანჯარასთან უნდა მივსულიყავი და გარეთ გამეხედა. ვიფიქრე, იქნებ მოთვალთვალე დაფრთხა და უკვე წავიდა-მეთქი, რადგან კამერის ჩხაკუნი კარგა ხანი იყო, აღარ ისმოდა.

– ახლა ტანის ლოსიონი მინდა, – თქვა მან.

„ჩხაკ“.

ამ ხმის გაგონებამ ბრაზით ამანთო და გადავწყვიტე, ჩემს კომპანიონს თამაშში ავყოლოდი.

– ზედა უჯრაში მოძებნე, – ვუთხარი.

მან ფანჯარასთან ახლოს მდებარე უჯრისკენ მიმითითა. მე თავი დავუქნიე.

ნერვიულობისგან გავიოფლე, პერანგი დამისველდა. ისევ ვწრიალებ. ღმერთო ჩემო, ვეღარ ვჩერდები, მოსმენას ვერ ვწყვეტ.

მან უჯრა გააღო, შიგნით ჩაიხედა და გაოგნებულმა პირზე ხელი აიფარა.

რა ნახა? არც იმ უჯრაში და არც მთელ ოთახში არაფერი მქონდა ისეთი, რომ ამგვარი რეაქცია გამოეწვია.

– არ ვიცოდი, ამით გართობა თუ გიყვარდა, – თქვა ხმამაღლა და გარკვევით, – მეც მინდა... მოდი, ერთად გავერთოთ.

– კარგი, – ვთქვი მე.

მან ხელი უჯრაში ჩაყო, რაღაცები მისწი-მოსწია და ხელი ისევ პირზე აიფარა.

– ჰანა, რამდენი გქონია. შენ რა „ცელქი“ ყოფილხარ.

„ჩხაკ“. „ჩხაკ“.

ჭკვიანურია-მეთქი, გავიფიქრე.

– მიდი, დაითვალე.

– აბა, ვნახოთ. ერთი აქაა... ორი...

საწოლიდან ფეხი ჩამოვდგი.

– სამი!

ფანჯარას ვეცი და ფარდა ავწიე. ვცდილობდი, შენი სახე დამენახა, ტაილერ, მაგრამ ვერ შევძელი, რადგან ძალიან სწრაფად მოძრაობდი.

ის კი შენს სახეს არ უყურებდა.

– ღმერთო ჩემო! – იკივლა, – პენისი! შარვალში იტენის.

ტაილერ, არ ვიცი, ახლა სად ხარ ან რას აკეთებ, მაგრამ მეცოდები. ამას კი იმსახურებ, მაგრამ მაინც ვწუხვარ.

მაინც ვერ მივხვდი,ვინ იყავი. შენი აღნაგობა და თმა დავინახე, სახე კი ვერა.

თუმცა თავი თვითონვე გაეცი. მეორე დღეს სკოლაში რომ მივედი, ბევრს დავუსვი ერთი და იგივე შეკითხვა, წუხელ სად იყავი-მეთქი. ზოგმა მითხრა, სახლშიო, ზოგმა – მეგობართანო, ზოგმაც – კინოშიო; ზოგმა აქეთ შემომიტია, რა შენი საქმეაო. ტაილერ, შენ ყველაზე ფრთხილი და საინტერესო პასუხი გამეცი.

– ვინ, მე? არსად, – აი, ზუსტად ასე თქვი.

თანაც ზუსტად იმ დროს რატომღაც თვალებს აცეცებდი და შუბლი ოფლით დაგენამა.

რა იდიოტი ხარ, ტაილერ.

მას მერე ჩემს ფანჯარასთან აღარ მოსულხარ. მაგრამ მე ის შემთხვევა არ დამვიწყებია.

სწორედ იმ შემთხვევის შემდეგ დავიწყე ფანჯარაზე ფარდების კარგად ჩამოფარება. ვეღარც ვარსკვლავებს ვუყურებდი და ვეღარც ელვით განათებულ ღრუბლებს. უბრალოდ, შუქს ვთიშავდი და ვიძინებდი ხოლმე.

რატომ, ტაილერ? რატომ შემომეჭერი სახლში, საძინებელში, სადაც თავი უსაფრთხოდ და დაცულად უნდა მეგრძნო? შენ ეს დაცულობის გრძნობა წამართვი.

თუმცა არც მანამდე ვგრძნობდი თავს დაცულად.

ხმა უკანკალებს.

შენ უკანასკნელი თავშესაფარი წამართვი.

ჰანა ჩუმდება. უცებ ვაცნობიერებ, რომ დაჟინებით ვუცქერ სიცარიელეს. მზერა ჩემი შორსგაჩოჩებული ფინჯნისკენ მაქვს მიმართული, მაგრამ მას კი არა, მის მიღმა სიცარიელეს მივშტერებივარ.

მინდა ჩემ ირგვლივ მსხდომ ხალხს შევავლო თვალი, მაგრამ მეშინია. მგონია, რომ ყველა მე მიყურებს და ცდილობს, ჩემი ტანჯული მზერის მიზეზი ამოიცნოს. „ვინ არის ეს საბრალო ბავშვი, ძველმოდურ „უოქმენს“ რომ უსმენს?“

შენთვის თუ არის მნიშვნელოვანი უსაფრთხოება, ტაილერ? ან პირადი სივრცისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა? შეიძლება შენთვის ეს იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ჩემთვის იყო, მაგრამ ეს შენი გადასაწყვეტი არაა.

ფანჯარაში ვიყურები, საკუთარ ანარეკლს თვალს ვარიდებ და მკრთალად განათებულ ტერასას გავცქერი. აქედან ვერ ვხედავ, კიდევ ზის ვინმე მაგიდასთან, აგურის სუროიანი სვეტი რომ ეფარება, თუ არა – მაგიდასთან, რომელიც ოდესღაც ჰანას ერთ-ერთი თავშესაფარი იყო.

ის იდუმალი გოგო ვინღაა, ვინც კომპანიონობა გამიწია და ვისი სახელიც არ მიხსენებია? ვინც სიამით იღიმოდა, სანამ მე ზურგს ვუზელდი? ვინც შენს გამოჯერაში მეხმარებოდა, ტაილერ? დავასახელო?

ეს იმაზე დამოკიდებული, ჩემთვის რამე ხომ არ დაუშავებია.

პასუხის მისაღებად... მესამე კასეტა ჩართეთ.

კი მაგრამ, ჰანა, მე უკვე მზად ვარ, ჩემს თავზე მოვისმინო და ამ საქმეს მოვრჩე.

ტაილერ, ჯერ ისევ შენს ფანჯარასთან ვდგავარ. სანამ ამბავს ვყვებოდი, ცოტა მოშორებით გადავინაცვლე, ახლა კი, რადგან შუქიც ჩააქრე, დავბრუნდი.

ამას დიდი პაუზა მოსდევს. მხოლოდ ფოთლების შრიალი ისმის.

აქ ვარ, ტაილერ.

მესმის, როგორ აკაკუნებს ჰანა ფანჯარაზე.

არ ინერვიულო. მალე გაიგებ, ვინც იყო.

<

ყურსასმენებს ვიხსნი, ყვითელ სადენს „უოქმენზე“ ვახვევ და ქურთუკის ჯიბეში ვიდებ.

ჩემ პირდაპირ, კედელზე, წიგნებით სავსე თაროა – ვესტერნები, სამეცნიერო ფანტასტიკა, თანამედროვე მისტიკა.

ხალხით გადაჭედილ მაგიდებს შორის გზას ფრთხილად მივიკვლევ და თაროსთან

მივდივარ.

სინონიმების უზარმაზარი ლექსიკონის გვერდით კიდევ ერთი ლექსიკონი დევს, რომელიც ოდესღაც მაგარყდიანი იყო, ახლა კი ყდის გარეშეა. თავფურცელზე ვიღაცას შავი მელნით წაუწერია „ლექსიკონი“. იმავე თაროზე კიდევ ხუთი სხვადასხვა ფერის წიგნი დევს. ფორმატით სასკოლო ალბომებს ჰგავს, მაგრამ შიგნით ცარიელი ფურცლებია. ამას „შთაბეჭდილებების წიგნსაც“ ეძახიან. „მონეს ბაღი“ ყოველწლიურად თითო ასეთ წიგნს ყიდულობს, მომხმარებლები კი წიგნს თანდათან ავსებენ – გამორჩეულ მოვლენებს აღნიშნავენ, ცუდ ლექსებს წერენ, მშვენიერ ან გროტესკულ ჩანახატებს აკეთებენ ან სულაც ბოდავენ.

ყველა ასეთ წიგნს ყდაზე წებოვანი ლენტი აქვს დაკრული და ზედ წელიწადი აწერია. იმ წლის წიგნს ვირჩევ, როცა უმაღლეს სკოლაში დავიწყეთ სიარული. რაკი ჰანა აქ ხშირად დადიოდა, შეიძლება მისი ჩანაწერიც აღმოვაჩინო, მაგალითად, ლექსი. ან იქნებ სხვა ნიჭიც ჰქონდა, რის შესახებაც მე არ ვიცი. იქნებ ხატვაც იცოდა. უბრალოდ, რამეს ვეძებ, რაც იმ საზარელი კასეტებისგან განსხვავდება. ძალიან მინდა, სხვანაირი ჰანა დავინახო.

ჩანაწერებისა თუ ჩანახატების უმეტესობას თარიღიც აწერია, ამიტომ წიგნს უკან ვშლი, სექტემბრისკენ. ვიპოვე.

სანიშნედ საჩვენებელ თითს ვიყენებ, წიგნს ვხურავ და ჩემს მაგიდასთან მიმაქვს. გაგრილებულ ყავას ნელა ვწრუპავ, წიგნს ისევ ვშლი და წითელი მელნით დაწერილ სიტყვებს ვკითხულობ: „როცა ვიტყვი „ი“, მაშინ გამოდი! – ეს ყველას სჭირდება“.

იქვე სამი წყვილი ინიციალია: ჯ.დ./ა.ს./ჰ.ბ. – ჯესიკა დევისი/ალექს სტენდოლი/ჰანა ბეიკერი.

ინიციალების ქვემოთ, ვიღაცას ფურცლებს შორის ამობრუნებული ფოტოსურათი ჩაუჭედია. სურათს ვიღებ, ვაბრუნებ და ვასწორებ.

ჰანას ფოტოა.

ღმერთო, რა საყვარლად იღიმის. აქ ჯერ კიდევ გრძელი თმა აქვს. გვერდით ერთი ჩვენი თანაკლასელი უდგას და ჰანას ხელი მისთვის წელზე შემოუხვევია. ეს კორტნი კრიმსენია.მათ უკან, ფონად კიდევ ბევრი ხალხი ჩანს. ყველას ბოთლი ან წითელი პლასტმასის ჭიქა უჭირავს. წვეულებაა. ირგვლივ ბნელა. კორტნი უცნაურად გამოიყურება, კმაყოფილი არ ჩანს, მაგრამ არც გაბრაზებული უნდა იყოს.

მგონი, ნერვიულობს. ნეტავ, რაზე?

# მესამე კასეტა: A მხარე

4

კორტნი კრიმსენ... რა ლამაზი სახელი გაქვს. რა ლამაზი გოგო ხარ. ღიმილიც ულამაზესი გაქვს და თმაც.

თანაც შენზე ამბობენ, რომ ძალიან კარგი გოგო ხარ.

ისევ „შთაბეჭდილებების წიგნში“ ნაპოვნ სურათს დავყურებ. ჰანა და კორტნი წვეულებაზე ერთად არიან, ჰანას მისთვის წელზე შემოუხვევია ხელი. ის ბედნიერი ჩანს, კორტნი კი – შეშფოთებული. წარმოდგენა არ მაქვს, რამ შეაშფოთა.

მართლაც ასეა, კორტნი, შენ ყველას კარგად ექცევი. სკოლაშიც და სკოლის გარეთაც ყველას მიმართ კეთილი ხარ.

ჩემს გაცივებულ ყავას ვწრუპავ.

უდავოდ, სკოლის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გოგო ხარ. ეს კი შენი სიკეთის დამსახურებაა.

მაგრამ არა, ეს საერთო აზრი მცდარია.

ფინჯანს ბოლომდე ვცლი.

დიახ, ჩემო ძვირფასო მსმენელებო, კორტნი კარგად ეპყრობა ყველას, ვისაც ეკონტაქტება. და მაინც, მგონი დროა, თქვენს თავს ჰკითხოთ, იქნებ გულწრფელი არ არის?

ფინჯნიანად მივდივარ თვითმომსახურების ბართან, რომ ყავა კიდევ დავისხა.

დიახ, ჩემი აზრით, არ არის გულწრფელი და, ნება მომეცით, განვმარტო.

უპირველესად, იმას ვიტყვი, რომ არა მგონია, ტაილერს თქვენთვის ჩემი და კორტნის „მასაჟის“ ფოტოები ეჩვენებინოს.

ყავის ჭიქა ხელიდან მივარდება და დახლზე ენარცხება. სანამ იატაკზე დავარდება, ხელის შეშველებას ვასწრებ. შემდეგ უკან ვიხედები და ვხედავ, რომ სალაროსთან მდგარი გოგო თავს უკან აგდებს და იცინის.

ესე იგი, კორტნია ის გოგო, ჰანას ოთახში რომ იყო?

ყურსასმენებში არაფერი ისმის, ჰანა ჩუმდება. იცის, რომ ამ ინფორმაციის გააზრებას დრო სჭირდება.

თუ ფოტოები მაინც ნახეთ, გილოცავთ. დარწმუნებული ვარ, ძალიან სექსუალურად გამოვიყურებით. მაგრამ როგორც უკვე იცით, ყველაფერი ხელოვნურია.

„ხელოვნური“. შესანიშნავი სიტყვაა კორტნის ისტორიის შესაჯამებლად. ხელოვნური მაშინ ხარ, როცა იცი, რომ ვიღაც გითვალთვალებს. მაშინ იღიმი ყველაზე მეტად; მაშინ ცდილობ, რაც შეიძლება კეთილი და სათნო იყო.

იმ ფოტოზე კორტნი აშკარად არაა ასეთი.

უმაღლეს სკოლაში გამუდმებით გიყურებენ, ამიტომ ხელოვნურობის მიზეზიც ყოველთვის გაქვს.

ფინჯანში ყავის აპარატიდან ყავას ვასხამ.

არა მგონია, ამას განზრახ სჩადიოდე, კორტნი. ამ ჩანაწერებში ამიტომაც დაგითმე ადგილი – მინდა, გაგაგებინო, როგორ მოქმედებს შენი საქციელი სხვებზე. უფრო კონკრეტულად კი, როგორ იმოქმედა ჩემზე.

არადა, კორტნი ნამდვილად კეთილი და საყვარელი გოგო ჩანს. ამ ჩანაწერებში მოხვედრამ ალბათ ბოლო მოუღო.

უცებ მაჟრჟოლებს. ბოლო მოუღო-მეთქი. ამ გამოთქმას ალბათ აღარასდროს გამოვიყენებ.

კორტნი კრიმსენი – იდეალურად ჟღერს. გარეგნობაც იდეალური გაქვს. ისღა რჩება, რომ... პიროვნულადაც იდეალური იყო.

ყავაში ნაღებს და შაქრის ნატეხებს ვიმატებ, ვურევ და ჩემს მაგიდასთან ვბრუნდები.

ვაფასებ შენს არჩევანს, კორტნი. შენ შეგეძლო ქედმაღალი ძუკნა ყოფილიყავი და მაინც ბევრი მეგობარი და შეყვარებულები გყოლოდა. მაგრამ საყვარელ და კეთილ გოგოდ ყოფნა არჩიე, რომელიც ყველას გულწრფელად მოსწონს.

მოდი, პირდაპირ ვიტყვი, ყველაფერი ნათელი რომ იყოს. მე შენ არ მძულხარ, კორტნი. უფრო მეტიც, არც კი მაბრაზებ. უბრალოდ, ერთ დროს მეგონა, დავმეგობრდებოდით.

ამასთან დაკავშირებით არაფერი მახსენდება. ჰანა და კორტნი ერთად არასოდეს მინახავს.

შენ კი თურმე იმაზე ზრუნავდი, „შესანიშნავი კორტნი კრიმსენის“ მორიგ თაყვანისმცემლად გექცია, რომლის ხმაც სასკოლო ალბომში „ხალხის სიმპათიის“ ტიტულის მოპოვებაში დაგეხმარებოდა.

მას მერე, რაც გავაცნობიერე, როგორც მომექეცი, შევამჩნიე, რომ სხვებსაც ისევე ექცეოდი.

აი, ეს არის შენი როლი ჩემი ცხოვრების ანთოლოგიაში.

„ჩემი ცხოვრების ანთოლოგია“ – ეს ამწუთას მოვიგონე. მოგწონთ?

ზურგჩანთას ვიღებ, მუხლებზე ვიდებ და ვხსნი.

ტაილერის „დაუგეგმავი“ ფოტოსესიის შემდგომი დღე ერთი ჩვეულებრივი დღე იყო. პირველ გაკვეთილზე კორტნი ჩვეულებისამებრ ორიოდე წუთის დაგვიანებით შემოვიდა. თუმცა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ჯერ ქალბატონი დილარდიც არ მოსულიყო.

დაგვიანება არც მისგან იყო უჩვეულო.

ჩანთიდან ჰანას რუკას ვიღებ და მაგიდაზე ვშლი.

კორტნი, შენ დაჯექი და წინ მჯდომს გამოელაპარაკე. დიალოგს რომ მორჩით, მხარზე ხელი დაგადე, რომ ჩემკენ შემობრუნებულიყავი. ერთმანეთს თვალი გავუსწორეთ და სიცილი წაგვსკდა. ერთმანეთს რა ვუთხარით, სიტყვასიტყვით აღარ მახსოვს, რადგან ორივე თითქმის ერთსა და იმავეს ვამბობდით:

– რა უცნაურია.

– ჰო, ვიცი, ვიცი.

– არა, მაინც რა ჯანდაბა იყო?

– ასეთ რამეს წარმოიდგენდი?

– ძალიან სასაცილოა.

ამასობაში ქალბატონი დილარდიც მოვიდა და შენ ისევ წინ შებრუნდი. გაკვეთილის შემდეგ კი უბრალოდ წახვედი.

რუკაზე ტაილერის სახლს ვეძებ. თავს ცოტა უცნაურად ვგრძნობ იმის გამო, რომ ჰანას ამბავს ასე ზედმიწევნით ზუსტად მივყვები და უყურადღებოდ ერთ დეტალსაც კი არ ვტოვებ. ამ ისტორიის გარდა, შეპყრობილივით, ვეღარაფერზე ვფიქრობ, თუმცა, მინდა, ამ აკვიატებაზე უარი ვთქვა.

მეორე გაკვეთილზე რომ მივდიოდი, დერეფანში გავიაზრე, რომ არ დამემშვიდობე.

თუმცა, მე იმასვაკეთებ, რაც ჰანამ მთხოვა. ეს აკვიატება კი არა, მისი ხსოვნის პატივისცემაა. მის უკანასკნელ სურვილებს ვასრულებ.

არც მანამდე მემშვიდობებოდი ხოლმე, მაგრამ იმ ღამის შემდეგ ეს უჩვეულოდ მომეჩვენა. წესით, წინა ღამის თავგადასავლის მერე უბრალო ნაცნობები აღარ გვეთქმოდა.

ა4 – წითელი ვარსკვლავი ტაილერის სახლზე.

როგორც აღმოჩნდა, უბრალო ნაცნობებადვე დავრჩით. დერეფნებში მესალმებოდი, გაკვეთილის შემდეგ ხანდახან მემშვიდობებოდი კიდეც, მაგრამ სხვებისგან არაფრით

გამომარჩევდი.

ასე იყო იმ წვეულებამდე. იმ საღამომდე, სანამ ისევ დაგჭირდებოდი.

;

მინდა, ისტორიას დავეწიო. სანამ ამას არ ვიზამ, მოსმენას ვეღარ გავაგრძელებ.

ყურსასმენებს ვიძრობ და კისერზე ვიკიდებ. გოგო, რომელთან ერთადაც ხის დამუშავებას ვსწავლობდი, მაგიდებს შორის ლანგრით დადის და ფინჯნებსა და თეფშებს აგროვებს. სანამ ის გვერდითა მაგიდას ასუფთავებს, თავს ჩამუქებული ფანჯრისკენ ვაბრუნებ და მინაზე მის ანარეკლს ვაკვირდები. ის ჩემკენ რამდენჯერმე აპარებს თვალს, მაგრამ მე არ ვტრიალდები.

გოგო მიდის. მე კი ყავის სმას ვაგრძელებ და ვცდილობ, არაფერზე ვიფიქრო. უბრალოდ ვიცდი.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ყავის სახლის წინ ავტობუსი ჩერდება. რუკას ვბღუჯავ, ზურგჩანთას მხარზე ვიგდებ და გარეთ გავრბივარ.

ტროტუარზე მივრბივარ, ავტობუსში ავდივარ და დაახლოებით შუაში ვჯდები.

მძღოლი უკანახედვის სარკიდან მიყურებს და ჩემ გასაგონად ამბობს:

– განრიგს გადავუსწარი. ორ წუთს აქ ვიდგებით.

თავს ვუქნევ, ყურსასმენებს ვიკეთებ და ფანჯრიდან ვიყურები.

4

წინასწარ გეტყვით, რომ ამ ჩანაწერებში „კორტნის წვეულება“ ყველაზე მნიშვნელოვანი არაა. მთავარი წინ გელით.

მეღირსა? მე მგულისხმობს?

მაგრამ ჯერ კორტნის ამბავი მაქვს მოსაყოლი.

მაშ ასე, კორტნი, ერთ მშვენიერ დღეს, პირველი გაკვეთილის შემდეგ, კლასიდან რომ გავდიოდი, ხელი დამიჭირე და შენი უნაკლო ღიმილით შემომცინე.

– ჰანა, მოიცა. როგორ ხარ?

ალბათ მეც იგივე გკითხე, მაგრამ სიმართლე გითხრა, სულ არ მაინტერესებდა, როგორ იყავი. ყოველ ჯერზე, როცა ხალხით გადაჭედილ დერეფანში თვალს მოგკრავდი, შენ მყისვე განზე იხედებოდი და ამიტომ შენ მიმართ პატივისცემა თანდათან მეკარგებოდა. ჩემ დღეში ალბათ კიდევ ბევრი იყო.

მოკითხვის შემდეგ მკითხე, ამაღამდელი წვეულების შესახებ თუ შეიტყვეო. გიპასუხე, წვეულების შესახებ ვიცი, მაგრამ წასვლას არ ვაპირებ, რადგან მარტო ბოდიალი და

გამომლაპარაკებლის ძებნა მეზარება; ისიც მეზარება, ისეთი ადამიანი ვეძებო, ვინც ჩემთვის არასასურველ ადამიანებთან გამოლაპარაკებას თავიდან ამარიდებს-მეთქი.

– მოდი, ერთად წავიდეთ, – შემომთავაზე შენ, თავი გვერდზე გადახარე, მომნუსხველად გამიღიმე და მგონი, თვალებიც კი დაახამხამე კეკლუცად.

ჰო, კორტნი სწორედ ასეთია. ყველას ეფლირტავება და მის ხიბლს ვერავინ უძლებს.

– რატომ? – გკითხე მე, – რატომ უნდა წავიდეთ ერთად?

ამ შეკითხვას აშკარად არ მოელოდი. შენ ხომ კორტნი ხარ, შენთან ყოფნა ყველას უნდა! ყველა, განურჩევლად სქესისა, სიამოვნებით წამოგყვებოდა წვეულებაზე. ბიჭებიც და გოგოებიც ერთნაირად აღფრთოვანებულნი არიან შენით.

აღფრთოვანებულნი? ალბათ – აღარ. მგონია, რომ კორტნი მალე ძველებურად პოპულარული ვეღარ იქნება.

სამწუხაროდ, მათი უმეტესობა ვერ აცნობიერებს, რა გულმოდგინედ ირჯები ამ იმიჯის შესაქმნელად.

– რატომ? რასაკვირველია, იმიტომ, რომ დრო ერთად გავატაროთ, ჰანა, – მითხარი შენ.

მე გკითხე, ამდენი ხნის უყურადღებობის შემდეგ რატომ მოგინდა დროის ჩემთან გატარება-მეთქი. შენ კი, რა თქმა უნდა, მითხარი, ეტყობა რაღაც არასწორად გაიგე, ეს წვეულება კარგი შესაძლებლობაა ერთმანეთის გასაცნობადო.

შენს გულწრფელობაში ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ როგორც ვთქვი, შენთან ყოფნა ყველას უნდა, ამიტომაც დაგთანხმდი.

ეჰ, ჰანა, ხვდებოდი, რომ კორტნი გულწრფელი არ იყო, მაგრამ მაინც წახვედი მასთან ერთად. რატომ?

– მშვენიერია! – თქვი შენ, – შეგიძლია მანქანით გამომიარო?

გული ჩამწყდა, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე და გიპასუხე:

– რა თქმა უნდა. როდის მოვიდე?

შენ რვეულიდან ფურცელი ამოხიე და წვრილად წააწერე შენი მისამართი, შეხვედრის დრო და შენი ინიციალები – კ.კ.

– მაგარ დროს გავატარებთ! – ფურცელი გამომიწოდე და ოთახიდან გახვედი.

ავტობუსის კარი იხურება და ვიძვრებით.

დამშვიდობება ისევ დაგავიწყდა.

ახლა ჩემს თეორიას გაგაცნობ, რატომ შემომთავაზე იმ წვეულებაზე ერთად წასვლა.

იცოდი, რომ შენი უყურადღებობა ნერვებს მიშლიდა და მაბრაზებდა, რაც დაუშვებელი იყო, რადგან ეს „იდეალური გოგოს“ რეპუტაციას გიფუჭებდა.

შეგიძლიათ, რუკაზე კორტნის სახლი მოძებნოთ. d4.

რუკას ისევ ვშლი.

მანქანა შენი სახლის წინ გავაჩერე. სახლის კარი გაიღო და შენ ჩემკენ წამოხვედი. დედაშენმა გამოგაცილა. დავინახე, როგორ დაიხარა, რომ ჩემი მანქანის სალონი შეეთვალიერებინა.

„არ ინერვიულოთ, ქალბატონო კრიმსენ, – გავიფიქრე მაშინ, – არავითარი ბიჭები, ალკოჰოლი, ნარკოტიკები და გართობა“.

და მაინც, რატომ მივყვები ამ რუკას დავალებულივით? რა აუცილებელია? ჩანაწერებს პატიოსნად, თავიდან ბოლომდე ვუსმენ, რაც, წესით, საკმარისიუნდა იყოს.

მაგრამ არ მყოფნის.

შენ მანქანის კარი გამოაღე, ჩაჯექი და ღვედი შეიკარი თუ არა, მაშინვე თქვი:

– გმადლობ, რომ მიგყავარ.

რუკას იმიტომ კი არ მივყვები, რომ ეს ჰანას უნდა. რუკა მჭირდება იმისთვის, რომ ყველაფერი უკეთ გავიგო. რადაც უნდა დამიჯდეს, ბოლომდე უნდა ჩავწვდე, რა შეემთხვა ჰანას.

„მიგყავარ“! ისედაც ვეჭვობდი, რომ დასამეგობრებლად არ დაგიპატიჟებივარ. ამგვარმა ინტერპრეტაციამ კი გუნება უფრო გამიფუჭა.

d4. ტაილერის სახლთან ახლოსაა, რამდენიმე კვარტლის იქით.

ძალიან მინდოდა, ჩემი ეჭვები არ გამართლებულიყო, კორტნი. მერჩივნა, მცოდნოდა, რომ წვეულებაზე ერთად მივდიოდით. ეს კი ბევრად მეტია, ვიდრე „მიგყავარ“.

ეს სიტყვა მითხარი თუ არა, მაშინვე მივხვდი, რაც მელოდა წვეულებაზე, თუმცა, დასასრულს მაინც ვერ წარმოვიდგენდი. არადა, თურმე გამაოგნებელი სიურპრიზი მელოდა.

ავტობუსის ყოველი სკამის საზურგეზე, მინის მიღმა ფურცელია დამაგრებული და ზედ ავტობუსის სამარშრუტო რუკაა. რუკის მიხედვით, ავტობუსი კორტნის სახლს ჩაუვლის და, ტაილერის სახლამდე არმისული, მარცხნივ გაუხვევს. გაჩერებაც იქვეა.

მანქანის გაჩერება დანიშნულების ადგილიდან ორი კვარტლის დაშორებით მომიხდა, რადგან მეტად ვეღარ მივუახლოვდი. ჩემი მანქანის სტერეო ძრავის გამორთვის შემდეგაც არ ითიშება; სანამ კარს არ გააღებ, ჩართულია. მაგრამ იმ საღამოს მუსიკა არც კარის

გაღების შემდეგ შეწყვეტილა...

– ღმერთო ჩემო! – თქვი შენ, – მგონი ეს მუსიკა წვეულებიდან ისმის!

მართლაც, მუსიკა ორი კვარტლის დაშორებითაც აღწევდა. მოკლედ, წვეულება პოლიციისთვის კარგი საკბილო იყო.

ამიტომაც ვცდილობ, წვეულებებზე არ ვიარო. სკოლის გამოსაშვებ ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლას ვაპირებ. ვიცი, საკმარისია ერთი შეცდომა და ამის ნებას აღარ მომცემენ.

წვეულებისკენ მიმავალი მოსწავლეების ნაკადს შევუერთდით. ისე მივიწევდით წინ, როგორც შეწყვილებისთვის მზად მყოფი ორაგულები – დინების საწინააღმდეგოდ. სახლთან, სადაც წვეულება იმართებოდა, ფეხბურთელის მაისურებში გამოწყობილი ორი ბიჭი იდგა და ლუდის ფულს აგროვებდა. მე ჯიბეში ფულს დავუწყე ძებნა, მაგრამ შენ მუსიკის გადასაფარად ხმამაღლა დამიძახე, ამაზე არ იდარდოო.

რომ მივუახლოვდით, ერთ-ერთმა ბიჭმა გვითხრა, ერთი ჭიქა ორი დოლარი ღირსო. მერე, უცებ გიცნო და წითელი პლასტმასის ჭიქა მოგაწოდა.

– უჰ, კორტნი, გამარჯობა. აი, გამომართვი.

ორი დოლარი რა ამბავია, მით უმეტეს, გოგოებისთვის?!

შენ თავით ჩემზე ანიშნე. ბიჭმა გაიღიმა და ჭიქა მეც მომაწოდა. გამორთმევა ვცადე, მაგრამ ხელი არ გაუშვა. მითხრა, ჩემი შემცვლელი წუთიწუთზე მოვა და მერე ერთად გავერთოთო. ბიჭს გავუღიმე, მაგრამ ამ დროს შენ მკლავზე მომქაჩე და შიგნით შემიყვანე.

– არ გინდა. დამიჯერე, – ასე მითხარი.

რატომ-მეთქი, გკითხე, მაგრამ აქეთ-იქით იყურებოდი და ჩემი შეკითხვა არ გაგიგონია.

ვერ ვიხსენებ, კორტნის ვინმე ფეხბურთელთან ჰქონოდეს ურთიერთობა. კალათბურთელები კი ბატონო, რამდენიც გინდა, მაგრამ ფეხბურთელები – არა.

მერე თქვი, აჯობებს, დავიშალოთო. როგორ ფიქრობ, რა გავიფიქრე იმწამს, კორტნი? არადა, რა მალე გამართლდა ჩემი მოლოდინი-მეთქი.

მითხარი, რამდენიმე ადამიანი უნდა ვნახო და მოგვიანებით შემოგიერთდებიო. მეც მოვიგონე, რომ ვიღაცები უნდა მენახა, თუმცა ეს სიცრუე იყო.

მერე გამაფრთხილე, უჩემოდ არ წახვიდეო.

– ჩემი ტრანსპორტი შენ ხარ, ხომ იცი?

მაგას რა დამავიწყებდა, კორტნი?

ავტობუსი კორტნის ქუჩაზე უხვევს. აქ სახლების დაახლოებით მესამედს „იყიდება“

აწერია. კორტნის სახლის კარზე წითელი ვარსკვლავის დანახვაც არ გამიკვირდებოდა, მაგრამ არაფერი ჩანს. მთელი სახლი სიბნელეშია ჩაფლული.

მერე გამიღიმე და, ბოლოს და ბოლოს, თქვი ის ჯადოსნური სიტყვა – „ნახვამდის“. ასე დამემშვიდობე წვეულებაზე, სადაც დრო თითქოს ერთად უნდა გვეტარებინა.

– შენი გაჩერება გამოგრჩა?

ვქვავდები.

გოგოს ხმაა, მაგრამ არა ჩემი ყურსასმენებიდან.

;

ვიღაც სახელით მომმართავს. მაგრამ საიდან?

ჩამუქებული ფანჯრები ავტობუსის სალონს სარკესავით ირეკლავს. უცებ ჩემ უკან გოგოს ანარეკლს ვამჩნევ. სავარაუდოდ, ჩემი ასაკისაა. ვიცნობ? უკან სწრაფად ვტრიალდები.

სკაი მილერი ყოფილა. მერვე კლასში მომწონდა. სკაი იღიმის, შეიძლება დამცინავადაც კი, რადგან იცის, რომ შემაშინა.

ლამაზი გოგოა, მაგრამ ისე იქცევა, თითქოს ამის შესახებ არაფერი იცის. განსაკუთრებით ბოლო ორი წელია, მუდამ ულაზათო, ფართხუნა სამოსს იცვამს. დღესაც უზარმაზარი ნაცრისფერი სპორტული სვიტერი და ასეთივე შარვალი აცვია.

ყურსასმენებს ვიძრობ.

– სალამი, სკაი.

– შენს სახლს გასცდი? – მეკითხება ის.

დიდი ხანია, ჩემთვის ამდენი კითხვა არ დაუსვამს. დიდი ხანია, საერთოდ არ გამიგია, ვინმეს დალაპარაკებოდეს.

– მძღოლს თუ სთხოვ, გაგიჩერებს, – მეუბნება.

უარის ნიშნად თავს ვაქნევ.

– სახლში არ მივდივარ.

ამ დროს ავტობუსი მარცხნივ უხვევს და ჩერდება. კარი იღება და მძღოლი კითხულობს, ვინ ჩადისო.

უკანახედვის სარკისკენ ვიყურები, რომ მძღოლს ვანიშნო, მოიცადოს. შემდეგ სკაისკენ ვტრიალდები და ვეკითხები:

–შენ სად მიდიხარ?

სახეზე დამცინავი ღიმილით თვალს თვალში მიყრის. აშკარად ცდილობს, თავი

უხერხულად მაგრძნობინოს. გამოსდის კიდეც.

– არსადაც არ მივდივარ, – მპასუხობს ბოლოს.

არ მესმის, რატომ იქცევა ასე – რატომ შეიცვალა ასე მერვე კლასის შემდეგ? რატომ ამჯობინა მარტოსულობა და გარიყულობა? არავინ იცის. ერთ მშვენიერ დღეს, უბრალოდ, გადაწყვიტა, რომ ყველაფერს გარიდებოდა.

როგორც უნდა იყოს, აქ უნდა ჩავიდე. ეს გაჩერება ორ წითელ ვარსკვლავს, ტაილერის სახლსა და კორტნის სახლს შორისაა.

ისიც შეიძლება, რომ დავრჩე და სკაის დაველაპარაკო. უფრო სწორად, მასთან დალაპარაკება ვცადო. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ხმას აღარ გამცემს.

– ხვალამდე, – მეუბნება უცებ.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ საუბარი დასრულებულია. ერთი მხრივ, მიხარია კიდეც.

– დროებით, – ვემშვიდობები მეც.

ზურგჩანთას მხარზე ვიგდებ და კარისკენ მივემართები. მძღოლს მადლობას ვუხდი და ისევ სიცივეში გავდივარ. ჩემ უკან კარი იხურება და ავტობუსი გზას აგრძელებს. ფანჯარაში თვალდახუჭულ სკაის ვხედავ, თავი მინაზე მიუყრდნია.

ზურგჩანთას ვისწორებ და გეზს ტაილერის სახლისკენ ვიღებ.

კი მაგრამ, როგორ მივაგნებ? ამ კვარტალში კია, მაგრამ ჰანას ზუსტი მისამართი რომ არ უთქვამს?!

თუ საძინებელში შუქი უნთია, იქნებ ბამბუკის შტორები შევნიშნო.

სახლს ვაკვირდები და შტორებს ვეძებ.

იქნებ გამიმართლოს და მის ეზოში მინიშნება დამხვდეს. აბრა წარწერით: „ვუაიერისტი აქ ცხოვრობს, შემობრძანდით“.

საკუთარ უკბილო ხუმრობაზე მეცინება.

ჰანას ჩანაწერების ფონზე ღიმილი ნამდვილად უადგილოა, მაგრამ სასიამოვნო. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რამდენიმე თვეა, არ გამიღიმია.

კიდევ ორი სახლიც და უცებ ბამბუკის შტორებს ვამჩნევ.

აღარ ვიღიმი.

ოთახში შუქი ანთია, შტორები ბოლომდეა დაშვებული. დაბზარულ ფანჯარაზე ვერცხლისფერი ლენტები აუკრავთ.

ნეტა რა მოხდა? ფანჯარას ქვა ესროლეს?

ვინ ესროლა? ვიღაცამ ჰანას სიიდან?

სახლს ვუახლოვდები. წარმოვიდგენ, როგორ იდგა აქ ჰანა და ხმის ჩამწერში ჩურჩულებდა. ამსიშორიდან მის სიტყვებს ვერ გავარჩევდი.

ტაილერის სახლს მეზობლისგან პატარა ღობე ჰყოფს. ღობისკენ მივდივარ, რომ ამოვეფარო. ტაილერი ალბათ ჩასაფრებულია და ელის, რომ ვიღაცა ფანჯარას ჩაულეწავს.

– გინდა, ესროლო?

შიშისგან ადგილზე ვხტები და ერთბაშად ვტრიალდები, რომ ამის მთქმელს დავარტყა და გავიქცე.

– მოიცა, მოიცა! მე ვარ, მარკუსი.

წინ მარკუს ქული მიდგას, ჩემი სკოლელი.

მუხლები მეკვეთება. გული ამოვარდნაზე მაქვს.

– აქ რას აკეთებ? – ვეკითხები.

– გამომართვი, – მარკუსი ხელში მუშტისოდენა ქვას მაჩეჩებს.

– რატომ?

– თავს უკეთ იგრძნობ, დამიჯერე.

ლენტებაკრული ფანჯრისკენ ვიყურები. შემდეგ თავს ვხრი და თვალებს ვხუჭავ.

– მოდი, გამოვიცნობ, მარკუს, ჩანაწერებში შენც ხარ.

მარკუსი არაფერს მპასუხობს. არც არის საჭირო. როცა თვალს ვახელ, ვხედავ, როგორ ცდილობს ღიმილის შეკავებას. იმასაც ვხვდები, რომ არ რცხვენია.

– ეს შენი ნახელავია? – ტაილერის ფანჯრისკენ ვანიშნებ.

– კლეი, პირველი ხარ, ვინც ამაზე უარს ამბობს, – მარკუსი ქვას ხელში მიდებს.

გულისცემა მიჩქარდება. იმიტომ კი არა, რომ მარკუსია აქ ან ტაილერი შიგნით, არც იმიტომ, რომ ხელში მძიმე ქვა მიჭირავს. გულს მარკუსის სიტყვები მიჩქარებს.

– მესამე ხარ, ვინც აქ მოვიდა, – მეუბნება მარკუსი, – ჩემი ჩათვლით, მეოთხე.

მიჭირს წარმოდგენა, როგორ მოდის აქ ვიღაც სიიდან და ფანჯარას ქვას ესვრის. რაღაც აბსურდია...

ყველანი მოვხვდით ამ სიაში. ყველა ჩვენგანს რაღაცაში მიუძღვის ბრალი. მაშ, რატომ გამოვარჩევთ მხოლოდ ტაილერს?

ქვას ვაშტერდები:

– რატომ აკეთებთ ამას?

მარკუსი ხელს უკან იშვერს და მეუბნება:

– აი, ის ჩემი სახლია. იქიდან ვუყურებ ხოლმე ტაილერის სახლს, რომ დავინახო, ვინმე თუ მოვა.

ნეტა რა უთხრა ტაილერმა თავის მშობლებს? შეეხვეწა, მინა არ გამოცვალოთ, რადგან ისევ ჩაამტვრევენო? როგორ აუხსნა, საიდან იცოდა ეს ან რატომ უნდა ჩაემტვრიათ?

– პირველი ალექსი იყო, – ყოველგვარი უხერხულობის გარეშე მამცნობს მარკუსი, – ერთხელ ჩემთან იყო სტუმრად და მთხოვა, ტაილერის სახლი მაჩვენეო. თავიდან ვერ მივხვდი, რად უნდოდა, რადგან ტაილერთან არ მეგობრობდა.

– მერე რა ქენი, აქ მოიყვანე და ქვა მიეცი, რომ ფანჯრისთვის ესროლა?

– არა, ეს მისი იდეა იყო. მაშინ მე ჩანაწერებზე არაფერი ვიცოდი.

ქვას მაღლა ვაგდებ, შემდეგ მეორე ხელით ვიჭერ. იმსიმძიმეა, ფანჯარა დაბზარულიც რომ არ იყოს, მაინც ადვილად ჩაამტვრევს. მაინცდამაინც ასეთი ქვა რატომ მომცა მარკუსმა? ჩანაწერები მოსმენილი აქვს, ყველას ისტორია იცის და უნდა, რომ ფანჯარა მე ჩავლეწო. რატომ მე?

ქვა მეორე ხელში გადამაქვს. მარკუსის უკან მისივე სახლის განათებულ პარმაღს ვხედავ. უნდა ვკითხო, მისი ფანჯარა რომელია. ახლა ვეტყვი, რომ მისი სახლისკენ ვაპირებქვის სროლას და აჯობებს თვითონ მითხრას, რომელია მისი ოთახი, რომ მისი უმცროსი დაიკო არ შევაშინო.

ქვას ხელს მაგრად ვუჭერ, მაგრამ თავს მაინც ვერ ვიკავებ და გაბზარული ხმით ვეუბნები:

– კრეტინი ხარ, მარკუს.

– რა თქვი?!

– ჩანაწერებში შენც ხარ, ხომ ასეა?

– და შენც, კლეი.

– და რით განვსხვავდებით მისგან? – სიბრაზისგან ყელში ბურთი მეჩხირება და ხმა მიკანკალებს.

– ტაილერი ვუაიერისტია, არანორმალური, – ამბობს მარკუსი, – ჰანას ფანჯარაში იჭყიტებოდა. ვითომ რატომ არ უნდა ჩავლეწოთ მისი ფანჯარა?

– და შენ თვითონ რა ჩაიდინე?

წუთით სადღაც ჩემს მიღმა იყურება, მერე თვალებს ახამხამებს და აგდებულად მპასუხობს:

– ისეთი არაფერი, რაღაც სისულელეა. ამ ჩანაწერებში არც უნდა ვიყო. უბრალოდ,

ჰანას თავის მოსაკლავად საბაბი სჭირდებოდა.

ქვას იქვე, ტროტუარზე ვაგდებ. ან ასე უნდა მოვქცეულიყავი, ან მისთვის სახეში მესროლა.

– თავიდან მომწყდი, – ვეუბნები.

– ეს ჩემი ქუჩაა, კლეი.

ძალაუნებურად მუშტს ვკრავ. ქვას დავყურებ და ვგრძნობ, როგორ მეძალება სურვილი, ისევ ავიღო.

მაგრამ ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ მარკუსს ზურგს ვაქცევ და სწრაფი ნაბიჯით ჩავუვლი ტაილერის სახლს. ფანჯარას ზედაც აღარ ვუყურებ. ვცდილობ, არაფერზე ვიფიქრო. ყურსასმენებს ისევ ვიკეთებ, ხელს ჯიბეში ვიყოფ და ჩამრთველ ღილაკს ვაჭერ.

4

გაინტერესებს, იმედი გამიცრუვდა თუ არა, კორტნი?

არა, რადგან შეუძლებელია იმის გაცრუება, რაც არ გქონია.

მიდი, კლეი, იარე, არ გაჩერდე – ვეუბნები ჩემს თავს.

სამაგიეროდ, თავს გამოყენებულად ვგრძნობდი.

თანაც, სანამ თავისი მიზნისთვის მიყენებდა, კორტნი ალბათ ფიქრობდა, რომ თავისი ქცევით ჩემს კეთილგანწყობას დაიბრუნებდა. ყველაფერი კი პირიქით გამოვიდა.

იმ წვეულებაზე ბევრი რამ ვისწავლე. მაგალითად, იმ დღეს პირველად შევესწარი ხელჩართულ ჩხუბს. საშინელება იყო. სწორედ ჩემ ზურგს უკან დაიწყო, თუმცა წარმოდგენა არ მაქვს, რა მიზეზით. ორი ბიჭი აყვირდა და როცა მივბრუნდი, დავინახე, უკვე ერთმანეთს ეჭიმებოდნენ. მათ ირგვლივ მაშინვე ხალხი შეიკრიბა და აქეზებდნენ. ბრბო მტკიცე კედელივით შემოერტყა გარშემო, ცხადი გახდა, რომ სიტუაციის დაწყნარებას არავინ დაუშვებდა. საკმარისი იყო, კიდევ ვინმე ჩარეულიყო ან თუნდაც შემთხვევით შეხებოდა დაპირისპირებულებს...

ასეც მოხდა.

ერთმანეთს ჯერ მკერდით შეეჯახნენ, ხელი ჰკრეს და ბოლოს მუშტებიც დააყარეს.

ორიოდე დარტყმის შემდეგ მათ ზურგი ვაქციე და ხალხში გავძვერი. უკანა რიგებში ფეხის წვერებზე იდგნენ, რომ უკეთ დაენახათ. პირდაპირ გულისამრევი იყო.

სახლში შევვარდი და საპირფარეშოს დავუწყე ძებნა. ფიზიკურად თავს ცუდად არ ვგრძნობდი, მაგრამ ტვინი, სადაც იყო, ამიფეთქდებოდა. ამიტომ ვიფიქრე, რომ გული უნდა ამერია.

რუკას ისევ ვშლი და მომდევნო წითელ ვარსკვლავს ვეძებ. კორტნის სახლთან მისვლას არ ვაპირებ. რა ჯანდაბად მინდა იმ ჩაბნელებული სახლის ყურება? შემდეგი ადგილი უნდა მოვძებნო.

ერთხელ ჯანდაცვის გაკვეთილზე შაკიკის შესახებ გვაჩვენეს დოკუმენტური ფილმი. ერთ-ერთი რესპონდენტი იყო კაცი, რომელიც შაკიკის შეტევისას მუხლებზე ეცემოდა და თავს იატაკს ურახუნებდა. ამგვარი ქმედებით შინაგანი ტკივილი თავის გარეთა ნაწილზე გადაჰქონდა. მეც სწორედ ამის მიღწევას ვცდილობდი გულისრევით.

შემდეგ ვარსკვლავს ვერ ვიპოვი, თუ ლამპიონის ქვეშ არ გავჩერდები. მაგრამ ეს გამორიცხულია, ახლა სიარულს ვერ შევწყვეტ.

იმ ბიჭების ჩხუბი ჩემთვის აუტანელი გამოდგა. მივხვდი, უკან არ დაიხიეს იმიტომ, რომ მათ სიძლიერეში ეჭვი არავის შეეტანა. რეპუტაცია სახეზე წინ დააყენეს. სწორედ ისე, როგორც კორტნიმ თავისი რეპუტაცია – ჩემზე წინ.

ნეტა ერთმა ვინმემ მაინც თუ მიგვიჩნია მეგობრებად? თუ ყველამ კორტნის მორიგ „საქველმოქმედო პროექტად“ აღმიქვა?

ამას ვეღარასდროს გავიგებ.

რუკას ისევ ვკეცავ და იღლიაში ვიჩრი.

საპირფარეშო ვიპოვე, მაგრამ დაკავებული აღმოჩნდა... ამიტომ ისევ გარეთ გავედი. ჩხუბი უკვე დამთავრებულიყო და სიმშვიდე იდგა. სახლში წასვლა დავაპირე.

ვგრძნობ, როგორ იკლებს ტემპერატურა.

ჭიშკრისკენ წავედი... და აბა, თუ მიხვდებით, ვინ დამხვდა იქ?

თვით ტაილერ დოუნი, თავისი ფოტოკამერით.

უკვე დროა, ტაილერს თავი დაანებო, ჰანა.

რომ დამინახა, სახეზე მეტად საცოდავი გამომეტყველება აღებეჭდა. შეეცადა, კამერა დაემალა. უცნაური საქციელი კი იყო... რა ჰქონდა დასამალი? ყველამ იცის, რომ სასკოლო ალბომისთვის იღებს.

– ეგ რისთვის გაქვს, ტაილერ? – ვკითხე მაინც.

– რა? აჰ, ესა? მმ... ალბომისთვის ვიღებ.

ამ დროს უკნიდან ვიღაცამ დამიძახა. არ გეტყვით, ვინ იყო, რადგან ამას მნიშვნელობა არ აქვს. ამ ადამიანის მომდევნო სიტყვები, ისევე, როგორც „ლურჯი ლაქა“, ესეც სხვისი დაუფიქრებლობისა და უგულობის შედეგი იყო.

– კორტნიმ გამომგზავნა, – მითხრა იმ ბიჭმა.

ჰაერს ერთბაშად ვუშვებ ნესტოებიდან. ამის შემდეგ შენს რეპუტაციას ვეღარაფერი უშველის, კორტნი.

უკან მივიხედე.ეზოს ბოლოში თვალი მოვკარი გასაბერ აუზს, რომელიც ყინულებით აევსოთ და სამი ვერცხლისფერი, პატარა კასრი ჩაედგათ. აუზის გვერდით კორტნი იდგა და სამ უცხო ბიჭს ელაპარაკებოდა.

– ამბობს, რომ შენთან დროსტარება საინტერესოა, – მითხრა ბიჭმა და ლუდი მოწრუპა.

ვიფიქრე, ვინაიდან კორტნის საკუთარი იმიჯის გარდა არაფერი აღელვებს, ალბათ ფიქრობს, ამ საყვარელ ბიჭს თუ მომიგზავნის, მის უყურადღებობას დავივიწყებ-მეთქი.

ბიჭი მართლა საყვარელი იყო და გადავწყვიტე, მისთვის უარი არ მეთქვა.

მაგრამ მერე რაღაც ცუდი მოხდა. მოყევი, ჰანა, რა მოხდა?

ცოტა ხანს ვისაუბრეთ და უცებ ამ ბიჭმა გამომიცხადა, უნდა გამოგიტყდე, შენთან კორტნის არ გამოვუგზავნივარ, უბრალოდ, გავიგონე, რომ შენზე ლაპარაკობდა და მოგძებნეო.

ვკითხე, მაინც რას ამბობდა-მეთქი, მაგრამ მან მხოლოდ გაიღიმა და თვალები დახარა.

კატეგორიულად მოვთხოვე, კორტნის ნათქვამი გაემეორებინა.

– ამბობდა, რომ შენთან გართობა საინტერესოა, – თქვა მან ისევ.

– „საინტერესოში“ რა იგულისხმა? – ვკითხე ბიჭს დაეჭვებით.

მან მხრები აიჩეჩა.

– მითხარი, რა იგულისხმა.

აბა, ყველანი მზად ხართ? თურმე ჩვენმა ძვირფასმა პატარა ქალბატონმა ყველას გასაგონად განაცხადა, რომ კომოდში საინტერესო რამერუმეებს ვინახავ.

სუნთქვა მეკვრის, თითქოს მუცელში მუშტი ჩამცხეს.

ეს რა მოუგონია!

ტირილამდე ცოტაღა მაკლდა.

– და რას ინახავსო, არ უთქვამს?

ბიჭმა ისევ ღიმილით მიპასუხა.

სახე ამიხურდა, ხელები ამიცახცახდა და ვკითხე, რატომ დაუჯერე-მეთქი.

მითხრა, დაწყნარდი, ამას მნიშვნელობა არ აქვსო.

– კი აქვს! აქვს მნიშვნელობა! – ამ სიტყვებით ბიჭს გავშორდი და გასაბერი აუზისკენ გავეშურე, მაგრამ უცებ უკეთესი აზრი მომივიდა, უკან დავბრუნდი და ტაილერთან

მივირბინე.

– სურათი თუ გინდა, გამომყევი, – მკლავში ხელი ჩავავლე და ეზოს ბოლოსკენ გავიყოლე.

აი, თურმე სად გადაიღეს ის სურათი, „შთაბეჭდილებების წიგნში“ რომ ვიპოვე.

ტაილერს ეგონა, მინდოდა აუზი გადაეღო, და მთელი გზა მეურჩებოდა:

– მაგას არ გამოაქვეყნებენ. ხომ იცი, არასრულწლოვნები, დალევა...

მართალია. ვის რად უნდა ალბომი, რომელიც მოსწავლეების რეალურ ცხოვრებას ასახავს?

– არა, – ვუთხარი ტაილერს, – მინდა, მე და კორტნის გადაგვიღო.

შემიძლია დავიფიცო, რომ ოფლისგან შუბლი აუპრიალდა. აბა როგორ? ისევ ჩემთვის და ჩემი „მასაჟის გოგოსთვის“ უნდა გადაეღო.

ვკითხე, ხომ კარგად ხარ-მეთქი.

– არა... კი... რა თქმა უნდა, კარგად... – სიტყვასიტყვით ასე მიპასუხა.

იმ სურათზე ჰანას ხელი კორტნისთვის აქვს შემოხვეული და იცინის. კორტნი კი შეშფოთებული ჩანს.

ახლა უკვე ვიცი, რატომაც შფოთავდა.

რომ მივედით, კორტნი ჭიქას ივსებდა. ტაილერს ვუთხარი, დამიცადე-მეთქი.

– კარგად ერთობი? – მკითხა კორტნიმ.

– ჩვენთვის სურათის გადაღება უნდათ.

ხელი ჩავჭიდე და ტაილერისკენ წავიყვანე. მანამდე კი ვთხოვე, ჭიქა დაეტოვებინა, რომ ცენზურაში არ მოვყოლილიყავით.

გასაგებია. ის ფოტო ტაილერმა ჩადო „შთაბეჭდილებების წიგნში“. უნდოდა, ყველას გვენახა.

ასეთ რამეს არ ელოდა. მან მხოლოდ იმისთვის დამპატიჟა, რომ „კარგი გოგოს“ რეპუტაცია აღედგინა. სურათი კი, რომელიც ერთმანეთთან სამუდამოდ დაგვაკავშირებდა, მის გეგმებში არ შედიოდა.

– მოიცა... არ მინდა, – თქვა მან და სცადა, ხელი გაეთავისუფლებინა.

მივუბრუნდი და თვალებში ჩავხედე.

– რატომ, კორტნი? რისთვის დამპატიჟე აქ? არ მითხრა, რომ, უბრალოდ, მძღოლი გჭირდებოდა. ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?!

„შთაბეჭდილებების წიგნში“ იმიტომ ჩადო, რომ სასკოლო ალბომში ვერ ვნახავდით.

ტაილერი არ დაუშვებდა ამ ფოტოს გამოქვეყნებას მას მერე, რაც მისი მნიშვნელობა შეიტყო.

– კი, მეგობრები ვართ, – ამოიბურტყუნა მან.

– მაშინ დადგი ეგ ჭიქა და სურათი გადავიღოთ.

ტაილერმა კამერა მოიმარჯვა, ფოკუსი გაასწორა და ჩვენს პოზირებას დაუწყო ცდა. კორტნიმ სასმელი გვერდით გადადო, ამასობაში მე წელზე ხელი შემოვხვიე და ვუთხარი:

– ჩემი კომოდიდან რამე თუ მოგინდეს, მითხარი და აუცილებლად გათხოვებ.

– მზად ხართ? – დაგვიძახა ტაილერმა.

წინ გადავიხარე და ისე გავიცინე, თითქოს ის-ის იყო, ანეკდოტი მიამბეს. „ჩხაკ“. მერე განვაცხადე, სულელური წვეულებაა და მივდივარ-მეთქი.

კორტნი შემეხვეწა, ნუ სულელობ, დარჩიო. ალბათ მართლაც ეგოისტურად ვიქცეოდი. კორტნის ჯერ წასვლა არ უნდოდა, არადა, როგორ დაბრუნდებოდა სახლში მძღოლის გარეშე?

– ვინმე სხვა წაგიყვანს, – ვუთხარი და წვეულება დავტოვე.

ტირილი მინდოდა იმის გამო, რომ კორტნიმ ასე გაამართლა ჩემი ცუდი მოლოდინი. მაგრამ ავხარხარდი და ხეებს შევძახე, ეს რა ხდება-მეთქი.

უცებ ჩემი სახელი გავიგონე, ვიღაც მეძახდა.

– რა გინდა, ტაილერ?

– მართლა სულელური წვეულებაა.

– არა, არ არის სულელური... და რატომ მომყვები?

ტაილერმა კამერას დახედა, ხელით ლინზას ატრიალებდა. იქნებ სახლში წამიყვანოო, მთხოვა ბოლოს.

აქთავი ვერ შევიკავე და კიდევ ერთხელ გიჟივით გავიცინე. რაც ტაილერმა მითხრა, იმაზეც მეცინებოდა, მაგრამ ის საღამო მთელი თავისი აბსურდულობით მართლა სასაცილო იყო. ნეტა რა ეგონა ტაილერს? რომ მისი ღამეული თავგადასავლების და ვუაიერისტობის შესახებ არაფერი ვიცოდი? იმედი ჰქონდა, რომ არ ვიცოდი? ჰო, თუ არ მეცოდინებოდა, დამეგობრებაც შეგვეძლო.

– კარგი, წაგიყვან, – ვუთხარი ბოლოს, – ოღონდ არსად არ გავჩერდებით.

გზად რამდენჯერმე სცადა ჩემთან გამოლაპარაკება, მაგრამ ყოველ ჯერზე გავაწყვეტინე. არ ვაპირებდი თავის მოჩვენებას, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო.

ბოლოს და ბოლოს, ჩავიდა, მე კი სახლისკენ გრძელი გზით წავედი.

მგონი, მეც ასე მოვიქცევი.

ისეთი გზებით ვიარე, მანამდე რომ არასდროს ვყოფილვარ. ჩემთვის სრულიად ახალი უბნებიც აღმოვაჩინე. ბოლოს კი მივხვდი, რომ ამ ქალაქს ვეღარ ვიტანდი.

მეც იმავეს ვგრძნობ ახლა, ჰანა.

შეგიძლიათ კასეტა გადააბრუნოთ.

<

# მესამე კასეტა: B მხარე

4

„ვალენტინი ერთ დოლარად“ გახსოვთ?

ალბათ ბევრს არ ესიამოვნა ამის გახსენება.

კარგი გასართობი იყო, არა? კითხვარს ავსებ, კომპიუტერი კი შენს პასუხებს აანალიზებს და სხვის პასუხებთან აჯგუფებს. სულ რაღაც ერთ დოლარად შეგიძლია შენი ერთადერთი და განუმეორებელი სიყვარული იპოვო. ხუთ დოლარს თუ გადაიხდი, მაშინ ხუთ ასეთ სახელს გიბოძებენ. თანაც ფული კარგი მიზნისთვის გროვდება.

ჩირლიდერების ბანაკისთვის.

ჩირლიდერების ბანაკისთვის.

სკოლის რუპორიდან ყოველ დილას ისმოდა: „არ დაგავიწყდეთ, კითხვარების ჩაბარებამდე ოთხი დღე რჩება. ნამდვილი სიყვარულის პოვნამდე ოთხი დღე დარჩა“.

მხიარული და ენერგიული ჩირლიდერები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და გვამცნობდნენ: „მხოლოდ სამი დღე რჩება... მხოლოდ ორი დღე... დღეს ბოლო დღეა!“.

ტაილერის სახლს და მარკუსს რაც უფრო ვშორდები, მით უფრო ვმშვიდდები. დაჭიმული კუნთებიც მიდუნდება.

ყოველი შეხსენების შემდეგ ჩირლიდერების მთელი გუნდი ერთად მღეროდა: „ვალენტინი ერთ დოლარად, ვალენტინი ერთ დოლარად, ვალენტინი ერთ დოლაააარად!“

სიმღერას თან შეძახილები და ყიჟინაც ახლდა. ამ დროს ყოველთვის წარმოვიდგენდი, რომ სამასწავლებლოში დახტოდნენ და თავიანთ პომპონებს იქნევდნენ.

ერთხელ მასწავლებელმა რაღაც დამავალა და სამასწავლებლოში შევიარე. ჩირლიდერები ნამდვილად ასე იქცეოდნენ.

ის კითხვარი მეც შევავსე. კითხვარები და ტესტები ყოველთვის მიყვარდა. თუ ოდესმე ჟურნალით ხელში დაგინახივართ, დარწმუნებულები იყავით, რომ მაკიაჟის შესახებ არ ვკითხულობდი. იმ ჟურნალებშიც ტესტებს ვავსებდი.

იმიტომ, რომ მაკიაჟს არ იკეთებდი, ჰანა. არ გჭირდებოდა.

უნდა ვაღიარო, რომ მაკიაჟისა და ვარცხნილობის შესახებ რამდენიმე რჩევა გამომადგა...

როგორ, ესე იგი, იკეთებდი მაკიაჟს?!

...მაგრამ მთავარი მიზეზი, რისთვისაც ჟურნალში ვიხედებოდი, ტესტები იყო.

ის თუ გახსოვთ, უმაღლესი სკოლის პირველ წელს შესაფერისი პროფესიის შესარჩევი ტესტი რომ შეგვავსებინეს? შედეგები საგნების არჩევაში უნდა დაგვხმარებოდა. იმ ტესტის მიხედვით, ჩემთვის ზედგამოჭრილი ტყისმჭრელის პროფესია იყო. ხოლო თუ ეს არ გამომივიდოდა, მაშინ შემეძლო ასტრონავტობაზე მეფიქრა.

ანუ ან ასტრონავტი უნდა გავმხდარიყავი, ან ტყისმჭრელი... ამ შედეგებზე ერთობ სარკასტული რეაქცია მქონდა.

სხვათა შორის, ტესტმა მეც ტყისმჭრელობა მირჩია. თუმცა სათადარიგო პროფესია რა იყო, არ მახსოვს. ამან საგონებელში ჩამაგდო. ერთ-ერთ კითხვაზე კი ვუპასუხე, ბუნებაში ყოფნა მიყვარს-მეთქი, მაგრამ ეგ ვის არ უყვარს? ხეების მოჭრა მომწონს-მეთქი, ეს კი არ მიგულისხმია.

„ვალენტინის“ კითხვარი ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში საკუთარი თავი – თმისა და თვალების ფერი, სიმაღლე, აღნაგობა და სხვა ფიზიკური მახასიათებლები უნდა აღგეწერა; შემდეგ მუსიკასა და ფილმებში საყვარელი ჟანრები დაგესახელებინა. ბოლოს გეკითხებოდნენ, თავისუფალ დროს რით ერთობიო. ჩამონათვალში სამი ვარიანტი უნდა მოგენიშნა. სასაცილო ჩამონათვალი კი იყო, რადგან სმა და სექსი არ ეწერა, რაც მოსწავლეების უმეტესობისთვის ყველაზე დიდი გასართობია.

პირველ ნაწილში სულ ოცი კითხვა იყო. შემდეგში, ჩემი „ვალენტინების“ სია რომ ვნახე, მივხვდი, რომ კითხვებზე ყველამ გულწრფელად არ უპასუხა.

ტროტუარზე, ერთ-ერთი ლამპიონის ქვეშ, ლითონის მუქმწვანე გრძელი სკამია. ეტყობა, ერთ დროს აქ ავტობუსის გაჩერება იყო, ახლა კი უბრალოდ სკამი შემორჩა. შეგიძლია დაჯდე და დაისვენო. ვჯდები კიდეც.

კითხვარის მეორე ნაწილში წარმოსახვითი შეყვარებული უნდა აღგეწერა. სასურველი სიმაღლე, აღნაგობა... აგრეთვე – ხასიათის თვისებებიც, მაგალითად, მორცხვი გინდოდა ყოფილიყო, თუ პირიქით, თამამი.

სკამი ცივია. წინ ვიხრები და სახეს ხელებში ვრგავ. სახლთან უკვე ახლოს ვარ, მაგრამ შესვლა არ მინდა.

ამ ნაწილის შევსებისას გავიაზრე, რომ კონკრეტულ ადამიანს აღვწერდი.

ეჰ, ჩემს კითხვარს მეტი სერიოზულობით უნდა მოვკიდებოდი.

იმდენად ზუსტად აღვწერე, რომ ვალენტინების ხუთეულში მაინც აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო, მაგრამ ჩირლიდერების მოწოდებებმა ალბათ მასზე არ იმოქმედა – კითხვარი არ შეუვსია და ამიტომაც არ მოხვდა ჩემს სიაში.

მის სახელს არ გიმხელთ. ჯერ არა.

თავშესაქცევად კითხვარი ჰოლდენ კოლფილდის სახელით შევავსე. „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში“ იმ სემესტრის სავალდებულო საკითხავი იყო და პირველი სწორედ ამ წიგნის პერსონაჟი გამახსენდა.

ოჰ, ეს ჰოლდენი. ასეთ დეპრესიულ და მარტოსულ ტიპთან პაემანი ალბათ საშინელება იქნებოდა.

კითხვარები ისტორიის გაკვეთილზე დაგვირიგეს. სულმოუთქმელად შევავსე.

ამიტომაც იყო ჩემს სიაში უცნაური სახელები. ანუ ისეთი ხალხი, ვისაც ჰოლდენ კოლფილდი მოეწონებოდა.

ბატონი პატრიკის იმდღევანდელი გაკვეთილი მისი სხვა გაკვეთილებისგან არაფრით გამოირჩეოდა: „შეეცადეთ, ამოიკითხოთ დაფაზე დაწერილი წინადადებები. გადაწერეთ რვეულში. თუ დრო მოგრჩებათ, გადაშალეთ სახელმძღვანელო და წაიკითხეთ რვიდან ას ოთხმოცდამეთოთხმეტე გვერდის ჩათვლით... არ ჩაგეძინოთ. ნუ ილაპარაკებთ“.

წინასწარ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ეს გოგოები დამირეკავდნენ. მეგონა, ამ კითხვარს ყველა ხუმრობად აღიქვამდა, მაგრამ ასე არ ყოფილა.

გაკვეთილის შემდეგ პირდაპირ სამასწავლებლოსკენ გავეშურე. კართან კითხვარის ჩასაგდები ყუთი დაემაგრებინათ. ფეხსაცმლის მოზრდილი ყუთი წითელი და ვარდისფერი გულებით მოერთოთ დაზედ ჭრილი გაეკეთებინათ. წითელ გულებზე „ვალენტინი ერთ დოლარად!“ ეწერა, ვარდისფერ გულებზე კი დოლარის მწვანე სიმბოლო იყო გამოსახული.

ჩემი კითხვარი ორად გავკეცე და ყუთში ჩავაგდე. წასვლას ვაპირებდი, მაგრამ იქვე მდგარმა მუდამ მოღიმარმა ქალბატონმა ბენსონმა შემაჩერა.

– გამარჯობა, ჰანა. არ ვიცოდი, შენ და კორტნი კრიმსენი თუ მეგობრობდით.

ეტყობა ჩემმა სახემ ზუსტად „თქვა“, რაც გავიფიქრე, რადგან ქალბატონმა ბენსონმა მაშინვე უკან დაიხია:

– ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. მგონი, მეგობრები ხართ, არა?

ამ ქალს მეტისმეტად უყვარს სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა.

რატომღაც მაშინვე ჩემს ფანჯარასთან ჩასაფრებული ტაილერი გამახსენდა და გულს შემომეყარა, ვაითუ ტაილერმა ის ფოტოები ქალბატონ ბენსონს აჩვენა-მეთქი? მაგრამ ასე არ ყოფილა. ქალბატონმა ბენსონმა მითხრა, ამ დილას კედელზე გაკრული რამდენიმე

საცდელი ფოტო ვნახე და ერთ-ერთი შენი და კორტნის ფოტო იყოო.

სწორედ ის სურათი, რომელიც წვეულებაზე გადავიღეთ და რომელზეც ისეთი სახე მაქვს, ვერავინ იეჭვებს, რომ ეს ჩემი ცხოვრების უბედნიერესი დღე სულაც არაა.

კარგი მსახიობი ყოფილხარ, ჰანა.

– არა, უბრალოდ კარგი ნაცნობები ვართ, – ვუთხარი ქალბატონ ბენსონს.

– ძალიან კარგი ფოტოა, – თქვა მან, მისი მომდევნო სიტყვები კი არასდროს დამავიწყდება, – ალბომის ფოტო კარგი იმით არის, რომ ვინც კი ნახავს, ყველა შენი ცხოვრების თანაზიარი ხდება.

მსგავსი რამ ალბათ იქამდეც ათასჯერ ჰქონდა ნათქვამი. ცოტა ადრე რომ ეთქვა, ალბათ დავეთანხმებოდი კიდეც, მაგრამ იმ ფოტოზე ეს გამორიცხული იყო. ნამდვილად ვერავინ გაიზიარებდა იმ წუთებს. ვერავინ წარმოიდგენდა, რა აზრები მიტრიალებდა თავში ფოტოს გადაღების წამს. ვერც კორტნის ან ტაილერის აზრებს წარმოიდგენდნენ.

ის ფოტო ერთი დიდი სიყალბე იყო.

სწორედ იმწუთას გავაცნობიერე, რომ ჩემს ნამდვილ ცხოვრებას არავინ იცნობდა და ამის გააზრებამ ლამის მთელი მსოფლმხედველობა ამომიტრიალა.

ეს იმას ჰგავდა, მანქანით ოღროჩოღრო, ორმოებიან გზაზე რომ მიდიხარ და საჭე გაგექცევა, გზიდან გადაგიყვანს. ბორბლები ტალახში ეფლობა, მაგრამ ახერხებ და მთავარ გზაზე ბრუნდები. თუმცა, შემდეგ რა მტკიცედაც უნდა გეჭიროს საჭე და როგორც უნდა ცდილობდე პირდაპირ სიარულს, რაღაც ძალა მაინც გვერდზე გაგდებს. სიტუაციას ვეღარ აკონტროლებ, ბოლოს და ბოლოს, იღლები და ნებდები. ეგუები, რომ რაღაც გარდაუვალია... ტრაგედია, უბედურება...

ხელებს თავზე ვიჭერ და საფეთქლებს ვაწვები.

დარწმუნებული ვარ, ფოტოზე კორტნი სასიამოვნოდ იღიმის. ყალბად, მაგრამ ლამაზად.

არ იღიმის. მაგრამ შენ ეს არ გინახავს.

კორტნის ეგონა, საითაც მოისურვებდა, იქით წამათრევდა, მაგრამ ხელიდან დავუსხლტი და გზაზე დავბრუნდი. ცოტა ხნით მაინც.

ეს კითხვარი კი შეიძლებოდა ახალი შესაძლებლობა აღმოჩენილიყო გზიდან ჩემს გადასათრევად? იმ ბიჭებს, რომელთა სიაშიც აღმოვჩნდებოდი, ჩემი სადმე დაპატიჟება რომ მოენდომებინათ, რას იფიქრებდნენ ჩემზე გავრცელებულ ჭორებზე?

ყუთს დავხედე. მეტისმეტად პატარა ჭრილი ჰქონდა, მაგრამ თავი ეხსნებოდა და

კითხვარის ამოღება სულაც არ იქნებოდა რთული. ქალბატონი ბენსონი თუ რამეს მკითხავდა, დავიმორცხვებდი, სასიყვარულო კითხვარის გამო თავი უხერხულად ვიგრძენი-მეთქი. გამიგებდა.

ან შემეძლო, კითხვარი ყუთში დამეტოვებინა და მოვლენების განვითარებას დავლოდებოდი.

ჭკუა არ მეყო, ჩემს კითხვარში ჰანა აღმეწერა. იქნებ მაშინ მაინც გველაპარაკა. ბოლოს და ბოლოს, შევძლებდი სერიოზულად დალაპარაკებას. ისე კი არა, კინოთეატრში მუშაობისას რომ ვბოდიალობდი.

მაგრამ ეს აზრადაც არ მომსვლია.

არ ვიცოდი, რას მოიმოქმედებდნენ დანარჩენები თავიანთი სიების მიღების შემდეგ – ხუმრობად მიიღებდნენ, როგორც მე მოველოდი, თუ სერიოზულად განიხილავდნენ?

ნეტა მე რას ვიზამდი, ჩემს სიაში ჰანას სახელი რომ მენახა? დავურეკავდი?

სკამის ცივ საზურგეს ვეყრდნობი და თავს უკან ვაგდებ. იმდენად უკან, რომ მგონია, სადაცაა, კისრის მალები დამემტვრევა.

„განსაკუთრებულად ცუდი მაინც არაფერი მოხდება, ეს კითხვარი უბრალო ხუმრობაა, სიას არავინ გამოიყენებს. დაწყნარდი, ჰანა, ამდენს ნუ ღელავ“, – თავს ვიმშვიდებდი.

თუ ჩემი შიში მაინც გამართლდებოდა და ვიღაცები შეეცდებოდნენ, უშუალოდ დაედგინათ ჭორების ტყუილ-მართალი, მაშინ... მაშინ არ ვიცი. ალბათ, შევეცდებოდი, არ მიმექცია ყურადღება. მეორე მხრივ, არც ის იყო გამორიცხული, რომ პირიქით, ბრაზისგან თავზე ხელი ამეღო.

განვიხილავდი მესამე ვარიანტსაც: ყველაფერი თავის ნებაზე მიმეშვა და დავნებებოდი.

ყველაფერზე ხელის ჩაქნევა და დანებება, როგორც გამოსავალი, მომეწონა კიდეც.

ქეითის გამოსამშვიდობებელი წვეულების შემდეგ ჰანა თავიდან ვერ ამოვიგდე. ვაკვირდებოდი, როგორ გამოიყურებოდა, როგორ იქცეოდა. მართალია, მისი გარეგნობა თუ ქცევა არასდროს ემთხვეოდა იმას, რაც მის შესახებ მესმოდა, მაგრამ მაინც მეშინოდა, რომ თუ სადმე დავპატიჟებდი, დამცინებდა.

მეტისმეტად გაუბედავი ვიყავი.

ორი გზა მქონდა: ან პესიმისტურად მოვქცეულიყავი და კითხვარი უკან წამეღო, ან – ოპტიმისტურად და იქვე დამეტოვებინა.კითხვარი არ წამომიღია, მაგრამ არ ვიცი, ეს პესიმისტური საქციელი იყო თუ ოპტიმისტური.

არც ერთი და არც მეორე. უბრალოდ, სულელი ვიყავი.

თვალებს ვხუჭავ. ირგვლივ ცივი ჰაერი ტრიალებს.

შარშანდელ ზაფხულს ვიხსენებ. კინოთეატრში სამსახურისთვის განაცხადის შესატანად რომ მივედი, ყალბად გავიოცე, როცა „შევიტყვე“, რომ ჰანაც იქ მუშაობდა. სინამდვილეში კი იქ მუშაობა სწორედ ჰანას გამო მინდოდა.

– და აი, ეს დღეც დადგა! – მხიარულად გვამცნო ჩირლიდერმა, – თქვენი ვალენტინების მისაღებად სამასწავლებლოში უნდა მობრძანდეთ. გელით!

მუშაობის დაწყების პირველსავე დღეს ჰანასთან ერთად დამაყენეს მისაღებში. მან მასწავლა, როგორ უნდა ჩამემატებინა კარაქი პოპკორნში.

მითხრა, თუ ისეთ ვინმეს მოემსახურები, ვინც მოგწონს, კარაქი კოლოფის ზედა ნაწილში დაუდე, ამგვარად, მალე გაუთავდება და შუა ფილმის დროს ისევ მოვა. ამ დროს კი რიგი აღარ იქნება და თავისუფლად შეძლებ მასთან გასაუბრებასო.

ეს მეთოდი არასდროს გამომიყენებია. მე ჰანა მომწონდა და არა სხვა ვინმე. გულს მიკლავდა იმაზე ფიქრი, რომ ჰანა ამ მეთოდს სხვა ბიჭებზე სცდიდა.

ვერ გადამეწყვიტა, მინდოდა თუ არა ჩემი „ვალენტინების“ გაგება. ვფიქრობდი, ჩემი ბედის ამბავი რომ ვიცი, კომპიუტერი კოლეგა ტყისმჭრელთან დამაწყვილებდა-მეთქი. მაინც მივედი და გამიკვირდა, რომ ვერანაირი რიგი ვერ დავინახე.

დახლთან მივედი და ჩემი სახელის თქმა დავაპირე, მაგრამ კომპიუტერთან მიმჯდარმა ჩირლიდერმა არ დამაცადა:

– მადლობას გიხდით ჩირლიდერებისთვის აღმოჩენილი მხარდაჭერისთვის, ჰანა, – მითხრა ღიმილით, – სულელურად კი ჟღერს, მაგრამ მევალება, მადლობა ყველას გადავუხადო.

ალბათ მეც ამავე ჩირლიდერმა მომცა ჩემი სია.

ჩირლიდერმა ჩემი სახელი კომპიუტერში შეიყვანა და მკითხა, რამდენი სახელი გინდა, ერთი თუ ხუთიო. დახლზე ხუთდოლარიანი დავდე, მან კლავიატურაზე 5-ს დააჭირა და პრინტერიდან ჩემი სია ამოიბეჭდა.

ჩირლიდერმა მითხრა, პრინტერი თქვენს მხარეს სპეციალურად დავდეთ, რომ ჩვენ სახელები ვერ წავიკითხოთ და თავი უხერხულად არ იგრძნოთო.

ვუპასუხე, ნამდვილად კარგად მოგისაზრებიათ-მეთქი და ჩემს სიას ჩავხედე.

– აბა, ვინ არის სიაში? – მკითხა მან.

აშკარად იგივე ჩირლიდერია.

ხუმრობით, რა თქმა უნდა.

არა, არ ხუმრობდა.

ნახევრად ხუმრობით. სია დახლზე დავდე, რომ მასაც წაეკითხა.

– ცუდი არ არის, – შეაფასა მან, – მე მომწონს.

დავეთანხმე, ცუდი სია არ არის, მაგრამ არც გადასარევია-მეთქი.

მან მხრები აიჩეჩა.

შემდეგ საიდუმლოდ გამანდო, რომ კითხვარების დაჯგუფების პრინციპი მთლად მეცნიერული არ იყო.

დეპრესიული ჰოლდენ კოლფილდის პოვნის მსურველებს კი ნამდვილად გამოადგათ. ამ საკითხში კითხვარი ნობელის პრემიას იმსახურებდა.

ორივენი შევთანხმდით, რომ სიიდან ორი ადამიანი სწორედ ჩემი შესაფერისი იყო. კიდევ ერთი სახელი იყო, რომელმაც მე გამახარა, მას კი საპირისპირო რეაქცია ჰქონდა.

– არა, – თქვა მან, სახიდან ღიმილიც გაუქრა და სხეულიც დაეძაბა, – დამიჯერე, ეს არა.

ეს ბიჭიც მოხვდა შენს ჩანაწერებში, ჰანა? მასზე უნდა მოგვიყვე? არა მგონია, მთავარი გმირი აქ ჩირლიდერი იყოს.

– რატომ, კარგი ბიჭია, – ვუთხარი მე.

– გარეგნულად კი.

მან უჯრიდან ხუთდოლარიანების დასტა ამოიღო, ზედ ჩემი მიცემული კუპიურაც დაადო და დანარჩენების სწორებას მოჰყვა.

იმ ბიჭზე აღარ ჩავძიებივარ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ეს შეცდომა იყო. დაელოდეთ ჩემს ჩანაწერებში მის გამოჩენას.

ამაზე გამახსენდა, რომ ამ ნაწილის მთავარი გმირი ჯერაც არ მიხსენებია. ახლა კი სწორედ კარგი დროა, რომ მისი სახელი გითხრათ, რადგან ზუსტად იმწამს გამოჩნდა.

ეს მე არ ვყოფილვარ.

უცებ ტელეფონი აწკრიალდა. ჩირლიდერს გავხედე, მაგრამ მან თავი გააქნია. ზურგჩანთა დახლზე დავდე, ტელეფონი ამოვიღე და ვუპასუხე.

– ჰანა, გამიხარდა შენი ხმის გაგონება, – მითხრა ვიღაცამ.

ჩირლიდერს გავხედე და მხრები ავიჩეჩე.

– რომელი ხარ?

– აბა, გამოიცანი, საიდან მაქვს შენი ნომერი, – მითხრა იმ ბიჭმა.

– გამოცანები არ მიყვარს.

– კარგი, მაშინ გეტყვი, რომ ამისთვის გადავიხადე.

– ჩემს ნომერში ფული გადაიხადე?

ჩირლიდერმა პირზე ხელი იტაცა და „ვალენტინების“ სიაზე მიმითითა.

ესე იგი, ჩემი სახელი ამ ბიჭის სიაში მოხვდა, მან კი დამირეკა? რა ამაღელვებელია! მაგრამ უცნაურიც!

ჩირლიდერმა სიაში იმ ორ ბიჭზე მიმითითა, რომელიც ორივეს მოგვწონდა. უარის ნიშნად თავი გავაქნიე. რომელიმე მათგანი რომ ყოფილიყო, ხმით ვიცნობდი. არც მესამე იყო, ჩირლიდერის მიერ დაწუნებული.

დარჩენილი ორი სახელი ხმამაღლა წავიკითხე.

– როგორც ჩანს, შენ მოხვდი ჩემს სიაში, მე კი შენსაში – ვერა, – მიპასუხა ტელეფონში.

არა, შენც მოხვდი ჰანას სიაში. ოღონდ სხვა სიაში. და დარწმუნებული ვარ, აქ ყოფნა სულაც არ მოგწონს.

ვკითხე, მერამდენე ვარ-მეთქი.

თავიდან ისევ მითხრა, გამოიცანიო, მაგრამსწრაფადვე დააყოლა, ვხუმრობო.

– ჰმ, ესე იგი... სიაში პირველი ხარ, ჰანა.

პირველი – უხმოდ, ტუჩების მოძრაობით გავიმეორე და ჩირლიდერი აღელვებისგან ახტა.

– რა მაგარია, – დაიჩურჩულა მან.

ბიჭმა მკითხა, ვალენტინობაზე რას აკეთებო.

– გააჩნია, ვინ ხარ.

არ უპასუხია. საჭიროც აღარ იყო, რადგან ამ დროს დავინახე კიდეც – კაბინეტის ფანჯარასთან მარკუს ქული იდგა.

სალამი, მარკუს.

მარკუსი. კბილებს ვაკრაჭუნებ. უნდა მესროლა ის ქვა.

მარკუსი, როგორც მოგეხსენებათ, სკოლაში ერთ-ერთი ყველაზე უდარდელი ტიპია. კარგი გაგებით უდარდელი, არა – ზარმაცი.

მე მგონი, „კარგ გაგებაზე“ აზრს მალე შევიცვლით.

დიდი ხუმარა ვინმეა. მოსაწყენ გაკვეთილებზე არაერთხელ გავუხალისებივართ თავისი მოსწრებული ხუმრობით. ამიტომ მისი სიტყვების ასე უბრალოდ მიღებას არ ვაპირებდი.

მიუხედავად იმისა, რომ იქვე, ფანჯარასთან იდგა, მასთან ტელეფონით საუბარი გავაგრძელე.

– არ მჯერა, რომ შენს სიაში ვარ.

მარკუსი, როგორც სჩვევია, სულელურად გაიღრიჭა, მაგრამ იმწუთას სექსუალურად მეჩვენა ეს ღიმილი.

– რატომ არ გჯერა? გგონია, სერიოზული არასდროს ვარ? – მკითხა და სია ფანჯრის მინას ააკრა.

საკმაოდ შორს ვიდექი და ვერ წავიკითხე, მაგრამ დავასკვენი, სიმართლე რომ არ იყოს, ასე არ მოიქცეოდა-მეთქი. ამის მიუხედავად მეგონა, რომ ვალენტინობას შეხვედრის თაობაზე იხუმრა, და გადავწყვიტე, არაფერი დაშავდება, თავს ცოტა უხერხულად თუ ვაგრძნობინებ-მეთქი, ამიტომ ვუთხარი:

– კარგი. როდის შევხვდეთ?

ჩირლიდერმა სახეზე ხელები აიფარა, მაგრამ მაინც მოვასწარი დამენახა, როგორ გაწითლდა.

მისი სახით მსმენელი რომ არ მყოლოდა, ალბათ მარკუსს ასე ადვილად არ დავთანხმდებოდი. მაგრამ ამას მისთვის უფრო ვაკეთებდი, მინდოდა, ვარჯიშზე სატრაბახო თემა ჰქონოდა.

მარკუსიც გაწითლდა.

– აა... მმ... ისა... კარგი, „როუზისთან“ ხომ არ წავიდეთ? ნაყინზე დაგპატიჟებ.

ე5. ავტობუსში რომ რუკას ვათვალიერებდი, მაშინ დავინახე, მაგრამ მაშინ კარგად ვერ მივხვდი, რა იყო მონიშნული. „როუზის სასადილო“ – უგემრიელეს ნაყინს და მშვენიერ ჰამბურგერებს ყიდიან. ქალაქში საუკეთესოა.

– ნაყინზე? – უნებურად სარკასტულად გამომივიდა, გულის სიღრმეში კი პირიქით, მესიამოვნა, რომ სწორედ ნაყინზე დამპატიჟა. შევთანხმდით, რომ სკოლის შემდეგ როუზისთან შევხვდებოდით, და საუბარიც დავასრულეთ.

ჩირლიდერმა ხელები დახლზე დაარტყა და მითხრა:

– ჰანა, გთხოვ, სხვებსაც მოვუყვები, რა. ასეთი ამბის ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

ყოველი შემთხვევისთვის ვთხოვე, რომ ერთი დღე მოეცადა.

დამთანხმდა, ოღონდ იმ პირობით, რომ შეხვედრის შემდეგ ყველაფერს დაწვრილებით ვუამბობდი.

შესაძლოა, ზოგიერთი თქვენგანი იცნობს კიდეც იმ ჩირლიდერს, მაგრამ მის სახელს არ გეტყვით. არანაირი მიზეზი არ მაქვს, მის გულწრფელობასა და კეთილ სურვილებში ეჭვი შევიტანო.

ჩემს სიტყვებში დაფარული აზრის საძიებლად ნუ გაირჯებით.

აქამდეც ვფიქრობდი, რომ ჩირლიდერის ვინაობა გამოვიცანი, მაგრამ ახლა, იმ დღეს რომ ვიხსენებ, როცა ჰანას ამბავი გავიგეთ, ვრწმუნდები, რომ ეს ჯენი კურცია. მახსოვს, ბიოლოგიის გაკვეთილზე ვიყავით. მე უკვე ვიცოდი, რომ ჰანამ თავი მოიკლა. ჯენის ხელში სკალპელი ეჭირა, მის წინ კი ორად გაჭრილი ჭიაყელა იდო. სწორედ მაშინ გაიგო. სკალპელი დადო და გაშტერდა, ენა ჩაუვარდა. შემდეგ ადგა და უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან.

მისმა რეაქციამ დამაბნია, მთელ დღეს თვალებს ვაცეცებდი და ჯენის ვეძებდი. ცხადია, მისი და ჰანას შემთხვევითი კონტაქტის შესახებ არაფერი ვიცოდი.

რაც „როუზისთან“ მოხდა, მისთვის არ მომიყოლია. დიდხანს ვემალებოდი კიდეც. მიზეზს მალე შეიტყობთ.

თუმცა ისიც ცხადია, რომ გამუდმებით ვერ დავემალებოდი. ამიტომაც, ამ ჩანაწერებში მას ისევ შეხვდებით... და მისი სახელის ხსენებაც მომიწევს.

ვკანკალებ, მაგრამ ამის მიზეზი მხოლოდ სიცივე არ არის. რაც უფრო მეტს ვუსმენ ამ ჩანაწერებს, მით უფრო მეტ ადამიანზე მეცვლება აზრი და ჩემი სამყარო თავდაყირა დგება.

ბიოლოგიის გაკვეთილზე ჯენის რომ ვუყურებდი, მეტირებოდა. ჯენისა და ბატონი პორტერის რეაქცია საკუთარ გრძნობებს მახსენებდა. როცა ჰანას თვითმკვლელობის შესახებ შევიტყვე, ვიტირე.

ახლა კი აღმოჩნდა, რომ თურმე მათზე უნდა გავბრაზებულიყავი.

თუ გინდათ, რომ უკეთ ჩასწვდეთ, რა გამოვცადე, „როუზისთან“ წადით.

ღმერთო, რა საშინელებაა. აღარ ვიცი, რისი მჯეროდეს. აღარაფერი მესმის.

რუკაზე ე5 მოძებნეთ. იქ რომ მიხვალთ, დახლის წინ რომელიმე სკამზე ჩამოჯექით. იმასაც გეტყვით, შემდეგ რა უნდა ქნათ, მაგრამ მოგვიანებით, მანამდე კი იმას გიამბობთ, რა დამოკიდებულება მქონდა „როუზისთან“.

იმ დღემდე „როუზისთან“ არასდროს ვყოფილვარ. ვიცი, ეს უცნაურად გეჩვენებათ. „როუზი“ ხომ ყველასთვის საყვარელი, მოდური და ექსცენტრული სასადილოა, თუმცა, რამდენადაც ვიცი, იქ მარტო არავინ დადიოდა. რამდენჯერმე დამპატიჟეს, მაგრამ ყოველ ჯერზე რაღაც საქმე გამომიჩნდა – ხან სტუმრები მყავდა, ხანაც ბევრი სამეცადინო მქონდა. მოკლედ, ისე მოხდა, რომ ვერც ერთხელ ვერ წავედი.

ჩემსწარმოსახვაში „როუზის“ განსაკუთრებული აურა ჰქონდა. ერთგვარი ენიგმა იყო. თითქოს ყველაფერი საინტერესო იქ ხდებოდა. მაგალითად, ალექს სტენდოლმა ქალაქში

ჩამოსვლის პირველსავე კვირას „როუზის“ შესასვლელთან იჩხუბა. ეს „მონეს ბაღში“ გვიამბო მე და ჯესიკას.

თავის დროზე ამ ჩხუბის ამბავი მეც გავიგე. ალექსს ადვილად ვერ შეაშინებდი და ჩხუბიც კარგი იცოდა. ასე რომ, მისი გაბრაზება არ ღირდა.

ერთ გოგოს კი, რომლის სახელსაც ახლა არ გეტყვით, პაემანზე პირველად „როუზისთან“ შეუყვეს ხელი ლიფის ქვეშ.

კორტნი კრიმსენზეა საუბარი. ეს ისტორია ყველამ იცის. თუმცა კორტნის დამალვა არც უცდია.

ყოველივე ამის გამო, ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ „როუზისთან“ სრული თავისუფლებაა და ყველაფერზე თვალს ხუჭავენ, თუკი ვაფლის ჭიქებს ნაყინით აავსებინებ ან ჰამბურგერისთვის კატლეტს შეაწვევინებ. ასე რომ, იქ წასვლა ძალიანაც მინდოდა, მაგრამ მარტო ხომ ვერ მივიდოდი?!

მარკუს ქულის შემოთავაზება კი მშვენიერი შანსი იყო.

მეორე მხრივ, თავის მოტყუება არ ღირდა – მარკუსს ეჭვის თვალით ვუყურებდი, მასზე მეტად კი იმ ხალხს, ვისთანაც ის მეგობრობდა.

გასაგებია, მაგალითად, ალექს სტენდოლს.

მას შემდეგ, რაც ჩვენს „როცა ვიტყვი ი“ ჯგუფს ჩამოშორდა, ალექსი მარკუსს დაუმეგობრდა. „სექსუალურებისა და მახინჯების“ სიის ამბების მერე ალექსს აღარ ვენდობოდი. ამიტომ, ლოგიკური იყო, არც მისი მეგობარი მიმეჩნია სანდოდ.

მართალი ხარ, ასეც უნდა მოქცეულიყავი.

მაშინ რატომ ვენდე მარკუსს? იმიტომ, რომ მინდოდა, ადამიანებს ჩემ მიმართაც გამოეჩინათ ნდობა, მიუხედავად იმისა, თუ რა ხმები ვრცელდებოდა ჩემზე; მინდოდა, საშუალება მოეცათ, მათთვის ჩემი ნამდვილი „მე“ მეჩვენებინა, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა ჭორებისაგან; მინდოდა, სათვალავში არ ჩაეგდოთ ჩემი ურთიერთობა მათთან, ვინც შესაძლოა, მათ არ მოსწონდათ. ამიტომ მეგონა, რომ მართებული იყო, ადამიანებს ისევე მოვქცეოდი, როგორც საკუთარი თავისთვის ვისურვებდი მათგან.

„როუზისთან“ წავედი და დახლთან ჩამოვჯექი. თუ დამიჯერებთ და თქვენც წახვალთ, გირჩევთ, შესვლისთანავე არ შეუკვეთოთ.

მგონი ტელეფონი მირეკავს.

ცოტა ხანს მოიცადეთ. უბრალოდ, ჩამოჯექით და მოიცადეთ.

დედა მირეკავს.

სიტყვები ყელში მეჩხირება და ხმას ვერ ვიღებ.

– კლეი, საყვარელო, ხომ კარგად ხარ? – ალერსიანი ხმით მეკითხება დედა.

თვალებს ვხუჭავ და ვცდილობ, რაც შეიძლება მშვიდი ხმით ვუპასუხო.

– კი, კარგად ვარ.

– კლეი, უკვე გვიანაა... – სად ხარ ახლა?

– ბოდიში, გაფრთხილება დამავიწყდა.

– არა უშავს, – დარწმუნებული ვარ, ჩემს ხმაში დაძაბულობას ამჩნევს, მაგრამ არაფერს ამბობს, – თუ გინდა, მანქანით მოგაკითხავ.

არა, სახლში ვერ წავალ. ჯერ ვერა. ლამისაა ვუთხრა, უნდა დავრჩე და ტონის დავალების შესრულებაში დავეხმარო-მეთქი. მაგრამ არ ღირს, ეს კასეტა თითქმის დამთავრდა. ამის გარდა კი აქ მხოლოდ ერთი მაქვს.

– დე, შეიძლება რაღაც გთხოვო?

– ...

– ავტოფარეხში რამდენიმე კასეტა დავტოვე...

– ისინი, სკოლის დავალებისთვის რომ გაქვს?

არა, ცუდი აზრია. რომ მოუსმინოს? ხომ შეიძლება დაინტერესდეს? იქნებ სწორედ ის კასეტა შეხვდეს, რომელზეც ჰანა ჩემზე ყვება?

– არაფერი, გადავიფიქრე, მე თვითონ ავიღებ.

– შემიძლია წამოგიღო.

ვდუმვარ. სიტყვები ყელში აღარ მეჩხირება, მაგრამ არ ვიცი, რა ვთქვა.

– მაინც უნდა გამოვიდე, – ამბობს დედა, – პური გაგვითავდა, არადა ხვალისთვის სენდვიჩების გაკეთება მინდა.

ყრუდ ვიცინი. როცა სახლში გვიანობამდე არ ვბრუნდები, ლანჩისთვის სენდვიჩს დედა მიმზადებს ხოლმე. ამაზე სულ ვეჩხუბები, როცა დავბრუნდები, თვითონ მოვიმზადებ-მეთქი, მაგრამ დედას ჩემზე ზრუნვა მოსწონს. ამბობს, იმ დროს მახსენებს, როცა პატარა იყავიო.

– მითხარი, სად ხარ და გამოგივლი, – მეუბნება ისევ.

ლითონის ცივ სკამზე წინ ვიხრები და იმას ვპასუხობ, რაც თავში მომდის.

– „როუზისთან“.

– „როუზის სასადილოში“? დავალებას მანდ აკეთებ?.. მანდ ხომ ხმაურია?

ქუჩაში სრული სიწყნარეა. ირგვლივ არავინაა, ავტომობილებიც კი არ მოძრაობენ.

შეუძლებელია, დედა ვერ მიხვდეს, რომ ვატყუებ.

– როდის გამოხვალ? – სიტყვას ბანზე ვუგდებ.

– ახლავე. კასეტებს ავიღებ და გამოვალ.

– კარგი, დროებით.

ვდგები, „როუზისთან“ უნდა წავიდე.

4

დასხედით და მიაყურადეთ, რაზე საუბრობს ხალხი. ალბათ აინტერესებთ, მარტო რატომ ხართ, არა? მათკენ მოულოდნელად მიიხედეთ. რა ქნეს, შეწყვიტეს საუბარი? აგარიდეს თვალი?

შეიძლება ეს საკუთარი თავის ავადმყოფურ სიბრალულში ჩამომართვათ, მაგრამ, ვაი, რომ სწორედ ასეა. „როუზისთან“ მარტო არასდროს ყოფილხართ, ხომ ასეა?

ნამდვილად არ ვყოფილვარ.

ეს სრულიად განსაკუთრებული გამოცდილებაა. გულის სიღრმეში ყველამ იცით, რომ მარტო სწორედ იმის გამო არ მიდიოდით, რაც ახლახან ვთქვი. თუ მაინც წახვალთ და არაფერს შეუკვეთავთ, ყველა იმავეს იფიქრებს თქვენზე, რასაც მაშინ ჩემზე ფიქრობდნენ. ყველა იფიქრებს, რომ ვიღაცას ელოდებით.

ასე რომ, დარჩითთქვენს ადგილზე და ხშირ-ხშირად ახედეთ კედლის საათს. რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ლოდინი, მით უფრო ნელი მოგეჩვენებათ საათის ისრების მოძრაობა. ამ ფაქტს ვერსად გაექცევით.

ოღონდ დღეს ასე არ მოხდება. მივალ, დავჯდები და საათის შემხედვარეს გული ამიფრიალდება. ისრის ყოველი გატოკება ხომ დედას მოსვლას მოაახლოებს.

ფეხს ვუჩქარებ. გავრბივარ.

თხუთმეტი წუთის მერე შეგიძლიათ მილქშეიქი შეუკვეთოთ. ყველაზე ზანტი ადამიანიც კი ხუთ წუთში მოასწრებდა სკოლიდან „როუზისთან“ მოსვლას.

მაშასადამე, ის, ვისაც თქვენ ელოდით, არ მოდის.

ყოველი შემთხვევისთვის გეტყვით, რომ ბანანისა და არაქისის კარაქის მილქშეიქი ძალიან გემრიელია.

დრო მილქშეიქის სმაში გაიყვანეთ. თუ ამასობაში ნახევარი საათიც გავა, შეგიძლიათ ჭიქაში კოვზი ჩაყოთ და ნარჩენები ამოფხიკოთ. მე სწორედ ასე მოვიქეცი.

მარკუს, შე ნაგავო. რატომ მოექეცი ჰანას ასე? რატომ გადააგდე? მისი დაპატიჟება შენთვის არავის დაუძალებია. ის კითხვარები ჩირლიდერების ბანაკისთვის ფულის

შესაგროვებლად მოიგონეს. არავინ არაფერს გავალდებულებდა.

ვალენტინობას ბიჭს ნახევარ საათს ველოდე. ეს არც ისე ცოტაა, განსაკუთრებით, თუ „როუზის სასადილოში“ ზიხარ მარტოდმარტო. ამ ხნის განმავლობაში თავში ბევრი აზრი მომივიდა. ისიც კი ვიფიქრე, იქნებ მარკუსს დაავიწყდა-მეთქი. არადა, დაპატიჟებისას სერიოზული ჩანდა. ჩირლიდერმაც ხომ დაიჯერა მისი სერიოზულობის!

ისევ მივრბივარ.

„დაწყნარდი, ჰანა, — თავს ვიმშვიდებდი, — წინასწარვე პესიმისტურად ნუ განეწყობი. დაწყნარდი, ჰანა“. ალბათ გეცნოთ შეგონებები. სწორედ ასე დავირწმუნე თავი, კითხვარი ყუთში დამეტოვებინა.

ეს აზრები მიტრიალებდა თავში მთელი ნახევარი საათის განმავლობაში, სანამ მარკუსს ველოდებოდი. ასე რომ, როცა ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა, უკვე ცუდ გუნებაზე ვიყავი.

სირბილს ვანელებ, თუმცა ფიზიკურად დაღლილი არ ვარ, არც სუნთქვის უკმარისობას შევუწუხებივარ და არც ფეხების ტკივილს. ჰანას მოსმენამ გამომაცალა არაქათი.

ესე იგი, მარკუსს არ მოუტყუებია. აბა, რა მოხდა?

მარკუსი გვერდით მომიჯდა და დაგვიანებისთვის ბოდიში მომიხადა. ვუთხარი, უკვე წასვლას ვაპირებდი-მეთქი. მან მილქშეიქის გამოცარიელებულ ჭიქას შეხედა და კიდევ ერთხელ მომიბოდიშა. ეტყობოდა, რომ არ ეგონა, აქ თუ დავხვდებოდი.

ამის გამო საყვედურებს არ ვაპირებ. ალბათ ეგონა, რომ ჩვენი შეთანხმება ხუმრობა იყო. სკოლიდან პირდაპირ შინ წავიდა, მაგრამ შუა გზაზე გადაიფიქრა და გადაწყვიტა, ყოველი შემთხვევისთვის მაინც შეევლო „როუზისთან“.

„ყოველი შემთხვევისთვის“ მოხვედი, მარკუს, და ამიტომაც მოხვდი ამ ჩანაწერებში. იმისთვის მოხვედი, რომ ჩემი რეპუტაციის მქონე გოგოსთან შეხვედრის მცირე შანსიც არ გაგეშვა ხელიდან.

მე სულელმა კი შენი „მცირე შანსი“ გავანაღდე.

თითქმის მივედი. „როუზის სასადილო“ ქუჩის გადაღმაა, ავტოსადგომის ბოლოში.

მარკუსი მარტო არ მოსულა, თან გეგმა „ახლდა“. გეგმის განხორციელება კი იმით დაიწყო, რომ დახლიდან კუპეში გადავინაცვლეთ. ისე მოაწყო, რომ მე მასა და კედელს შორის ვყოფილიყავი მოქცეული.

სადგომი თითქმის ცარიელია. მხოლოდ ზუსტად „როუზის“ წინ დგას რამდენიმე მანქანა, მაგრამ დედასი არ ჩანს. ამიტომ ქუჩის გადაჭრას არ ვჩქარობ.

თუ ახლა „როუზისთან“ ხართ, შეგიძლიათ დახლთან დარჩეთ. ასე ნამდვილად უფრო კომფორტულია.

ბორდიურზე ვდგავარ და ღრმად ვსუნთქავ. ქუჩის გადაღმა შუქნიშანზე წითელი ხელი ციმციმებს.

მარკუსს რა და როგორ ჰქონდა დაგეგმილი, ვერ გეტყვით. მაგრამ ალბათ ზუსტად იცოდა, რა უნდოდა. როგორც უკვე ვთქვი, მარკუსი კარგი იუმორით გამოირჩევა. ჰოდა, ვისხედით კუპეში, მთელი დანარჩენი დარბაზისგან თვალმოფარებულნი, და ვიცინოდით. იმდენი სიცილისგან მუცელი ამტკივდა და მარკუსს თავი მხარზე დავადე, გაჩერდი-მეთქი.

ციმციმი თითქოს მაჩქარებს, თავისკენ მიხმობს. არ დამიგვიანია, აი, ქუჩასა და ავტოსადგომს გადავჭრი და სასადილოში შევალ.

მაგრამ ასე არ ვიქცევი.

სწორედ მაშინ დამადე ხელი მუხლზე. მაშინ კი მივხვდი, რაც ხდებოდა.

ხელი აღარ ციმციმებს. ვტრიალდები. ჯერ ვერ შევალ.

სიცილი შევწყვიტე, ლამის სუნთქვაც შევწყვიტე, მაგრამ შენი მხრიდან თავი არ ამიღია. მაინც რა უცებ გაჩნდა შენი ხელი ჩემს მუხლზე. სწორედ ისე, „ლურჯ ლაქაში“ რომ ჩამავლეს.

– რას აკეთებ? – გკითხე ჩურჩულით.

– გინდა, ხელი ავიღო? – მკითხე შენ.

არაფერი მიპასუხია.

მუცელს ხელით ვიჭერ. რა საშინელებაა. პირდაპირ აუტანელია ამის მოსმენა.

სასადილოსთან უნდა დავბრუნდე, სანამ დედა მოსულა.

მაგრამ ჯერ იმ კინოთეატრში შევივლი, სადაც მე და ჰანა ვმუშაობდით – „კრესტმონტში“. იქ ჰანა უსაფრთხოდ იყო.

არც გავწეულვარ.

შენი მხარი თითქოს თავშესაფარი იყო, სანამ სიტუაციაში გავერკვეოდი. თვალს ვერ ვაშორებდი შენს ხელს მუხლზე, თანდათან ზემოთ რომ ამოაცურე.

– ამას რატომ აკეთებ? – გკითხე.

„კრესტმონტი“ სულ რაღაც ერთ კვარტალშია. შეიძლება ჰანას რუკაზე წითელი ვარსკვლავით არ მოუნიშნავს, მაგრამ, ჩემი აზრით, უნდა მოენიშნა.

ჩემთვის ის წითელი ვარსკვლავია.

მხარი შეატოკე და თავი ავიღე, მაგრამ ამჯერად მკლავი შემომხვიე და შენკენ

მიმიზიდე. მეორეხელით ფეხზე მეფერებოდი.

სხვა კუპეებისკენ გავიხედე, მერე – დახლისკენაც. ვცდილობდი, ვინმეს მზერა დამეჭირა. რამდენიმე ადამიანმა შემამჩნია, მაგრამ მაშინვე პირი იბრუნა.

მაგიდის ქვეშ უკვე გებრძოდი, ხელით ვცდილობდი შენს მოგერიებას, თავიდან მოშორებას. დაყვირება არ მინდოდა, რადგან საქმე ჯერ არც ისე ცუდად იყო, მაგრამ თვალებით შველას ვითხოვდი.

ხელებს მუშტად ვკრავ და ჯიბეებში ვიტენი. ძალიან მინდა, კედელს ვურტყა ან მაღაზიის ვიტრინა ჩავამტვრიო. ცოტა ხნის წინ მარკუსისთვის ქვის სროლაც მინდოდა, არადა, აქამდე არასდროს არავისთვის დამირტყამს.

ყურადღება არავინ მომაქცია. არავის უკითხავს, რამე ხომ არ მიჭირდა.

რატომ იქცეოდნენ ასე? ზრდილობის გამო?

ასეა, ზაკ? პირადად შენ ზრდილობის წესებს იცავდი?

ისევ ეს ზაკი. ჯერ იყო და, ჯასტინთან ერთად გაიშხლართა ჰანას გაზონზე. მერე ქეითის წვეულებაზე ჩემსა და ჰანას საუბარში ჩაეჩხირა.

მეზიზღება ეს ყველაფერი. უკვე აღარ მინდა, გავიგო, ვინ რა დააშავა.

– გაჩერდი! შეწყვიტე! გაჩერდი-მეთქი! – ვიცი, რომ მშვენივრად გაიგონე, როცა ეს გითხარი, მარკუს, რადგან შიგ ყურში ჩაგძახე.

კუთხეში ვუხვევ, კიდევ ნახევარ კვარტალს გავდივარ და „კრესტმონტს“ ვუახლოვდები. ჩვენს შტატში შემორჩენილი ბოლო კინოთეატრია არტ-დეკოს სტილში. შესაბამისად, ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაცაა.

– ნუ გეშინია, – მითხარი შენ.

მაგრამ ეტყობა მიხვდი, რომ დრო ცოტაღა იყო, რადგან ხელი უფრო ზემოთ ააცურე და ფეხებშუა შემიყავი.

მაშინ კი ორივე ხელი ერთად გკარი და იატაკზე დაგაგდე.

კუპედან გამოსროლილი კაცის დანახვაზე, ხალხმა, წესით, უნდა გაიცინოს, რადგან ეს მართლაც სასაცილოა. თუმცა, მაშინ არავის გაუცინია. ეს კი ნიშნავს, რომ იცოდნენ, ჩვენს კუპეში ყველაფერი რიგზე რომ ვერ იყო, მაგრამ დასახმარებლად თავი არ შეუწუხებიათ.

დიდი მადლობა ყველას!

შენობას გარედან ზემოთ ტენტი მიუყვება. ორნამენტული სიმბოლო ცისკენ ფარშევანგის ბუმბულივით არის აწვდილი. კრესტმონტი – ნეონის ასოები რიგრიგობით ინთება, თითქოს კროსვორდი ივსებოდეს.

მარკუს, ამის შემდეგ შენ წახვედი, თუმცა არცთუ აჩქარებით. ჯერ ყველას გასაგონად მიწოდე „ძუკნა“ და მხოლოდ შემდეგ დატოვე იქაურობა.

მოდით, ახლა იმ წუთებს დავუბრუნდეთ, დახლთან მარტო რომ ვიჯექი და ვფიქრობდი, მარკუსი არ მოდის, რადგან პატივს არ მცემს და არაფრად მაგდებს-მეთქი. მოგიყვებით, კიდევ რას ვფიქრობდი მაშინ. დამიჯერეთ, ეს საინტერესოა, რადგან მომხდარმა ჩემი შეხედულებები განამტკიცა.

„კრესტმონტისკენ“ გზად ჩავუვლი ჩაბნელებულ ვიტრინებს მაღაზიებისა, რომლებიც ახლა დაკეტილია. შემდეგ ტროტუარზე სამკუთხა პოდიუმი გამოიყოფა. მისი კედლებისა და მარმარილოს იატაკის ფერი ზუსტად შეესაბამება ნეონის ნიშნულს, რომელიც ვესტიბიულისკენ უთითებს. პოდიუმის შუაში სალაროს ჯიხური დგას. ჯიხურს უკან კარი აქვს, დანარჩენ სამ მხარეს კი – ფანჯრები.

ძირითადად ამ ჯიხურში ვმუშაობდი ხოლმე.

ვიხსენებდი, რომ მას შემდეგ, რაც ამ ქალაქში ვცხოვრობ, რაც სკოლაში სიარული დავიწყე, ჩემ მიმართ პატივისცემა არავის გამოუჩენია. რა თქმა უნდა, თუ საკუთარ თავს არ ჩავთვლი.

პირველ კოცნაში მთელი სული და გული ჩავდე... მაგრამ მალევე ამომადინეს ცხვირში.

ორმა ადამიანმა, რომელთაც ვენდობოდი, ზურგი მაქცია.

შემდეგ ერთმა მათგანმა მეორეზე შურის საძიებლად გამომიყენა, მეორემ კი ღალატში დამდო ბრალი.

ხვდებით, რაზე ვლაპარაკობ? მიჰყვებით აზრს?

ეცადეთ, არ ჩამომრჩეთ!

კიდევ ერთმა ადამიანმა უსაფრთხოების გრძნობაც წამართვა, მეორემ კი ეს სიტუაცია საკუთარი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად გამოიყენა.

ჰანა ჩუმდება. როგორც ჩანს, ისვენებს.

მაგრამ მაინც დავირწმუნე თავი, რომ ბუზისგან სპილოს ვქმნიდი. გავაცნობიერე, მეტისმეტად ვუკირკიტებდი წვრილმანებს. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ამ ქალაქში თავს ვერაფერს ვაბამდი. ყოველ ჯერზე, როცა მეგონა, რომ დახმარების ხელს გამომიწვდიდნენ, თითქოს გადაიფიქრესო, ხელს მკრავდნენ და ძირს მაგდებდნენ. მიუხედავად ამისა თავი დავირწმუნე: „ნუ ხარ ასეთი პესიმისტი, ჰანა. გარშემომყოფთა ნდობა ისწავლე“.

ჰოდა, ვენდე. ვენდე მარკუსს.

ახლა დღის ბოლო ფილმი გადის, სალარო უკვე დაკეტილია. მარმარილოს იატაკზე

ვდგავარ, გარშემო ფილმების პოსტერებია.

აქ, ამ კინოთეატრში ჰანასთან დაახლოების შანსი მქონდა. მაგრამ ეს შანსი ხელიდან გავუშვი.

ხოლო შემდეგ... შემდეგ შავ-ბნელი ფიქრები მომეძალა: სულ ასე უნდა გაგრძელდეს? კიდევ რამდენჯერ მომაყენებენ დარტყმას ისინი, ვისაც ვენდობი?

ჰანა, შენ საშინელება ჩაიდინე.

ოდესმე თუ იქნება ჩემი ცხოვრება ისეთი, როგორიც მე მინდა, რომ იყოს?

ამის გაკეთება საჭირო არ იყო, ჰანა. ეს საშინელებაა.

მარკუს, მეორე დღეს გადავწყვიტე, გამეგო, რას იზამდნენ ჩემი თანატოლები, თუ სკოლაში აღარასდროს მივიდოდი.

პლასტმასის ჩარჩოში ჩასმულ პოსტერებს ვეყრდნობი და თვალებს ვხუჭავ.

ეს-ესაა მოვისმინე, როგორ ჩაიქნია ხელი ცხოვრებაზე ადამიანმა, რომელსაც ვიცნობდი და მომწონდა.

მისი სათქმელი მოვისმინე. თუმცა უკვე გვიანია.

<

გული გამალებით მიცემს, ერთ ადგილას გაჩერება აღარ შემიძლია. სალაროსთან მივდივარ. ფანჯარაზე პატარააბრა კიდია და ზედ აწერია: „დაკეტილია“. ჯიხური გარედან არც ისე პატარა ჩანს, მაგრამ შიგნით რომ ვიჯექი, ჩიტის გალიისხელა მეგონა.

ხალხს მხოლოდ მაშინ ვხვდებოდი, როცა ბილეთებს ყიდულობდნენ. ზოგჯერ რომელიმე თანამშრომელიც შემოივლიდა ხოლმე.

თავისუფალ დროს ვკითხულობდი ან ჩემი გალიიდან ვესტიბიულს გავყურებდი. ჰანას ვუყურებდი. ზოგჯერ იმასაც კი ვაკვირდებოდი, პოპკორნის კოლოფის რომელ ნაწილში მოათავსებდა კარაქს. სულელური საქციელია, მაგრამ ასე იყო.

ერთ საღამოს ბრაის უოკერი გამოცხადდა თავის მორიგ შეყვარებულთან ერთად. მომთხოვა, შეყვარებულისთვის თორმეტ წლამდე ბავშვის ბილეთი მომყიდეო.

– ფილმს მაინც არ ნახავს და რა მნიშვნელობა აქვს. ხომ ხვდები, რასაც ვგულისხმობ? – მითხრა და ჩაიცინა.

იმ გოგოს არ ვიცნობდი. სავარაუდოდ, სხვა სკოლაში სწავლობდა. ერთი რამ კი ცხადი იყო, ბრაისის ხუმრობა სასაცილოდ არ მოსჩვენებია. საფულე დახლზე დადო და განაცხადა, ბილეთს მე თვითონ ვიყიდიო.

ბრაისმა საფულე განზე გასწია და ორივე ბილეთის საფასური თვითონ გადაიხადა.

გოგო დაამშვიდა, უბრალოდ, ვიხუმრეო.

ფილმი უკვე დაწყებული იყო, როცა ისევ ის გოგო დავინახე. მორბოდა და მგონი, ტიროდა. ბრაისი არსად ჩანდა. ვესტიბიულს გავხედე, იქნებ გამოჩნდეს-მეთქი, მაგრამ არა, ფილმს ბოლომდე უყურა. აბა, ფული ტყუილად ხომ არ გადაიხადა?!

ფილმის დამთავრების შემდეგ ფოიეში დაეყუდა და ჰანას დაუწყო ტვინის ბურღვა. ჰანა შეკვეთებს იღებდა, კლიენტებს შოკოლადებს აწვდიდა და ხურდას უბრუნებდა, პარალელურად კი ბრაისს ყველა სულელურ ფრაზაზე სიცილით ეხმაურებოდა.

ერთი სული მქონდა, სალარო დამეკეტა, ვესტიბიულში შევსულიყავი და ბრაისისთვის იქაურობის დატოვება მომეთხოვა – მისი კინოსეანსი უკვე დამთავრებული იყო და იქ აღარაფერი ესაქმებოდა.

მაგრამ ეს ჰანას უნდა გაეკეთებინა, ჰანას უნდა ეთქვა, წადიო.

მოგვიანებით, როცა, ბოლოს და ბოლოს, სალარო დავკეტე და ვესტიბიულში გავედი, რომ ჰანას მილაგებაში დავხმარებოდი, ვკითხე:

– როგორ გგონია, რატომ გამოიქცა ის გოგო?

ჰანამ დახლის წმენდა შეწყვიტა და თვალებში შემომხედა.

– ვიცი, ვინც არის ბრაისი. დამიჯერე, კარგად ვიცი, როგორიცაა.

– ჰო, ვიცი, – ძირს დავიხედე და ფეხსაცმლის წვერი ხალიჩაზე ლაქას გავუსვი, – უბრალოდ მაინტერესებდა, რატომ ელაპარაკებოდი.

არაფერი უპასუხია, მაგრამ თავის აწევას ვერ ვბედავდი. არ მინდოდა, მის თვალებში იმედგაცრუება ამომეკითხა. არ მინდოდა, ჩემ მიმართ ასეთი გრძნობა გასჩენოდა.

შემდეგ ჰანამ მითხრა ფრაზა, რომელიც მთელი ღამე თავიდან ვერ ამოვიგდე:

– ჩემთვის თვალყურის დევნება საჭირო არ არის, კლეი.

მაგრამ მე ეს მინდოდა, ჰანა. შენ კი ხელი მკარი, როდესაც შენი დახმარება ვცადე.

მომდევნო ფიქრი ჰანას ხმით ჩამესმის: „კიდევ უნდა გეცადა“.

# მეოთხე კასეტა: A მხარე

„როუზისთან“ ვბრუნდები. შუქნიშანზე წითელი ხელი ქრება, მაგრამ გზაზე მაინც გადავრბივარ. სადგომზე წინანდელზე ნაკლები მანქანა დგას. დედას მანქანა ისევ არ ჩანს.

სირბილით ვცდები „როუზის“ და მერეღა ვჩერდები. ზოომაღაზიის ვიტრინას ვეყუდები და ვცდილობ, სული მოვითქვა. მინდა, დედას მოსვლამდე ცოტა დავწყნარდე, მაგრამ ვერ ვახერხებ. იქვე, ტროტუარზე ვჯდები, ზურგი ცივ მინაზე მაქვს მიყრდნობილი. მთელი ძალით ვცდილობ, ცრემლები შევიკავო.

ახლა ამის დრო არ არის. დედა მალე აქ იქნება.

ღრმად ვსუნთქავ და თავს ვაიძულებ, წამოვდგე, „როუზისთან“ მივიდე და კარი გავაღო.

მაშინვე ვგრძნობ სითბოს და ჰამბურგერისა და შაქრის ერთმანეთში არეულ სუნს. ხუთი კუპედან სამი დაკავებულია. ერთში გოგო და ბიჭი სხედან, „კრესტმონტში“ ნაყიდ პოპკორნს ახრაშუნებენ და მილქშეიქს აყოლებენ. დანარჩენ ორში გულმოდგინედ მეცადინეობენ. მაგიდებზე დახვავებულ სახელმძღვანელოებს შორის ჭიქები და კარტოფილიანი ყუთები ჩაუდგამთ. საბედნიეროდ, ბოლო კუპეც დაკავებულია. რომც მინდოდეს, იქ ვერ დავჯდები.

პინბოლის ერთ-ერთ მაგიდაზე წარწერაა: „არ მუშაობს“. მეორესთან რომელიღაც უფროსკლასელი დგას და თამაშობს.

ჰანას რჩევას მივყვები და დახლთან ვჯდები. იქ ჩემ გარდა არავინაა.

დახლთან თეთრწინსაფრიანი კაცი დგას და ვერცხლის ჭურჭელს ორ დიდ ჯამში ანაწილებს. რომ ვჯდები, თავს მიქნევს, როცა მზად იქნები, შემიკვეთეო.

მენიუს ვიღებ. პირველ გვერდებზე „როუზის“ ისტორიაა მოთხრობილი, თან ბოლო ოთხი ათწლეულის განმავლობაში გადაღებული შავ-თეთრი ფოტოებიც ახლავს. ამ გვერდებს ვტოვებ და ვცდილობ, რამე ავარჩიო, მაგრამ არაფერი მომწონს. ახლა არაფერი მინდა.

ჰანამ თქვა, თხუთმეტი წუთი მოიცადეთო. თხუთმეტი წუთის შემდეგ უნდა შევუკვეთო.

დედამ ალბათ ხმაზე შემატყო, რომ ყველაფერი რიგზე ვერ არის. ნეტა კასეტებს ხომ არ მოუსმენს?

რა იდიოტი ვარ. შემეძლო მეთქვა, მე თვითონ ავიღებ-მეთქი. ახლა კი ლოდინის გარდა აღარაფერი დამრჩენია.

გოგოსთან ერთად რომაა, ის ბიჭი საპირფარეშოს გასაღებს ითხოვს. კაცი კედელზე უთითებს. იქ, საკიდზე, ორი გასაღებია. ერთს ლურჯი პლასტმასის ძაღლი, მეორეს

ვარდისფერი სპილო აქვს მობმული. ბიჭი ლურჯძაღლიან გასაღებს იღებს და მიდის.

კაცი ჭურჭლით დატვირთულ ჯამებს დახლქვეშ ინახავს და რამდენიმე სამარილეს და საპილპილეს თავსახურს ხსნის. მე ყურადღებას არ მაქცევს, რაც მახარებს.

– უკვე შეუკვეთე?

სწრაფად ვტრიალდები. გვერდითა სკამზე დედა ზის, მის წინ, დახლზე კი, ჰანას გზავნილი დევს.

– დარჩები? – ვეკითხები მე.

თუ დარჩება, ალბათ ვილაპარაკებთ. ამის წინააღმდეგი არა ვარ – ცოტა ხნით განტვირთვა არ მაწყენს.

დედა მიღიმის. შემდეგ ხელს მუცელზე იღებს და იშმუშნება.

– მე მგონი, არ ღირს.

– კარგი რა, დე, ხომ იცი, მსუქანი არა ხარ.

დედა კასეტებიან ყუთს ჩემკენ აცურებს.

– შენი მეგობარი სადაა? ხომ ვიღაცასთან ერთად მუშაობ?

ჰო მართლა. სკოლის დავალება.

– გასულია... საპირფარეშოში.

დედა წამით ჩემ მიღმა იყურება. შეიძლება ვცდები, მაგრამ მგონია, ამოწმებს, რამდენი გასაღებია კედელზე.

მადლობა ღმერთს, ერთი აკლია.

– ფული თუ გაქვს? – მეკითხება.

– რისთვის?

– რომ შეუკვეთო, – დედა თითს ჩემს მენიუს ადებს, – რძიანი შოკოლადის მილქშეიქი აიღე, გადასარევი რამეა.

– აქ ყოფილხარ? – ვეკითხები გაოცებული, რადგან სრულწლოვანი „როუზისთან“ არასდროს მინახავს.

დედას ეცინება. ხელს თავზე მადებს და შეჭმუხნილ შუბლს თითებით მისწორებს.

– ასეთი სახე ნუ გაქვს, კლეი. „როუზი“ ძალიან დიდი ხანია, არსებობს. ის მილქშეიქი აუცილებლად უნდა გასინჯო, – ათდოლარიანს ყუთზე დებს და დგება. ამ დროს საპირფარეშოს კარის გაღების ხმა მესმის. თავს ვაბრუნებ, ბიჭი გასაღებს ადგილზე კიდებს, შემდეგ თავის შეყვარებულთან მიდის და დაჯდომამდე შუბლზე ჰკოცნის.

დედა მეძახის.

სანამ თავს მივაბრუნებდე, წამით თვალებს ვხუჭავ და ჩუმად ვოხრავ.

– რა იყო?

– დიდხანს ნუ დარჩები, – დედა ნაძალადევად მიღიმის.

ოთხი კასეტაღა დამრჩა მოსასმენი, სულ შვიდი ისტორია. მაინც მერამდენე ვარ სიაში? მოუთმენლობა მიპყრობს.

დედას თვალებში შევყურებ და ვეუბნები:

– შეიძლება გამიგრძელდეს. ხომ იცი, სკოლისთვის ვმუშაობთ, – ბოლოს თვალებს ვხრი და მზერას მენიუზე ვაჩერებ.

დედა აღარაფერს ამბობს, მაგრამ თვალის კუთხით ვხედავ, რომ ისევ აქ არის. ხელს ზემოთ სწევს. თვალებს ვხუჭავ და ვგრძნობ, როგორ მისვამს ხელს თავზე.

– ფრთხილად იყავი.

მე თავს ვუქნევ და დედა მიდის.

ფეხსაცმლის ყუთს ვხსნი. კასეტები ისევ ისე აწყვია, როგორც დავტოვე.

4

თანასწორთა ურთიერთობები უდავოდ ყველასთვის საყვარელი საგანია. უფრო სწორად, ყველასთვის საყვარელი სავალდებულო საგანი. სავალდებულოც რომ არ იყოს, მაინც ყველა აირჩევდა, რადგან მაღალი ქულების მიღება ძალიან ადვილია.

კი, თან, როგორც წესი, კარგადაც ვერთობით. მე მხოლოდ ამის გამოც ავირჩევდი.

საშინაო დავალებათითქმის არ გვაქვს, დისკუსიებში ჩართულობისთვის კი დამატებით ქულებს გვიწერენ, რაც იმას ნიშნავს, რომ გაკვეთილზე ლაპარაკი და წამოძახილი წახალისებულია. ეს კი, აბა, ვის არ მოეწონება?

ზურგჩანთას იმ სკამზე ვდებ, სადაც ცოტა ხნის წინ დედა იჯდა.

ადამიანებთან კონტაქტის დამყარება სულ უფრო მიჭირდა და თავს ყველაზე კომფორტულად სწორედ თანასწორთა ურთიერთობების გაკვეთილზე ვგრძნობდი. კლასში შესვლისთანავე მინდოდა, ხელები გამეშალა და მეყვირა: „როცა ვიტყვი ი, მაშინ გამოდი!“

იმ სამ კასეტას, რომლებსაც უკვე მოვუსმინე, ყუთში ვაბრუნებ.

ეს გაკვეთილები ჩემთვის იმით იყო გამორჩეული, რომ ვერავინ მეხებოდა, ვერც ცხელ-ცხელ ჭორებზე ხითხითებდნენ, ვინაიდან ქალბატონი ბრედლი მოხითხითეებს არ სწყალობდა.

ჩანთას ვხსნი და ყუთს შიგნით ვდებ.

პირველივე დღეს დაგვიდგინა წესად, ვინც ხითხითს ვერ შეიკავებს, „სნიკერსს“

მოიტანსო. ვისაც განსაკუთრებულად ხმამაღალი ან უხეში ხითხითი გამოუვიდოდა, მას ორი „სნიკერსის“ ყიდვა ევალებოდა.

ჩემ წინ, დახლზე, „უოქმენსა“ და მილქშეიქს შორის დარჩენილი სამი კასეტა დევს.

ამ „ვალის“ გადახდა კამათის საგანი არასდროს გამხდარა. ქალბატონ ბრედლის ყველა პატივს სცემდა. არ მახსოვს, ვინმეს დაეჩივლოს, ტყუილს გვაბრალებსო. თუკი ქალბატონი ბრედლი იტყოდა, დააშავეო, ესე იგი, ასეც იყო და მეორე დღეს მაგიდაზე უსათუოდ დაახვედრებდი „სნიკერსს“.

არ ვიცი, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ვინმე „სნიკერსს“ არ მიიტანდა, რადგან ასეთი რამ არასოდეს მომხდარა.

მომდევნო ორ კასეტას ლურჯი ლაქით 9-10 და 11-12 აწერია. ორივეს ქურთუკის ჯიბეში ვიდებ.

ქალბატონი ბრედლის თქმით, თანასწორთა ურთიერთობები მისი საყვარელი საგანიც იყო. საკუთარ თავს მასწავლებელს კი არა, მოდერატორს უწოდებდა. ყოველ გაკვეთილზე პატარა საკითხავ მასალას გვაძლევდა, სადაც, როგორც წესი, ცხოვრებისეული მაგალითი და სტატისტიკა იყო მოცემული. შემდეგ დისკუსიას ვმართავდით.

ბოლო, მეშვიდე კასეტას ერთ მხარეს 13 აწერია, მეორე მხარეს კი არაფერია. ამას ჯინსის უკანა ჯიბეში ვიდებ.

ათასგვარ თემას განვიხილავდით. მაგალითად, ბულინგს, ნარკოტიკებს, თვითშეფასების პრობლემებს, ურთიერთობებს. ამ საგანს ზოგიერთი მასწავლებელი არ სწყალობდა, გაიძახოდნენ, დროის ფუჭად კარგვააო, ბავშვებს ფაქტები უნდა ვასწავლოთო. მხოლოდ მშრალი ფაქტები აღელვებდათ.

სასადილოში მანქანის შუქი აღწევს. თვალებს ვჭუტავ.

მათთვის მთავარი იყო, გვცოდნოდა, რა დამოკიდებულებაშია ხ „პი“ მუდმივასთან ან როდის მოეწერა ხელი „თავისუფლების დიდ ქარტიას“, ქარტიის რეალურ მნიშვნელობას კი დიდ ყურადღებას არ უთმობდნენ; ასევე უმნიშვნელო იყო, ვისწავლიდით თუ არა ერთმანეთისა და საკუთარი თავის კარგად შეცნობას; არც ის მოსწონდათ, არასასურველი ორსულობისგან თავდაცვის მეთოდებს თუ განვიხილავდით.

საგანი სექსუალური განათლება არაფრად ვარგა.

თანასწორთა ურთიერთობებს სკოლა ყოველწლიურად უმცირებდა ბიუჯეტს და ქალბატონი ბრედლისა და მის რამდენიმე სხვა კოლეგას ყოველ წელს უწევდათ სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე რამდენიმე მოსწავლის წარდგენა, რომლებიც თავიანთ

მაგალითზე ხსნიდნენ, რა სარგებლობა მიიღეს ამ საგნიდან.

ქალბატონი ბრედლის დაცვა დაუსრულებლად შემიძლია გავაგრძელო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პრობლემები მის საგანზეც შემექმნა. სხვა შემთხვევაში, ამას ამ ჩანაწერებში არ ვახსენებდი.

იმედი მაქვს, თანასწორთა ურთიერთობების სწავლება მომავალ წელს, ჩემთან დაკავშირებული ამბის შემდეგაც გაგრძელდება.

თქვენ სხვა რამეს მოელოდით, არა? ვიცი, გეგონათ, ვიტყოდი, რადგან ჩემს ცხოვრებაში გარკვეულწილად ცუდი როლიც შეასრულა, უნდა შეწყდეს-მეთქი.

რის მოყოლასაც ახლა ვაპირებ, სკოლაში არავინ იცის. ამ ამბავში მთავარი ხსენებული საგანი სულაც არ არის. თანასწორთა ურთიერთობები რომც არ ყოფილიყო, მე ალბათ მაინც იგივე გადამხდებოდა.

მოკლედ, მთავარი ეს არც არის.

დანამდვილებით არავინ ვიცით, რა სახის ან რა მასშტაბის გავლენას ვახდენთ სხვა ადამიანების ცხოვრებაზე, მაგრამ მაინც ჩვენსას ვაწვებით ხოლმე.

დედას ვეთანხმები, გადასარევი მილქშეიქია. ნაყინისა და რძიანი შოკოლადის იდეალური შერწყმა.

თავს ცუდ ადამიანად ვგრძნობ იმის გამო, რომ აქ ასე უბრალოდ ვზივარ და პირს ვიტკბარუნებ.

ქალბატონი ბრედლის ოთახში მავთულის ცხაურებიანი წიგნის თარო დგას. აი, ისეთი, სუპერმარკეტებში რბილყდიანი წიგნები რომ უწყვიათ და ტრიალებს. მაგრამ ამ თაროზე წიგნები არასდროს ყოფილა. სასწავლო წლის დასაწყისში ქალბატონი ბრედლი ყველა მოსწავლეს ქაღალდის პაკეტებს ურიგებდა. მათ ფერადი ფანქრებით ვაფორმებდით ან სტიკერებს და მარკებს ვაკრავდით, შემდეგ კი ხსენებულ თაროზე ვამაგრებდით.

ქალბატონმა ბრედლიმ იცოდა, როგორ გვიჭირდა ერთმანეთისთვის თუნდაც ერთი კეთილი სიტყვის თქმა. ამიტომაც მოიგონა ეს ხერხი, რათა გრძნობები ანონიმურად მაინც გამოგვეხატა.

აღფრთოვანებული ხარ იმ ბიჭის უშუალობითა და გულწრფელობით, როცა ის თავის ოჯახზე საუბრობს? დაწერე ეს ფურცელზე და ჩააგდე მის პაკეტში; თანაუგრძნობ იმ გოგოს, ისტორიის გამოცდის გამო რომ ღელავს? მისწერე ამის შესახებ. უთხარი, რომ როცა გამოცდისთვის მომზადებას დაიწყებ, მასზე იფიქრებ; მოგეწონა თანაკლასელის როლი სკოლის სპექტაკლში? მისწერე; მოგწონს ვინმეს ახალი ვარცხნილობა? ესეც მისწერე.

ჰანამაც შეიჭრა თმა. „მონეს ბაღში“ რომ ვნახე, იმ ფოტოზე ჯერ კიდევ გრძელი თმა აქვს. ჩემს წარმოსახვაში ჰანა გრძელთმიანია, თუმცა ბოლო პერიოდში მოკლე ვარცხნილობა ჰქონდა.

თუ შეძლებ, მიდი და პირდაპირ უთხარი. მაგრამ თუ არ შეგიძლია, მაშინ პაკეტში დაუტოვე შეტყობინება, მას ესეც გაახარებს. როგორც ვიცი, არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს ბოროტი ან სარკასტული შეტყობინება დაეტოვებინოს. ქალბატონი ბრედლის პატივისცემით, ამას არავინ კადრულობდა.

შენ რაღა გეტაკა, ზაკ? რით იმართლებ თავს?

;

რა ხდება?!

ო, ღმერთო. გვერდით ტონი მიდგას, „უოქმენიც“ მან გამორთო.

– ეს ჩემია? – მეკითხება.

არაფერს ვპასუხობ, რადგან ვერ ვხვდები, რას ფიქრობს. „უოქმენი“ მოვპარე, მაგრამ სახეზე გაბრაზებას ვერ ვატყობ. ალბათ დაბნეული უფროა, მაგრამ ეს რაღაც დაბნეულობაზე მეტიცაა. მის მანქანაში რომ ვიჯექი, მაშინაც ასე შეწუხებული სახით მიყურებდა იმის ნაცვლად, რომ მამამისს მიხმარებოდა, თითქოს ღელავდა კიდეც ჩემზე.

– ოჰ, ტონი, შენ ხარ?

ყურსასმენებს ვიძრობ და მის შეკითხვას ვპასუხობ.

– კი, შენია. შენს მანქანაში იდო. რომ გეხმარებოდით, მაშინ ვნახე. მგონი, გთხოვე, ცოტა ხნით წავიღებ-მეთქი.

რა იდიოტი ვარ.

ტონი გვერდითა სკამზე ჯდება და ცალ ხელს დახლზე დებს. თვალებში მიყურებს. ნეტა თუ ხვდება, რა საშინელი ცრუპენტელა ვარ?

– ბოდიში, კლეი, – მეუბნება უცებ, – მამაჩემი ხანდახან ძალიან მიშლის ნერვებს. აღარ მახსოვდა, რომ გათხოვე.

ტონი ჯერ ყურსასმენებს უყურებს, მერე მზერა „უოქმენზე“ გადააქვს. მეშინია, არ მკითხოს, რას ვუსმენ.

– რამდენ ხანსაც გინდა, გქონდეს, – დგება და ხელს მხარზე მადებს.

– გმადლობ.

– არ იჩქარო, – კიდევ მეუბნება. შემდეგ მენიუს იღებს და ჩემ უკან, ცარიელ კუპეში ჯდება.

4

არ აღელდე, ზაკ, ვიცი, რომ ჩემს ჩანთაში „ბოროტი“ შეტყობინება არასდროს დაგიტოვებია. მაგრამ რაც გააკეთე, ის ამაზე ბევრად უარესი იყო.

ზაკი კარგი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. იმდენად მორცხვია, რომ მასზე არც კი ჭორაობენ.

ის კი ვიცი, რომ ჰანა თავიდანვე მოსწონდა. ჩემსავით.

მოდი, ჯერ რამდენიმე კვირით უკან დავბრუნდეთ და ის დღე გავიხსენოთ, „როუზისთან“ მარკუსს რომ შევხვდი.

მუცელი ისე მეჯიმება, როგორც ვარჯიშისას. თვალებს ვხუჭავ და ვცდილობ, ნორმალურ მდგომარეობას დავუბრუნდე. უკვე რამდენიმე საათია, თავს უჩვეულოდ ვგრძნობ. სახე ერთიანად მიხურს. ორგანიზმი მოვარდნილ სისუსტეს ებრძვის.

მარკუსი რომ წავიდა, კაბინაში მარტო დავრჩი. ვიჯექი გაშტერებული და მილქშეიქის ცარიელ ჭიქას შევყურებდი. მისი წასვლიდან ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ გვერდით ზაკი მომიჯდა.

თვალებს ვახელ და დახლთან ჩამწკრივებულ სკამებს ვუყურებ. ჰანა ერთ-ერთ მათგანზე იჯდა, შეიძლება იმაზეც კი, რომელზეც ახლა მე ვზივარ. იჯდა მარტო, სანამ მარკუსი მოვიდოდა და კუპეში გადაინაცვლებდნენ.

პინბოლის მაგიდებთან მდებარე ბოლო კაბინა უკვე ცარიელია.

მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ზაკის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მაგრამ იმწუთას არავისთვის მცხელოდა. გულის ადგილას სრულ სიცარიელეს ვგრძნობდი, მეგონა, სხეულის თითოეული ნერვი და შეგრძნება სადღაც აორთქლდა.

თვალები მეწვის. ხელს მილქშეიქის ჭიქაში ვყოფ, თითებზე ყინულივით ცივი წვეთები მეკრობა. დასველებულ თითებს ქუთუთოებზე ვისვამ.

ვიჯექი და ვფიქრობდი. და რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, თავს მით უფრო უსუსურად და უიმედოდ ვგრძნობდი.

ზაკი ჩუმად იცდიდა იმდენ ხანს, რომ ბოლოს ეს სიტუაცია კომიკური გახდა. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ იქ იყო. თვალს არ მაცილებდა. ბოლოს, ჩემი ყურადღება რომ მიეპყრო, მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველა.

ხელი ოდნავ ავწიე და ჭიქას შევეხე.

ჭიქას უფრო ახლოს ვიდგამ და კოვზით ნარჩენებს ვურევ.

– კარგად ხარ? – მკითხა მან.

თავს ძალა დავატანე, რომ თავის დაქნევით მეპასუხა, მაგრამ მზერა ჭიქისთვის არ მომიშორებია. „რა მჭირს, ვგიჟდები?“ – თავში ეს აზრი მიტრიალებდა.

– დავინახე, რაც მოხდა. ვწუხვარ.

მარიონეტივით გავაგრძელე თავის ქნევა, მადლობის გადახდაც ვერ მოვახერხე.

მერე შემომთავაზა, მილქშეიქს კიდევ გიყიდიო. არაფერი მიპასუხია. არ ვიცი, ლაპარაკი არ შემეძლო თუ არ მინდოდა. ვეჭვობდი, რომ ზაკიც ჩემს შებმას ცდილობდა, რადგან მაშინ მოვიდა, როცა მარტო დამიგულა. არა, მის ზრახვებში დარწმუნებული არ ვიყავი, მაგრამ არც ჩემს ნდობას იმსახურებდა.

ამასობაში მიმტანმა ანგარიში მოიტანა და ცარიელი ჭიქა წაიღო. ჩემგან პასუხს რომ ვერ ეღირსა, ზაკმა მაგიდაზე რამდენიმე დოლარი დატოვა და თავის მეგობრებთან დაბრუნდა.

მილქშეიქის მორევას ვაგრძელებ. თითქმის აღარაფერია დარჩენილი, მაგრამ არ მინდა, ჭიქა წაიღონ. სანამ ჭიქა მაქვს, აქ დარჩენაც შემიძლია.

თვალები ამიცრემლდა, მაგრამ მაინც ჯიუტად მივშტერებოდი იმ დასველებულ ადგილს, სადაც ჭიქა იდგა. ერთი სიტყვაც რომ მეთქვა ხმამაღლა, ტირილს ვეღარ შევიკავებდი.

თუმცა ისედაცვერ ვიკავებდი.

ვურევ და ვურევ.

დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ იმ მაგიდასთან ჯდომისას პირველად მომივიდა თავში ის საშინელი აზრი. სწორედ მაშინ დავიწყე ფიქრი... ვერ ვიტყვი იმ სიტყვას.

ვიცი, რომ მაშინ ჩემს დახმარებას ცდილობდი, ზაკ. მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ეს არასაკმარისი მიზეზია ამ ჩანაწერებში მოსახვედრად. სანამ თხრობას გავაგრძელებ, ერთ კითხვას დავსვამ: როცა ვინმეს დახმარებას ცდილობ, მაგრამ ხედავ, რომ გარკვეულ მიზეზთა გამო ეს შეუძლებელია, იმ ადამიანზე შურისძიება რატომ უნდა მოგინდეს?

ზაკ, ალბათ გეგონა, რომ შენი საქციელის შესახებ ვერავინ ვერაფერს შეიტყობდა.

სახეს ხელებში ვრგავ. მაინც რამდენი საიდუმლო იმალება ამ სკოლაში?

ჩემი ამბავი რომ გაიგე, ალბათ ძალიან შეგეშინდა. თუმცა, თანდათან თავი დაიმშვიდე, რომ შენი საიდუმლო ჩემთან ერთად დაიმარხა. გეგონა, ვერავინ გაიგებდა.

მაგრამ ჰანა ამ საიდუმლოს შენახვას არ აპირებს. მუცელმა ისევ შემახსენა თავი.

ერთ რამეს გკითხავ, ზაკ. შენი აზრით, რა მოხდა მაშინ, „როუზისთან“? ჩემთან

შეხვედრა არ გითხოვია, შესაბამისად, ჩემგან უარიც ვერ გექნებოდა. მაშ, რა მოხდა? რით ჩაგაგდე უხერხულ სიტუაციაში?

მოდი, გამოვიცნობ: მეგობრებს უთხარი, ახლა ჰანასთან მივალ და მიყურეთო... მე კი ყურადღება არ მოგაქციე.

ან იქნებ მათ გამოგიწვიეს, ჰანასთან მიდი და შეხვედრა სთხოვეო.

ასეთი რამეები მართლა ხდებოდა. ცოტა ხნის წინ ერთმა ადამიანმა, რომელიც „კრესტმონტში“ ჩვენთან ერთად მუშაობდა, ზუსტად ასე გამომიწვია. იცოდა, რომ ჰანა მომწონდა, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას ვერ ვბედავდი; ისიც იცოდა, რომ ჰანა ბოლო თვეებში თითქმის არავის არ ელაპარაკებოდა, რაც ჩემს ამოცანას ერთი-ორად ართულებდა.

როცა, ბოლოს და ბოლოს, ზაფრისგან გამოვერკვიე, გავიგონე, როგორ დაგცინეს შენმა მეგობრებმა.

სიკეთესაც არ დაგიკარგავ, ზაკ. შეგეძლო, გეთქვა: „ჰანა შეშლილია. თვალებზე შეხედეთ, რაღაც სჭირს“. მაგრამ ეს არ გააკეთე და მათი დაცინვა უდრტვინველად აიტანე.

თუმცა, რაც დრო გადიოდა, მით უფრო გერეოდა ბრაზი, რამაც შურისძიებამდე მიგიყვანა – უფრო სწორად, ბავშვურ მავნებლობამდე.

ჩემი პაკეტიდან შეტყობინებების მოპარვა დაიწყე. იმ შეტყობინებებისა, რომლებსაც მე უნდა გავემხნევებინე.

რა საცოდაობაა.

ალბათ გაინტერესებთ, ამას როგორ მივხვდი. ძალიან მარტივად. საქმე ისაა, რომ შეტყობინებებს ჩემ გარდა ყველა იღებდა. უკლებლივ ყველა! თანაც ნებისმიერ წვრილმანზე. მაგალითად, თუ ვინმე ვარცხნილობას შეიცვლიდა, შეტყობინებების დასტა გარანტირებული ჰქონდა. სკოლაში ჯერ ისევ მეგულებოდნენ ადამიანები, რომლებსაც მეგობრებად მივიჩნევდი და რომლებიც თმის შეჭრის შემდეგ შეტყობინებებს აუცილებლად დამიტოვებდნენ.

მახსოვს, მოკლეთმიანმა ჰანამ პირველად რომ ჩამიარა, უბრალოდ, პირი დავაღე. ინსტინქტურად ისევ სცადა, თმა ყურებს უკან გადაეწია, იმ ჯერზე კი თმა ისევ ჩამოეშალა.

სხვათა შორის, თმა მარკუსთან შეხვედრის დღესვე შევიჭერი.

რა უცნაურია, არა? თურმე საფრთხის ამომცნობი ნიშნები, რაზეც ამდენს ლაპარაკობენ, რეალური ყოფილა. „როუზიდან“ პირდაპირ თმის შესაჭრელად წავედი. ცვლილება მჭირდებოდა. ჰოდა, შევცვალე ის ერთადერთი რამ, რასაც ჯერ კიდევ

ვაკონტროლებდი – საკუთარი გარეგნობა.

საოცარია.

ჰანა ჩუმდება, პაუზას აკეთებს. მხოლოდ ოდნავი შიშინი მესმის.

დარწმუნებული ვარ, სკოლაში ფსიქოლოგებიც მოგიყვანეს. მასალებს დაგირიგებდნენ, სადაც წერია, როგორ შეიძლება ამოიცნოთ ის ადამიანი, ვინც...

მორიგი პაუზაა.

არა, ვერ ვამბობ ამ სიტყვას.

თვითმკვლელობა. მართლაც ამაზრზენი სიტყვაა.

მეორე დღეს, სკოლაში ახალი ვარცხნილობით რომ მივედი, ჩემს პაკეტში ერთი შეტყობინებაც კი არ გაჩნდა. მივხვდი, რაღაც რიგზე ვერ იყო, რადგან დღეში, როგორც წესი, ოთხ-ხუთ შეტყობინებას მაინც ვიღებდი. შესაბამისად, უცნაურად მომეჩვენა, რომ ჩემთვის ასეთ მნიშვნელოვან ცვლილებას არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

გადავწყვიტე, მომეცადა.

ასე გავიდა სამი კვირა. ამ დროის განმავლობაში ერთი შეტყობინებაც კი არ მიმიღია.

ჭიქას წინ ვაჩოჩებ და მოლარეს ვეუბნები:

– შეგიძლიათ, წაიღოთ.

ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე, გამეგო, რა ხდებოდა, და საკუთარ თავს თვითონ დავუწერე შეტყობინება.

კაცი ცივად მიყურებს, შემდეგ ხურდას უბრუნდება. იქვე მდგარი გოგო ხელით ყურსასმენზე მანიშნებს. ვხვდები, რაც მოხდა: დამავიწყდა, რომ ყურსასმენები მეკეთა, და მეტისმეტად ხმამაღლა დავიძახე.

– ბოდიში, – ვბუტბუტებ ამჯერად ისე ხმადაბლა, რომ ალბათ ვერავინ გაიგონებს.

„ჰანა, ახალი ვარცხნილობა ძალიან გიხდება. ბოდიში, რომ ეს აქამდე არ გითხარი“ – ეს დავწერე და, მეტი დამაჯერებლობისთვის, გაღიმებული სახეც მივახატე.

ცხადია, არ მინდოდა, ვინმეს შეენიშნა, რომ ფურცელს საკუთარ პაკეტში ვდებდი, ამიტომ შეტყობინება გვერდითა პაკეტის პატრონისთვისაც დავწერე. გაკვეთილი რომ დამთავრდა, თაროსთან მივედი და თავი ისე დავიჭირე, ვითომ შეტყობინებას მხოლოდ სხვის პაკეტში ვდებდი; მერე შეტყობინება ჩემს პაკეტშიც „დავძებნე“. სინამდვილეში კი, წინასწარ ვიცოდი, რომ ცარიელი დამხვდებოდა.

მეორე დღეს პაკეტი შევამოწმე და ვეღარც საკუთარი შეტყობინება ვიპოვე.

ზაკ, შეიძლება შენთვის სულერთი იყო, მაგრამ იმედი მაქვს, ახლამაინც გესმის ჩემი –

ჩემთვის ყველა დეტალი მნიშვნელოვანი იყო, რადგან სამყარო თავზე მემხობოდა. ეს შეტყობინებები და მათგან მოგვრილი შვება და იმედი ძალიან მჭირდებოდა. შენ კი რა ქენი? იმედი წამართვი – გადაწყვიტე, რომ არ ვიმსახურებდი.

ვუსმენ ამ ჩანაწერებს და სულ უფრო მიმძაფრდება გრძნობა, რომ ჰანას კარგად ვიცნობდი. ძველ ჰანას კი არა, ახალს – ისეთს, როგორიც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში იყო. ახლა უკვე მესმის მისი. ჩავწვდი მის ბოლოდროინდელ მდგომარეობას.

ბოლოს სასიკვდილოდ განწირულთან ასე ახლოს იმ წვეულების ღამეს ვიყავი. მაშინ ბნელ მოსახვევში ერთმანეთს ორი ავტომობილი შეეჯახა.

არ ვიცოდი, რომ ეს ავარიაც სიკვდილით დასრულდებოდა.

მაშინაც ბევრი ხალხი ირეოდა, მაგრამ შეეძლოთ კი სიკვდილის თავიდან აცილება? რაც შეეძლოთ, იყო ის, რომ სასწრაფო დახმარებას ელოდებოდნენ.

იმ ადამიანებს თუ შეეძლოთ სიკვდილის თავიდან აცილება, ჰანას სკოლის დერეფნებში რომ ხვდებოდნენ და მასთან ერთად გაკვეთილებზე ისხდნენ?

ახლა მართლა ძალიან გვიანია რამის შეცვლაზე ფიქრი, მაგრამ იქნებ მაშინაც გვიანი იყო?!

რამდენი შეტყობინება მომპარე, ზაკ? არც დაგითვლია? კითხულობდი მათ? იმედი მაქვს, რომ კი. ვიღაცამ მაინც ხომ უნდა იცოდეს, რას ფიქრობს ხალხი ჩემზე სინამდვილეში.

უკან ვიხედები. ტონი კიდევ აქაა, კარტოფილს იღეჯება და ჰამბურგერზე კეტჩუპს ისხამს.

ვაღიარებ, რომ გაკვეთილებზე დისკუსიებში ნაკლებად ვერთვებოდი. მაგრამ კარგი იქნებოდა, მცოდნოდა, რომ მიტოვებდნენ შეტყობინებებს, როცა აზრს გამოვთქვამდი. მადლობის წერილები რომ მენახა, ეს ალბათ მეტი გახსნილობისკენაც მიბიძგებდა.

ჰანა უსამართლოდ განსჯის. ზაკს რომ სცოდნოდა, რა ხდებოდა მის თავს, დარწმუნებული ვარ, შეტყობინებებს არ მოჰპარავდა.

ჩემი დაწერილი შეტყობინება რომ ვეღარ ვიპოვე, საკლასო ოთახის კართან დავდექი და ვიღაცას გავუბი ლაპარაკი. ვესაუბრებოდი და თან ვუთვალთვალებდი კლასელებს, რომლებიც თავ-თავიანთი პაკეტებიდან შეტყობინებებს იღებდნენ.

სწორედ მაშინ დაგინახე, ზაკ. ჩემი პაკეტი თითით ოდნავ გადმოხარე, რომ შიგნით ჩაგეხედა, და დარწმუნდი, რომ ცარიელი იყო. კლასიდან ისე გახვედი, საკუთარი პაკეტი

არცკი შეგიმოწმებია.

მოლარე ჩემს ჭიქას იღებს და დახლს დალაქავებული ჩვრით წმენდს.

რა თქმა უნდა, ეს ჯერ კიდევ არაფერს ამტკიცებდა. იქნებ, უბრალოდ, ამოწმებდი, ვინ იღებდა შეტყობინებებს და ვინ არა... იქნებ განსაკუთრებულად მე გაინტერესებდი.

ამიტომ მეორე დღეს, შესვენებაზე, კლასში შევიპარე და ჩემი პაკეტი ისე დავკიდე, რომ ადვილად ჩამოვარდნილიყო, და შიგ ორად გაკეცილი ფურცელი ჩავდე.

იმავე დღეს, თანასწორთა ურთიერთობების გაკვეთილის დასრულების მერე, კლასიდან გავედი და წიგნების თაროს დერეფნიდან დავუდარაჯდი.

ყველაფერი საგულდაგულოდ დაუგეგმავს.

შენ ჩემს პაკეტს ისევ ისე შეეხე, შეტყობინება დაინახე და ხელი ჩაყავი. პაკეტი ძირს დავარდა. შენ გაწითლდი, მაგრამ სასწრაფოდ აიტაცე და თავის ადგილას დააბრუნე. თვალებს ვერ ვუჯერებდი, ზაკ. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თვალით ვხედავდი, დაჯერება მაინც მიჭირდა.

ჩემი გეგმის მიხედვით, შენთვის პასუხი მაშინვე უნდა მომეთხოვა, მაგრამ ვერ შევძელი.

კლასიდან რომ გამოხვედი, ისე ჩქარობდი, რომ შემთხვევით სწორედ იმ კუთხისკენ გამოიწიე, სადაც მე ვიდექი. პირდაპირ შევეფეთეთ ერთმანეთს. თვალები ამეწვა და თავი დავხარე, შენ კი გაიქეცი.

ჰანას ახსნა-განმარტების მოსმენა არ უნდოდა. ასახსნელიც არაფერი იყო, ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა.

დერეფნის ნახევარი გაირბინე, მერე ფეხს შეუნელე და თავი ისე დახარე, რომ მივხვდი, შეტყობინებას კითხულობდი.

წამით მობრუნდი და შემომხედე. შემეშინდა, ვაითუ, მოვიდეს და ბოდიში მომიხადოს, ან პირიქით, გაბრაზდეს და მიყვიროს-მეთქი.

მაგრამ შენ მსგავსი რამ აზრადაც არ მოგსვლია. უბრალოდ შებრუნდი და გზა გააგრძელე. ცოტაც და კარს მიღმა გაუჩინარდებოდი, მე კი ვიდექი თითქმის ცარიელ დერეფანში და ვცდილობდი, მომხდარში გავრკვეულიყავი. მაშინ მივხვდი ამ მარტივ ჭეშმარიტებას: შენი აზრით, ახსნა-განმარტებას არ ვიმსახურებდი. ზაკ, შენს თვალში არანაირი პასუხის ან ყურადღების ღირსი არ ვიყავი.

ჰანა ცოტა ხნით ჩუმდება.

დანარჩენების გასაგონად ვიტყვი, რომ იმ შეტყობინებაში პირადად ზაკს მივმართავდი, ახლა რთული პერიოდი მიდგას და ნებისმიერი რამ, რაც გამამხნევებს, ჩემთვის ძვირფასი

და მნიშვნელოვანია-მეთქი.

ფრჩხილს ვიკვნეტ და ვცდილობ უკან არ მივიხედო, ტონის აღარ შევხედო. ნეტა, რას ფიქრობს? აინტერესებს, რას ვუსმენ?

მოთმინების ფიალა ამევსო, მეტის ატანა ვეღარ შევძელი და ვიყვირე: ზაკ!

დერეფანში რამდენიმე ადამიანი იყო. ჩემს ყვირილზე ყველა შეხტა, მაგრამ მხოლოდ ერთი მათგანი, ზაკი, შეჩერდა, ჩემკენ მობრუნდა, შეტყობინება კი შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიდო.

– რატომ? რატომ, ზაკ? რატომ... – გავყვიროდი დაუსრულებლად. ცრემლები ღაპაღუპით მდიოდა.

მახსოვს, როგორ ყვებოდნენ ამ ამბავს: ჰანამ გააფრინა, საჯაროდ იტირა, თუმცა საამისო მიზეზი არ ჰქონიაო. არადა, თურმე ჰქონდა მიზეზი.

ახლა მინდა, უფრო პირადულ ამბებზეც ვილაპარაკო. მაგალითად: ვიცი,ჩემს მშობლებს ნამდვილად ვუყვარვარ, მაგრამ ამ ბოლო დროს ბევრი პრობლემა და საზრუნავი აქვთ. როგორც გახსოვთ, ერთი წლის წინ ქალაქგარეთ ახალი სავაჭრო ცენტრი გაიხსნა.

კარგად მახსოვს, ჰანას მშობლები ლამის ყოველდღე ჩნდებოდნენ ახალ ამბებში და ამბობდნენ, სავაჭრო ცენტრის გახსნას თუ დავუშვებთ, ქალაქის ცენტრში მდებარე მაღაზიები დაიხურებაო. მათი თქმით, ცენტრში საყიდლებზე აღარავინ ივლიდა.

მშობლებთან ძველებურად ახლოს აღარ ვიყავი. როგორც ვთქვი, ბევრი ახალი საზრუნავი და საქმე გამოუჩნდათ. ხანდახან მელაპარაკებოდნენ, მაგრამ არა ისე, როგორც ადრე.

თმა რომ შევიჭერი, დედამ ვერც კი შენიშნა.

სკოლაში ვინ შენიშნა, შენი დამსახურებით, არ ვიცი, ზაკ.

მე შევნიშნე.

ქაღალდის პაკეტი ქალბატონ ბრედლისაც ჰქონდა. ისიც სხვა დანარჩენებთან ერთად იყო მიკრული თაროზე. ამ პაკეტს მისთვის შენიშვნების ან მოსაზრებების გასაზიარებლად ვიყენებდით. შეგვეძლო მომავალი დისკუსიის თემაც შეგვერჩია.

ჰოდა, გადავწყვიტე, ასეც მოვქცეულიყავი. აი, რა მივწერე ქალბატონ ბრედლის: „მინდა, რომ თვითმკვლელობა განვიხილოთ. საქმე ისაა, რომ თავის მოკვლის სურვილი მაქვს. არა, ჯერ არ გადამიწყვეტია, მაგრამ სურვილი მაქვს“.

სიტყვასიტყვით ასე დავწერე. ზეპირად მახსოვს, რადგან ოცდაათჯერ მაინც დავწერე

და დავხიე. შეტყობინებას ვხევდი, ვაგდებდი და შემდეგ ისევ თავიდან ვწერდი.

მაგრამ მაინც რის მიღწევა მინდოდა ამ შეტყობინებით? რატომ ვწერდი? ეს კითხვებიც უამრავჯერ დავუსვი საკუთარ თავს. სინამდვილეში ხომ თვითმკვლელობა არც კი დამიგეგმავს. სურვილი ნამდვილად მიჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ მყისვე უკუვაგდებდი.

საქმე ის იყო, რომ ეს სურვილი უკვე მეტისმეტად ხშირად მიჩნდებოდა.

თანაც ეს საკითხი არასოდეს განგვიხილავს. ერთადერთი ხომ არ ვიქნებოდი, ვისაც თვითმკვლელობის სურვილი გასჩენია? მაშ, რატომ არ უნდა მოგვეწყო დისკუსია?

თუმცა, შეიძლება სხვა მიზეზიც მქონდა. გულის სიღრმეში ალბათ მინდოდა, რომ ვინმე მიმხვდარიყო, ვინ იყო ამ შეტყობინების ავტორი, და როგორმე დამხმარებოდა.

ამას დარწმუნებით ვერ ვიტყვი. მაგრამ ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ თავი არ გამეცა.

ახალი ვარცხნილობა. ჭერში აპყრობილი თვალები. ფრთხილობდი, ჰანა, მაგრამ მაინც იყო პატარ-პატარა ნიშნები, რომელთა მიხედვითაც შეგვეძლო შენი მდგომარეობა გამოგვეცნო.

მაგრამ შენ თავიდან მომიშორე.

მხოლოდ შენ შეგეძლო შეტყობინების ავტორის გამოცნობა, ზაკ. წარმოუდგენელია, ვერ მიმხვდარიყავი. ქალბატონმა ბრედლიმ შეტყობინება ჩვენი ინციდენტის მეორე დღეს წაიკითხა. იმ დღის შემდეგ, დერეფანში რომ ვიტირე.

თვითმკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ჰანა თითქოს გამოცოცხლდა. თითქოს ის ძველი, „ნამდვილი“ ჰანა დაბრუნდა. დერეფნებში ყველას ესალმებოდა, აღარც თვალს გვარიდებდა. ეს ძალიან თვალშისაცემი იყო, რადგან მანამდე რამდენიმე თვე სრულიად საპირისპიროდ იქცეოდა.

მაგრამ შენ არაფერი მოიმოქმედე, ზაკ. ქალბატონმა ბრედლიმ შეტყობინება გაკვეთილზე წაიკითხა, მაგრამ არც ამის შემდეგ გითქვამს ჩემთვის რამე.

ველოდი, რომ ცხარე დისკუსია შედგებოდა, ყველა თავის მოსაზრებებს და გრძნობებს გაგვიზიარებდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა.

ერთმა თქვა, რთულია, ამ ბიჭს დავეხმაროთ, რადგან არ ვიცით, თავის მოკვლა რა მიზეზით უნდაო.

შევძელი, თავი შემეკავებინა და არ მეთქვა, რომ ეს შეიძლებოდა გოგოც ყოფილიყო.

იმ პირველს დანარჩენებიც აჰყვნენ.

„თავს მარტო თუ გრძნობს, სასადილოში ჩვენთან ერთად დავსვამთ“.

„დაბალი ქულების პრობლემა თუ აქვს, სწავლაში დავეხმარებით“.

„თუ ოჯახში აქვს პრობლემები, მაშინ... მაშინ ფსიქოლოგთან წავიყვანოთ ან რამე“.

მაგრამ ყველაფერს საოცარი თავგაბეზრებით ამბობდნენ.

ბოლოს ერთმა გოგომ ყველა მათგანის სათქმელი თქვა: „უბრალოდ ყურადღების მისაქცევად დაწერა ეს. მართლა რომ ფიქრობდეს ამაზე, თავის სახელსაც გვეტყოდა“.

ღმერთო, რა საშინელებაა. ასეთ პირობებში ჰანა ნამდვილად ვერ გაიხსნებოდა.

ასეთ რამეს არ ველოდი.

სხვადასხვა დროს ქალბატონ ბრედლის ზუსტად ამავე ხერხით შეატყობინეს, რომ სურდათ დისკუსია აბორტზე, ოჯახში ძალადობაზე, ღალატზე. მაშინ არავის დაუჟინია, გინდა თუ არა შეტყობინების ავტორის ვინაობა უნდა ვიცოდეთო. თვითმკვლელობის განხილვაზე კი რატომღაც უარი თქვეს.

ქალბატონმა ბრედლიმ ათი წუთი დაუთმო არასრულწლოვანთა თვითმკვლელობების ადგილობრივ სტატისტიკას. მონაცემები ყველასთვის მოულოდნელი გამოდგა. ქალბატონმა ბრედლიმ გვითხრა, არასრულწლოვანის თვითმკვლელობის შესახებ, როგორც წესი, ახალ ამბებში არ აცხადებენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თვითმკვლელობა საჯარო სივრცეში, მოწმეების თანდასწრებით ხდებაო. საქმე ისაა, რომ მშობლებს არ უნდათ, საზოგადოებამ გაიგოს, რომ მათმა შვილმა თავი მოიკლა, ამიტომ თავს ისე იჭერენ, თითქოს ბავშვი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა, ამის უარყოფითი მხარე კი ის არის, რომ ადამიანები ვერ იგებენ, როცა მათ საზოგადოებაში რაღაც რიგზე ვერ არისო.

საფუძვლიანი დისკუსია არც ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაწყებულა.

რატომ მოიქცნენ ასე ჩემი თანაკლასელები? მართლა ფიქრობდნენ, რომ კონკრეტული გარემოებების ცოდნის გარეშე ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, თუ, უბრალოდ, სხვის ცხოვრებაში ქექვა არ ეხალისებოდათ? ალბათ – ნაწილობრივ ორივე.

ბატონი პორტერის გაკვეთილზე ჰანას ხშირად ვუყურებდი ხოლმე. იქაცრომ ჩამოვარდნილიყო თვითმკვლელობაზე ლაპარაკი, იქნებ რამეს მივმხვდარიყავი. ჰანას თვალები მიმახვედრებდა.

სიმართლე გითხრათ, რაც უნდა ეთქვათ, ალბათ ჩემზე გავლენას ვერ მოახდენდა. ალბათ, უბრალოდ, ეგოისტურად მსურდა, ხალხს ჩემზე და ჩემს პრობლემებზე ელაპარაკა.

წვეულებაზე რაც მითხრა, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებ, ჰანას მოუნდებოდა, რომ მივმხვდარიყავი. ალბათ პირდაპირ თვალებში შემომხედავდა, მავედრებელ მზერას

მომაპყრობდა.

ან შეიძლება ის მინდოდა, ვინმეს თითი ჩემკენ გამოეშვირა და ეთქვა: „ჰანა, ეს შენ დაწერე? შენ გინდა თავის მოკვლა? ნუ იზამ ამას, ჰანა“.

მაგრამ ეს არავის უთქვამს. მხოლოდ მე ვუმეორებდი ამ სიტყვებს საკუთარ თავს.

გაკვეთილის ბოლოს ქალბატონმა ბრედლიმ ფლაერები დაგვირიგა სათაურით „თვითმკვლელობისკენ მიდრეკილი ინდივიდის ამოსაცნობი ნიშნები“. აბა თუ მიხვდებით, რა ეწერა ერთ-ერთ ნიშნად?

„გარეგნობის უეცარი ცვლილება“.

ჩემი ახალშეჭრილი თმის ბოლოები დავქაჩე.

ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი ამოცნობადი ვიყავი?

<

თავს ოდნავ ვაბრუნებ და თვალის კუთხით ტონის ვხედავ. ისევ იქაა, ჰამბურგერი და კარტოფილის უმეტესი ნაწილი უკვე შეუჭამია. ზის და წარმოდგენაც არ აქვს, რა ხდება ჩემს თავს.

„უოქმენს“ ვხსნი და კასეტას ვატრიალებ.

# მეოთხე კასეტა: B მხარე

4

სხვისი აზრების კითხვის უნარს თუ ისურვებდით?

რა თქმა უნდა, ისურვებდით. სანამ საკითხს არ ჩაუღრმავდება, ამ კითხვას ყველა დადებითად პასუხობს.

აბა, წარმოიდგინეთ, სხვებსაც რომ შეეძლოთ თქვენი აზრების გაგება... აი, თუნდაც ამწუთას რას ფიქრობთ...

დაბნეულობას ამოიკითხავდნენ. აწეწილ ნერვებს. ცოტა ბრაზსაც. მკვდარი გოგოს ხმას გაიგონებდნენ, რომელიც საკუთარ სიკვდილში რატომღაც მე მადანაშაულებს.

ზოგჯერ ისეთი აზრები მოგვდის, თვითონაც რომ არ გვესმის. აზრები, რომლებიც ჩვენი გრძნობების მდინარებიდან ამოვარდნილია, მაგრამ მაინც არ უკუვაგდებთ, რადგან მათზე ფიქრი საინტერესოა.

ხელსახოცების გაპრიალებულ ვერცხლისფერ ჩასადებს ვიღებ და ჩემ წინ ისე ვდებ, რომ ტონის კუპე აირეკლოს. ვხედავ, ხელებს ხელსახოცით იწმენდს.

მაშასადამე, სხვისი აზრების წაკითხვის უნარი რომ გქონდეთ, საინტერესოსთან ერთად ათასგვარ აბდაუბდასაც გაიგებდით. რაც მთავარია, მათ ერთმანეთისგან ვერ გაარჩევდით და ეს ალბათ ჭკუიდან შეგშლიდათ. რა დავიჯეროთ და რა არა? რას ნიშნავს მთელი ეს მოფუთფუთე იდეები?

წარმოდგენა არ მაქვს, რაზე ფიქრობს ახლა ტონი. არც მან იცის, არ ესმის ეს ხმა, თავში რომ მაქვს. არ იცის, რომ მისი „უოქმენით“ ჰანა ბეიკერს ვუსმენ.

სწორედ ეს მომწონს პოეზიაში. განსაკუთრებით აბსტრაქტულ პოეზიაში, დარწმუნებით ვერ იტყვი, რაზე საუბრობს პოეტი. თუნდაც რამეს მიხვდე, ასი პროცენტით დარწმუნებული მაინც ვერ იქნები. ყოველ ცალკეულ სიტყვას შეიძლება ათასი სხვადასხვა დატვირთვა ჰქონდეს. იქნებ სიტყვა სხვა სიტყვის სინონიმია, სიმბოლოა, ან უფრო დიდი და ფარული მეტაფორის ნაწილია?

უკვე მერვე ადამიანზე საუბრობ, ჰანა, და რადგან პოეზიით დაიწყე, ვიცი, რომ ჩემზე ესეც არ იქნება. ხუთი ადამიანიღა რჩება.

თავიდან პოეზია არ მიყვარდა, მაგრამ მერე ერთმა ადამიანმა მასწავლა, როგორ უნდა წამეკითხა. მითხრა, პოეზიას თავსატეხივით უნდა შეხედო და საკუთარი გამოცდილება თუ ემოციები ლექსში ჩადებული აზრის გასაშიფრად უნდა გამოიყენოო.

რატომ ახსენა პოეტმა „წითელი“? სისხლის სიმბოლოა, ბრაზის თუ ვნების? ან იქნებ უბრალოდ „წითელი“ უკეთ ჟღერს, ვიდრე „შავი“?

მახსოვს, ამას ინგლისური ლიტერატურის გაკვეთილზე განვიხილავდით. აზრზე არ ვარ, ბოლოს რაზე შევთანხმდით.

იმავე ადამიანმა ლექსის არა მარტო კითხვის, წერის ფასიც მასწავლა. საკუთარ გრძნობებში გარკვევა თუ გსურთ, ლექსების წერაზე უკეთ ვერაფერი დაგეხმარებათ.

აუდიოკასეტების მოსმენაც ძალიან ეფექტური მეთოდია.

მაგალითად, თუ გაბრაზებული ხართ, ბრაზიანი ლექსი უნდა დაწეროთ, თუმცა აუცილებელი არ არის, ის უშუალოდ თქვენი ბრაზის საგანს ასახავდეს. ჰოდა, ადექით და დაწერეთ. ვიცი, რომ ჩემზე ცოტათი მაინც ბრაზობთ.

წერას რომ დაამთავრებთ, წაიკითხეთ და წარმოიდგინეთ, რომ ლექსი სახელმძღვანელოში ამოიკითხეთ და მის ავტორზე არაფერი იცით. შედეგი გაგაოცებთ... და შეგაშინებთ. მაგრამ მაინც სჯობს, რადგან ფსიქოთერაპევტთან ვიზიტებზე ბევრად იაფი დაგიჯდებათ.

მე ასე ვიქცეოდი. ფსიქოთერაპევტს პოეზიით ვანაცვლებდი.

ჰანა, ფსიქოთერაპევტი შეიძლება მართლა დაგხმარებოდა.

ლექსების საწერად ცალკე რვეული ვიყიდე. სკოლის შემდეგ, კვირაში ორჯერ მაინც მივდიოდი „მონეს ბაღში“ და ერთ ან ორ ლექსს ვწერდი.

პირველი ლექსები ცოტა უნიათო გამომივიდა. მეტისმეტად სწორხაზოვანი იყო, სიღრმე და სინატიფე აკლდა. მაგრამ ზოგს მაინც არა უშავდა რა, ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით.

იმ რვეულში ჩაწერილი პირველი ლექსი ზეპირად ვისწავლე, უფრო სწორად, შემომესწავლა. ახლაც მახსოვს. ახლა თქვენც წაგიკითხავთ, რომ შეაფასოთ... ან დამცინოთ.

სიყვარული თუ ოკეანეა,
ვინძლო ხმელეთი სრულად დაფაროს.
თუ უდაბნოა, ქვიშით სავსეა,
მაშინ ქვიშაა მთელი სამყარო.
თუ ვარსკვლავია, ისე მძლავრია,
რომ არვინ უწყის, რა არს წყვდიადი.
ფრთებსაც შემასხამს, გრძნობა მალია –

ფრენით დავსერავ ცას განთიადის.

ალბათ დამცინებთ. მაგრამ ეს ლექსი მისალოც ბარათზე რომ გენახათ, დარწმუნებული ვარ, შეიძენდით.

მკერდში უეცარ ტკივილს ვგრძნობ.

ის აზრი, რომ ლექსების საწერად „მონეს ბაღში“ წავიდოდი, ჩემს დღეებს ასე თუ ისე ასატანს ხდიდა. თუ რაიმე სასაცილო, ამაღელვებელი ან მტკივნეული შემემთხვეოდა, მაშინვე ვფიქრობდი, ამის შესახებ ლექსს დავწერ-მეთქი.

ტონი დგება და კარისკენ მიდის. უცნაურია, რატომ არ დამემშვიდობა?

ჩემთვის ეს აუდიოჩანაწერებიც პოეტური თერაპიის ფორმაა.

ფანჯრიდან ვხედავ, რომ ტონი მანქანაში ჯდება.

სანამ ამ ამბებს გიყვებით, ახალ-ახალ აღმოჩენებს ვაკეთებ საკუთარ თავზეც და თქვენზეც. ყველა თქვენგანზე.

რაც უფრო მეტს ვყვები, მით უფრო მეტ კავშირს ვპოულობ სხვადასხვა ამბავს შორის. ზოგიერთის შესახებ გიამბეთ, ზოგი კი ჩემთვის დავიტოვე.

ტონი თავისი „მუსტანგის“ ძრავას რთავს და უკუსვლით მიდის.

იქნებ თქვენ ისეთი კავშირებიც აღმოაჩინეთ, რომლებიც მე გამომრჩა. შეიძლება თქვენ პოეტზე, ანუ ჩემზე, ერთი ნაბიჯით წინ ხართ.

არა, ჰანა, პირიქით. ძლივს ვახერხებ, რომ მოგყვე.

როდესაც საბოლოო სიტყვას ვიტყვი... არა, სულ ბოლო სიტყვებს კი არა, ამ ჩანაწერების დასასრულს ვგულისხმობ... ეს სიტყვებისკარგად შეკრული, შეკავშირებული და ემოციური კრებული იქნება.

სხვანაირად რომ ვთქვათ – ლექსი.

ფანჯრიდან ტონის „მუსტანგის“ ყურება ფილმის ყურებას ჰგავს, თითქოს მანქანა კადრიდან გადის. მაგრამ მანქანის შუქი უცებ, მოწყვეტით ქრება, ნაცვლად იმისა, რომ თანდათან გაფერმკრთალდეს.

ახლა რომ ვიხსენებ, ვხვდები, ლექსების წერა მაშინ შევწყვიტე, როცა საკუთარი თავი მომბეზრდა.

ესე იგი, ტონი არ წასულა? აქაა და მანქანაში იცდის? რატომ?

თუ რომელიმე სიმღერის მოსმენისას თვალზე ცრემლი გადგებათ, თქვენ კი ტირილი აღარ გინდათ, უბრალოდ, აღარ მოუსმენთ ამ სიმღერას.

მაგრამ საკუთარ თავს ვერსად დაემალებით. ვერც გაექცევით და ვერც საკუთარ

გონებას გამორთავთ.

;

ახლა, როცა ტონის მანქანა აღარ ანათებს, „როუზის“ ფანჯარა ერთიანად ჩამუქებულია. მხოლოდ ხანდახან თუ გადაივლის მინაზე შუქის ზოლი, როცა ავტოსადგომიდან რომელიმე მანქანა გადის.

სინათლის ერთადერთი სტაბილური წყარო საკმაოდ შორსაა. მისი ვარდისფერი და ცისფერი ნათება ფანჯრის ზედა მარჯვენა კუთხეში მოჩანს. ეს „კრესტმონტის“ ნეონის წარწერაა, რომელიც მთელ ამ მიდამოში ყველაფერ დანარჩენს ზემოდან დაჰყურებს.

ღმერთო, რას არ მივცემდი, გასულ ზაფხულში დაბრუნება რომ შემეძლოს. როცა ჰანასთან მარტო ვრჩებოდი, მასთან ლაპარაკი არ მიჭირდა. ბევრს ვხუმრობდით და ვიცინოდით. მაგრამ თუ სხვებიც იყვნენ, ვერ ვხვდებოდი, რა უნდა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი, და ამიტომ ვჩუმდებოდი.

იმ გალია-სალაროდან ვესტიბიულთან დაკავშირება მხოლოდ ერთი წითელი ტელეფონით შემეძლო. ტელეფონს ღილაკები არ ჰქონდა, მხოლოდ ყურმილი იყო. ყურმილს რომ ავიღებდი და ვესტიბიულიდან ჰანა მიპასუხებდა, ისეთი მღელვარება მიპყრობდა, თითქოს სახლში ვურეკავდი.

– ხურდა მჭირდება, – ვეტყოდი ხოლმე.

– რა, ისევ? – მიპასუხებდა ონავრულად. მე კი ვგრძნობდი, როგორ მიხურდა სახე სირცხვილისგან. როდესაც ჰანასთან ერთად ვმუშაობდი, ხურდებს უფრო ხშირად ვითხოვდი, ვიდრე სხვა თანამშრომლებთან მუშაობისას.

ორიოდე წუთში ჰანა კარზე დამიკაკუნებდა. მე მაისურს ვისწორებდი და კარს ვაღებდი. ჰანა ფულის ყუთით ხელში შემოძვრებოდა ხოლმე იმ სულისშემხუთავ სივიწროვეში. ხანდახან, როცა ბევრი კლიენტი არ გვყავდა, სკამზე ჩამოჯდებოდა და მეტყოდა, კარი დახურეო.

როცა ასე იქცეოდა, საკუთარი წარმოსახვის მოთოკვა მიწევდა. ვიცი, ჰანა ამას იმიტომ ამბობდა, რომ, წესით, კარი ღია არ უნდა დაგვეტოვებინა და თანაც სამი მხრიდან ფანჯრებში ვიყავით გამოფენილები, მაგრამ იმ ერთი ბეწო სივრცეში მაინც ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო.

ყოველ შემთხვევაში, მე მინდოდა, რომ მომხდარიყო.

ამ იშვიათ წუთებში თავს იღბლიანად ვგრძნობდი – ჰანა ბეიკერი თავისუფალ დროს მე მითმობდა და არა სხვას. თანაც, რადგანაც ორივენი სამსახურში ვიყავით, ვერავინ

ვერაფერს მიხვდებოდა.

რატომ მინდოდა, რომ ვერ მიმხვდარიყვნენ? რატომ ვიქცეოდი სხვების დასანახად ისე, თითქოს ჩვენი ერთად ყოფნა არაფერს ნიშნავდა, რომ უბრალოდ ვმუშაობდით. ვმუშაობდით და მეტი არაფერი?

რატომ?

იმიტომ, რომ ჰანას რეპუტაცია მაშინებდა.

საბოლოოდ, ყველაფერს ნათელი რამდენიმე კვირის წინ მოეფინა, წვეულებაზე. ჰანა პირდაპირ მედგა და ერთი საოცარი წუთის განმავლობაში თითქოს ყველაფერი დალაგდა.

ჰანას თვალებში რომ ჩავხედე, თავი ვეღარ შევიკავე და ვუთხარი, ვწუხვარ, ამდენ ხანს რომ გაცდევინე, ამდენ ხანს რომ არ გითხარი, რას ვგრძნობ-მეთქი.

ბოლოს და ბოლოს, შევძელი სიმართლე მეთქვა, საკუთარ თავსაც გამოვტყდომოდი და ჰანასაც. მაგრამ ყველაფერი მალე დასრულდა. მხოლოდ ახლა შემიძლია, ისევ ვაღიარო საკუთარი გრძნობები.

თუმცა ახლა უკვე ძალიან გვიანია.

საკუთარი თავი მეზიზღება. ვფიქრობ, ვიმსახურებ ამ სიაში ყოფნას. ასეთი ლაჩარი რომ არ ვყოფილიყავი, ხალხის რომ არ შემშინებოდა, ჰანას გავაგებინებდი, რომ მისი ბედი ჩემთვის სულერთი არ იყო, და შეიძლება, ჰანა ახლაც ცოცხალი ყოფილიყო.

ნეონის წარწერას თვალს ვარიდებ.

4

ხანდახან სკოლის შემდეგ „მონეს ბაღში“ შევივლიდი ხოლმე, ცხელ შოკოლადს ვსვამდი, დავალებას ვწერდი ან ვკითხულობდი, მაგრამ ლექსებს აღარ ვწერდი.

საკუთარი თავის ატანა აღარ შემეძლო, განტვირთვა მჭირდებოდა.

ხელს კისერზე ვისვამ. თმის ბოლოები სველი მაქვს.

პოეზია მენატრებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, ლექსების წერა ისევ დამეწყო, მაგრამ ამჯერად – საკუთარი განწყობის გასაუმჯობესებლად.

მხიარული, ნათელი, მზიანი, ბედნიერებით სავსე ლექსები უნდა მეწერა. მინდოდა ისეთივე ბედნიერი ვყოფილიყავი, როგორიც „მონეს ბაღში“ ნაპოვნ ფლაერზე გამოსახული ქალები იყვნენ.

ფლაერი პოეზიის უფასო წრის რეკლამა იყო. „პოეზია: სიცოცხლის სიყვარული“. გვპირდებოდნენ, რომ პოეზიასთან ერთად და მისივე დახმარებით, საკუთარი თავის სიყვარულსაც გვასწავლიდნენ.

სწორედ ის იყო, რაც მე მჭირდებოდა.

რუკაზე d7 მოძებნეთ. ეს საჯარო ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დარბაზია.

ახლა ბიბლიოთეკაში ვერ წავალ. გვიანია და ბნელა.

პოეზიის წრის შეკრება ზუსტად მაშინ იწყებოდა, როცა სკოლაში ბოლო გაკვეთილი მთავრდებოდა, ამიტომ ვჩქარობდი ხოლმე, რომ არ დამგვიანებოდა. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში კარგად მიღებდნენ, რადგან როგორც თვითონ ამბობდნენ, მათ წრეს „თინეიჯერულიფემინურობით“ ვამდიდრებდი.

უეცრად ვამჩნევ, რომ „როუზისთან“ ჩემ გარდა აღარავინაა. ვიცი, რომ ნახევარ საათში იკეტება. შეკვეთილი არაფერი მაქვს, მაგრამ არავინ მეუბნება წადიო. ჰოდა, მეც ვრჩები.

წარმოიდგინეთ წრეზე განლაგებული ათი-თორმეტი ფორთოხლისფერი სკამი, რომელზეც ის „ბედნიერი ქალები“ სხედან, ფლაერზე რომ იყვნენ. თუმცა, ნამდვილი ქალები ბედნიერები სულაც არ ჩანან. მათი რეალური, მოღუშული პირები ფლაერის ავტორმა თითქოს ამოატრიალა და ღიმილად აქცია.

ეს ქალები სიკვდილსა და ადამიანთა სიავეზე წერდნენ. აგრეთვე – პლანეტის დაღუპვაზე, ან როგორც ერთ-ერთმა მათგანმა დედამიწას უწოდა – „ლურჯ-მწვანე თვალზე თეთრი ლაქებით“.

მეორემ დედამიწა ორსულ უცხოპლანეტელს შეადარა და ისიც დააყოლა, აბორტი სჭირდებაო.

აი, ამიტომ ვერ ვიტან პოეზიას! „ბურთის“ ან „სფეროს“ მაგივრად – „თვალი“?!

– არაფერი დამალო, – მეუბნებოდნენ, – შენი ყველაზე ღრმა და ბნელი ნაწილი დაგვანახე.

ყველაზე ღრმა და ბნელი ნაწილიო. თავი გინეკოლოგთან მეგონა.

ოჰ, ჰანა.

არა ერთხელ და ორჯერ გამიჩნდა სურვილი, ხელი ამეწია და მეთქვა: „ამ ყველაფრის ბედნიერ ნაწილზე როდის გადავალთ? სად არის დაპირებული სიცოცხლის სიყვარული? აქ სწორედ იმიტომ მოვედი, რომ ფლაერზე ეს სიტყვები ამოვიკითხე“.

ერთი სიტყვით, მხოლოდ სამ შეკრებას დავესწარი. მაგრამ ამ მცირე დროშიც გადამხდა რაღაც თავს. როგორ ფიქრობთ, კარგი თუ ცუდი?

რა თქმა უნდა, ცუდი.

არც კი ვიცი, რა ვთქვა.

იმ წრეში კიდევ ერთი ჩვენი სკოლელი იყო, რომლის ახალგაზრდულ ხედვას უფროსი

პოეტები ისევე აფასებდნენ, როგორც ჩემსას. ეს ჩვენი სკოლის გაზეთის – „დაკარგული და ნაპოვნი ნივთები“ – რედაქტორი გახლდათ.

რაიან შეივერი ყოფილა.

ყველამ იცით, ვისზეც ვლაპარაკობ. შენ კი, ბატონო რედაქტორო, დარწმუნებული ვარ, ერთი სული გაქვს, როდის წარმოვთქვამ შენს სახელს.

იყოს ნება შენი, რაიან შეივერ. სიმართლე გაგათავისუფლებს.

„სიმართლე გაგათავისუფლებს“. ეს „დაკარგული და ნაპოვნი ნივთების“ დევიზია.

რაიან, როგორც კი პოეზია ვახსენე, მაშინვე მიხვდებოდი, რომ ეს ნაწილი შენზეა. ამაში ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ ასევე დარწმუნებული ვარ, ახლა ფიქრობ, ჩანაწერებში რამე სხვა, პოეზიასთან კავშირში არმყოფი მოვლენის გამო მოვხვდიო. შენი აზრით, ალბათ განსაკუთრებული არაფერი დაგიშავებია.

ო, ღმერთო. ესე იგი, ის ლექსი ჰანას დაწერილია?!

შეგახსენებთ, რომ მე აქ სიტყვების კარგად შეკრული, შეკავშირებული და ემოციური კრებულის აწყობას ვცდილობ.

თვალებს ვხუჭავ და ხელებს სახეზე ვიფარებ.

კბილებს ერთმანეთს მთელი ძალით ვაჭერ, რომ ყვირილი ან ტირილი არ დავიწყო. არ მინდა, ჰანამ ლექსი წაიკითხოს. არ მინდა, ის ლექსი მისი ხმით მოვისმინო.

გინდათ, ჩემი დაწერილი ბოლო ლექსი წაგიკითხოთ? ლექსი, რომლითაც პოეზიას საბოლოოდ გამოვემშვიდობე?

არ გაინტერესებთ? თუმცა, ის ლექსი ისედაც იცით. ჩვენს სკოლაში ძალიან პოპულარულია.

თვალები და სახის კუნთები მიდუნდება. ის ლექსი არაერთხელ წავიკითხეთ ხმამაღლა და ინგლისურის გაკვეთილზეც კი განვიხილეთ.

ჰანა ყველაფერს ესწრებოდა.

ალბათ უკვე გაგახსენდათ ლექსი და მიხვდით, რაზეც ვლაპარაკობ. „დაკარგული და ნაპოვნი ნივთები“ წელიწადში ორჯერ გამოდის და რაიანი სკოლაში ნაპოვნ რამერუმეებს აქვეყნებს: მაგალითად, მერხთან დაგდებულ სასიყვარულო წერილს, რომელიც ადრესატმა ვერ შეამჩნია. რაიანი ასეთ წერილზე სახელებს გადაშლის და გაზეთისთვის სკანერზე იღებს; ასევე იქცევა, თუ საქაღალდიდან გადმოცვენილ ფოტოებსა თუ რომელიმე მოწყენილი მოსწავლის მიერ ისტორიის გაკვეთილზე გაკეთებულ თავშესაქცევ ნაჯღაბნებს იპოვის. შეიძლება ვინმემ იკითხოს, როგორ ახერხებს ამდენი საინტერესო მასალის

პოვნასო. საიდან ვიცით, რომ პოულობს? იქნებ იპარავს? პოეზიის წრის ერთ-ერთ შეკრებაზე სწორედ ეს კითხვა დავსვი. დაიფიცა, რაც კი დამიბეჭდავს, ყველაფერს შემთხვევით გადავაწყდიო.

თუმცა აღიარა, ჩემს კარადაში ხანდახან სხვებიც მიტოვებენ ნაპოვნ რაღაცებსო. ამ შემთხვევაში, თავს ვერ დავდებ, რომ მართლა ნაპოვნი აქვთო. ამიტომაც, თუ სადმე სახელი ან ტელეფონის ნომერი წერია, გამოქვეყნებამდე ვშლი, ფოტოები კი ძალიან პირადული ან ვინმეს ღირსების შემლახავი არ უნდა იყოსო.

ასე აგროვებდა ხუთი-ექვსი გვერდის ხარისხიან, ჭრელ-ჭრელ მასალას და გაზეთს ორმოცდაათ ეგზემპლარად ბეჭდავდა. შემდეგ გაზეთებს მთელ სკოლაში – საპირფარეშოში, გასახდელში, სარბენ ბილიკზე ფანტავდა...

ერთსა და იმავე ადგილას არასდროს ვტოვებო, მითხრა. მისი აზრით, ხალხს გაზეთი ისევე უნდა ეპოვა, როგორც თვითონ პოულობდა მასალებს.

მაგრამ ჩემი ლექსი არ უპოვია. მოიპარა.

ხელსახოცს ვიღებ და თვალებს ვიწმენდ.

პოეზიის წრის შეკრების მერე მე და რაიანი ბიბლიოთეკის კიბეზე ჩამოვსხდებოდით ხოლმე და ვსაუბრობდით. პირველ დღეს უბრალოდ იმ ლექსებზე ვიცინეთ, დანარჩენებმა რომ წაიკითხეს. ყველა მათგანი უაღრესად დეპრესიული იყო.

– აბა, პოეზია გაგაბედნიერებთო? – შენიშნა რაიანმა.

ეტყობა, ისიც იმისთვის ჩაეწერა ამ წრეში, რისთვისაც მე.

თავს ვწევ და ვხედავ, რომ დახლს უკან კაცი ნაგვის უზარმაზარპარკს თავს უკრავს. „როუზი“ იკეტება.

– ერთი ჭიქა წყალი შეიძლება? – ვეუბნები კაცს.

მომდევნო კვირაში ისევ დავსხედით იმ კიბეზე და ერთმანეთს საკუთარი ლექსები წავუკითხეთ.

კაცი თვალებზე მიყურებს. ალბათ ჩაწითლებული მაქვს.

მაგრამ ეს ნათელი, სიცოცხლის სიყვარულით სავსე ლექსები იყო, რომელთაც იმ წრის მელანქოლიურ და პირქუშ პოეტებს ვერაფრით წავუკითხავდით.

გარდა ამისა, ნამდვილი პოეტებისგან განსხვავებით, ჩვენ-ჩვენი ლექსები განვმარტეთ; დეტალურად, სტრიქონ-სტრიქონ გავარჩიეთ.

მესამე კვირას კი დიდ რისკზე წავედით – ლექსების რვეულები გავცვალეთ.

კაცი წინ ყინულებიანი წყლით სავსე ჭიქას მიდგამს. იმ ჭიქისა და ხელსახოცების გარდა

მთელ დახლზე აღარაფერი დევს.

ამას დიდი გამბედაობა სჭირდებოდა. მეც და რაიანმაც სიმამაცე გამოვიჩინეთ. იმ საღამოს მთელი ორი საათი ბეტონის კიბეზე ვისხედით და ერთმანეთის ლექსებს ვკითხულობდით.

რაიანს საშინელი კალიგრაფია აქვს, ამიტომ მისი ნაწერის გარჩევა გამიჭირდა. მაგრამ მისი ლექსები ამ გარჯად ნამდვილად ღირდა. მშვენიერი ლექსები იყო, ბევრად უფრო ღრმა და საინტერესო, ვიდრე ჩემი. ნამდვილ, ღრმააზროვან პოეზიად მეჩვენა. დარწმუნებული ვარ, რომ ოდესმე სასკოლო სახელმძღვანელოებშიც მოხვდება.

წყლის ჭიქას თითებს ვაჭდობ.

მის ლექსებში ჩადებულ აზრებს ვერ ჩავწვდი, მაგრამ ემოციები ზუსტად აღვიქვი. ეს მშვენიერი იყო. ლამის შემრცხვა, რომ ამათ სანაცვლოდ ჩემს გულუბრყვილო ლექსებს ვაკითხებდი. მისი შემოქმედების გაცნობის შემდეგ გავაცნობიერე, რა ცოტა მიმუშავია საკუთარ ლექსებზე; მივხვდი, რომ სიტყვები უფრო გულდასმით უნდა შემერჩია, გრძნობები უფრო მკაფიოდ უნდა გამომეხატა.

თუმცა, რაიანსაც მოეწონა ჩემი ერთ-ერთი ლექსი და მასზე მეტის გაგება მოინდომა. მაგალითად, მკითხა, როდის დაწერეო.

არ მიპასუხია.

წყალს არ ვსვამ. შევყურებ წვეთს, რომელიც ჭიქიდან გადმოდის და თითს მისველებს.

ის ლექსი იმ დღეს დავწერე, ჩემი თანაკლასელები რომ აღშფოთდნენ, როგორ თუ ვიღაცამ თვითმკვლელობაზე ფიქრის გამო დახმარება გვთხოვაო. გახსოვთ, კერძოდ რა არ მოეწონათ? ის, რომ ავტორმა საკუთარი სახელი არ გაამხილა.

რა შეუწყნარებლობაა.

იმ თხოვნის ავტორი ანონიმური იყო, ისევე, როგორც „დაკარგულ და ნაპოვნ ნივთებში“ გამოქვეყნებული ლექსისა.

რაიანმა სხვა შეკითხვაც დამისვა, რატომ დაწერე ეს ლექსიო.

ვუთხარი, ამაზე პასუხი თვით ლექსში უნდა ეძიო-მეთქი, და ვთხოვე, აეხსნა, როგორ გაიგო ეს ლექსი.

მითხრა, რომ ლექსი, ერთი შეხედვით, ჩემს ურთიერთობაზეა დედაჩემთან, რომლის კეთილგანწყობის დამსახურებაც მსურს; მეორე მხრივ კი მიემართება კონკრეტულ ადამიანს, ამ შემთხვევაში, ბიჭს, რომლის ყურადღების მოპოვებაც მინდა.

ბიჭს?!

ჭიქის ფსკერზე პატარა ბუშტუკი ჩნდება და ქრება. წყალს ვწრუპავ და ყინულის ერთ კუბს პირში ვიგდებ.

ვკითხე, უფრო ღრმა მნიშვნელობაც ხომ არ შეგინიშნავს-მეთქი.

ყინულს ენაზე ვიჩერებ. მინდა, რომ იქ დავადნო.

ეს ნახევრად ხუმრობით ვიკითხე. ვფიქრობდი, რომ ჩემი ლექსი ისედაც სწორად გაიგო, მაგრამ მომინდა, თავი იმ მასწავლებლად მეგრძნო, თავის მოსწავლეებს ლექსებში ფარული აზრის ძიებას რომ ავალებს. მასწავლებლები ხომ ყოველთვის ზედმეტ ანალიზს ითხოვენ.

მაგრამ შენ მართლა აღმოაჩინე ფარული აზრი, რაიან. ისეთი რამ აღმოაჩინე, რაც თვითონაც კი არ ვიცოდი.

მითხარი, სინამდვილეში, ეს ლექსი დედაზე ან ბიჭზე კი არა, საკუთარ თავზე დაწერეო. საკუთარ თავს შენიღბულად წერილი მისწერეო.

ეს რომ მითხარი, შევკრთი, გავბრაზდი კიდეც. მაგრამ შენ მართალს ამბობდი. საკუთარმა სიტყვებმა შემაშინა და დამასევდიანა.

შემდეგ მითხარი, ლექსი ამ ფორმით იმიტომ დაწერე, რომ საკუთარ თავთან ღიად დაპირისპირების გეშინიაო. ამიტომ დედისგან ითხოვ, მიგიღოს და გაღიაროს, ნაცვლად იმისა, საკუთარ თავს ეუბნებოდე ამას სარკეშიო.

– ბიჭზე რას იტყვი? რის სიმბოლოა? – გკითხე მე.

მე ვარ ეგ ბიჭი. ო, ღმერთო, ვიცი, რომ მე ვარ.

ყურებზე ხელებს ვიჭერ, მაგრამ არა ხმაურის ჩასახშობად, ირგვლივ ისედაც ჩამიჩუმი არ ისმის. უბრალოდ, მინდა, რომ უკეთ შევიგრძნო სიტყვები, რომლებსაც ჰანა იტყვის.

ჩანთაში ქაღალდის ცხვირსახოცს დავუწყე ძებნა. ვგრძნობდი, ყოველ წუთს შეიძლებოდა ავტირებულიყავი.

მიპასუხე, ბიჭი კი არა, შენ აკლებ თავს ყურადღებას, თუმცა, ეს შეიძლება სხვა რამესაც ნიშნავდეს, ამიტომაც გკითხე ლექსის შესახებ, რადგან მისი აზრი შეიძლება უფრო ღრმა იყოს, ვიდრე მე წარმომიდგენიაო.

მართალი იყავი, რაიან. ეს ლექსი კიდევ უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ თუ ამას ხვდებოდი, მაშინ რატომღა მომპარე რვეული? რატომ დაბეჭდე ეს, შენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „შემაშფოთებელი“, ლექსი გაზეთში? რატომ გამოფინე ასე საქვეყნოდ?

ამ გამოფენას დეტალური გარჩევა და, ზოგ შემთხვევაში, სიცილ-ხარხარიც მოჰყვა.

ეს ლექსი შემთხვევით არ გიპოვია, რაიან. „დაკარგულ და ნაპოვნ ნივთებში“ მისი ადგილი არ იყო.

მაგრამ შენ მაინც გამოაქვეყნე. ყველამ წაიკითხა. მასწავლებლებიც კი წააწყდნენ და გაკვეთილებზე გასარჩევად გააქანეს. ჩემი თანაკლასელები, სხვა მოსწავლეები ლექსს აანალიზებდნენ და ფარულ აზრსეძებდნენ.

როგორც მახსოვს, აზრს ვერავინ ჩასწვდა. თუმცა ყველას გვეგონა, რომ გავიგეთ. ბატონ პორტერსაც კი.

თუ იცით, რა თქვა ბატონმა პორტერმა, სანამ ლექსს წასაკითხად გადმოგვცემდა? ანონიმი მოსწავლის ლექსის კითხვა იგივეა, გარდაცვლილი პოეტის კლასიკურ ლექსს ვკითხულობდეთო. სწორედ ასე თქვა, გარდაცვლილი პოეტისო. მსგავსება ისაა, რომ ვერც ერთს ვკითხავთ, რა აზრი ჩადო ლექსში და ვერც მეორესო.

ამ განცხადების შემდეგ ბატონი პორტერი გაჩუმდა, იქნებ ვინმემ აღიაროს, რომ თვითონაა ავტორიო. მაგრამ, როგორც იცით, ეს არ მომხდარა.

ახლა კი იცით, ვინც არის ავტორი. ლექსსაც გაგახსენებთ:

მარტოსული
მზერით დაგეძებ,
შენ კი ვერ მამჩნევ,
ზედ არ მიყურებ,
სალამს არ მაძლევ.
შეგეძლო ჩემთან ყოფილიყავი,
მონათესავე სული ხარ იქნებ?
ან იქნებ არ ხარ,
ამას მე მაინც ვერ შევამოწმებ.
დედა ხარ ჩემი,
შენი სხეულის ვიყავ ნაწილი,
ახლა არ მიცნობ,
სამოსის მიღმა ვეღარც კი მხედავ.
ნაცნობები რომ მომიკითხავენ,
ნაზი ღიმილით უხდი მადლობას.
რა, სულ ეს არის?
არა, არ მინდა.

გთხოვ, დამიძახე და გამიცანი,

გთხოვ, დამინახე.

თვით ეს სხეულიც შირმაა მხოლოდ,

უნდა ჩამოხსნა და ჩემს სულს შეხვდე,

შეხვდე მარტოსულს.

აბა, რას ფიქრობთ, სწორად გაარჩიეს მასწავლებლებმა? მართლები გამოდგნენ? ეჭვობდით, რომ მე ვიყავი ავტორი თუ წარმოდგენა არ გქონდათ?

ზოგიერთ თქვენგანს მაინც ეცოდინებოდა. თავისი გაზეთის სასკოლო პროგრამაში მოხვედრით აღფრთოვანებული რაიანი ალბათ ვიღაცას ეტრაბახა კიდეც. მაგრამ როდესაც პირადად მე მეკითხებოდნენ, ავტორობას არც უარვყოფდი და არც ვადასტურებდი. ზოგს ეს აგიჟებდა.

ჩემი ლექსის პაროდიებიც კი შეთხზეს და მონდომებით მიკითხავდნენ იმ იმედით, რომ მოთმინებიდან გამოვიდოდი.

მართალია. მახსოვს ერთხელ ბატონი პორტერის გაკვეთილზე ორმა გოგომ გადაკეთებული ვერსია წაიკითხა.

სულელური და ბავშვური საქციელია... თანაც, სასტიკი.

შემდეგ, მთელი მომდევნო კვირის განმავლობაში ყოველდღე დაუზარებლად მოჰქონდათ ახალ-ახალი ვერსიები. ჰანა ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია და ბატონი პორტერის მოსვლამდე წიგნში ცხვირჩარგული იჯდა.

ალბათ ფიქრობთ, რომ რაიანს ისეთიც არაფერი დაუშავებია. ჰო, თქვენთვის რომ გაეკეთებინა მსგავსი რამ, ალბათ გულთან ახლოს არ მიიტანდით. მაგრამ მე, უკვე დიდი ხანი იყო, ვერც სკოლაში და, ტაილერის ფოტოთავგადასავლების შემდეგ, ვერც სახლში თავს უსაფრთხოდ ვერ ვგრძნობდი. ამას კი ესეც დაემატა – ჩემი აზრები და გრძნობები სხვების გასარჩევ და სამასხარაო თემად იქცა.

ერთხელ, ბატონი პორტერის გაკვეთილის დაწყებამდე, როცა გოგოები აჯავრებდნენ, ჰანამ თავი ასწია და ჩვენი თვალები წუთით ერთმანეთს შეხვდა. მივხვდი, იცოდა, რომ ვუყურებდი. სხვებს არაფერი შეუმჩნევიათ, მაგრამ მე მაინც მაშინვე ავარიდე თვალი.

ჰანა მარტო იყო.

გმადლობ, რაიან, დიდი მადლობა. შენ ნამდვილი პოეტი ხარ.

<

ყურსასმენებს ვიძრობ და კისერზე ვიკიდებ.

– არ ვიცი, რა ხდება შენს თავს, მაგრამ ფულს არ გამოგართმევ, – მეუბნება კაცი.

– არა, გადავიხდი, – ჯიბიდან საფულეს ვიღებ.

– არ ვხუმრობ. ერთი მილქშეიქი არაფერია. არ ვიცი, რა გჭირს და რით შემიძლია დაგეხმარო, მაგრამ აშკარად რაღაც ცუდი შეგემთხვა. დაიტოვე ფული, – კაცი თვალებში მიყურებს და ვხვდები, რომ ეს მისი საბოლოო გადაწყვეტილებაა.

არ ვიცი, რა ვთქვა. ყელში თითქოს ბურთი მეჩხირება, ხმას ვერ ვიღებ.

კაცს უსიტყვოდ ვუქნევ თავს, ზურგჩანთას და მომდევნო კასეტას ვიღებ და კარისკენ მივდივარ.

# მეხუთე კასეტა: A მხარე

გარეთ გავდივარ და ჩემ უკან „როუზის სასადილოს“ მინის კარი იხურება. საკეტის ხმაც მესმის.

სად წავიდე, სახლში? თუ „მონეს ბაღში“ დავბრუნდე? ბიბლიოთეკის კიბეზეც შეიძლება ჩამოჯდომა და დარჩენილი კასეტების ისე მოსმენა.

– კლეი!

ტონის ხმაა.

მანქანის ფარების სიკაშკაშე თვალს მჭრის. ტონის ფანჯარა ჩაუწევია და ხელით მიხმობს. ქურთუკს ვიკრავ და მანქანას ვუახლოვდები, თუმცა, ახლა ლაპარაკის თავი არ მაქვს.

მე და ტონი უკვე წლებია, ერთმანეთს ვიცნობთ, სკოლის დავალებებს ერთად ვასრულებთ და გაკვეთილების შემდეგაც ერთად ვერთობით ხოლმე. მაგრამ ჩვენი ურთიერთობა მაინც ზედაპირულია.

ახლა კი, მგონია, რომ ტონის ჩემთან სერიოზული ლაპარაკი უნდა. ამიტომაც მელოდა მანქანაში ამდენ ხანს. სხვა რა მიზეზი უნდა იყოს?

ტონი მე არ მიყურებს, სარკეს ასწორებს, შემდეგ თვალებს ხუჭავს და თავს ხრის.

– მიდი, კლეი, ჩაჯექი.

– ყველაფერი რიგზეა?

ხანმოკლე პაუზის შემდეგ თავს მიქნევს.

მანქანას გარს ვუვლი, კარს ვაღებ და ვჯდები. ცალ ფეხს ასფალტზე ვტოვებ. ზურგჩანთას კალთაში ვიდებ.

– კარი დახურე, – მეუბნება ტონი.

– სად მივდივართ?

– ნუ ღელავ, კლეი, უბრალოდ, დახურე. გარედან სიცივე შემოდის, – ტონი თავის მხარეს კარზე სახელურს ატრიალებს და ფანჯარა მაღლა იწევა. მე ისევ არ მიყურებს.

კარს ვხურავ თუ არა, მაშინვე ლაპარაკს იწყებს.

– კლეი, შენ მეცხრე ხარ, ვისაც დავყვები.

– რაო? არ მესმის, რაზე ლაპარაკობ.

– ჰანა არ ხუმრობდა. კასეტების ასლები არსებობს... მე მაქვს.

– ღმერთო ჩემო, – სახეზე ხელებს ვიფარებ. მარცხენა წარბთან ტკივილი ბრუნდება და

ხელისგულს შუბლზე მაგრად ვიჭერ.

– კარგი, დაწყნარდი, კლეი.

თავს ვერ ვწევ. ნეტა მოუსმინა? იცის? რა იცის ჩემ შესახებ? რატომ მაწყნარებს?

– ახლა რას უსმენდი?

– როგორ თუ რას?

– რომელ ნაწილს უსმენდი?

შემიძლია ყველაფერი უარვყო, დავიჟინო, რომ წარმოდგენაც არ მაქვს, რაზე ლაპარაკობს. ან უბრალოდ ავდგე და წავიდე. თუმცა სულერთია, უკვე მაინც ყველაფერი იცის.

– კარგი რა, კლეი. მითხარი, რომელს უსმენდი?

თვალები ისევ დახუჭული მაქვს, თითებს შუბლზე ვიჭერ.

– რაიანზე, – ვპასუხობ, – ლექსის შესახებ.

შემდეგ ტონისკენ ვიხედები. თავს უკან სწევს, თვალები დახუჭული აქვს.

– რა?..

არაფერს მპასუხობს.

– მაინცდამაინც შენ რატომ მოგცა ეს ასლები?

ტონი მანქანის გასაღებს ატრიალებს და მეუბნება:

– მოდი, დავიძრათ და შენ შემდეგი ნაწილის მოსმენა დაიწყე.

– მითხარი, რატომ მოგცა.

– გეტყვი. ოღონდ ჯერ შემდეგ ნაწილს მოუსმინე.

– რატომ?

– კლეი, სერიოზულად გეუბნები. მოუსმინე შემდეგ ნაწილს.

– ჯერ მიპასუხე, რატომ მთხოვ ამას.

– იმიტომ, რომ შენზეა, კლეი, – გასაღებს ხელს უშვებს, – შენზეა ეს ნაწილი.

ვერაფერს ვგრძნობ.

გული არ მიფრიალებს. თვალებსაც კი არ ვახამხამებ.

შემდეგ კი...

იდაყვს ვხრი და სკამს ვურტყამ. მერე კარზეც ვახეთქებ. დიდი სურვილი მაქვს, ფანჯრის მინას თავით შევასკდე, მაგრამ ამის ნაცვლად თავს საზურგეს ვურტყამ.

ტონი ხელს მხარზე მადებს.

– მიდი, მოუსმინე. მანქანიდან ნუ გადახვალ, – მეუბნება.

ძრავას რთავს.

სახეს ცრემლები მისველებს. ტონისკენ ვბრუნდები, მაგრამ ის პირდაპირ იყურება.

„უოქმენს“ ვხსნი და იქიდან მეხუთე კასეტას ვიღებ, რომელსაც კუთხეში მუქლურჯად აწერია 9. სიაში მეცხრე ვარ.

კასეტას ვატრიალებ და „უოქმენს“ ორივე ხელით, წიგნივით ვხურავ.

ტონი მანქანას ძრავს და ავტოსადგომიდან მთავარ ტრასაზე გადის.

„უოქმენს“ არც კი ვუყურებ, ისე მიმაქვს თითი ჩამრთველთან. ჩემი ისტორია იწყება.

4

„რომეო, ო, რომეო. სად ხარ, რომეო?“

ამ სიტყვებით იწყება.

კარგი კითხვაა, ჯულიეტა. ნეტავ, პასუხი ვიცოდე.

– ნუ ღელავ, კლეი! – ტონის ხმა ჩამესმის.

რომ არ მოგატყუოთ, დარწმუნებით არასდროს მიფიქრია, კლეი ჯენსენია ჩემი რჩეული-მეთქი.

საკუთარი სახელის გაგონებაზე თავის ტკივილი მიორმაგდება. გულიც მწვავე ტკივილით იმსჭვალება.

ისიც კი არ ვიცი, ნამდვილი კლეის გაცნობა თუ მოვახერხე. მასზე ინფორმაციას უმეტესად სხვებისგან ვიღებდი. ამიტომაც მინდოდა მისი უკეთ გაცნობა. ყველაფერი, რაც სხვებისგან მესმოდა, აბსოლუტურად ყველაფერი, მასზე დადებითად მეტყველებდა.

მასზე ცუდს არავინ ამბობდა. ეს კი ერთ-ერთი ისეთი რამეა, ერთხელ რომ შეამჩნევ და მერე მუდამ იქცევს შენს ყურადღებას.

მაგალითად, შემჩნეული მაქვს, რომ კრისტენ რენერტს ყოველთვის აცვია თუნდაც ერთი რამე შავი ფერის – შავი შარვალი, შავი ფეხსაცმელი ან შავი პერანგი. თუ შავი მხოლოდ ქურთუკი აცვია, ქურთუკს მთელ დღეს არ გაიხდის. ახლა, ეს რომ გითხარით, დარწმუნებული ვარ, თქვენც თვალში გაგეჩხირებათ ხოლმე.

სტივ ოლივერსაც აქვს ერთი აკვიატება: როცა გაკვეთილზე ხელს სწევს, კითხვას ან წინადადებას აუცილებლადიწყებს ფრაზით „ესე იგი“.

„– გისმენთ, ოლივერ.

– ესე იგი... თომას ჯეფერსონი რომ მონათმფლობელი ყოფილიყო...

– გისმენთ, ოლივერ.

– ესე იგი... ამის პასუხია 76.1225.

– გისმენთ, ოლივერ.

– ესე იგი... შეიძლება ერთი წუთით დერეფანში გავიდე?“

ზუსტად ასეა და ამიერიდან თქვენც შეამჩნევთ ხოლმე.

შემჩნეული მაქვს, ჰანა. ოღონდ გთხოვ, რა დროს ეს არის?!

კლეის რომ ახსენებდნენ, მეც ამოჩემებულად ზუსტად ერთი და იგივე რეაქცია მქონდა – მისი სახელის გაგონებაზე ყოველთვის ყურებს ვცქვეტდი ხოლმე. მგონი, რამე სკანდალურის მოსმენას ველოდი. არა იმისთვის, რომ შემდეგ მეჭორავა, უბრალოდ, არ მჯეროდა, რომ მართლა ასეთი უნაკლო იყო.

ტონისკენ ვიხედები ირონიული ღიმილით, მაგრამ ის გზას უყურებს და ამას ვერ ხედავს.

თუ მართლა ასეთი კარგი იყო, ამას რა სჯობდა! მაგრამ მაინტერესებდა, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასე? მაინც რამდენ ხანს ვერ მოვისმენდი მასზე რაიმე ცუდს? თანდათან ეს ერთგვარ თამაშად იქცა.

ჩვეულებრივ, როცა ვინმეს ასეთი ბრწყინვალე იმიჯი აქვს, მტერიც ჰყავს, რომელიც ჩასაფრებულია და შესაფერის დროს ელოდება, რომ მიწასთან გაასწოროს. „მტერს“ ერთი სული აქვს, როდის იჩენს თავს საბედისწერო ნაკლი.

მაგრამ კლეის არავინ ემტერებოდა.

ისევ ტონისკენ ვიხედები. ამჯერად მის სახეზე ღიმილს ვხედავ.

იმედი მაქვს, არც ამ ჩანაწერის მოსმენის შემდეგ დაიწყებთ კლეის ნაკლოვანებების და ბნელით მოცული საიდუმლოების ძიებას. თუმცა დარწმუნებული ვარ, ერთი-ორი მაინც ექნება.

კი, მაქვს რამდენიმე.

ალბათ ფიქრობთ, რომ მე თვითონ გავხდი კლეის ჩასაფრებული „მტერი“ და „მისტერ სრულყოფილების“ მიწასთან გასწორებას ვაპირებ; ერთი სული მაქვს, ყველას გავანდო ნაკლი, რომელიც მასში აღმოვაჩინე, და მისი დადებითი იმიჯი გავაცამტვერო.

მაგრამ თქვენ ცდებით.

მთელი სხეული მიდუნდება. წუთის წინ შეკრული სუნთქვა უცებ მეხსნება.

იმედია, გული არ დაგწყდათ და ეს ჩანაწერები თქვენთვის იმაზე მეტია, ვიდრე უბრალოდ ცუდი ამბებისა და საჭორაო მასალის საბადო.

კლეი, ძვირფასო, ამ სიაში შენი ადგილი არ არის.

თვალებს ვხუჭავ და თავს ფანჯარაზე ვაყრდნობ. ვცდილობ, შევიგრძნო მინის სიცივე.

თუ ყურადღებას სიცივეზე გადავიტან, იქნებ ცრემლების შეკავება შევძლო.

ან უფრო სწორად, არის, მაგრამ შენ განსხვავებული ხარ. შენს აქ ყოფნას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს.

ასე რომ, ერთი მხრივ, ზედმეტი ხარ, კლეი, მაგრამ საჭირო. თუ გამოგტოვებ, ჩემს ამბავს „სრული“ ვეღარ დაერქმევა.

;

– ამბობს, სიაში შენი ადგილი არ არისო. მაშ, რატომ ვუსმენ ამას? რატომ არ გამომტოვა? – უმწეოდ ვეკითხები ტონის, – ამ ჩანაწერებით სიმშვიდე დამირღვია.

ის ისევ გზას უყურებს, ხანდახან სარკესაც, მე კი – არა.

– არა. მშვიდად ვერ იქნებოდი, რადგან არ იცოდი, რა დაემართა. ეს არ მოგასვენებდა, – მანქანის შუქით განათებულ ასფალტს გავცქერი. ვხვდები, რომ ტონი მართალია, – თანაც, ვფიქრობ, რომ უნდოდა, გცოდნოდა.

ამაშიც ვეთანხმები, მაგრამ რატომ? რატომ უნდოდა ეს?

– სად მივდივართ?

ტონი არაფერს მპასუხობს.

4

აქამდეც საკმაოდ ბევრი მნიშვნელოვანი რამე გამოვტოვე. არ ვიცოდი, როგორ მომეყოლა ან, უბრალოდ, არ შემეძლო მომეყოლა. არის რაღაცები, რაც არც ახლა მესმის... და ვერ ვეღარასდროს გავიგებ. ამიტომ, მირჩევნია, ამაზე არ ვილაპარაკო.

თუმცა, ყველაფერს რომ არ ვყვები, განა ამით საერთო ამბავს რამე აკლდება?

არა, არ აკლდება.

პირიქით, გამოტოვება საშუალებას გვაძლევს, ამბები უფრო ახლოდან აღვიქვათ.

თქვენ ჩემი ცხოვრების მხოლოდ მცირე ნაწილს ეცნობით. არ იცით, რა ხდებოდა ჩემს თავს მაგალითად სახლში... სხვისი ცხოვრების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას არავინ ფლობს. როდესაც ვინმეს ცხოვრების ერთ ნაწილს ურევ, შეიძლება გეგონოს, რომ ერთ პრობლემას უქმნი, სინამდვილეში კი, მთელ ცხოვრებას თავდაყირა უყენებ.

ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.

მომდევნო რამდენიმე ისტორია ერთი ღამის ირგვლივ ტრიალებს.

წვეულების ღამე...

ჩვენი ღამის ირგვლივ, კლეი. ვიცი, მიხვდები, რასაც ვგულისხმობ. წლების განმავლობაში ერთ სკოლაში დავდიოდით, კინოთეატრშიც ერთად ვმუშაობდით, მაგრამ

დაახლოება მხოლოდ იმ ღამეს მოვახერხეთ.

იმ ღამეს კიდევ რამდენიმე ადამიანი ჩნდება სცენაზე. ერთ-ერთ თქვენგანი – უკვე მეორედ. ახლა ვეღარ შეცვლით იმას, რაც იმ „ერთ ჩვეულებრივ“ ღამეს ჩაიდინეთ.

შემძულდა ის ღამე. ამ ჩანაწერების მოსმენამდე მძულდა. სწორედ იმ ღამეს გავქანდი მოხუც ქალთან, რათა მეთქვა, რომ მისი ქმარი კარგად იყო. ვუთხარი, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი, მაგრამ ვიცრუე. სანამ მისი სახლისკენ მივრბოდი, მეორე, ახალგაზრდა მძღოლი კვდებოდა.

იმედია, ამ ჩანაწერებს მხოლოდ ისინი მოისმენთ, ვინც ჩემს სიაში ხართ. ეს საშუალებას მოგცემთ, თავად გადაწყვიტოთ, რის შეცვლა გსურთ ან არ გსურთ თქვენს ცხოვრებაში.

იმ შემთხვევაში, თუ ჩანაწერები გავრცელდება, ცვლილებები შეიძლება თქვენზე აღარ იყოს დამოკიდებული.გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ წესს დაიცავთ და კასეტებს ერთმანეთს გაუგზავნით.

ტონის ვუყურებ. ნეტა მართლა იზამდა ამას? მართლა გაავრცელებდა კასეტებს? ვის გადასცემდა?

თუ კასეტები გავრცელდა, სხვადასხვა სახის უსიამოვნება გელით. ზოგიერთს ალბათ მხოლოდ სირცხვილისა და სიმწრის გამოცდა მოგიწევთ, ზოგმა კი შეიძლება სამსახურიც კი დაკარგოთ ან ციხეში მოხვდეთ.

ამიტომ აჯობებს, ეს ამბები ჩვენ შორის დარჩეს.

კლეი, წესით, იმ წვეულებაზე არც უნდა ვყოფილიყავი. დაპატიჟებული კი ვიყავი, მაგრამ არმოსვლისთვის მიზეზი მქონდა. ბოლო პერიოდში სკოლაში სულ უფრო დაბალ ქულებს ვიღებდი. ჩემი მშობლები ყოველკვირა იბარებდნენ მასწავლებლებისგან ანგარიშს და, ვინაიდან ქულები არ უმჯობესდებოდა, დროებით თავისუფალი დრო შემიზღუდეს.

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სკოლიდან შინ მაქსიმუმ ერთ საათში უნდა დავბრუნებულიყავი. სანამ ქულებს არ გამოვასწორებდი, მთელი ჩემი თავისუფალი დრო ეს ერთი საათი იქნებოდა.

შუქნიშანზე წითელი ანთია. ტონი აჩერებს, მაგრამ გზას თვალს მაინც არ აშორებს. რატომ მარიდებს თვალს? არ უნდა დაინახოს, როგორ ვტირი? ამწუთას არ ვტირი.

როგორც ვთქვი, შენი სახელის გაგონებაზე ყურებს ვცქვეტდი ხოლმე. ამგვარად გავიგე ისიც, რომ იმ წვეულებაზე შენც იქნებოდი.

რაო? კლეი ჯენსენი წვეულებაზე? პირდაპირ გაუგონარი ამბავია.

ჩემი ბრალი არ არის. კვირის ბოლოს ვმეცადინეობ ხოლმე, რადგან საგნების უმეტესობაში ორშაბათობით ტესტები გვაქვს.

ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის, დანარჩენებიც აღნიშნავდნენ, რომ წვეულებებზე არასოდეს ჩნდებოდი, და მიზეზებზე მარჩიელობდნენ. ვარაუდი თუ ახსნა ბევრი იყო, თუმცა, რა თქმა უნდა, მხოლოდ დადებითი.

კარგი რა, ჰანა.

როგორც იცით, ტაილერი არც იმდენად მაღალია, რომ მეორე სართულის ფანჯარაში შეიჭყიტოს. ჩემი საძინებელი პირველ სართულზეა და, შესაბამისად, იქიდან გადაპარვა არ გამჭირვებია. ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოიტანთ, იქამდე მხოლოდ ორჯერ გავპარულვარ სახლიდან.

ჰო, კარგი, შეიძლება სამჯერ ან, მაქსიმუმ ოთხჯერ. მეტჯერ ნამდვილად არა.

ვინც არ იცით, რომელ წვეულებას ვგულისხმობ, შეგიძლიათ რუკაზე წითელი ვარსკვლავი მოძებნოთ. დიდი, მსხვილი, კარგად გაფერადებული წითელი ვარსკვლავია — ჩნ. ბამბის ტყის ქუჩა, 5-12.

იქ ხომ არ მივყავარ ტონის?

უი... ახლა მიხვდით, არა? ზოგიერთი თქვენგანი ნამდვილად მიხვდა, რის შესახებაა ეს ისტორია, მაგრამ მაინც მოცდა მოგიწევთ იმის გასაგებად, თუ რამდენის გამხელას ვაპირებ.

წვეულებაზე ფეხით წავედი. წინა დღეებში სულ წვიმდა და იმ ღამითაც ცაზე ღრუბლების სქელი ფენა იყო გადაკრული. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ გვიან იყო, მაინც თბილოდა. ეს ჩემი საყვარელი ამინდია.

ჩემიც, ჰანა.

ნამდვილი საოცრებაა. სანამ ასე მივსეირნობდი, ცხოვრება ამოუწურავი შესაძლებლობებით სავსე მეჩვენებოდა. დიდი ხნის დაკარგული იმედები დამიბრუნდა. თავს მხნედ ვგრძნობდი.

მეც ასე ვიყავი. თავს დავაძალე იმ წვეულებაზე წასვლა, რადგან რატომღაც რაღაც ახლისა და ამაღელვებლის იმედი მქონდა.

მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ეს მოჩვენებითი იმედი იყო.

ახლა რომ იმ ღამის დაბრუნება შემეძლოს, ნეტა როგორ მოვიქცეოდი? ახლა, როცა ვიცი, რაც მოხდა ჩემსა და ჰანას შორის, მაინც წავიდოდი?

ეს უბრალოდ ქარიშხლისწინა გარინდება იყო.

კი, მაინც წავიდოდი. წავიდოდი, თუნდაც არაფერი შეცვლილიყო.

შავი ქვედაბოლო და შავი, კაპიუშონიანი პულოვერი მეცვა. ჩემს ძველ სახლს ჩავუარე. გახსოვთ ალბათ, ჩემს რუკაზე პირველი წითელი ვარსკვლავია. პარმაღზე შუქი ენთო, ავტოფარეხიდან კი ძრავის ხმა მესმოდა, თუმცა მისი კარი დახურული იყო.

მხოლოდ მე ვიცი, რომ იმ სახლში ცხოვრობს მოხუცი, რომლის მანქანამ ჩვენი სკოლელი იმსხვერპლა?

ტროტუარზე გავჩერდი და მონუსხულივით მივაშტერდი სახლს, სადაც უკვე სხვა ოჯახი ცხოვრობდა. წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყვნენ და როგორი ცხოვრება ჰქონდათ.

ავტოფარეხის კარმა ნელ-ნელა ზემოთ აწევა დაიწყო. მანქანის წითელი შუქის ფონზე კაცის სილუეტი გამოჩნდა და მძიმე კარი ბოლომდე ასწია. შემდეგ მანქანაში ჩაჯდა, მოასფალტებულ დაღმართზე ჩამოიყვანა და გზას გაუყვა.

არ ვიცი, რატომ არ გაჩერდა და არ მკითხა, ჩემს სახლს რას მიშტერებიხარო. შეიძლება იფიქრა, რომ უბრალოდ მისი მანქანის გავლას ველოდი, რათა გზა გამეგრძელებინა.

მე მაინც სიურრეალისტურად მეჩვენა. ორ ადამიანს – მე და მას – ერთი სახლი გვაკავშირებდა, მისთვის კი უბრალოდ ტროტუარზე მდგარი ჩვეულებრივი გოგო ვიყავი და გვერდით ისე ჩამიარა, ვერაფერს მიხვდა. იმწუთას მომეჩვენა, რომ ჰაერი დამძიმდა და მარტოობით გაიჟღინთა. მას მერე მარტოობის განცდა აღარ მომშორებია.

იმ ღამის საუკეთესო წუთებიც კი ამ შემთხვევით, უფრო სწორად, „არშემთხვევით“ იყო დაღდასმული. მოხუცის გულგრილობამ მწარე სიმართლე შემახსენა: ის სახლი ჩემი წარსულის ნაწილი იყო, წარსულს კი ვეღარ დაიბრუნებ. ვერც ამ „იყოს“ შენეულ აღქმას დაიბრუნებ.

ნამდვილი და ხელშესახები მხოლოდ აწმყოა.

არც ჩვენ, ჰანას სიაში მოხვედრილ ადამიანებს შეგვიძლია წარსულის დაბრუნება. ვეღარ დავბრუნდებითიმ დროში, როცა ჰანას გზავნილის შესახებ არაფერი ვიცოდით. მისი პოვნის წუთიდან ყველა ჩვენგანი შეიცვალა.

სწორედ ეს ხსნის ჩემს საქციელს, კლეი. ამ ჩანაწერებს იმიტომაც გიგზავნი, რომ ეს გაგაგებინო და ბოდიში მოგიხადო.

ახსოვს, რომ იმ ღამით ბოდიში მოვუხადე? ალბათ თვითონაც ამიტომ იხდის ბოდიშს.

როცა მივაღწიე, წვეულება უკვე გახურებული იყო. ყველა ჩემსავით მშობლების დაძინებას კი არ ელოდა, რომ სახლიდან გამოსულიყო.

შესასვლელში, როგორც წესი და რიგია, სიმთვრალით გონდაკარგული ბრბო იდგა. ყველას ლუდის ჭიქის აწევით ესალმებოდნენ. „ჰანა“ ძალიან ადვილად წარმოსათქმელი სახელი მგონია, მაგრამ იმ ბიჭებმა მისი დამახინჯება მაინც მოახერხეს. სანამ ჯგუფის ერთი ნახევარი ჩემს სახელზე ბორძიკობდა, მეორე ნახევარი ხვიხვინებდა.

თუმცა უნდა ვთქვა, რომ ეს უწყინარი ხალხია. გასულელებული მთვრალები ნებისმიერი წვეულების მისაღებ და სასიამოვნო ნაწილს შეადგენენ – არც ჩხუბობენ და არც გოგოებს აწუხებენ, უბრალოდ სვამენ და იცინიან.

მახსოვს ეს ბიჭები. იღბლისმომტან თილისმად აღვიქვი. „კლეიი! აქ რას აკეთებ? ჰაჰაჰა!“

მუსიკა ღრიალებდა. არავინ ცეკვავდა. ერთი არაფრით გამორჩეული წვეულება იყო.

თუმცა არა, ეს წვეულება იმით იყო გამორჩეული, რომ მას კლეი ჯენსენი ესწრებოდა.

კლეი, დარწმუნებული ვარ, თავიდან ბევრი სარკასტული კომენტარის მოსმენა მოგიხდა, მაგრამ მე რომ მოვედი, უკვე წვეულების ჩვეულებრივი ნაწილი იყავი. სხვებისგან განსხვავებით, მე მხოლოდ შენს სანახავად მოვედი. არა მარტო სანახავად – იმ ყველაფრის გათვალისწინებით, რაც ბოლო დროს ჩემს ცხოვრებასა თუ გონებაში ხდებოდა, შენთან დასალაპარაკებლად, ერთხელ მაინც. გულღიად. მინდოდა, ბოლოს და ბოლოს, შენთვისაც დამესვა კითხვები, რის საშუალებაც სკოლაში ან სამსახურში არასდროს მქონია.

მე კი მეშინოდა, რომ შენთან შანსი არ მქონდა. მერჩივნა კიდეც, რომ ასე მეფიქრა. იმედგაცრუების მეშინოდა. არ მინდოდა ახლოს გამეცანი და ის ყველაფერი, რასაც შენზე ამბობდნენ, სიმართლე აღმოჩენილიყო.

ჩემთვის ამაზე მტკივნეული არაფერი იქნებოდა.

ლუდის რიგში ჩავდექი. სწორედ მაშინ მოხვედი ჩემთან.

– ჰანა... გამარჯობა, – მითხარი და შენკენ მოვბრუნდი.

ჰანა რომ მოვიდა, ჯერ კიდევ არ ვიყავი მზად. ზურგი ვაქციე, შეშლილივით გავირბინე სამზარეულო და გარეთ გავვარდი. არადა, გადაწყვეტილი მქონდა, რომ თუ ჰანაც მოვიდოდა წვეულებაზე, აუცილებლად დაველაპარაკებოდი. ვფიქრობდი, უკვე დროა, არ მადარდებს, ვინ რას იფიქრებს, უბრალოდ, მივალ და ვისაუბრებთ-მეთქი.

მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, თავზარი დამეცა.

ისე უეცრად გამომეცხადე, თვალებს ვერ ვუჯერებდი. თითქოს ციდან ჩამოვარდი.

არა, ციდან არ ჩამოვვარდნილვარ. ჯერ უკანა ეზოში ვიბოდიალე და თავს

ვამუნათებდი, მშიშარა ღლაპი ხარ-მეთქი, მერე შინ დაბრუნება გადავწყვიტე.

ჭიშკრიდან გავედი კიდეც, მაგრამ საკუთარი სილაჩრის შემრცხვა და უკან შევბრუნდი, მთვრალი ჯგრო ისევ მომესალმა, მე კი პირდაპირ შენკენ გამოვემართე.

– ჰანა, ვფიქრობ, რომ უნდა ვილაპარაკოთ, – მითხარი.

ამ წინადადების წარმოთქმა უდიდესი ძალისხმევის ფასად მოვახერხე, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორი ჭიქა ლუდი მქონდა დალეული.

დაგეთანხმე და ალბათ უაღრესად სულელურად გავიღიმე.

არა, ულამაზესად გაიღიმე.

შენ უკან კარი იყო. რატომღაც მის ჩარჩოზე კალმითა და ფანქრით გაკეთებული ნიშნულები მომხვდა თვალში, ალბათ სახლის ბინადარი ბავშვების სიმაღლის საზომად. ჩვენს ძველ სახლშიც იყო ასეთი ნიშნულები. გამახსენდა, როგორ წაშალა დედამ, როცა სახლს გასაყიდად ვამზადებდით.

შევამჩნიე, ჰანა. დავინახე, როგორ შეგეცვალა თვალები, როცა ჩემს მიღმა გაიხედე.

შენ ჩემს ცარიელ ჭიქას შეხედე, შენი ჭიქიდან ნახევარი გადმომისხი და მითხარი, ახლავე ვილაპარაკოთო.

მსმენელებს ვთხოვ, არასწორად ნუ გაიგებენ. ვიცი, ეს გოგოს დასათრობად გამიზნულ ხრიკს ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო. მე ასე არ აღმიქვამს.

ჰო, ასე არ იყო. ალბათ არავინ დაიჯერებს, მაგრამ ეს სიმართლეა.

კლეის ჩემი დათრობა რომ ნდომოდა, დამელოდებოდა, სანამ ჭიქას ბოლომდე შემივსებდნენ.

სამზარეულოდან მისაღებ ოთახში გავედით. დივანზე უკვე ისხდნენ.

ჯესიკა დევისი და ჯასტინ ფოლი.

ჩვენ მათ გვერდით დავსხედით. გაინტერესებთ, მერე რა ვქენით? ჭიქები დავდგით და ლაპარაკი დავიწყეთ. აი, ასე.

ჰანამ ჯესიკა და ჯასტინი დაინახა, მაგრამ ახლა მათ სახელებს არ ახსენებს. ანუ ჩვენ გვერდით ისხდნენ და ერთმანეთს კოცნიდნენ ბიჭი, რომელთანაც ჰანას პირველი კოცნა შედგა და გოგო, რომელმაც მას დაარტყა. თითქოს წარსული ყველგან თან სდევდა.

ჩვენი საუბარი ზუსტად ისეთი იყო, როგორსაც ვინატრებდი. ერთმანეთს პირადულ კითხვებს ვუსვამდით, თითქოს მთელ დაკარგულ დროს ერთბაშად ვინაზღაურებდით. კითხვები პირადული იყო, მაგრამ არა უხერხული.

მისი ხმა თითქოს მათბობს. ხმის ძალის შესანარჩუნებლად ყურებზე ხელებს ვიფარებ.

კითხვები უადგილო ან უხერხული ვერც იქნებოდა, რადგან მე სწორედ ასე მინდოდა შენთან საუბარი. მინდოდა, გაგეცანი, კლეი.

თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. მედა ჰანას ნამდვილი, აზრიანი საუბარი გვქონდა. არ მინდოდა, რომ დასრულებულიყო.

ძალიან მომწონდა შენთან საუბარი, ჰანა.

ჩანდა, ჩემი გაცნობა არ გაგიჭირდებოდა. რასაც გეუბნებოდი, ყველაფერი გესმოდა. თანდათან მივხვდი, რატომაც – ჩვენ ერთი და იგივე რამეები მოგვწონდა და ერთი და იგივე რამეები გვაწუხებდა.

შეგეძლო ყველაფერი გეთქვა, ჰანა. იმ ღამით ზედმეტი არაფერი იქნებოდა. შეგეძლო ჩემთვის გული გადაგეშალა და ყველაფერი გაგემხილა, მაგრამ ეს არ გააკეთე.

მინდოდა, გული გადამეშალა, მაგრამ არ შემეძლო. რაღაცები ჩემთვისაც ბნელით იყო მოცული – მეშინოდა, არ მესმოდა. როგორ შემეძლო პირველივე გულღია საუბრის დროს მეთქვა ყველაფერი?

არ შემეძლო, ამისთვის ადრე იყო.

არა, არ იყო.

ან იქნებ, პირიქით, უკვე გვიან იყო.

ახლა ხომ მიყვები ყველაფერს? რატომ არ შეგეძლო, ეს აქამდე გექნა?

შეიძლება სურს, რომ თბილად მელაპარაკოს, მაგრამ მისი სიტყვები უკვე მწვავს და გულსა და გონებას მიფორიაქებს.

შენ მითხარი, ვიცოდი ურთიერთობა არ გაგვიჭირდებოდაო. დიდი ხანია, ვიცი, რომ ერთმანეთს კარგად შევეწყობითო. მაგრამ ის კი აღარ აგიხსნია, ასე რატომ ფიქრობდი. მე ხომ ვიცი, რამდენ ჭორსა და სიცრუეს ამბობდნენ ჩემზე.

ვიცოდი, რომ ეს სიმართლე არ იყო, ჰანა. უფრო სწორად, იმედი მქონდა, რომ არ იყო სიმართლე, მაგრამ ამ საკითხში ჩაღრმავებას ვერ ვბედავდი.

სიტუაციამ დამაბნია. უფრო ადრე რომ დაგლაპარაკებოდი ასე, მაშინ ალბათ... არ ვიცი, რა ვიქნებოდით, მაგრამ იმ ღამით ჩემთვის უკვე გვიან იყო. გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა. არა, თვითმკვლელობაზე ჯერ არ ვფიქრობდი, მაგრამ ვინმესთან დაახლოება აღარ უნდა მეცადა. ვფიქრობდი, სკოლას დავამთავრებ და შემდეგ აქედან წავალ-მეთქი.

ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, იმ წვეულებაზე შენს სანახავად მოვედი.

რატომ მოვიქეცი ასე? რატომ ვიტანჯავდი თავს? საკუთარი თავი მძულდა იმის გამო,

რომ იქამდე არ დაგელაპარაკე. იმ ღამეს კი, ჩემი გადაწყვეტილების გათვალისწინებით, უსამართლოდ გექცეოდი.

ერთადერთი უსამართლობა ეს ჩანაწერებია, ჰანა. მე ხომ შენთან ვიყავი. ვსაუბრობდით და შეგეძლო ჩემთვის ყველაფერი გეთქვა. აბსოლუტურად ყველაფრისთვის ვიყავი მზად.

როგორც ვთქვი, დივანზე ჩვენ გვერდით წყვილი იჯდა. გოგო მთვრალი იყო, იცინოდა და წარამარა მეჯახებოდა. თავიდან ეს სასაცილოდ მეჩვენა, მაგრამ მალე ყელში ამომივიდა.

რატომ არ ამბობს, რომ ჯესიკა იყო?

ვიფიქრე, იქნებ არც ისეთი მთვრალია და მეწყვილეს ატყუებს ან ჩვენი თავიდან მოშორება და ამ დივანზე თავის ბიჭთან მარტო დარჩენა უნდა-მეთქი.

ასე რომ, მე და კლეი ავდექით.

ოთახებში ვსეირნობდით და მუსიკის გადასაფარად ვყვიროდით. საუბრის ტონის შეცვლა მოვახერხე – მძიმე და მნიშვნელოვანი თემები ლაღი ხუმრობებით ჩავანაცვლეთ. მაგრამ იმ აურზაურში ერთმანეთის ნათქვამს ძლივს ვარჩევდით.

ბოლოს ერთ ცარიელ ოთახს მივაგენით.

რაც იქ მოხდა, ყველაფერი დეტალურად მახსოვს. ნეტა ჰანას როგორ ახსოვს?

ოთახში რომ შევედით, ზურგით კედელს მივეყრდენით და ავხარხარდით.

მიუხედავად იმისა, რომ ვიცინოდი, უეცრად მარტოობის მწვავე განცდა დამიბრუნდა.

ვიცოდი, მარტო აღარ ვიყავი და ასე ფიქრის საბაბი არ მქონდა. როგორც იქნა, დავუახლოვდი ერთ-ერთ თანაკლასელს. ეს უკვე ნიშნავდა, რომ ვიღაც მყავდა.

გყავდა, ჰანა. მე გყავდი.

უბრალოდ, მარტო ყოფნა მინდოდა. სხვა ახსნას ვერ ვპოულობ. ბევრჯერ ვენდე ადამიანებს, მაგრამ ყოველ ჯერზე იმედი გამიცრუეს.

კლეისთან თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ვიცოდი, არსებობდა რისკი, სიტუაცია რადიკალურად შეცვლილიყო, რაც ყველა წინა იმედგაცრუებაზე ბევრად უფრო მტკივნეული იქნებოდა.

გამორიცხულია, ასე მომხდარიყო.

შენ ჩემ გვერდით იყავი, კლეი, მზად იყავი, ჩემთვის მოგესმინა, მაგრამ შენთვის გულის გადაშლა ვეღარ მოვახერხე, ამიტომ საუბარი უფრო მსუბუქ თემებზე გადავიტანე. შენც ამყევი და გამაცინე კიდეც. ერთად ვიცინოდით. სწორედ ის მომეცი, რაც მჭირდებოდა.

ჰოდა, ავდექი და გაკოცე.

არა, მე გაკოცე, ჰანა.

მშვენიერი, ხანგრძლივი კოცნა იყო.

გახსოვს, რა თქვი, როცა ერთმანეთს მოვშორდით? მორცხვი და საყვარელი ღიმილით მკითხე, ეს რატომ გააკეთეო.

მართალი ხარ, შენ მაკოცე.

გითხარი, რა სულელი ხარ-მეთქი და კიდევ გაკოცე.

კი, ესეც მახსოვს.

ბოლოს კარი დავხურეთ და წვეულება თავისი ღრიანცელით და ხმამაღალი მუსიკით კარს მიღმა დარჩა.

შესანიშნავი იყო. მე და ჰანა ერთად ვიყავით. „შესანიშნავია! შესანიშნავია!“ – გონებაში მხოლოდ ეს სიტყვა მიტრიალებდა და თავს ძლივს ვიკავებდი, რომ ხმამაღლა არ მეთქვა.

ახლა ალბათ ფიქრობთ, ამ შემთხვევაზე რატომ არაფერი გვსმენიაო. არადა, ხომ ჩემი არაერთი კოცნა იცოდით.

არ გაუგიათ, იმიტომ, რომ მე არავისთვის მითქვამს.

ცდებით. თუ ყურადღებით მისმენთ, ამას უკვე უნდა მიმხვდარიყავით. თუ მხოლოდ თქვენ-თქვენ ისტორიებს მოუსმინეთ გულდასმით?! ერთი ხელის თითები მეყოფა იმ ადამიანების ჩამოსათვლელად, ვისთვისაც ოდესმე მიკოცნია. თქვენ კიგეგონათ, რომ მეორე ხელისა და ორივე ფეხის თითებიც არ იქნებოდა საკმარისი. ასე არ არის?

რაო, არ გჯერათ? იცით, არ მაინტერესებს. ჩემ შესახებ სხვისი აზრი ბოლოს სწორედ იმ წვეულებაზე მაღელვებდა, მას შემდეგ კი სრულიად გულგრილი ვარ.

უსაფრთხოების ქამარს ვიხსნი და წინ ვიხრები. პირზე ხელს მთელი ძალით ვიჭერ, რომ ყვირილი შევიკავო. მაინც ვყვირი. ჩემი ხელისგული ხმას ნაწილობრივ ახშობს.

ტონი წარბშეუხრელად აგრძელებს მანქანის მართვას.

ახლა კი მოხერხებულად მოეწყვეთ, რადგან ვაპირებ გითხრათ, რა მოხდა ჩემსა და კლეის შორის იმ ოთახში. აბა, მზად ხართ?

ჩვენ ერთმანეთს ვაკოცეთ.

სულ ეს არის.

„უოქმენს“ დავცქერი, რომელიც კალთაში მიდევს. მეტისმეტად ბნელა იმისთვის, რომ გამჭვირვალე პლასტმასის მიღმა კასეტის ტრიალი დავინახო. რაღაც მჭირდება, რომ ყურადღება გადავიტანო. „უოქმენის“ ორი უხილავი შვერილი, რომლებიც კასეტას

ატრიალებს, ჰანას ასევე უხილავი თვალებივითაა. წარმოვიდგენ, რომ ჰანას თვალებში ვუყურებ და ისე ვისმენ ამ ისტორიას.

ძალიან კარგი იყო. ორივენი საწოლზე ვიწექით, მას ერთი ხელი ჩემს თეძოზე ედო, მეორე მკლავი – ჩემს თავქვეშ. მე ორივე ხელით ვეხვეოდი და ჩემკენ ვიზიდავდი. ჩემი მხრივ, ამაზე მეტიც კი მინდოდა.

სწორედ მაშინ მოვუხადე ბოდიში. წავჩურჩულე, მაპატიე-მეთქი. ერთდროულად ბედნიერიც ვიყავი და სევდიანიც. სევდის მიზეზი ის იყო, რომ ამდენი დრო დავკარგე, ბედნიერების მიზეზი კი – ის, რომ ბოლოს და ბოლოს, ერთად ვიყავით.

ეს კოცნა პირველ კოცნას ჰგავდა და მარწმუნებდა, რომ კლეისთან ერთად ყველაფრის თავიდან დაწყება შემეძლო.

მაგრამ რა იყო ეს „თავიდან“? საიდან უნდა დამეწყო?

სწორედ მაშინ გამახსენდი შენ, ჯასტინ. ჩვენი პირველი კოცნა მომაგონდა. ჩემი ნამდვილი პირველი კოცნა. როგორ ველოდი და ვემზადებოდი ამისთვის.

გამახსენდა, როგორ გააფუჭე ყველაფერი.

– გაჩერდი, – ვუთხარი კლეის და ხელი გავუშვი.

მკერდზე ხელი მკარი და ისე მომიშორე თავიდან.

ხვდებოდი, რას ვგრძნობდი ამ დროს, კლეი? ხვდებოდი, რა მჭირდა? უნდა მიმხვდარიყავი.

არა, ვერაფერს მივხვდი. შენ კი არაფერი აგიხსნია, ჰანა.

თვალები მაგრად დავხუჭე და ვცადე, აღარ მეფიქრა, გონების თვალით აღარ დამენახეთ თქვენ, ვინც ამ ჩანაწერებში მოხვდით... და ყველა, ვისაც ვიცნობდი, ვინც კლეის კეთილად მოიხსენიებდა, მე კი სრულიად საპირისპიროდ – ცუდად.

სისულელეა, ჰანა, ჩვენ ერთნაირები ვიყავით.

საერთო აზრის წინაშე მე უძლური ვიყავი, მას ვერაფრით შევცვლიდი.

კლეი, შენ დამსახურებულად გაქებდნენ. მე კი... მე არ დამიმსახურებია ის, რაც მივიღე. იმწუთას შენ გვერდით ვიყავი, რასაც ასევე ჩემ წინააღმდეგ გამოიყენებდნენ.

ასე არ იყო, ჰანა. მე არავის არაფერს ვეტყოდი. არც არავისთვის მითქვამს.

გაგიმეორე, გაჩერდი-მეთქი და ხელისკვრით მოგიშორე. გადავბრუნდი და თავი ბალიშში ჩავრგე.

შენ რაღაცას ამბობდი, მაგრამ გაგაწყვეტინე და გთხოვე, წადი-მეთქი. კიდევ რაღაც თქვი... ბალიშში თავჩარგულმა დავიყვირე.

მაშინ კი ადექი და საწოლი ოდნავ შეირხა. ოთახიდან არ გადიოდი, რადგან არ გჯეროდა, რომ მართლა მინდოდა შენი წასვლა.

ჰო, იმედი მქონდა, რომ შემაჩერებდი, მეტყოდი, არ წახვიდეო.

თვალები არ გამიხელია, მაგრამ მაინც ვიგრძენი, როგორ განათდა ოთახი, როცა, ბოლოს და ბოლოს, კარი გააღე. შემდეგ ისევ დაბნელდა. შენ ოთახში აღარ იყავი.

რატომ დავუჯერე? რატომ დავტოვე იქ? ხომ ვიცოდი, რომ ვჭირდებოდი.

შემეშინდა. შიშს ვერ მოვერიე.

საწოლიდან იატაკზე ჩავსრიალდი, იქვე მოვიკუნტე და... ავტირდი.

კლეი, შენი ისტორია აქ მთავრდება.

ასე არ უნდა ყოფილიყო. მე შენ გვერდით ვიყავი, ჰანა, იქვე, სულ ახლოს, ერთი ხელის გაწვდენაზე. მარტოობა თვითონ აირჩიე. არადა, შემეძლო დაგხმარებოდი, მინდოდა დაგხმარებოდი...

მას შემდეგ აღარ გვილაპარაკია.

მიღებული გადაწყვეტილების შეცვლას აღარ აპირებდი. ვიცი, ასეა.

სკოლაში ჩემი მზერის დაჭერას ცდილობდი ხოლმე, მაგრამ მე ყოველთვის თვალს გარიდებდი. იმ ღამით, სახლში რომ დავბრუნდი, რვეულიდან ფურცელი ამოვხიე და მათი სახელები ჩამოვწერე, შენთან კოცნისას რომ გამახსენდა.

ვერ წარმოიდგენ, რამხელა სია გამოვიდა, კლეი. ორმოცამდე სახელი.

შემდეგ ეს სახელები ერთმანეთს დავუკავშირე.

პირველი შენი სახელი შემოვხაზე, ჯასტინ. მერე შენსა და ალექსს შორის გავავლე ხაზი. ალექსს ჯესიკა დავუკავშირე... ასე ვავლებდი ხაზებს, თუმცა სიაში ისინიც იყვნენ, რომლებიც სხვებს არ ებმოდნენ – ასე ვთქვათ, განცალკევებული შემთხვევები.

ყოველი ახალი კავშირის აღმოჩენაზე ბრაზი და იმედგაცრუება მწარედ მატირებდა. სიძულვილი მახრჩობდა.

სიაში ისიც იყო, ვის გამოც იმ წვეულებაზე წავედი – კლეი. მისი სახელი შემოვხაზე და მისგან ხაზი უკან, პირველი სახელისკენ გავავლე.

ჯასტინისკენ.

სხვათა შორის, კლეი, შენ რომ წახვედი, ცოტა ხანში ოთახის კარი სწორედ მან შემოაღო.

ჰანა პირველსავე ჩანაწერში დაჰპირდა ჯასტინს, რომ მისსახელს კიდევ ახსენებდა. იმ წვეულებაზე კი ჯასტინიც იყო ჯესიკასთან ერთად.

მას კასეტები უკვე მიღებული აქვს, მაგრამ სხვა გზით. შესაბამისად, მას გამოტოვებ და კასეტებს სხვა ადამიანს გაუგზავნი, რომელიც ასევე ჩართულია ჩემს ამბავში.

ჰო, კინაღამ დამავიწყდა... მეც მაპატიე, კლეი.

<

ტირილისგან თვალები მეწვის. მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ ჰანამ ჩემი გასვლის შემდეგ იტირა, კისრის კუნთები მეძაბება, მინდა „უოქმენს“ თვალი მოვწყვიტო და ფანჯარაში გავიხედო, მაგრამ ვერ ვინძრევი.

ტონი სვლას ანელებს, მანქანას აჩერებს და მეკითხება:

– კარგად ხარ?

ამ ქუჩაზეც საცხოვრებელია სახლებია, მაგრამ ეს წვეულების ქუჩა არაა.

უარის ნიშნად თავს ვაქნევ.

– დიდხანს იქნები ასე?

სკამის საზურგეს ვეყრდნობი, თვალებს ვხუჭავ და ჩურჩულით ვამბობ:

– მენატრება.

– მეც მენატრება, – მეუბნება ტონი.

თვალებს ვახელ და ვხედავ, რომ თავდახრილია. ალბათ ტირის ან ტირილის პირასაა.

– საქმე ისაა, რომ ამ წუთებამდე არც მომნატრებია, – ვამბობ მე.

ტონი მხრებში იმართება და ჩემკენ ტრიალდება.

– იმ ღამის შემდეგ აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. მანამდე დიდხანს მომწონდა, მაგრამ ვერ ვეუბნებოდი, – „უოქმენს“ დავცქერი, – მხოლოდ იმ ღამეს მოვახერხეთ ერთმანეთისთვის გულის გადაშლა. უცნაური ის იყო, რომ მას შემდეგ მეჩვენებოდა, რომ კიდევ უფრო ცუდად ვიცნობდი, ვიდრე მანამდე. ახლა კი ყველაფერს მივხვდი. ახლა გავიგე, სინამდვილეში რას გრძნობდა და რაზე ფიქრობდა.

ხმა მიწყდება. თვალებიდან ღვარად მომდის ცრემლები.

ტონი მდუმარედ გაჰყურებს ცარიელ ქუჩას. მე კი ვცდილობ, მონატრების ტალღას გავუმკლავდე. ყოველი წამი ჰანას მონატრებითაა გაჟღენთილი. გაყინულ გულს მასზე ფიქრები მითბობს.

თვალებს ქურთუკის სახელოთი ვიწმენდ, ცრემლებს ვყლაპავ და ვიცინი.

– გმადლობ, რომ მომისმინე, – ვეუბნები ტონის, – შემდეგში შეგიძლია გამაჩერო.

ტონი ზურგს უკან იხედება, შემდეგ მანქანას ისევ ძრავს. მე არ მიყურებს, ისე მპასუხობს:

– არაფრის.

# მეხუთე კასეტა: B მხარე

ისეთი გრძნობა მაქვს, რომ „როუზის სასადილოდან“ წამოსვლის შემდეგ წრეებზე დავდივართ. ტონის დრო გაჰყავს.

– შენც იყავი იმ წვეულებაზე? – ვეკითხები.

ტონი ფანჯრიდან იყურება და მანქანა გზის შუა ზოლში გადაჰყავს.

– არა, არ ვყოფილვარ. კლეი, უბრალოდ მინდა ვიცოდე, რომ ნორმალურად იქნები.

ვერაფერს ვპასუხობ. ჰანასთვის ხელი არ მიკრავს, არაფერი დამიშავებია, გული არ მიტკენია. უბრალოდ, ავდექი და გავედი. იმ ოთახში მარტო დავტოვე. არადა, ერთადერთი ვიყავი, ვისაც ჰანას საკუთარი თავისგან ხსნა შეეძლო, ვისაც შეეძლო მისი გადაწყვეტილება შეეცვალა.

ის გავაკეთე, რაც მან მთხოვა – წავედი, მაშინ, როცა უნდა დავრჩენილიყავი.

– ვერავინ დამადანაშაულებს, – ვჩურჩულებ.

„ვერავინ დამადანაშაულებს“ – ამ სიტყვების გაგონება მჭირდებოდა. გაგონება და არა გაფიქრება.

– ჰო, ვერავინ, – ამბობს ტონი გზისთვის თვალმოუცილებლად.

– არც შენ?

გზაჯვარედინს ვუახლოვდებით. ტონი სვლას ანელებს. ოდნავ აბრუნებს თავს ჩემკენ, შემდეგ ისევ გზისკენ ტრიალდება.

– არა, არც მე.

– კი, მაგრამ რატომ მოგცა კასეტების ასლები მაინცდამაინც შენ?

– მოდი, წვეულების სახლთან მივიდეთ და იქ გეტყვი.

– ახლა ვერ მეტყვი?

– ახლა მანქანას ვმართავ, – ტონი ძლივსშესამჩნევად იღიმის.

4

კლეი რომ წავიდა, ოთახში მალე ის წყვილი შემოვიდა, რომელთა გვერდითაც დივანზე ვისხედით. თუმცა ამას „შემობორძიკება“ უფრო ერქვა. ხომ ხვდებით, ვისზეც ვლაპარაკობ? აი, ის ვითომ მთვრალი გოგო რომ მეჯახებოდა, რათა დივნიდან ავმდგარიყავით. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ მართლა გალეშილი იყო.

ოთახიდან რომ გავედი, დერეფანში შემხვდნენ. ჯესიკა ცალი ხელით ჯასტინს ეკიდებოდა კისერზე, მეორეთი კი კედელს ებღაუჭებოდა, რომ არ წაქცეულიყო.

ცხადია, მათი შემოსვლა არ დამინახავს, რადგან ჯერ ისევ საწოლის მეორე მხარეს, იატაკზე ვიჯექი. თანაც ბნელოდა.

თავს იმედგაცრუებულად, უმწეოდ და დაბნეულად ვგრძნობდი. ძალაგამოცლილი, მისაღებ ოთახში პიანინოს დავეყრდენი. არ ვიცოდი, რა მექნა, დავრჩენილიყავი თუ წავსულიყავი. ან სად წავსულიყავი.

გოგო წონასწორობას ვერ ინარჩუნებდა, თანმხლებმა ბიჭმა შეაკავა, თორემ ტუმბოს შეასკდებოდა. შემდეგ სცადა საწოლზე დაეწვინა, რაც მხოლოდ მესამე ჯერზე გამოუვიდა. ბიჭი ნამდვილად ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლებად გასცინებოდა.

ვიფიქრე, რამეს გადააფარებს და გავა-მეთქი. ამის შემდეგ უბრალოდ ავდგებოდი და ოთახიდან გავიდოდი. ეს ისტორიაც აქ დასრულდებოდა.

ჰანა პირველი არ არის, ვისაც ვაკოცე, მაგრამ ეს პირველი სერიოზული კოცნა იყო. პირველად ვაკოცე ადამიანს, ვინც ნამდვილად ძალიან მომწონდა. თანაც, იმღამინდელი საუბრის შემდეგ მეგონა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო – რაღაც ძალიან დიდისა და კარგის.

მაგრამ ეს ისტორია აქ არ სრულდება. აბა, ეს რა მასალაა? საინტერესო არაფერია. დარწმუნებული ვარ, თქვენც ხვდებით, რომ ეს ამბავი ამით არ მთავრდება.

წვეულებიდან წამოვედი, მაგრამ არ ვიცოდი, სად წავსულიყავი.

ბიჭმა იმ გოგოს კოცნა დაუწყო.

ვიცი, ზოგი თქვენგანი ვუაიერიზმის ასეთ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებდა. თუ ვერაფერს დაინახავდით, გაიგონებდით მაინც.

მე კი ორი მიზეზი მაქვს, თუ რატომ არ დავიძარი ადგილიდან. ჯერ ერთი, მუხლებში თავჩარგულმა უცებ გავაცნობიერე, რომ სიმთვრალისგან წონასწორობადაკარგულს ოთახის უცებ და შეუმჩნევლად გადაჭრა გამიჭირდებოდა. მეორე მიზეზი კი თვით მოვლენების განვითარება იყო. გოგო ბიჭის მოფერებაზე არ რეაგირებდა. როგორც მივხვდი, კოცნაზე შორს არც წასულან და კოცნაც მხოლოდ ცალმხრივი იყო.

ბიჭი კარგად მოიქცა, ეს სიტუაცია ბოროტად რომ არ გამოიყენა, თუმცა, დიდი ხნის განმავლობაში კი ცდილობდა, გოგოსთან რაიმე პასუხი მიეღო. მესმოდა, როგორ ბუტბუტებდა: „გღვიძავს? გული ხომ არ გერევა? ტუალეტამდე მიგიყვანო?“

გოგო მთლად უგონოდაც არ იყო, რაღაცებს ბურტყუნებდა და კვნესოდა.

ბიჭმა, როგორც იქნა, შეიგნო, რომ გოგო რომანტიკულ განწყობაზე კარგა ხანს ვერ იქნებოდა, ამიტომ გადასაფარებელი მჭიდროდ შემოახვია, დაუბარა, მოგვიანებით

შემოგივლიო, და ოთახიდან გავიდა.

ალბათ გაინტერესებთ, ვინ იყო ეს წყვილი. ფიქრობთ, რომ მათი სახელების თქმა დამავიწყდა, მაგრამ არა, არ დამვიწყებია. მშვენიერი მეხსიერება მაქვს, რაც, სხვათა შორის, სულაც არაა კარგი – ხანდახან მაინც რომ მავიწყდებოდეს რაღაცები, ალბათ ყველანი უფრო ბედნიერად ვიგრძნობდით თავს.

ქუჩებში დავბოდიალობდი. გარეთ ნისლი იდგა. შემდეგ გაწვიმდა კიდეც.

სახელის გასაგებად დაცდა მოგიწევთ. თუმცა, თუ ყურადღებით მისმენდით, ისედაც დიდი ხნის წინ უნდა გამოგეცნოთ.

დაე, ცოტა ინერვიულოს იმ ბიჭმა, სანამ მის სახელს გეტყოდეთ... დაე, გაიხსენოს ყველაფერი, რაც იმ ოთახში მოხდა.

დარწმუნებული ვარ, ყველაფერი თვალწინ უდგას.

სიამოვნებით ვნახავდი ახლა მის სახეს. წარმომიდგენია: თვალები მაგრად აქვს დახუჭული, კბილს კბილზე აჭერს და სიმწრისგან თმებს იგლეჯს.

ახლა შენ მოგმართავ, ჰო, შენ. მიდი, უარყავი ყველაფერი. აბა თქვი, რომ მე იქ არ ვყოფილვარ და არვიცი, რა ჩაიდინე. უფრო სწორად, რა არ ჩაიდინე. რას არ შეუშალე ხელი. სცადე, თავი დაირწმუნო, რომ ეს არაა ის ნაწილი, სადაც კიდევ უნდა მეხსენებინე. სცადე, იფიქრო, რომ შენ შესახებ მომდევნო ნაწილებში ვილაპარაკებ.

ესე იგი, ეს გირჩევნია? გინდა, შემდეგ გახსენო და არა ახლა?

არც იოცნებო.

ღმერთო ჩემო. რა ჯანდაბა მოხდა? კიდევ რა უნდა მომხდარიყო იმ ღამით?

ვიცი, ის შენი შეყვარებული არ იყო, ახლოს არ იცნობდი და ორი სიტყვა თუ გექნებოდა მისთვის ნათქვამი, მაგრამ განა ეს ამართლებს იმას, რაც შემდეგ მოხდა? ან იქნებ გინდა სხვა რამით იმართლო თავი?

ეს უაზრობაა, რადგან შენს საქციელს არაფერი ამართლებს.

ახლა კი თხრობას განვაგრძობ: ავდექი, თან ცალი ხელით საწოლს ვეყრდნობოდი.

კარის ქვედა ღრიჭოდან ჯერ კიდევ ჩანდა შენი ფეხსაცმელები, უფრო სწორად, მათი ჩრდილი. ოთახიდან კი გახვედი, მაგრამ შორს არ წასულხარ, კართან იცდიდი. საწოლს ხელი ვუშვი და სინათლის იმ ზოლისკენ გავემართე, თუმცა არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა შენთვის, როცა კარს გავაღებდი.

უცებ ღრიჭოში კიდევ ორი ფეხსაცმელი გამოჩნდა. მე გავჩერდი.

უბრალოდ ქუჩებში დავბოდიალობდი. რამდენიმე კვარტალი მოვიარე. არც შინ

წასვლა მინდოდა და არც წვეულებაზე დაბრუნება.

კარი ოდნავ გაიღო, მაგრამ შენ ისევ დახურე და თქვი, არა, თავი დაანებეო.

კარის გაღებისას შემოსულ შუქზე ტანსაცმლის კარადა დავინახე. გარმონივით დასაკეცი კარი ჰქონდა და ნახევრად ღია იყო. გარედან მესმოდა, როგორ მოითხოვდა შენი მეგობარი, ოთახში შემიშვიო.

გაშეშებული ვიდექი და ვიცდიდი, გული გამალებით მიცემდა.

ოთახის კარი ისევ გაიღო და შენ ისევ დახურე. სცადე, ეს ამბავი ხუმრობაში გაგეტარებინა.

– დამიჯერე, გონზე არაა, – არწმუნებდი მეგობარს.

თუ გახსოვს, რა გიპასუხა? რა არგუმენტი მოიყვანა საიმისოდ, რომ დაერწმუნებინე, გზიდან ჩამოსცილებოდი და ოთახში შეგეშვა? მე მახსოვს.

ეს „არგუმენტი“ ღამის ცვლა იყო.

ასე თქვა, ღამის ცვლაში ვმუშაობ და რამდენიმე წუთში ისედაც უნდა წავიდე, სულ რამდენიმე წუთით შევალ, დამშვიდდი და გამატარეო.

ეს „არგუმენტი“ საკმარისი აღმოჩნდა, რომ მისთვის ხელი აღარ შეგეშალა.

ო, ღმერთო.

რა საზიზღრობაა.

არ მეგონა, რომ შემოუშვებდი. ჩანდა, არც შენს მეგობარს ეგონა, რადგან კარის სახელურს ხელი წაავლო, მაგრამ მაშინვე არ შემოსულა. ჩანდა, არ სჯეროდა, ნებას მართლა რომ აძლევდი.

მაგრამ შენ ხმა არ ამოგიღია. იმ საშინელ წუთში მუხლებზე დავეცი და აცახცახებულმა ორივე ხელი პირზე ვიტაცე. ცრემლებით მზერადაბინდული ტანსაცმლის კარადისკენ წავლასლასდი და კარადის ძირას დახვავებულ ქურთუკებზე დავეგდე.

ოთახის კარი გაიღო. მე კარადის კარი მივიხურე და თვალები მაგრად დავხუჭე. ყურები მიწუოდა, წინ და უკან ვირწეოდი და თავს ქურთუკებს ვურტყამდი. მაგრამ მთელ სახლში მუსიკა ისე ღრიალებდა, რომ ცხადია, ეს არავის გაუგონია.

„სულ რამდენიმე წუთით შევალ, დამშვიდდი და გამატარე“... განსაკუთრებით სიტყვა „დამშვიდდი“ მეცნობა. ის ყოველთვის ასე ეუბნება ადამიანებს, რომლებსაც ცუდად ექცევა ან რამეში იყენებს. გოგოებსაც, ბიჭებსაც... ყველას ასე „ამშვიდებს“.

დარწმუნებული ვარ, ბრაისია. იმ ოთახში ბრაის უოკერი შევიდა.

მუსიკა ყველაფერს ახშობდა. არც იმ ბიჭის ოთახში შემოსვლა გაუგონია ვინმეს. არავის

ესმოდა, როგორ მივიდა საწოლამდე, შემდეგ როგორ აჭრიალდა ზამბარები...

ის მე უნდა შემეჩერებინა. მაგრამ არაფერი შემეძლო, არც ლაპარაკი, არც დანახვა, არც ფიქრი.

კარადიდან უნდა გამოვსულიყავი და შემეჩერებინა, მაგრამ ეს არ გავაკეთე. ჩემი უძლურება არ მამართლებს. ამას გამართლება არ აქვს, უნდა შემეჩერებინა და მორჩა! მაგრამ იმწუთას ეს ჩემთვის ისეთივე წარმოუდგენელი იყო, როგორც დედამიწის ბრუნვის შეჩერება. იმდენ ხანს ვგრძნობდი თავს უსუსურად, რომ მაშინ უკვე მეგონა, რაც უნდა მექნა, ვერაფერს შევცვლიდი.

მთელი ამ საშინელების ატანა უკვე აღარ შემეძლო. მინდოდა, ყველაფერი დამთავრებულიყო, თუნდაც სამყაროს დასასრული დამდგარიყო.

ჰანასთვის ყველაფერი დასრულდა, მაგრამ ჯესიკამ ცხოვრება გააგრძელა. შემდეგ კი ეს ჩანაწერები დაატყდა თავს.

არ ვიცი, რამდენ სიმღერას „მოვუსმინე“ ასე, ქურთუკებში თავჩარგულმა. სხვადასხვა რიტმი ცვლიდა ერთმანეთს. რაღაც ხნის შემდეგ კი ყელი ამტკივდა, თითქოს რაღაც მკაწრავდა. არ ვიცი, რა მჭირდა. ვკიოდი? ვყვიროდი?

მუხლებზე ვიდექი და დერეფანში ვინმეს გავლისას ვიბრაციას ვგრძნობდი. შემდეგ ოთახში ფეხის ხმა მომესმა და ერთ კუთხეში მივიკუნჭე, კედელს ავეკარი. მეგონა, კარადასთან მოვიდოდა და ამ სამალავიდან გარეთ გამათრევდა.

მერე? რას მიზამდა მერე?

ტონი მანქანას აჩერებს. წინა საბურავი ბორდიურს ეხახუნება. არ ვიცი, როგორ მოვედით, მაგრამ სწორედ იმ სახლთან ვართ. აი, ამ კარით შევედი. ამ პარმაღიდან გამოვედი. პარმაღის მარცხენა მხარეს ერთი ფანჯარაა, ფანჯრის მიღმა კი საძინებელი და ის კარადა გარმონივითკარით, რომელშიც ჰანა ჩვენი კოცნის შემდეგ გაუჩინარდა.

კარადასთან არ მოსულა. კარის გაღებისას ოთახში ისევ შემოვიდა შუქი, მისი ფეხის ხმა კი თანდათან მიწყდა. ყველაფერი დამთავრდა.

ბოლოს და ბოლოს, სამსახურში მიეჩქარებოდა.

მერე რა მოხდა? ოთახიდან გამოვვარდი, დერეფანი გავიარე და ის დავინახე. ოთახში მარტოდმარტო იჯდა ამ ისტორიის გმირი... ჯასტინ ფოლი.

მუცელში რაღაც მიტრიალებს. სასწრაფოდ მანქანის კარს ვაღებ.ოთახში შუქი არ ენთო. შენ საწოლის კიდეზე იჯექი და სიცარიელეში იცქირებოდი. მე კი, დერეფანში ვიდექი და თვალს ვერ გაცილებდი.

ნამდვილად დიდი გზა გამოვიარეთ, ჯასტინ. იმ მომენტიდან – როცა ქეითის გაზონზე დაეცი – ამ წვეულებამდე.

შენ სათავე დაუდე მოვლენათა ჯაჭვს, რომელმაც ცხოვრება დამინგრია. ახლა უკვე სხვა გოგოს უკეთებდი იმავეს.

სანიაღვრე არხის თავზე ვარ ნახევრად გადახრილი და ვაღებინებ.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩემკენ მობრუნდი. ფერი დაკარგე, სახე შეგეშალა, თვალები დაგიცარიელდა.

ვითომ ეს ტკივილს გამოხატავდა? არ ვიცი.

– რამდენ ხანსაც გინდა, დაგელოდები, – მეუბნება ტონი.

„ნუ ღელავ, შენს მანქანაში არ ვარწყევ“, – ვპასუხობ გონებაში.

ჯასტინ, ძვირფასო, ბრალს მხოლოდ შენ არ გდებ. ორივენი დამნაშავენი ვართ. ორივეს შეგვეძლო ამისთვის ხელის შეშლა. ორივეს შეგვეძლო მისი გადარჩენა. ყველას წინაშე ვაღიარებ, რომ მეც დამნაშავე ვარ. გოგო ვერც ერთმა ვერ დავიცავით, ორივემ ვუმტყუნეთ.

სახეზე რბილი ნიავი მიბერავს და შუბლსა და კისერზე ოფლს მიშრობს.

ალბათ გაინტერესებთ, რატომაა ეს ნაწილი ჯასტინის და არა მეორე ბიჭის შესახებ. ის ხომ ბევრად უარესად მოიქცა?

რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ მე მინდა, რომ ადრესატებმა კასეტები ერთმანეთს გაუგზავნონ. ის კი სხვას არაფრისდიდებით არ გაუგზავნიდა... თავად განსაჯეთ, მან ხომ გოგო გააუპატიურა. თუ გაიგებდა, რომ ამის შესახებ ჩვენც ვიცით, ალბათ მაშინვე გაიქცეოდა ქალაქიდან.

;

რაც შემიძლია ღრმად ვსუნთქავ. შემდეგ ვიმართები და სკამზე ვსწორდები. ყოველი შემთხვევისთვის, კარს ღიას ვტოვებ.

– მითხარი. რატომ გაქვს ეს კასეტები? შენ რა შუაში ხარ? რა ჩაიდინე? – ვეკითხები ტონის.

გვერდით მანქანა ჩაგვივლის და ორი კვარტლის მერე მარცხნივ უხვევს. სანამ ტონი მიპასუხებდეს, ალბათ კიდევ ერთი წუთი გადის.

– არაფერი ჩამიდენია და ეს სიმართლეა, – „როუზისთან“ შეხვედრის შემდეგ პირველად მიყურებს თვალებში, შორეული ლამპიონის შუქზე ცრემლები უბრწყინავს, – ამ ნაწილს ბოლომდე მოუსმინე და მერე ყველაფერს აგიხსნი.

ვდუმვარ.

– მიდი, დაამთავრე. უკვე ბოლოში ხარ, – ამბობს ტონი

.

4

ახლა რას ფიქრობ მასზე, ჯასტინ? რას ფიქრობ შენს მეგობარზე, რომელმაც ის გოგო გააუპატიურა? არ გძულს? ისევ შენი მეგობარია?

რატომ მეგობრობ მასთან ამის შემდეგ?

ალბათ იმიტომ, რომ უარყოფ, არ აღიარებ, რომ რაღაც ძალიან ცუდი მოხდა. კი, მართალია, ყოველთვის ფიცხი იყო. ისიც მართალია, რომ გოგოებს საცვლებივით ხშირად იცვლის. მაგრამ შენთვის ყოველთვის კარგი მეგობარი იყო. რაც უფრო მეტ დროს ატარებ მასთან, მით უფრო რწმუნდები, რომ მასში არაფერი შეცვლილა. თუ ისევე იქცევა, როგორც ადრე, ესე იგი, ცუდიც არაფერი ჩაუდენია. ეს კი ნიშნავს, რომ შენც არაფერში ხარ დამნაშავე.

რა მაგარია! ეს შესანიშნავია, ჯასტინ, რადგან თუ თქვენ ორს არაფერი დაგიშავებიათ, ესე იგი, მეც არაფერი დამიშავებია. ვერ წარმოიდგენ, როგორ ვნატრობ ახლა, იმ გოგოს განადგურება ჩემი ბრალი არ იყოს.

მაგრამ ჩემი ბრალია.

ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც. ისევე, როგორც შენი.

რა თქმა უნდა, გეთანხმები, ის არც შენ გაგიუპატიურებია და არც მე. მაგრამ... ჩვენ დავუშვით, რომ ეს მომხდარიყო.

ასე რომ, ჩვენი ბრალია!

<

– ახლა ყველაფერი მომიყევი, – ვეუბნები ტონის.

ჯიბიდან მეექვსე კასეტას ვიღებ და „უოქმენში“ ახლა მას ვდებ.

# მეექვსე კასეტა: A მხარე

ტონი ხელში მანქანის გასაღებს ათამაშებს. როგორც ჩანს, სანამ ლაპარაკობს, უნდა, რაღაც ეჭიროს.

– დიდი ხანია, ვფიქრობ, როგორ უნდა მომეყოლა ეს შენთვის. მთელი გზა ამაზე ვფიქრობდი. ახლაც, სანამ არწყევდი.

– ხომ ნახე, შენს მანქანაში არ მირწყევია.

– კი, შევამჩნიე, – მპასუხობს ღიმილით, – მადლობელი ვარ.

მანქანის კარს ვხურავ. მუცელი აღარ მიჭრიალებს.

– სახლში მომადგა, – ამბობს ტონი, – ჰანა მესტუმრა და ეს ჩემი შანსი იყო.

– რა შანსი?

– კლეი, ძალიან ადვილი გამოსაცნობი იყო, რასაც აპირებდა.

– ჰო, მეც მქონდა შანსი, – ყურსასმენებს ვიხსნი და მუხლზე ვიდებ, – იმ წვეულებაზე... კოცნაზე უცნაური რეაქცია ჰქონდა, ვერაფერი გავიგე. მაგრამ ეს იყო შანსი, რომ დავხმარებოდი.

მანქანაში სიწყნარეა და ბნელა. აწეული ფანჯრებიდან ყველაფერი ჩამკვდარი და ჩაშავებული ჩანს.

– ყველანი შევცდით, – ამბობს ტონი, – ცოტ-ცოტა ყველამ დავაშავეთ.

– ესე იგი, შენთან მოვიდა...

– თავისი ველოსიპედით.

– ცისფერი ველოსიპედი, – ვამბობ მე, – მოდი, გამოვიცნობ: როცა მოვიდა, შენს მანქანას აკეთებდი.

– ჰო, ეგ ძალიან რთული გამოსაცნობია, – იცინის ტონი, – მაგრამ საქმე ისაა, რომ მანამდე ჩემთან არასდროს მოსულა, ამიტომ ცოტა გამიკვირდა. თუმცა ამაზე ბევრი არ მიფიქრია, რადგან მე და ჰანას სკოლაში მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. უფრო უცნაური ის იყო, რისთვისაც მოვიდა.

– რისთვის მოვიდა?

ტონი გვერდით, ფანჯარაში იყურება და ღრმად ისუნთქავს.

– ველოსიპედის საჩუქებლად.

ამ განცხადებას უსიამოვნოდ ხანგრძლივი დუმილი მოსდევს.

– მინდა შენ გქონდეს, მე აღარ მჭირდებაო, – ამბობს ბოლოს, – ვკითხე, შენ რატომ

აღარ გინდა-მეთქი, მაგრამ მხრები უსიტყვოდ აიჩეჩა. მიზეზი არ უთქვამს. კლეი, ეს ნიშანი იყო, მე კი ვერ ამოვიცანი.

თვითმკვლელობის ამოსაცნობ ნიშნებს ვიხსენებ და ვაკონკრეტებ:

– საკუთრების სხვებისთვის გადაცემა.

ტონი თავს მიქნევს და თხრობას აგრძელებს:

– ასე თქვა, სხვა არავინ მახსენდება, ვისაც შეიძლება ველოსიპედი დასჭირდესო. ჩვენს სკოლაში ყველაზე ძველი მანქანით შენ დადიხარ და თუ გაგიფუჭდა, სათადარიგო ტრანსპორტი გეყოლებაო.

– მაგრამ ეს მანქანა ხომ არასდროს ფუჭდება?! – მიკვირს მე.

– პირიქით, ხშირად ფუჭდება, მაგრამ შესაკეთებლად ყოველთვის მზად ვარ, ჰოდა, ვუთხარი, ველოსიპედს ასე ვერ გამოგართმევ, სანაცვლოდ რამე უნდა მოგცე-მეთქი.

– რა მიეცი?

– კლეი, რაც შემდეგ მოხდა, არასდროს დამავიწყდება, – ტონი ჩემკენ ბრუნდება, – ჩემთვის თვალი არ მოუცილებია, პირდაპირ თვალებში მიყურებდა და უცებ ატირდა.

ტონიც ტირის. ცრემლებს ხელით იმშრალებს და შემდეგ ხელს ტუჩზეც ისვამს.

– რამე უნდა მექნა, კლეი?!

ყველაფერი ჩვენ თვალწინ ხდებოდა. უნდა მივმხვდარიყავით, რას აპირებდა.

– მერე, რა გამოგართვა?

– მკითხა, კასეტებზე ჩანაწერებს როგორ აკეთებო, – ტონი თავს უკან სწევს, ისევ ღრმად სუნთქავს, – მამაჩემის ძველ მაგნიტოფონზე მოვუყევი. მკითხა, ხმის ჩამწერი მოწყობილობა თუ გაქვსო.

– ღმერთო!

– ისეთი ხმის ჩამწერი უნდოდა, დენის წყარო რომ არ სჭირდება და შეგიძლია თან ატარო. მიზეზი არ მიკითხავს. უბრალოდ, ვუთხარი, აქ დამიცადე და გამოგიტან-მეთქი.

– ასე უბრალოდ მიეცი?

ტონი იღუშება.

– მე რა ვიცოდი, რისთვის სჭირდებოდა?

– არა, ტონი, არც გადანაშაულებ. უბრალოდ, მაინტერესებს, არ უთქვამს, რისთვის უნდოდა?

– რომც მეკითხა, გგონია, მეტყოდა?

არა, არაფერს ეტყოდა. ტონისთან რომ მივიდა, გადაწყვეტილება უკვე მიღებული

ჰქონდა. თავის გადარჩენა თუ უნდოდა, დახმარება ჩემთვის უნდა ეთხოვა. წვეულებაზე მის გვერდით ვიყავი. იცოდა კიდეც, რომ მის დასახმარებლად მზად ვიყავი.

– არა, არ გეტყოდა, – ვპასუხობ ბოლოს.

– რამდენიმე დღის შემდეგ სკოლიდან დაბრუნებულმა კართან გზავნილი ვიპოვე. ჩემს ოთახში ავიტანე და კასეტების მოსმენა დავიწყე. ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა.

– წერილი არ მოჰყვებოდა?

– მხოლოდ კასეტები იყო. ვერაფერს მივხვდი, რადგან მე და ჰანას მესამე გაკვეთილი ერთად გვაქვს და იმ დღეს სკოლაშიც იყო.

– რა?.. რას ამბობ?

– ასე რომ, კასეტებს სწრაფ-სწრაფად მოვუსმინე. წინ ვახვევდი, რომ გამეგო, ჩემზეც თუ იყო რამე. მაგრამ ჩანაწერებში მე არ ვუხსენებივარ. ამით მივხვდი, რომ კასეტების ასლები გამომიგზავნა. მაშინვე მის სახლში დავრეკე, მაგრამ არავინ მიპასუხა. მაშინ მისი მშობლების მაღაზიაში დავრეკე და ვიკითხე, ჰანა მანდ ხომ არ არის-მეთქი. გიჟივით ვიყავი, მკითხეს რა ხდება, ხომ ყველაფერი რიგზეაო. ვუთხარი, რაღაც ცუდი ხდება და ჰანა სასწრაფოდ უნდა იპოვოთ-მეთქი. მეტის ახსნა ვეღარ შევძელი, – აღელვებული ტონი ისე მძიმედ სუნთქავს, რომ ჰაერს პირდაპირ ისრუტავს, – მეორე დღეს სკოლაში არ მოვიდა.

მინდა ვუთხრა, რომვწუხვარ, რომ ვერც კი წარმომიდგენია, რა საშინელება იქნებოდა მისთვის ის დღე. მაგრამ უცებ მახსენდება, რომ მალე მეც იმავეს გადატანა მომიწევს – ხვალ სკოლაში წავალ და ჰანას ჩანაწერების გმირებს ვნახავ.

– იმ დღეს ცუდად ყოფნა მოვიმიზეზე და სკოლიდან ადრე წამოვედი, – აგრძელებს ტონი, – უნდა ვთქვა, რომ გონზე მოსასვლელად რამდენიმე დღე დამჭირდა. შემდეგ შევამჩნიე, რა ცუდად გამოიყურებოდა ჯასტინ ფოლი... ალექსი. ვიფიქრე, რომ ამ ადამიანთა უმეტესობა დამსახურებულად ისჯებოდა და გადავწყვიტე, ჰანას თხოვნა შემესრულებინა, თქვენთვის თვალ-ყური მედევნებინა, რომ ყველაფერი მოგესმინათ.

– კი მაგრამ, საიდან გაიგე, რომ ახლა მე მაქვს კასეტები?

– ეგ ადვილი მისახვედრი იყო, კლეი. შენ „უოქმენი“ მომპარე.

ორივე ვიცინით. სასიამოვნო შეგრძნებაა, შვებისმომგვრელი. თითქმის ისეთივე, როგორიც დაკრძალვაზე სიცილია – შეუსაბამო, მაგრამ ნამდვილად საჭირო.

– სხვები უფრო ჩუმჩუმელობდნენ, – ამბობს ტონი, – ბოლო გაკვეთილის მერე ეგრევე მანქანასთან მივრბოდი და სკოლის გაზონთან ახლოს მიმყავდა. ვიცოდი, რიგის მიხედვით ვისაც უნდა მიეღო კასეტა, ერთი-ორი დღე ისე ვუთვალთვალებდი, შემდეგ ვეძახდი და

ვთხოვდი, მანქანასთან მოსულიყო.

– და უბრალოდ ეკითხებოდი, კასეტები თუ მიიღო?

– არა. გგონია, აღიარებდნენ? რომ მომიახლოვდებოდა, კასეტას ვანახვებდი და ვეუბნებოდი, ჩაჯექი, სიმღერა უნდა მოგასმენინო-მეთქი. მათი რეაქცია მახვედრებდა, რომ გზავნილი მიიღეს.

– მერედა, რას შვრებოდი, ჰანას ჩანაწერს ურთავდი?

– არა. თუ მაშინვე არ გაიქცეოდნენ, უბრალოდ რამე სიმღერას ვურთავდი. ჰოდა, ისხდნენ ასე და უკვირდათ, რატომ ვასმენინებდი იმ სიმღერას. მზერა უქრებოდათ, თითქოს სადღაც სხვაგან იმყოფებოდნენ. ამით ვხვდებოდი, რომ ჰანას ჩანაწერები მიიღეს.

– შენ რატომ ამოგირჩია? რატომ გამოგიგზავნა ის კასეტები?

– არ ვიცი, – მპასუხობს ტონი, – ალბათ იმიტომ, რომ ხმის ჩამწერი მე მივეცი. ალბათ იფიქრა, რომ ამ საქმეში უკვე ისედაც გარეული ვიყავი და ბარემ ბოლომდე მივყვებოდი. სხვა ახსნას ვერ ვპოულობ.

– ესე იგი, ჩანაწერებში არ ხარ, მაგრამ მაინც მათი ნაწილი ხარ.

ტონი საქარე მინისკენ ბრუნდება და საჭეს ეჭიდება.

– უნდა წავიდე, – ამბობს უცებ.

– ტონი, ცუდი არაფერი მიგულისხმია.

– ვიცი, უბრალოდ, გვიანია. მამაჩემი იფიქრებს, რომ ისევ მანქანა გამიფუჭდა.

– აჰა, აღარ გინდა, ხელახლა დაუწყოს ძრავას ჩალიჩი? – ხელი კარისკენ მიმაქვს, რომ მანქანიდან გადავიდე, მაგრამ უცებ სხვა რაღაც მახსენდება და ჯიბიდან ტელეფონს ვიღებ, – ტონი, შეგიძლია დედაჩემს შენი ხმა გააგონო?

– რა თქმა უნდა.

დედა მაშინვე მპასუხობს.

– კლეი, სად ხარ? – დედას შეშფოთებული ხმა აქვს.

– ხომ გითხარი, გვიანობამდე ვერ მოვალ-მეთქი.

– ვიცი... მაგრამ მეგონა, დარეკავდი მაინც.

– მაპატიე. ჯერ კიდევ ვერ მოვალ. ის კი არა, შეიძლება ამაღამ ტონისთან დავრჩე.

– გამარჯობა, ქალბატონო ჯენსენ, – მაშინვე ერთვება ტონი.

დედა მეკითხება, ხომ არ სვამო.

– არა, დედა. გეფიცები, არა.

– მაშ, კარგი... ესე იგი, ისტორიის გაკვეთილისთვის ამზადებთ რაღაცას?

თავს უხერხულად ვგრძნობ იმის გამო, რომ დედა ასე ცდილობს, დამიჯეროს, მე კი ვატყუებ.

– კარგი, გენდობი, კლეი.

ვეუბნები, დილით სკოლაში წასვლამდე შემოვივლი, რომ ჩემი ნივთები ავიღო-მეთქი, და ტელეფონს ვთიშავ.

– სად დარჩები? – მეკითხება ტონი.

– არ ვიცი, შეიძლება სახლში მივიდე კიდეც. უბრალოდ, არ მინდა, ინერვიულოს.

ტონი მანქანას ქოქავს და ფარებს ანთებს.

– თუ გინდა, სადმე მიგიყვან.

– არა, გმადლობ, ჩანაწერებში ჩემი ადგილი ეს არის, – თავით სახლისკენ ვანიშნებ და მანქანის კარს ვაღებ, – შენი ძალიან მადლობელი ვარ.

მადლობას ვუხდი ყველაფრისთვის: იმისთვის, რომ თავისი მანქანით მომიყვანა; იმისთვის, როგორც მოიქცა, როცა თავი ვეღარ შევიკავე და ავტირდი; იმისთვის, რომ ჩემი ცხოვრების ყველაზე ცუდ ღამეს მოახერხა და გამაცინა.

თავს უკეთ ვგრძნობ, როცა ვიცი, რომ ვიღაცამ იცის, რას ვუსმენ და რას ვგრძნობ. ახლა მოსმენის გაგრძელების იმდენად აღარ მეშინია.

მანქანიდან გადავდივარ და კარს ვხურავ.

მანქანა მიდის. მე კი ჩამრთველ ღილაკს ვაჭერ თითს.

4

ახლა ისევ წვეულებაზე ვბრუნდებით, მაგრამ ძალიანაც ნუ გაშინაურდებით. ცოტა ხანში წავალ.

მოშორებით ვხედავ, როგორ ჩერდება ტონის „მუსტანგი“ გზაჯვარედინზე, შემდეგ კი მარცხნივ უხვევს.

დრო რომ ერთგვარ ძაფად წარმოვიდგინოთ, რომელიც თქვენს ისტორიებს ერთმანეთთან აკავშირებს, ის წვეულება გამოვა ხლართების პატარა გორგალი, რომელიც თანდათან იზრდება და სულ უფრო მეტ ისტორიას ითრევს და იხვევს.

როგორც გახსოვთ, მე და ჯასტინმა მტანჯველი და მრავლისმეტყველი მზერა გავცვალეთ. შემდეგ მე დერეფანს დავუყევი და წვეულებას დავუბრუნდი. ოთახში ბარბაცით შევედი, მაგრამ ალკოჰოლისგან კიარა, უბედურებისგან ვბარბაცებდი.

ბორდიურზე ვჯდები, მოშორებით იმ ადგილისგან, სადაც ვაღებინე. წარმოდგენა არ მაქვს, ვინ მართავდა მაშინ წვეულებას. თუ ვინმე ცხოვრობს ამ სახლში, შეუძლია

გამოვიდეს და წასვლა მთხოვოს. ამას მივესალმები კიდეც. დაე, გამოვიდნენ.

მისაღებ ოთახში ჯერ პიანინოს ჩავებღაუჯე, შემდეგ პიანინოს სკამს და დავჯექი.

წასვლა მინდოდა, მაგრამ სად უნდა წავსულიყავი? სახლში ჯერ ვერ წავიდოდი.

ან როგორ უნდა წავსულიყავი? ისე სუსტად ვიყავი, სიარულს ვერ შევძლებდი. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მეგონა. ერთადერთი რაც დანამდვილებით ვიცოდი, ის იყო, რომ მინდოდა, იქიდან წავსულიყავი და აღარაფერზე მეფიქრა.

უცებ მხარზე ნაზად შემეხნენ.

მივბრუნდი და ჯენი კურცი დავინახე.

ვალენტინობის მომწყობი ჩირლიდერი.

ჯენი, ეს ნაწილი შენზეა.

თავს მუხლებზე ვდებ.

ჯენიმ მითხრა, მანქანით ვარ და, თუ გინდა, სახლში მიგიყვანო. კინაღამ გამეცინა. არ მეგონა, თუ ასე ცუდად გამოვიყურებოდი და ასე თვალშისაცემი იყო, რომ დახმარება მჭირდებოდა.

ჯენიმ მკლავი მკლავში გამიყარა და ადგომაში დამეხმარა. მას მივენდე, რაც ძალიან მესიამოვნა. წინკარში გავედით და ხალხს ჩავუარეთ – ნაწილი პარმაღზე ეყარა გათიშული, ნაწილი კი ეზოში იდგა და ეწეოდა.

ამ წუთებში მე სადღაც დავხეტიალობდი და ვცდილობდი, გავრკვეულიყავი, რატომ წამოვედი წვეულებიდან. ვცდილობდი, მოვლენებისთვის თავისი სახელი დამერქმია, გამეგო, რა მოხდა ცოტა ხნის წინ ჩემსა და ჰანას შორის.

დამძიმებულ, გახევებულ ფეხებს ნესტიან ტროტუარზე მივათრევდი და საკუთარი ფეხის ხმას ვაყურადებდი. ჩემ ფეხქვეშ მოხვედრილი ყოველი კენჭისა და ფოთლის ხმას ხარბად ვისრუტავდი, რათა როგორმე დამეხშო ის მუსიკა და აურზაური, რაც უკან მოვიტოვე.

რამდენიმე კვარტლის დაშორებით ვიყავი, მაგრამ მუსიკის შორეული გუგუნი ჩემამდეც აღწევდა. იმ წვეულებას ვერსად გავურბოდი.

მუსიკაც კი მახსოვს.

ჯენი, შენ არაფერი გითქვამს, ერთი შეკითხვაც კი არ დაგისვამს, რისთვისაც მადლიერი ვიყავი. შეიძლება უკვე გქონდა წვეულებებზე ისეთი რამეების ნახვის გამოცდილება, რაზეც, უბრალოდ, ვერ ისაუბრებ. ყოველ შემთხვევაში, მაშინვე ვერ განიხილავ, გონზე მოსასვლელად დრო გჭირდება. თუმცა უნდა ვთქვა, რომ მომხდარზე დღემდე არავისთან მისაუბრია.

კი, ვცადე. ვცადე ერთ ადამიანს დავლაპარაკებოდი, მაგრამ მან არ მომისმინა.

ნეტა ეს რომელ ისტორიაში ხდება? მეთორმეტეში? მეცამეტეში? იქნებ იმასთან არის დაკავშირებული, ვინც ჩანაწერებში არ მოხვდა?

ასე მიმიყვანე შენს მანქანასთან. თუმცა ჩემი ფიქრები სხვაგან ქროდა და მზერაც დაბინდული მქონდა, შენს შეხებას ვგრძნობდი, ჯენი. ვიგრძენი, როგორ ფრთხილად ჩამსვი მანქანაში და ღვედიც შემიკარი. მერე შენც ჩაჯექი და დავიძარით.

შემდეგ რა მოხდა, კარგად არ მახსოვს. მოვდუნდი, რადგან შენს მანქანაში თავს უსაფრთხოდ ვგრძნობდი. მშვიდი და თბილი სალონი იყო. მინის საწმენდების ნელმა მოძრაობამ თანდათან რეალობაში დამაბრუნა.

კოკისპირული წვიმა არ ყოფილა, მაგრამ საქარე მინა მაინც დაიბურა. ყველაფერი დაბინდულად, სიზმრისეულად ჩანდა და ეს მომწონდა კიდეც. შემდეგ... შემდეგ რაღაცას შევეჯახეთ და ამ შეჯახებამ მაშინვე დამაბრუნა რეალობაში.

ესე იგი, იმ ღამეს მეორე ავარიაც მოხდა? აქამდე რატომ არაფერი გამიგია ამის შესახებ?

მანქანა ბორდიურზე ავარდა.

ო, ღმერთო.

საგზაო შტოპ ნიშანი პირდაპირ ბორბლებში ჩაგვივარდა. შენ იკივლე და მუხრუჭს დააჭირე. გვერდითა სარკეში დავინახე, როგორ აიყარა გზაზე ნაპერწკლები, როცა მანქანა ერთბაშად გაჩერდა.

ამ დროს უკვე კარგად გამოვფხიზლდი.

ვისხედით და წინ ვიყურებოდით. ერთმანეთისთვის არც შეგვიხედავს, არც არაფერი გვითქვამს. საწმენდები ისევ მუშაობდა და მინაზე წვიმის წვეთებს შლიდა. მე ჩემს უსაფრთხოების ქამარს ვეჭიდებოდი და ვფიქრობდი, კიდევ კარგი, მხოლოდ საგზაო ნიშანს დავეჯახეთ და სხვას არაფერს-მეთქი.

ნეტა ის თუ იცოდა ჰანამ, რომ მოხუცისა და ჩვენი სკოლელი ბიჭის შეჯახება ჯენიმ გამოიწვია?

შენ მანქანიდან გადახვედი, წინ წახვედი და დაზიანების უკეთ დასათვალიერებლად მაშუქებს შორის ჩაიცუცქე. შეზნექილ ადგილს ხელი გადაუსვი და თავი დახარე. არ ვიცი, ბრაზობდი თუ ტიროდი.

შეიძლება სიმწრით იცინოდი კიდეც.

რუკაზე დახედვა არ მჭირდება, ისედაც ვიცი, სად უნდა წავიდე. ვიცი, რაც არის

მომდევნო წითელი ვარსკვლავი. ვდგები და მივდივარ.

მანქანა ძალიანაც არ დაზიანებულა. ცხადია, არასასიამოვნო იყო, მაგრამ ალბათ მაინც შვება იგრძენი. შეიძლებოდა ბევრად უარესიც მომხდარიყო, მაგალითად, საგზაო ნიშანს კი არა, ადამიანს დაჯახებოდი.

აშკარად იცის.

თუმცა, როდესაც ადექი, შენი სახე არაფერს გამოხატავდა. უბრალოდ იდექი, მანქანას უყურებდი და თავს აქნევდი.

შემდეგ მე შემომხედე და მოიღუშე. ამაში დარწმუნებული ვარ, თუმცა ეს მიმიკა იმწამსვე ღიმილით შეცვალე. მერე მხრებიც აიჩეჩე.

გახსოვს, რა თქვი, როდესაც საჭესთან დაბრუნდი? ჩაილაპარაკე, „ტეხავსო“ და გასაღების გადატრიალება დააპირე, მაგრამ... მე შეგაჩერე. ასე უბრალოდ გზის გაგრძელების ნებას ვერ მოგცემდი.

იმ გზაჯვარედინთან მივდივარ, სადაც ტონიმ მარცხნივ გაუხვია. მარჯვნივ ვუხვევ.შტოპ ნიშნამდე კიდევ ორი კვარტალია.

შენ თვალები დახუჭე და მითხარი, მთვრალი არ ვარო.

არც მითქვამს, რომ მთვრალი იყავი, ჯენი, მაგრამ მაინტერესებდა, რამ გამოიწვია ეს ავარია.

შენ თქვი, წვიმის ბრალიაო.

მართლაც წვიმდა, მაგრამ არც ისე ძლიერად.

გითხარი, მანქანა სადმე დააყენე-მეთქი.

შენ მიპასუხე, ნუ სულელობ, ორივენი აქვე ვცხოვრობთ და უკვე მხოლოდ დასახლებულ ქუჩებზე ვივლიო. თითქოს ამას რამე მნიშვნელობა ჰქონდა.

უკვე ვხედავ ლითონის ნიშანსვეტს, შტოპ რომ აწერია, ასოები ამსიშორედანაც კი ჩანს. კატასტროფის ღამეს კი არ ჩანდა, რადგან საგზაო ნიშანი ძირს, ხის ბოძთან ეგდო.

– ჰანა, სანერვიულო არაფერია, – თქვი სიცილით, – ეს შტოპ ნიშნები მაინც ტყუილად დგას, ყურადღებას არავინ აქცევს. მისი იგნორირება ლამის უკვე ლეგალური გახდა. დარწმუნებული ვარ, მადლობასაც კი მეტყვიან, რომ წავაქციე.

ისევ გითხარი, მანქანა დააყენე და სახლში სხვას გავყვეთ-მეთქი. დაგპირდი, ხვალ აქ ჩემი მანქანით მოგიყვან-მეთქი.

– კარგი რა, ჰანა, მომისმინე... – შენსას არ იშლიდი.

– მიდი, დააყენე, გთხოვ, – გითხარი მე.

მაშინ კი მანქანიდან გადასვლა მომთხოვე. მე ისევ ვცადე დამერწმუნებინე, მანქანა დაგეტოვებინა. გითხარი, გაგიმართლა, რომ საგზაო ნიშანს დაეჯახე, მაგრამ აბა, წარმოიდგინე, კიდევ რა შეიძლება მოხდეს-მეთქი.

– გადადი მანქანიდან! – მითხარი მკაცრად.

თვალებდახუჭული ვიჯექი და მინაზე წვიმისა და საწმენდების ხმაურს ვუსმენდი.

– ჰანა! გადადი-მეთქი!

ასეც მოვიქეცი. მანქანის კარი გავაღე და გადავედი, მაგრამ კარი არ დამიხურავს, შენ გიყურებდი. იჯექი, ხელები საჭეზე გეწყო და წინ იყურებოდი.

კიდევ ერთი კვარტალი დამრჩა გასავლელი, მაგრამ თვალში მხოლოდ ის ნიშანი მხვდება. სხვას ვერაფერს ვამჩნევ.

სტერეოსთან შენი ტელეფონი შევნიშნე და გკითხე, თუ შეიძლება დავრეკავ-მეთქი.

– სად უნდა დარეკო?

უნდა მეცრუა. არ ვიცი, რატომ გითხარი სიმართლე.

– ვინმეს უნდა შევატყობინოთ.

შენ ისევ წინ იყურებოდი.

– გაიგებენ, ვისგანაც რეკავ, ჰანა. სატელეფონო ზარით კვალში ჩადგომა შეუძლიათ, – მანქანა დაქოქე და მითხარი, კარი დახურეო.

არ დაგემორჩილე.

მაშინ მანქანა უკანსვლით დაძარი და ინსტინქტურად უკან გავხტი.

ჩანდა, არ გადარდებდა, რომ მანქანას ქვემოდან ლითონის სვეტი ეხახუნებოდა. როდესაც ბოლოს და ბოლოს მოშორდი, გაღუნული და ნაკაწრებით დასერილი საგზაო ნიშანი ჩემს ფეხებთან დარჩა.

შენ სიჩქარეს მოუმატე და მეც ტროტუარზე ავედი. ისეთი სისწრაფით წახვედი, რომ მანქანის კარი თავისით დაიხურა. მალე თვალს მიეფარე.

ჯენი, საბოლოო ჯამში, საგზაო ნიშნის წაქცევაზე გაცილებით უარესი რამეც გამოიწვიე.

როგორც წინა შემთხვევაში, მე ახლაც შემეძლო ხელის შეშლა, მაგრამ ისევ ვერ მოვახერხე.

ყველა ჩვენგანს შეეძლო რაღაცისთვის ხელის შეშლა, რაღაცის შეჩერება. ჭორების, გაუპატიურების... შენი შეჩერებაც შეგვეძლო, ჰანა.

როგორმე უნდა დამერწმუნებინე ან, ბოლოს და ბოლოს, გასაღები წამერთმია. ის მაინც უნდა მომეხერხებინა, რომ შენი ტელეფონი ამეღო და პოლიციაში დამერეკა.

მთავარი მაინც სწორედ ეს უკანასკნელი იყო. სახლში დამტვრეული მანქანით წახვედი, მაგრამ ამას არა უშავდა. პრობლემას ის ქმნიდა, რომ საგზაო ნიშანი წააქციე.

რუკაზე ბნ მოძებნეთ. წვეულების სახლიდან ორი კვარტლის დაშორებით შტოპ ნიშანი დგას. იმ ღამეს კი, შემთხვევის შედეგად, აღარ იდგა. წვიმდა. ერთ მძღოლს, რომელიც პიცის დამტარებლად მუშაობდა, შეკვეთის ადგილას მიეჩქარებოდა, მეორე მძღოლმა კი შემოუხვია და საპირისპირო მიმართულებით მოძრავ მანქანას შეეჯახა.

მოხუცმა შემოუხვია, რადგან იმ ღამით იმ კუთხეში შტოპ ნიშანი აღარ იდგა. შედეგად, ერთ-ერთი მძღოლი დაიღუპა. არავინ იცოდა, ვინ გამოიწვია ეს მოვლენა. ვერც პოლიციამ გაიგო ვერაფერი.

მხოლოდ ჯენიმ და ჰანამ იცოდნენ ყველაფერი. შეიძლება ჯენის მშობლებმაც, რადგან მანქანა სასწრაფოდ შეაკეთეს.

იმ ბიჭს არ ვიცნობდი, უფროსკლასელი იყო. მოგვიანებით მისი ფოტო გაზეთში ვნახე და არც სახეზე მეცნო.

არც მის დაკრძალვაზე წავსულვარ. ალბათ უნდა წავსულიყავი, მაგრამ ვერ შევძელი. დარწმუნებული ვარ, ამის მიზეზი თქვენთვის უკვე გასაგებია.

არ სცოდნია. არ იცოდა, რომ ის მოხუცი კაცი მისი ძველი სახლის ბინადარია. მიხარია, ეს კავშირი მაინც რომ ვერ იპოვა. თუმცა იმავე საღამოს დაინახა, როგორ გამოვიდა მოხუცი ავტოფარეხიდან მანქანით და გვერდით ისე ჩაუარა, ვერც კი შენიშნა.

ზოგიერთი თქვენგანი იყო კიდეც დაკრძალვაზე.

კბილის ჯაგრისის დასაბრუნებლად წავიდაო, ასე მითხრა მოხუცის ცოლმა, სანამ დივანზე ვისხედით და ველოდით, როდის მოიყვანდა პოლიცია კაცს სახლში. ქალაქის მეორე ბოლოში წავიდა, რომ ჩვენი შვილიშვილისთვის ჯაგრისი დაებრუნებინაო. სანამ მისი მშობლები დასასვენებლად იყვნენ, ჩვენთან ცხოვრობდა, ჰოდა, ჯაგრისი აქ დარჩაო. ბავშვის მშობლებმა გვითხრეს, ამის გამო თავს ნუ შეიწუხებთო, მაგრამ ჩემი ქმარი მაინც წავიდაო. უბრალოდ, ასეთი ადამიანიაო.

ამასობაში პოლიციაც მოვიდა.

ვინც დაკრძალვაზე იყავით,ბუნებრივია, ვერ ნახავდით, სკოლაში რა ხდებოდა. ახლავე აღგიწერთ... უჩვეულო სიჩუმე იდგა, რადგან მოსწავლეების დაახლოებით მეოთხედი გაკვეთილებიდან გაეთავისუფლა. რა თქმა უნდა, ბევრი იმ ბიჭის თანაკლასელი იყო. სკოლაში დარჩენილებს კი მასწავლებლებმა გვითხრეს, რომ შეგვეძლო დაკრძალვაზე წავსულიყავით და გაკვეთილების გაცდენა საპატიოდ ჩაგვეთვლებოდა.

ბატონმა პორტერმა გვითხრა, დაკრძალვის ცერემონია შეიძლება ტკივილის შემსუბუქებაში დაგეხმაროთო, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობდი. ჩემთვის ასე არ იქნებოდა, იმიტომ, რომ იმ ღამით ერთმა ადამიანმა შტოპ ნიშანი წააქცია, მეორეს კი – ანუ მე – დროზე რომ ემოქმედა, ეს ავარიაც არ მოხდებოდა.

აკანკალებული მოხუცი სახლში ორმა პოლიციელმა შემოიყვანა. ცოლი მივიდა და მოეხვია. ორივე ტიროდა.

სანამ კარს გავიხურავდი, კიდევ ერთხელ მივხედე და დავინახე, როგორ იდგნენ ოთახის შუაგულში და ერთმანეთის ხელები ეჭირათ.

დაკრძალვაზე დამსწრე მოსწავლეები რომ არ ჩამოგვრჩენოდნენ, სკოლაში იმ დღეს არაფერი გვიკეთებია. „რაც გინდათ დაწერეთ, რაც გინდათ წაიკითხეთ“.

რაც გინდათ, იფიქრეთ.

იცით, რა მოხდა ამ დროს? პირველად დავფიქრდი საკუთარ დაკრძალვაზე.

საკუთარ სიკვდილზე უკვე ხშირად ვფიქრობდი, მაგრამ ძალიან განზოგადებულად. უბრალოდ, წარმოვიდგენდი... მაგრამ იმ დღეს, ყველანი დაკრძალვაზე რომ წახვედით, საკუთარი დაკრძალვის წარმოდგენა ვცადე.

როგორც იქნა, მივდივარ შტოპ ნიშნამდე. ხელს ვიწვდი და ლითონის ცივ სვეტს ვეხები.

წარმოვიდგინე, როგორ გაგრძელდებოდა ცხოვრება უჩემოდ – სკოლაც და სხვა დანარჩენიც. მაგრამ საკუთარი დაკრძალვა ვერაფრით „დავინახე“, რადგან ვერ ვხვდებოდი, ვინ დაესწრებოდა ან ვინ რას იტყოდა.

არაფერი ვიცოდი... არაფერი ვიცი იმის შესახებ, რას ფიქრობთ ჩემზე.

არც მე ვიცი, რას ფიქრობენ შენზე, ჰანა. შენმა მშობლებმა სხვა ქალაქში დაგკრძალეს, ამიტომ შენ შესახებ ბევრი არ ულაპარაკიათ.

შენი სიკვდილის ფაქტს ვერსად გავექცეოდით. ჩვენთან არის შენი ცარიელი მერხი, რომელიც გვახსენებს, რომ აღარასდროს დაბრუნდები, მაგრამ ის კი არავინ იცის, როგორ ან რით დაიწყოს შენზე საუბარი.

ჯენი, წვეულების შემდეგ უკვე ორი კვირა გავიდა, შენ კი მთელი ეს დრო მონდომებით მარიდებ თავს. ეს გასაგებიცაა. გინდა, რომ დაივიწყო, რაც მოხდა და ისიც, რაც ამას მოჰყვა. ტყუილად ცდილობ, ეს არასდროს დაგავიწყდება.

ჰანა, ალბათ თვითონაც არ ვიცით, რას ვფიქრობთ შენზე. შენც ამიტომ არ იცოდი. ჩვენ არ გიცნობდით, ჰანა.

ის წვეულება რომ არა, ნამდვილ ჰანას ვერც ვერასდროს გავიცნობდი. მაგრამ მაშინ

ამის შესაძლებლობა მომეცი და ამისთვის ძალიან მადლობელი ვარ. მადლობელი ვარ, რომ ცოტა ხნით მაინც დამანახე შენი თავი. იმღამინდელი ჰანა ძალიან მომეწონა და ალბათ მის შეყვარებასაც შევძლებდი.

მაგრამ შენ სხვა გზა აირჩიე. ეს შენი გადაწყვეტილება იყო.

მე კი მხოლოდ ერთი დღე დამრჩა ამაზე საფიქრელად.

საგზაო ნიშანს ვშორდები და უკან ვბრუნდები.

თავიდანვე რომ მცოდნოდა, იმ კუთხეში ორი მანქანა შეასკდებოდა ერთმანეთს, მაშინვე წვეულებაზე დავბრუნდებოდი და პოლიციაში დავრეკავდი. მაგრამ მსგავს რამეს ვერაფრით წარმოვიდგენდი.

ამიტომ წვეულებაზე არ დავბრუნებულვარ, უბრალოდ, ფეხით წავჩანჩალდი უმისამართოდ. გონებაც ისევე მერეოდა, როგორც ფეხი.

მინდა უკან მივიხედო. წარმოვიდგენ, როგორ მიმართავს საგზაო ნიშანი ჰანას: „სტოპ, ჰანა, გაჩერდი!“

მაგრამ წარმოსახვას არ ვყვები. ეს მხოლოდ და მხოლოდ საგზაო ნიშანია. უკან არ ვიხედები.

ქუჩებში უმისამართოდ დავხეტიალობდი.

ერთმანეთს არ შევხვედრივართ, მაგრამ ამ ქუჩებში ერთდროულად გვიხეტიალია. ორივენი რაღაცას გავურბოდით. მე შენ გაგირბოდი, შენ კი – წვეულებას და საკუთარ თავსაც.

ასე დავდიოდი, მერე კი უცებ საბურავების ჭრიალი მომესმა, მივბრუნდი და დავინახე, როგორ შეეჯახა ორი მანქანა ერთმანეთს.

ბოლოს გაზგასამართ სადგურთან მივედი. რუკაზე მონიშნულია – ჩ7. იქაური ტელეფონით პოლიციაში დავრეკე. ყურმილი მჭიდროდ მქონდა მიკრული ყურზე, თითქოს არც მინდოდა, რომ ეპასუხათ.

მინდოდა, ასე ვმდგარიყავი ყურმილით ხელში... მინდოდა, დრო გაჩერებულიყო.

რუკის მიყოლა აღარ შემიძლია. გაზგასამართ სადგურთან არ მივალ.

მიპასუხეს. ნიკაპამდე ჩამოსული ცრემლები შევისრუტე და ამოვთქვი: „იქ, კუთხეში... სამხრეთ...“

ქალმა, რომელსაც ვესაუბრებოდი, გამაწყვეტინა და მითხრა, დაწყნარდიო. მაშინღა გავაცნობიერე, რა გულამოსკვნილი ვტიროდი. სუნთქვა მეკვროდა.

ქუჩაზე გადავდივარ და წვეულების სახლს ვშორდები.

ბოლო რამდენიმე კვირაა, ვცდილობ, ამ სახლთან არ გავიარო. ჰანა ბეიკერთან იმ შეხვედრის გახსენება ტკივილს მაყენებდა. ამაღამ კი მომიწია იქ მისვლა, მაგრამ ახლა მაინც აღარ მივალ.

ქალმა მითხრა, პოლიცია უკვე გამოიძახეს და მალე მივლენო.

ზურგჩანთიდან ჰანას რუკას ვიღებ.

ამან გამაოგნა, რადგან არ მეგონა, რომ პოლიციაში თვითონ დარეკავდი, ჯენი.

რუკას ვშლი. მინდა, კიდევ ერთხელ შევავლო თვალი.

შევცდი. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, შენ არ დაგირეკავს.

რუკას ვჭმუჭნი.

მეორე დღეს გავიგე, ვინც დარეკა. სკოლაში წინა ღამის ამბებს განიხილავდნენ და მაშინ გაირკვა,რომ წაქცეული საგზაო ნიშნის გამო არავისაც არ დაურეკავს.

დაჭმუჭნილ რუკას ერთ-ერთ ბუჩქში ვტენი და გზას ვაგრძელებ.

დარეკეს ავტოკატასტროფის გამო, რომელიც წაქცეულმა საგზაო ნიშანმა გამოიწვია... მე კი ამის შესახებ მხოლოდ მეორე დღეს გავიგე.

იმ ღამეს კი, ყურმილი რომ დავკიდე, ქუჩებში ხეტიალი გავაგრძელე. შინ დაბრუნებამდე უნდა დავწყნარებულიყავი და ცრემლები შემეშრო. ჩემს მშობლებს რომ დაენახათ, მტირალი როგორ ვიპარებოდი საკუთარ საძინებელში, კითხვებით სულს ამომხდიდნენ.

მეც განზრახ არ მივდივარ შინ. წვეულების ღამეს არ მიტირია, მაგრამ ახლა ცრემლებს ძლივს ვიკავებ.

შინ ვერ დავბრუნდები.

წვიმა თანდათან მსუბუქმა ნისლმა შეცვალა. სიცივესა და ნისლში ხეტიალი მსიამოვნებდა.

რამდენიმე საათი სიარულში გავატარე, თან წარმოვიდგენდი, რომ ბურუსი სქელდებოდა, ერთიანად მფარავდა და მაქრობდა. ასეთ მარტივ გაუჩინარებაზე ფიქრები მაბედნიერებდა.

მაგრამ, როგორც იცით, იმ ღამით არსად გავმქრალვარ.

<

„უოქმენს“ ვხსნი, რომ კასეტა გადავაბრუნო. თითქმის ბოლოში ვარ.

ღმერთო ჩემო! თვალებს ვხუჭავ და მაცახცახებს. მალე მოსმენას მოვრჩები და ყველაფერი დასრულდება.

# მეექვსე კასეტა: B მხარე

4

სულ ცოტა დარჩა, მხოლოდ ორი ნაწილი. ასე რომ, გთხოვთ, ახლა ნუ აიღებთ ხელს ჩემზე.

ბოდიშს ვიხდი, ვიცი, რომ ეს ჩემგან უცნაურად ჟღერს. მე ხომ სწორედ ამას ვაკეთებ – ვნებდები, ცხოვრებაზე ხელს ვიღებ. მეტიც, ყველა ეს ისტორია შეიძლება ასე შეჯამდეს – მე თქვენზე ხელს ვიღებ. განურჩევლად იმისა, თუ რა ვთქვი და ვისზე ვილაპარაკე აქამდე, მთავარი მოქმედი პირი სწორედ მე ვარ. მთავარი ჩემი გადაწყვეტილებაა.

მშვიდი ხმა აქვს, საკუთარი თავით კმაყოფილი ჩანს.

იმ წვეულებამდეც ბევრჯერ მიფიქრია ამაზე. არ ვიცი, რა გითხრათ. ეტყობა, ზოგიერთი ადამიანი თავიდანვე მომართულია, რომ ამაზე იფიქროს. სხვაგვარად როგორ ავხსნა ის, რომ ყოველ ჯერზე, როცა რამე ცუდი მოხდებოდა, თავის მოკვლაზე ვფიქრობდი.

ხედავთ? უკვე შემიძლია ამ სიტყვის თქმა – თვითმკვლელობა. თვითმკვლელობაზე ვფიქრობდი.

მის ხმაში აღარც ბრაზი ისმის და აღარც სიძულვილი. გადაწყვეტილება მიღებული აქვს და სიტყვის წარმოთქმაც აღარ უჭირს.

მსგავსი აზრი თითოეული ამ ამბის შემდეგ გამიელვებდა ხოლმე.

ვფიქრობდი, ნეტა მოვკვდე-მეთქი.

„ნეტა მოვკვდე“. ასე მეც ხშირად მიფიქრია, თუმცა ხმამაღლა არ მითქვამს. ხმამაღლა თქმაზე უფრო შემაშინებელი კი ისაა, თუ მიხვდები, რომ სიკვდილი მართლა გინდა.

ხანდახან იმაზეც ვფიქრობდი, კერძოდ, როგორ, რა გზით უნდა მომესპო ჩემი სიცოცხლე. საწოლზე ვწვებოდი, საბანში ვეხვეოდი და ვიხსენებდი, რა გვქონდა სახლში ამ საქმისთვის გამოსადეგი.

ცეცხლსასროლი იარაღი ჩემს მშობლებს არასოდეს ჰქონიათ და არც ის ვიცოდი, სად უნდა მეშოვა.

თავის ჩამოხრჩობას რაც შეეხება, ვერ ვწყვეტდი, სად ან რა მასალით. გარდა ამისა, მაშინვე თვალწინ დამიდგებოდა ხოლმე საშინელი სცენა, სადაც ჩამოკიდებულს, იატაკიდან რამდენიმე სანტიმეტრით ზემოთ მოქანავეს მპოულობდნენ.

არა, ჩემს მშობლებს ასე ვერ მოვექცეოდი.

ნეტა როგორ გიპოვეს? ამაზე დიდი მითქმა-მოთქმა იყო.

საკუთარ სიკვდილს სულ სხვადასხვანაირად წარმოვიდგენდი ხოლმე, ეს ავადმყოფურ გასართობად მექცა. მინდა გითხრათ, რომ თავის მოკვლის ბევრი უცნაური და კრეატიული მეთოდი არსებობს.

ყველამ ვიცით, რომ აბები დალიე. იმასაც ამბობენ, რომ შემდეგ გონება დაკარგე და წყლით სავსე აბაზანაში ჩაიხრჩვე.

ბოლოს ორი ძირითადი ვერსია გამოიკვეთა. შემეძლო უბედური შემთხვევა გამეთამაშებინა. ამისთვის მანქანით სადმე გადაჩეხვა იყო საჭირო, სადაც ვერაფრით გადავრჩებოდი. ქალაქგარეთ ასეთი ადგილები საკმარისადაა. გასული ორი კვირის განმავლობაში ათჯერ მაინც ვიყავი იქ მანქანით.

მეორე ვერსიის მიხედვით, აბაზანის ასავსებად წყალი მოუშვი, მაგრამ იქამდე ვერ მიაღწიე, საწოლზევე გაითიშე. შენი მშობლები სახლში რომ მივიდნენ, სახლი დატბორილი დახვდათ. ისინი ყვიროდნენ და გეძახდნენ, მაგრამ შენ არ გიპასუხია.

მაგრამ ამ გეგმის განხორციელებაში ეს ჩანაწერები მიშლის ხელს.

არ ვარ დარწმუნებული, რომ თორმეტი ადამიანი, რომელიც ჩანაწერებს მიიღებს, ჩემს საიდუმლოს შეინახავს. არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემს მშობლებს არ გააგებინებთ, რაც მოხდა. უბედური შემთხვევის ვერსია ალბათ დიდხანს ვერ იარსებებს.

ფიქრობს, რომ ამ ამბავს გავახმაურებდით. მეგობრებთან „საშინელი საიდუმლოს“ ცოდნას დავიტრაბახებდით.

ამიტომ ყველაზე უმტკივნეულო მეთოდი ავარჩიე. აბებს დავლევ.

მუცელი ისევ მეკუმშება და მზადაა, საჭმელთან ერთად აზრებიცა და ემოციებიც ამოანთხიოს.

მაინც რომელი წამალი სჯობს? რამდენი დამჭირდება? ჯერ არ ვიცი და ამის გასარკვევად არც ისე ბევრი დრო მაქვს... ამის გაკეთებას ხვალ ვაპირებ.

ჰო, საოცარია.

ბნელ, წყნარ მოსახვევში ბორდიურზე ვჯდები.

საოცარია, რომ ხვალ უკვე აღარ ვიქნები.

აქედან ოთხ კვარტალს ვხედავ. სახლების უმეტესობას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობა, ყველას სძინავს. მხოლოდ რამდენიმე ფანჯარაში მოჩანს ტელევიზორის მოცისფრო ნათება. პარმაღების დაახლოებით მესამედი ჯერ კიდევ განათებულია. მხოლოდ სიცოცხლის ამ ცალკეული ნიშნებით, ახალგაკრეჭილი გაზონებით ან სახლის წინ დაყენებული მანქანით შეიძლება მიხვდე, რომ ამ სახლებში ვიღაც არის.

ხვალ ავდგები, ჩავიცვამ, პირდაპირ ფოსტაში წავალ და კასეტებს ჯასტინ ფოლის გავუგზავნი. ამის შემდეგ უკან დასახევი გზა მოჭრილი მექნება. მერე უკანასკნელად წავალ სკოლაში. ეს თქვენთან გატარებული ბოლო დღე იქნება, მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ მე მეცოდინება.

ვცდილობ, ის დღე გავიხსენო. გავიხსენო, სად ვნახე ჰანა ბოლოს.

თქვენ ისე მომექცევით, როგორც ყოველთვის. აბა, თუ გაიხსენებთ, რა მითხარით ბოლოს?

არ მახსოვს.

გახსოვთ, როგორ მოიქეცით ჩემთან ბოლო შეხვედრისას?

დარწმუნებული ვარ, რომ გავიღიმე. წვეულების შემდეგ ყოველი შეხვედრისას გიღიმოდი ხოლმე, მაგრამ შენ ზედაც არ მიყურებდი. ყურადღებას არ მაქცევდი, რადგან გადაწყვეტილება უკვე მიღებული გქონდა.

იცოდი, რომ თუ შემომხედავდი, შენც გაგეღიმებოდა. ამის ნებას კი თავს ვერ მისცემდი, რადგან საქმის ბოლომდე მიყვანა გინდოდა.

ან ის თუ გახსოვთ, მე რა გითხარით ბოლოს? ეს მნიშვნელოვანია, რადგან როდესაც ვამბობდი, ვიცოდი, რომ ჩემიბოლო სიტყვები იყო.

მას შემდეგ, რაც იმ ოთახიდან გასვლა მომთხოვე, ჩემთვის არაფერი გითქვამს.

ახლა იმ ავტოკატასტროფის შემდეგი კვირის ამბავს გიამბობთ. იმ კვირის ბოლოს კიდევ ერთი წვეულება გაიმართა, რომელზეც არ წავსულვარ.

თავისუფალი დრო ისევ შეზღუდული მქონდა, მაგრამ არწასვლის მიზეზი ეს არ ყოფილა. იმ დღეს წვეულებაზე გაპარვა ჩემთვის წინანდელზე იოლიც კი იყო, რადგან შინ არ ვიყავი. მამას მეგობარი ქალაქიდან იყო გასული, თავისი სახლის საპატრონოდ კი მე დამტოვა. მთხოვა, ჩემს ძაღლს აჭამე და აქაურობას თვალი ადევნე, რადგან მეზობლად რაღაც ველური წვეულება იგეგმებაო.

წვეულება მართლა გაიმართა და ნამდვილად ველური იყო, თუმცა წინანდელივით დიდი არ ყოფილა.

რომც მცოდნოდა იქ იქნებოდი, მე მაინც არ მივიდოდი.

სკოლაში ზედ არ მიყურებდი, ამიტომ ვფიქრობდი, რომ იქაც ისევე მომექცეოდი. ამ ფიქრის დადასტურება ჩემთვის მეტისმეტად მტკივნეული იქნებოდა.

გამიგია, თუ ტეკილათი ერთხელ დათვერი და ცუდად გახდი, მერე მის სუნზეც კი გული აგერევაო. უკანასკნელ წვეულებასთან ახლოს ყოფნამ გული არ ამირია, მაგრამ კუჭი კი

ამატკივა.

წინა საშინელი წვეულების დასავიწყებლად ერთი კვირა ძალიან ცოტა დრო იყო.

ძაღლი ნერვიულობდა, როცა ფანჯარასთან ვინმე ჩაივლიდა, მაშინვე ყეფას და წკავწკავს იწყებდა. მე ჩავიმუხლებდი და ვეძახდი, აქ მოდი-მეთქი. ფანჯარასთან მისვლა და მისი ხელში აყვანა არ მინდოდა, მეშინოდა, რომ ვინმე დამინახავდა და დამიძახებდა. ბოლოს ძაღლი ავტოფარეხში ჩავკეტე, იქ იწკავწკავოს-მეთქი.

ახლა გამახსენდა. ჩვენი ბოლო შეხვედრა გამახსენდა.

მუსიკა მთელ კვარტალს აზანზარებდა, მისგან გაქცევა შეუძლებელი იყო, მაგრამ მაინც ვცადე. მთელ სახლში ყველა ფარდა და შტორი დავუშვი.

ისიც გამახსენდა, რა ვუთხარით ერთმანეთს.

შემდეგ საძინებელში შევედი და ტელევიზორს ბოლომდე ავუწიე. მუსიკის ხმა აღარ მესმოდა, მაგრამ მის ვიბრაციას თითქოს შიგნიდან ვგრძნობდი.

თვალები დავხუჭე. ტელევიზორს აღარ ვუყურებდი. ოთახიდან საერთოდ გავედი. თავი ისევ გარმონივითკარიან კარადაში მეგონა. მაშინდელივით წინ და უკან რწევა დავიწყე. ჩემი ტირილი ამჯერადაც არავის გაუგონია.

იმ დღეს ბატონი პორტერის გაკვეთილზე არ მოხვედი, შენი მერხი ცარიელი იყო. ზარი რომ დაირეკა, დერეფანში გამოვედი და პირდაპირ შეგეფეთე.

ბოლოს წვეულება დასრულდა. ხალხი გაიკრიფა, ძაღლიც აღარ წკავწკავებდა. ფანჯრებს ჩამოვუარე და ფარდები ისევ გავხსენი.

ლამის ერთმანეთს შევეჯახეთ, მაგრამ შენ თავი დახრილი გქონდა და არ იცოდი, რომ მე ვიყავი. ორივემ ერთხმად წარმოვთქვით: „ბოდიში“.

გადავწყვიტე, სუფთა ჰაერზე გამესეირნა და თან მენახა, ვინმეს დახმარება ხომ არ სჭირდებოდა.

ამ დროს თავიც ასწიე და დამინახე. არ ვიცი, რა დავინახე შენს თვალებში. სევდა? ტკივილი? გვერდით ჩამიარე და სახიდან თმის გადაწევა სცადე. ფრჩხილები მუქლურჯად გქონდა შეღებილი. დერეფანში მიმავალს თვალი გაგაყოლე. ხალხი მეჯახებოდა, მაგრამ ეს არ მადარდებდა.

ვიდექი და გიყურებდი, როგორ წახვედი. სამუდამოდ გაუჩინარდი.

მოქმედების ადგილი ისევ d4-ია, კორტნი კრიმსენის სახლის წვეულება სწორედ იქ იყო.

ეს ისტორია კორტნიზე არ არის, თუმცა გარკვეული როლი მანაც შეასრულა. უნდა

ვთქვა, რომ რასაც ახლა მოვყვები, კორტნიმ არ იცის, რადგან მანამდე წავიდა.

ვტრიალდები და კორტნის სახლის საპირისპირო მიმართულებით მივდივარ.

უბრალოდ გასეირნებას ვაპირებდი. თან ვფიქრობდი, თუ ვინმე მთვრალს წავაწყდები, მანქანით სახლში წავიყვან-მეთქი.

კორტნის სახლთან მისვლა არ მინდა. სჯობს, აიზენჰაუერის პარკში წავიდე, იქ, სადაც ჰანას პირველი კოცნა შედგა.

მაგრამ ქუჩა ცარიელი იყო. ყველა წასულიყო.

უცებ ვიღაცამ დამიძახა.

კორტნის სახლს შემოვლებული მაღალი ხის ღობიდან ვიღაცამ თავი ამოყო და დამიძახა. ეს ვიღაცა ბრაის უოკერი იყო.

ღმერთო, ოღონდ ეს არა. ისედაც ცხოვრებაგამწარებულ ჰანას ბრაისი უდავოდ ბოლოს მოუღებდა.

– სად მიდიხარ? – მკითხა მან.

უთვალავჯერ მინახავს, როგორ პირუტყვივით ექცეოდა თავის გოგოებს – მაჯებით იჭერდა და ხელებს უგრეხდა... თანაც, საჯაროდ.

სიარული უნდა გამეგრძელებინა, მაგრამ ისე მოხდა, რომ თავი მივაბრუნე და ღობის გადაღმა ამომავალი ბოლი დავინახე.

– ვფხიზლდებით... შემოგვიერთდი, – მითხრა ბრაისმა.

მის გვერდით კორტნის თავიც ამოიწვერა.

რა დამთხვევაა. კორტნიმ ერთ-ერთ წვეულებაზე დასასწრებად მძღოლად გამომიყენა, ახლა კი აქ ვარ და შესაძლებლობა მეძლევა მის „წვეულებას“ დაუპატიჟებლად შევუერთდე.

კორტნი ის გოგოა, ვინც უხერხულ სიტუაციაში ჩამაგდო, იმ წვეულებაზე მიმატოვა, სადაც გამომლაპარაკებელი არავინ მყავდა. ახლა კი აქ ვარ, მის სახლში და ვერსად დამემალება.

არა, ჰანა, ამის გამო არა... მათ სხვა მიზეზით შეუერთდი. იცოდი, რომ ამაზე უარესს ვერაფერს გააკეთებდი. მშვენივრად იცოდი.

მაგრამ ვინ ვარ მე, რომ დავიბოღმო?

ამიტომაც მოიქეცი ასე. კატასტროფა გწყუროდა. გინდოდა, ყველაზე უარესი მომხდარიყო, და იცოდი, რომ ამისთვის ბრაისი გამოდგებოდა.

ბრაისმა თქვა, ვისვენებთო. შენ კი,კორტნი, მოგვიანებით მანქანით სახლში წაყვანა

შემომთავაზე, თუმცა არ იცოდი, რომ „ჩემი სახლი“, იმ დღეს ორ ნაბიჯზე იყო. შენი შემოთავაზება ისე გულწრფელად ჟღერდა, რომ გავოცდი კიდეც.

ცოტათი შემრცხვა.

მზად ვიყავი, შენთვის მეპატიებინა, კორტნი. გპატიობ კიდეც. თითქმის ყველა თქვენგანს ვპატიობ, მაგრამ მაინც უნდა მომისმინოთ და გაიგოთ, რა მოხდა.

სველი ბალახი გადავიარე, ჭიშკარზე ურდული გადავწიე და ოდნავ შევაღე. დავინახე ის, საიდანაც ორთქლი ამოდიოდა... ცხელი წყლით სავსე წითელი ხის აბაზანა.

აბაზანაში დამდგარი წყლის ჩუმი ბუყბუყი ისმოდა.

თავები ორივეს აბაზანის კიდეზე გედოთ, თვალები დახუჭული გქონდათ. თქვენს სახეებზე გადაფენილი ღიმილი მარწმუნებდა, რომ წყალი სასიამოვნო იყო.

კორტნიმ თავი ჩემკენ გადმოაგდო და თვალები არ გაუხელია, ისე თქვა, ტანსაცმელი არ გვაცვიაო.

წამით შევყოყმანდი. შემდეგ გადავწყვიტე, წყალში მეც ჩავსულიყავი.

იცოდი, რაშიც ყოფდი თავს, ჰანა.

ზედატანი, ფეხსაცმელი და შარვალი გავიხადე და ხის საფეხურებზე ავედი. წყალში ჩავედი.

ისეთი სასიამოვნო იყო. შვებისმომგვრელი.

ცხელი წყალი პეშვით ავიღე და სახეზე შევისხი. ხელები თმაზეც გადავისვი, თვალები დავხუჭე, ქვემოთ ჩავცურდი და თავი კიდეზე მივაყრდენი.

წყალში ჯდომა მამშვიდებდა, მაგრამ შიში მაინც მომეძალა. სინამდვილეში ხომ არც კორტნის ვენდობოდი და არც ბრაისს. შეიძლება ცუდი არაფერი ჰქონდათ ჩაფიქრებული, მაგრამ მათი ნდობა მაინც არ შეიძლებოდა.

ჰო, მათი ნდობა არ შეიძლებოდა, მაგრამ ბრძოლა აღარ შემეძლო. უბრალოდ, დინებას მივყვებოდი. თვალები გავახილე და ღამის ცას ავხედე. ჩვენს თავზე ორთქლი იდგა და მის მიღმა ყველაფერი სიზმრისეულად მოჩანდა.

თვალებს ვჭუტავ. მინდა, ბოლომდე დავხუჭო.

ცოტა ხანში თავი არაკომფორტულად ვიგრძენი. წყალი მეტისმეტად ცხელი იყო.

ნეტა შემეძლოს პარკამდე თვალდახუჭული მივიდე. აღარ მსურს იმ ქუჩების დანახვა, სადაც მე და ჰანამ იმ წვეულების ღამეს ვიხეტიალეთ.

გასაგრილებლად წყლიდან ამოვიწიე და წამოვჯექი, მაგრამ შევნიშნე, რომ სველი ლიფიდან მკერდი მიჩანდა.

უკანვე ჩავცურდი.

ამ დროს ბრაისმა ნელ-ნელა ჩემკენ დაიწყო გადმონაცვლება. მალე მხარზე მხარი მომაყრდნო.

კორტნიმ თვალები გაახილა, შემოგვხედა და ისევ დახუჭა.

ლითონის დაჟანგულ ღობეს მუშტს ვურტყამ. თვალებს ვხუჭავ და ხელს ღობეზე ვატარებ.

– ჰანა, – რბილად წამჩურჩულა ბრაისმა.

აშკარად ფლირტის მცდელობა იყო.

ბრაის, ყველამ იცის, რასაც წარმოადგენ. მაგრამ სიმართლე ითქვას, მაშინ შენს შესაჩერებლად არაფერი გამიკეთებია.

მკითხე, წვეულებაზე კარგად გაერთეო? კორტნიმ ჩაურთო, ჰანა წვეულებაზე არ ყოფილაო, მაგრამ შენ ამისთვის ყურადღება არ მიგიქცევია, უკვე თეძოზე მეხებოდი.

თვალებს ვახელ და ღობეს კიდევ ერთხელ ვურტყამ მუშტს.

კბილები გავაკრაჭუნე და შენ ხელი აიღე.

– მაინც მალე დამთავრდა, – თქვი წვეულების შესახებ და ხელიც მალევე დააბრუნე ჩემს თეძოზე.

ღობეს მაგრად ვეჭიდები და რამდენიმე ნაბიჯს ვდგამ. ჩემი ხელი, ბოლოს და ბოლოს, შორდება ლითონს. ახლა სისხლი მდის.

არ შეგაჩერე და შენც ხელი ჩემს მუცელზე ააცოცე. ცერით ჩემი ლიფის ქვედა ნაწილს ეხებოდი, ნეკით კი საცვალს.

პირი ვიბრუნე. ვიცი, რომ არ გამიღიმია.

თითები შეკარი და ხელი ნელა დაატრიალე ჩემს მუცელზე, თან ჩაილაპარაკე, მშვენიერიაო.

უცებ წყალი ამოძრავდა. წამით თვალები გავახილე და დავინახე, კორტნი წყლიდან ამოსულიყო და მიდიოდა.

მეტი არც არაფერია საჭირო, რომ ყველას შესძულდე, კორტნი.

– უმაღლესი სკოლის პირველი წელი გახსოვს? – მკითხე შენ.

თითები ახლა ლიფის ქვეშ შემიყავი, მაგრამ მთელი ძუძუ არ ჩაგიბღუჯავს. ალბათ ამოწმებდი, რამდენის უფლებას მოგცემდი. ცერა თითს ძუძუს ქვეშ მისვამდი.

– მგონი „საუკეთესო ტრაკად“ დაგასახელეს, არა?..

ბრაის, ხედავდი, როგორ ვაკრაჭუნებდი კბილებს. ჩემს ცრემლებსაც ხედავდი. ნუთუ

ასეთი საზიზღრობა აღგაგზნებს?

ვის, ბრაისს? რა თქმა უნდა, აღაგზნებს.

– მართლაც რომ კარგი ტრაკი გაქვს....

აი, ამ დროს უბრალოდ დავნებდი. მხრები ჩამოვყარე, ფეხები მოვადუნე. ზუსტად ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი.

ადრე არასდროს მოვქცეულვარ იმ რეპუტაციის შესაბამისად, ყველამ რომ მომაკერეთ. თუმცა, ხანდახან ეს საკმაოდ რთული იყო. ხანდახან მეც მიზიდავდა ადამიანები, რომლებიც ჩემთან დაახლოებას ჭორების გამო ცდილობდნენ, მაგრამ მათ ყოველთვის უარს ვეუბნებოდი.

ყველას უარი ვუთხარი, ბრაისის გარდა.

გილოცავ, ბრაის, შენ ერთადერთი ხარ, ვისთანაც ჩემი რეპუტაცია გავამართლე, ვისთანაც საკუთარ რეპუტაციად ვიქეცი. აბა, როგორი გრძნობაა?

მოიცადე, არ მიპასუხო. ჯერ იმას გეტყვი, რომ ოდნავადაც არ მიზიდავდი. პირიქით, მეზიზღებოდი.

ვფიცავ, ამას განანებ, ბრაის.

მე გიყენებდი. მჭირდებოდი, რათა საბოლოოდ ამეღო ხელი თავზე.

ვინც ახლა მისმენთ, მინდა იცოდეთ, რომ არც პირდაპირი უარი მითქვამს და არც მისი ხელი გამიწევია. უბრალოდ, თავი მივაბრუნე, კბილები გავაკრაჭუნე და ცრემლების ყლაპვას მოვყევი. მან კი ეს დაინახა, ისიც კიმითხრა, დამშვიდდიო.

– დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება, – ასე თქვა, თითქოს მისი ხელების ფათური ყველა პრობლემას მომიგვარებდა.

ბრაის, მე არ მითქვამს, მომშორდი-მეთქი, ჰოდა, არც მომშორდი.

მუცელზე ხელის ტრიალი შეწყვიტე და ახლა წელზე დამიწყე მოფერება. ნეკი საცვალში ჩამიყავი და თეძოდან თეძომდე გადაატარე. მერე მეორე თითიც ჩაყავი და ბოქვენის თმას შეეხე.

ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ მეტზეც გადასულიყავი. მხრებზე და კისერზე კოცნა დამიწყე. თითებს კი უკვე სადაც მოგესურვებოდა, იქ ყოფდი და ესეც არ იკმარე...

ბოდიშს ვიხდი, თუ ასე წვრილად აღწერა არ გსიამოვნებთ... ვწუხვარ.

ბრაის, ყველაფერს რომ მორჩი, აბაზანიდან ამოვედი და იმავე სახლში დავბრუნდი, საიდანაც წამოვედი.

ასე დამთავრდა ის ღამე. ვიცოდი, რომ დინებამ საბოლოოდ გამიტაცა.

ხელს მუშტად ვკრავ და თვალებთან მიმაქვს. ცრემლით სავსე თვალებით ვუყურებ, როგორ ჟონავს სისხლი თითებშუა. ჟანგიანი ღობის დამსახურებით, კანი რამდენიმე ადგილას მაქვს გასერილი.

რაც უნდა თქვას ახლა ჰანამ, მე უკვე გადავწყვიტე, სადაც გავატარებ დილამდე დარჩენილ დროს. მაგრამ ჯერ ჭრილობებს უნდა მივხედო. საკუთარი სისხლის დანახვა ცუდად მხდის.

უახლოესი გაზგასამართი სადგურისკენ მივდივარ. აქედან ორიოდე კვარტალშია. ხელს რამდენჯერმე ვიფერთხავ და ტროტუარზე სისხლის მუქი კვალი ჩნდება.

სადგურს რომ ვუახლოვდები, დაშავებულ ხელს ჯიბეში ვმალავ. შემდეგ სადღეღამისო მაღაზიის მინის კარს ვაღებ. სპირტს და ჭრილობაზე დასაწებებელ პლასტირს ვპოულობ, დახლზე რამდენიმე დოლარს ვდებ და საპირფარეშოს გასაღებს ვითხოვ.

– უკან უნდა გახვიდე, – მეუბნება დახლთან მდგომი ქალი.

გასაღებს ვატრიალებ და კარს მხრით ვაღებ. ხელს ცივი წყლის ნაკადს ვუშვერ და ვუყურებ, როგორ ჩაედინება სისხლი ნიჟარაში. სპირტის ბოთლს ვხსნი და მთლიანად ვიცლი ხელზე.

მთელი სხეული მეძაბება, ხმამაღლა ვილანძღები. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს კანი მძვრება.

მეჩვენება, რომ მთელი საათი გადის, სანამ თითების მოხრასა და გამართვას ისევ მოვახერხებდე. პლასტირის დასაკრავად მეორე ხელს და კბილებს ვიშველიებ.

მერე გავდივარ და ქალს გასაღებს ვუბრუნებ, ის კი, უბრალოდ, ღამე მშვიდობისას მისურვებს.

ტროტუარზე გავდივარ, თითქმის მივრბივარ. მხოლოდ ერთი ნაწილი დარჩა. კასეტა, რომელსაც კუთხეში ლურჯად 13 აწერია.

# მეშვიდე კასეტა: A მხარე

აიზენჰაუერის პარკში არავინაა. შესასვლელთან ვდგავარ და მიდამოს ვათვალიერებ. აქ დავრჩები, აქ მოვუსმენ ჰანას ბოლო სიტყვებს და მერე ცოტას წავუძინებ.

აქა-იქ ლამპიონები დგას, მაგრამ ნათურები დამტვრეულია ან გადამწვარი. სასრიალო „კოსმოსური ხომალდის“ ძირი სიბნელეშია ჩაკარგული. მაგრამ სასრიალო მაღალია, მისი ზედა ნაწილი საქანელებსაც სცდება და ხეებსაც. იქ, ზემოთ, ლითონის გისოსებს მთვარის შუქი აელვარებს.

ხომალდის ირგვლივ ქვიშიანი მოედანია. მივდივარ, ვიხრები და პირველი „სართულის“ ქვეშ ვძვრები, რომელიც მიწიდან სამი უზარმაზარი ლითონის „ფარფლითაა“ დაშორებული. ჩემ ზემოთ ასასვლელ ხვრელს ვხედავ, საიდანაც ლითონის კიბე ეშვება. წელში ვიმართები და თავს ხვრელში ვყოფ. ჯანსაღ ხელს მაღლა ვდებ და პირველ ბაქანზე მივძვრები.

ხელს ჯიბეში ვიყოფ და ჩამრთველ ღილაკს ვაჭერ.

4

კიდევ... ერთხელ... ვცდი.

ჰანა ჩურჩულებს. ვხვდები, რომ ხმის ჩამწერი პირთან ახლოს უჭირავს, რადგან ყოველი პაუზისას მისი სუნთქვა მესმის.

ეს ჩემი ბოლო შანსია, რომ სიცოცხლე გავაგრძელო. ამჯერად ვაპირებ, დახმარება ვითხოვო. მარტო ამას ვერ ვიზამ. უკვე ვცადე, მაგრამ არ გამომდის.

არა, არ გიცდია, ჰანა. მე შენთან ვიყავი, შენ კი თავიდან მომიშორე.

თუ უსმენთ, რასაკვირველია, უკვე იცით, რომ ამჯერადაც არაფერი გამომივიდა. უფრო სწორად, ის ადამიანი ვერ დამეხმარა. თუ ის ვერ ან არ დამეხმარება, უკვე ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე.

ყელი მიშრება. მომდევნო „სართულზე“ მივძვრები.

ახლა თქვენსა და ამ აუდიოჩანაწერებს შორის ერთადერთი ადამიანი დგას – ბატონი პორტერი.

არა, არა! არ შეიძლება მან ამას მოუსმინოს.

ბატონ პორტერთან პირველი გაკვეთილი გვაქვს, ინგლისური. მას ყოველდღე ვხედავ და არ მინდა, რომ ეს ამბები გაიგოს. იმის წარმოდგენაც არ მინდა, რომ ზრდასრულმა ადამიანმა, ჩვენმა მასწავლებელმა, ამ ისტორიებს მოუსმინოს, მათ შორის, ჩემს

ისტორიასაც.

აბა, ვნახოთ, რას იზამთ, ბატონო პორტერ.

ისეთი ხმა მესმის. ვხვდები, რომ ჰანა ხმისჩამწერს ინახავს – ზურგჩანთაში ან ქურთუკში იდებს.

ამას კარზე კაკუნის ხმა ისმის.

– ჰანა, კარგია, რომ მოასწარი მოსვლა.

ბატონი პორტერის ხრინწიან და კეთილგანწყობილ ხმას ვცნობ, თუმცა შორიდან ისმის.

– მოდი, დაჯექი.

ბატონი პორტერი ინგლისურის მასწავლებელია და იმ მოსწავლეების მრჩეველიც, რომელთა გვარები ა-დან ვ-ს ჩათვლით იწყება. მაშასადამე, ჰანა ბეიკერზე ზრუნვაც მას ევალებოდა.

– მოხერხებულად ზიხარ? წყალი ხომ არ გინდა?

– კარგად ვარ, გმადლობთ.

– აბა, რით შემიძლია დაგეხმარო? რაზე გსურს საუბარი?

– არც კი ვიცი... ალბათ ყველაფერზე.

– ამას დიდი დრო დასჭირდება.

ხანგრძლივი პაუზაა.

– არაფერია, ჰანა, მე ბევრი დრო მაქვს. როცა მზად იქნები, დაიწყე.

– უბრალოდ... არ ვიცი... ყველაფერი ისე გართულდა.

ჰანას ხმა უკანკალებს.

– არ ვიცი, საიდან დავიწყო. უფრო სწორად, თითქოს ვიცი, მაგრამ ძალიან ბევრი რამ მაქვს სათქმელი და არ ვიცი, თავი ერთად როგორ მოვუყარო.

– ყველაფრის ერთად თქმა საჭირო არ არის. შეგვიძლია იმით დავიწყოთ, დღეს როგორ გრძნობ თავს.

– დღეს? ახლა?

– ჰო, ახლა.

– ახლა დაბნეული ვარ და ცარიელი.

– „ცარიელში“ რას გულისხმობ?

– აღარაფერს ვგრძნობ. აღარაფერი მაღელვებს.

– მაგალითად, რა არ გაღელვებს?

მიდით, ათქმევინეთ. კითხვები დაუსვით.

– არაფერი, არც სკოლა, არც საკუთარი თავი, არც თანაკლასელები.

– მეგობრებზე რას იტყვი?

– ჯერ მითხარით, „მეგობრებში“ რას გულისხმობთ.

– ჰანა, არ მითხრა, რომ მეგობრები არ გყავს. დერეფნებში გხედავ ხოლმე.

– არა, მართლა მჭირდება განსაზღვრება. თქვენი აზრით, ვინ არის მეგობარი?

– ის, ვისაც შეგიძლია მიმართო, როცა თავს ცუდად გრძნობ.

– ჰოდა, მაშ, არ მყავს მეგობრები. ამიტომაც ვარ აქ. მე თქვენ მოგმართავთ დახმარებისთვის.

– ჰო, ეგ მართალია. მიხარია, რომ აქ მოხვედი, ჰანა.

მეორე „სართულზე“ მივცოცავ და გისოსებთან მივდივარ. გისოსებს შორის მოზრდილი სივრცეა, რათა მსურველი სასრიალოზე გადაძვრეს.

– ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიჭირდა აქ მოსვლა.

– რატომ? ამ კვირაში არც ისე დაკავებული ვიყავი...

– დიახ, უბრალოდ, მე თვითონ მიჭირდა მოსვლა.

სასრიალოს გლუვ ლითონს მთვარის შუქი აელვარებს. ვცდილობ წარმოვიდგინო, როგორ იდგა აქ დაახლოებით ორი წლის წინ ჰანა; როგორ ჩასრიალდა ქვევით.

– კარგია, რომ მაინც მოხვედი. ახლა მითხარი, შენი წარმოდგენით, როგორი მდგომარეობა უნდა გქონდეს, როდესაც ამ კაბინეტს დატოვებ?

– რით დამეხმაროთ, იმას მეკითხებით?

– ჰო.

– არ ვიცი... ზუსტად ვერ გეტყვით, რას ველი.

– არის რამე ისეთი, რაც ამ მომენტში გინდა, მაგრამ ვერ იღებ? აქედან დავიწყოთ.

– მინდა, რომ დამთავრდეს.

– რა დამთავრდეს?

– ყველაფერი მორჩეს. ადამიანები... სიცოცხლე.

სასრიალოს ვშორდები.

–ჰანა, თუ ხვდები, რა თქვი ახლა?

ხვდება და კარგად იცის, რასაც ამბობს, ბატონო პორტერ. სურს, რომ მის სიტყვებს ყურადღება მიაქციოთ და დაეხმაროთ.

– გინდა, რომ შენი სიცოცხლე დამთავრდეს... ამას ამბობ, ჰანა?

ჰანა დუმს.

– ამის თქმა გინდოდა? უნდა იცოდე, რომ ეს ძალიან სერიოზული საკითხია.

იცის, რომ სერიოზულია, ბატონო პორტერ. იცის, რასაც ამბობს. დაეხმარეთ, რამე მოიმოქმედეთ!

– ვიცი, მაპატიეთ.

ბოდიშს ნუ იხდი, ლაპარაკი გააგრძელე!

– არ მინდა, რომ ჩემი სიცოცხლე დამთავრდეს, ამიტომაც მოვედი აქ.

– მაინც რა მოხდა, ჰანა? როგორ მოვედით აქამდე?

– მოვედით? თუ მე მოვედი?

– შენ, ჰანა. რამ ჩაგაგდო ამ მდგომარეობაში? მესმის, რომ მიზეზებს თავს ერთად ვერ უყრი. ვფიქრობ, თოვლის გუნდის ეფექტს ჰქონდა ადგილი. ასე არაა?

ჰო, თოვლის გუნდის ეფექტი. ჰანაც სწორედ ასე ამბობდა.

– ყველაფერი ერთმანეთს დაერთო და ბოლოს აუტანელი გახდა, ასეა?

– ძალიან გართულდა.

– რა, ცხოვრება?

მორიგი პაუზაა.

გისოსებს ვებღაუჯები და ზევით მივიწევ. დასერილი ხელი მტკივა, მაგრამ ყურადღებას აღარ ვაქცევ.

– აი, გამომართვი. ქაღალდის ცხვირსახოცებია, სრულიად უხმარი.

ჰანა იცინის. გააცინა!

– გმადლობთ.

– მოდი, სკოლაზე ვილაპარაკოთ, ჰანა. მინდა გავიგო, როგორ მივედით... უკაცრავად, როგორ მიხვედი ამ მდგომარეობამდე.

– კარგი.

ბოლო „სართულზე“ მივძვრები.

– სკოლაზე ფიქრისას პირველი რა გახსენდება?

– მე მგონი, სწავლა.

– ეს კარგია.

– ვიხუმრე.

ამჯერად ბატონი პორტერი იცინის.

– ცხადია, აქ ვსწავლობ, მაგრამ სკოლა ჩემთვის სხვა რამეს ნიშნავს.

– რას ნიშნავს?

– უბრალოდ ხალხით სავსე ადგილია, მე კი ამ ხალხთან ყოფნა მომეთხოვება.

– გიჭირს მათთან ყოფნა?

– ხანდახან.

– კონკრეტულ ადამიანებთან თუ ყველასთან?

– კონკრეტულ ადამიანებთან, მაგრამ ყველასთანაც.

– შეგიძლია უფრო ზუსტად ამიხსნა?

მესამე „სართულზე“ უკან გადავდივარ და ლითონის საჭეს ვეყრდნობი. ახლა ხეებზე მაღლა ვარ და მთვარის ნათება თვალს მჭრის.

– ეგ რთულია, რადგან წინასწარ არ ვიცი, ვინ ან როგორ დამესხმება თავს.

– რას ნიშნავს, თავს დაგესხმება?

– იმას არ ვგულისხმობ, რომ რამეს წინასწარ გეგმავენ, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ არ ვიცი, საიდან რა გამოხტება.

– გამოხტება და თავს დაგესხმება?

– ვიცი, რომ სულელურად ჟღერს.

– მაშინ ახსენი.

– რთულია ამის ახსნა, თუ ჩემ შესახებ მოარული ჭორები არ გაგიგიათ.

– არ გამიგია. ჩვეულებრივ, მასწავლებლები თქვენს ჭორებს ვერ ვიგებთ, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც მრჩევლობას ითავსებს. თუმცა ჩვენ, მასწავლებლებს, საკუთარი ჭორები გვაქვს.

– თქვენ შესახებ?

ბატონი პორტერი იცინის.

– ასეც ხდება ხოლმე. რატომ მეკითხები, ჩემზე რამე გაიგე?

– არა, არაფერი, ვიხუმრე.

– მაგრამ თუ გაიგებ, მაშინვე მომიყვები.

– გპირდებით.

ახლა ხუმრობის დრო არ არის, ბატონო პორტერ. ჰანას დაუბრუნდით და დაეხმარეთ, გთხოვთ.

– კარგი, ბოლო ჭორი როდის გავრცელდა?

– საქმე ისაა, რომ ზოგი რამ სიმართლეა.

– გასაგებია.

– არა, მომისმინეთ...

მოუსმინეთ. მოუსმინეთ, გთხოვთ!

– დიდი ხნის წინ ვიღაცის სულელურ სიაში მოვხვდი. აი, ისეთ სიაში, „საუკეთესოებს“ და „ყველაზე ცუდებს“ რომ ასახელებენ ხოლმე.

ბატონი პორტერი არაფერს ამბობს. ნეტა იცის, რაზე ლაპარაკობს ჰანა? ნანახი აქვს ის სია?

– მას შემდეგ განსხვავებულად მექცევიან.

– ბოლოს როდის მოხდა ასეთი რამ?

ყუთიდან ქაღალდის ცხვირსახოცის ამოღების ხმა მესმის.

– ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ წვეულებაზე. ის ჩემი ცხოვრების ყველაზე ცუდი ღამე იყო.

– რაც მოხდა, ის ჭორმა გამოიწვია?

– ნაწილობრივ, თუმცა ჭორის გარდა კიდევ ბევრი მიზეზი აქვს.

– შეგიძლია დააზუსტო, რა მოხდა წვეულებაზე?

– წვეულებაზე არა, წვეულების შემდეგ.

– კარგი, ჰანა, გინდა „ოცი შეკითხვა“ ვითამაშოთ?

– რა?

– ხანდახან ადამიანებს უჭირთ გახსნა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მრჩეველთან საუბარი კონფიდენციალურია.

– გასაგებია.

– ვითამაშოთ „ოცი შეკითხვა“?

– დიახ.

– იმ წვეულებაზე ვინმე ბიჭს შეხვდი?

– დიახ, მაგრამ წვეულების შემდეგ იყო.

– გასაგებია. უბრალოდ ვცდილობ, საიდანმე დავიწყოთ ლაპარაკი.

– მესმის.

ბატონი პორტერი ოხრავს.

– შენს განსჯას არ ვაპირებ, ჰანა. უბრალოდ უნდა გკითხო, რამე ისეთი ხომ არ მომხდარა იმ ღამეს, რასაც ნანობ?

– დიახ, მოხდა.

ვდგები და გისოსებთან მივდივარ. ხელებით ვეჭიდები და სახეს ორ გისოსს შორის ვყოფ.

– შენსა და იმ ბიჭს შორის რამე ისეთი ხომ არ მოხდა, რაც კანონით ისჯება? ჰანა,

შეგიძლია მენდო, არაფერი დამიმალო.

– გაუპატიურებას გულისხმობთ? არა, არ მგონია, ასე ყოფილიყო.

–რატომ არ ხარ დარწმუნებული?

– გარემოებათა გამო.

– რას გულისხმობ, ალკოჰოლს?

– მე არ დამილევია, მას – არ ვიცი.

– აბა, ნარკოტიკებს?

– არა, სხვა გარემოებებს.

– გინდა, რომ უჩივლო?

– არა. არ ვიცი... არა.

ამჯერად მე ვოხრავ.

– აბა, რა გზას უნდა დაადგე?

– არ ვიცი.

თქვენ უთხარით, ბატონო პორტერ. უთხარით, რა ქნას, რა გზას დაადგეს.

– რა შეგვიძლია მოვუხერხოთ ამ პრობლემას, ჰანა? რით დაგეხმარო?

– არაფრით, ეგ საქმე დამთავრებულია.

– კი მაგრამ, რაღაც უნდა ვქნათ, ჰანა. როგორღაც უნდა შევცვალოთ შენი ცხოვრება.

– ასეა, მაგრამ არ ვიცი, რა უნდა ვქნა. თქვენ მითხარით.

– თუ იმ ბიჭს არ უჩივლებ, თანაც თუ დარწმუნებული არ ხარ, რომ საჩივლელი მიზეზი გაქვს, მაშინ მხოლოდ ორი გზა რჩება.

– ორი გზა? რა უნდა ვქნა?

ჰანას ხმა იმედიანად ჟღერს. მეტისმეტად დიდ იმედს ამყარებს ბატონი პორტერის პასუხებზე.

– ერთი ისაა, რომ შეგიძლია მას დაუპირისპირდე. აქ მოვიხმობთ და ერთად განვიხილავთ, რა მოხდა იმ წვეულებაზე. მე შემიძლია...

– თქვენ თქვით, რომ ორი გზა მაქვს.

– მეორე გზა ისაა, რომ უბრალოდ დაივიწყო. ოღონდ არ იფიქრო, ამ არჩევანს თავს გახვევდე.

– ანუ ვერაფერსაც ვერ ვიზამ...

გისოსებს მაგრად ვეჭიდები და თვალებს ვხუჭავ.

– ეს, უბრალოდ, ერთ-ერთი შესაძლო არჩევანია. მომისმინე, ჰანა, მესმის, რომ რაღაც

ცუდი მოხდა, მჯერა შენი. მაგრამ თუ არც პოლიციისთვის შეტყობინება გინდა და არც პირისპირ პასუხის მოთხოვნა, მაშინ მოგიწევს დაუშვა, რომ ეს ამბავი შეიძლება უბრალოდ დაივიწყო.

მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ჰანას ეს არ აკმაყოფილებს? ბატონო პორტერ, უნდა მიხვდეთ, რომ ამას არ იზამს.

– უბრალოდ დავივიწყო?!

– ის ბიჭი შენი თანაკლასელია?

– არა, ჩემზე უფროსია.

– ესე იგი, წელს სკოლას დაამთავრებს და აღარც მისი ნახვა მოგიწევს.

– ესე იგი, გინდათ, რომ დავივიწყო.

ეს შეკითხვა არ გეგონოთ, ჰანა ახლა ხმამაღლა ფიქრობს. მისთვის ეს გზა მიუღებელია. მიდით, უთხარით, რომ დაეხმარებით.

რაღაც შრიალებს.

– გმადლობთ, ბატონო პორტერ.

ო, ღმერთო, არა!

– ჰანა, მოიცადე, ჯერ ნუ წახვალ.

თავს გისოსებს შორის ვყოფ და ვყვირი: „არა, არა!“

– თქვენთან სხვა საქმე არ მაქვს.

არა, არ გაუშვათ!

– რისთვისაც მოვედი, უკვე მივიღე.

– მგონი, კიდევ შეგვიძლია ვისაუბროთ, ჰანა.

– არა, ვფიქრობ, უკვე ყველაფერი გავარკვიეთ. უნდა დავივიწყო, რაც მოხდა, და შევეგუო.

– არა, ჰანა, შეეგუე-მეთქი, არ მითქვამს. უბრალოდ, ხანდახან დავიწყების გარდა სხვა გზა არ გვაქვს.

არ გაუშვათ!

– ვიცი, მართალს ამბობთ.

– ჰანა, არ მესმის, ასე რატომ გეჩქარება აქედან წასვლა.

– იმიტომ, რომ საქმეს უნდა მივხედო, ბატონო პორტერ. თუ მაინც არაფერი შეიცვლება, დაყოვნების აზრს ვერ ვხედავ.

– ჰანა, რაზე ლაპარაკობ? არ მესმის.

– ჩემს სიცოცხლეზე, ბატონო პორტერ.

კარის გატკაცუნების ხმა ისმის.

– ჰანა, მოიცადე.

კიდევ ერთი გატკაცუნება. ჩანთის ან ქურთუკის გახსნის ხმა... ნაბიჯების ხმა. სულ უფრო და უფრო სწრაფი ნაბიჯი.

ახლა დერეფანში ვარ.

მისი ხმა ახლა უფრო მკაფიოდ ისმის.

მისი კაბინეტის კარი დახურულია.

პაუზა.

კარი არ იღება. არ მოდის.

სახეს გისოსებს ისე ვაბჯენ, რომ თავის ქალაზე მთელი ძალით მიჭერს.

მიშვებს.

მარცხენა წარბს ზემოთ ერთი წერტილი ლამისაა ამიფეთქდეს, მაგრამ არ ვეხები. დაე, მტკიოდეს.

მგონი, ძალიან გასაგებად ვთქვი, რასაც ვაპირებ, მაგრამ ჩემს შეჩერებას არავინ ცდილობს.

კიდევ ვის უთხარი, ჰანა? შენს მშობლებს? მე? ჩემთვის გასაგებად არაფერი გითქვამს.

ბევრ შეგტკიოდათ გული ჩემზე, მაგრამ არც იმდენად, რომ ჩემი შეჩერება გეცადათ. ამის გაგება მინდოდა...

მე ხომ არ ვიცოდი, რა გჭირდა, ჰანა...

და გავიგე კიდეც.

ნაბიჯს კიდევ უფრო უჩქარებს.

ვწუხვარ. მაპატიეთ.

ხმის ჩამწერი ტკაცუნით ითიშება.

გისოსებზე თავმიყრდნობილი ტირილს ვიწყებ. ახლა თუ ვინმეა პარკში, ჩემს ქვითინს გაიგონებს, მაგრამ ეს არ მანაღვლებს. ვტირი, რადგან ვაცნობიერებ, ეს ჰანას ბოლო სიტყვები იყო. მისგან მეტს ვეღარაფერს მოვისმენ.

ამჯერადაც ბოდიში მოიხადა. ამიერიდან, როცა ვინმე მოიბოდიშებს ან პატიებას ითხოვს, ჰანა გამახსენდება.

ზოგიერთ ჩვენგანს ისიც კი არ მოუნდება, რომ ჰანას თავისი წილი ბოდიში მოუხადოს. მეტისმეტად გაბრაზებულები იქნებიან ჰანაზე იმის გამო, რომ თავი მოიკლა და ამაში

ბრალი ჩვენ დაგვდო.

მე აუცილებლად დავეხმარებოდი, მაგრამ ამის ნება თვითონ არ მომცა. დავეხმარებოდი, რადგან მინდა, რომ ცოცხალი იყოს, ისევ ჩვენ შორის იყოს.

ფირი მთავრდება.

# მეშვიდე კასეტა: B მხარე

კასეტა მეორე მხარეს ტრიალდება და ფირი ტრიალს აგრძელებს. ჰანას ხმა აღარ ისმის, მხოლოდ ოდნავი შიშინია, რომელიც ცამეტსავე ისტორიას ფონად გასდევდა და ჰანას ხმას თითქოს შორეულს ხდიდა.

გისოსებს ვეჯიდები, თვალებს ვხუჭავ და ამ ძლივსგასაგონ ხმაურში ვეფლობი. აღარც კაშკაშა მთვარე მიფანტავს ყურადღებას და აღარც ხის კენწეროების რხევა. რჩება მხოლოდ ნიავი, ყრუ ტკივილი ხელის მტევნებში, ფირის ტრიალის ხმა და მოგონება იმ ყველაფრისა, რაც მოვისმინე.

სუნთქვა მიწყნარდება. დაძაბული კუნთებიც მიდუნდება.

შემდეგ ყურსასმენებში ტკაცუნი და სუნთქვის ხმა მესმის.

თვალებს ვახელ და მთვარის შუქი ისევ მაღიზიანებს.

გმადლობთ.

ამბობს ჰანა თბილად.

<

კასეტების გაგზავნის მომდევნო დღეს

მთელი ძალით ვებრძვი საკუთარ სხეულს, რომელიც მზადაა, აქვე დაეცეს, ოღონდ სკოლაში არ წავიდე. ოღონდ აქედან გავიქცე და ხვალამდე არ გამოვჩნდე. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, დღეს დავბრუნდები სკოლაში თუ ხვალ? ოდესმე მაინც მომიწევს ჩანაწერების გმირებთან შეხვედრა.

სკოლის ავტოსადგომის შესასვლელს ვუახლოვდები. იქ სუროშემოხვეული გრავირებული ქვის ფილა დგას, რომელიც სკოლისკენ მიმავლებს ესალმება. „1993 წლის კურსდამთავრებულების საჩუქარი სკოლას“ – იკითხება ფილაზე. ამ ქვის ფილასთან ბოლო სამი წლის განმავლობაში უამრავჯერ ჩამივლია, მაგრამ ასეთი გადატენილი ავტოსადგომი არ მახსოვს. ეს იმიტომ, რომ ადრე ამდენ ხანს არასდროს დამიგვიანია.

დღეს კი ვაგვიანებ და ამას ორი მიზეზი აქვს:

ერთი ისაა, რომ ფოსტის გაღებამდე დაცდა მომიწია. კასეტები ისევ ფეხსაცმლის ყუთში ჩავაწყვე, ყუთი ყავისფერ ქაღალდში გავახვიე, დავაწებე და მოხერხებულად ავარიდე თავი გამგზავნის მისამართის დაწერას. ამანათი ჯენი კურცს გავუგზავნე. ვიცი, რომ ამით სამუდამოდ შევცვალე მისი ცხოვრება და მსოფლმხედველობა.

მეორე მიზეზი ბატონი პორტერია. მის გაკვეთილზე შესვლა არ მინდა. არ შემიძლია

ვუყურო, როგორ წერს დაფაზე ან როგორ დგას კათედრასთან. თვალი მაშინვე ოთახის ცენტრში, მარცხნივ მდგარი მერხისკენ გამექცევა.

ჰანა ბეიკერის ცარიელი მერხისკენ.

ხალხი ამ მერხს ყოველდღე უმზერს, მაგრამ ჩემთვის გუშინდელს მერე ბევრი რამ შეიცვალა. ასე რომ, გადავწყვიტე, ჩემს კარადასთან ან საპირფარეშოში შევყოვნდე, ან დერეფნებში ვიბოდიალო.

სკოლის ავტოსადგომს გარს ვუვლი, შემდეგ გაზონს ვჭრი და მინის ორმაგი კარით სკოლის მთავარ შენობაში შევდივარ. ცარიელ დერეფნებში შესვლა მეუცნაურება და თითქმის მასევდიანებს. ეულად მივაბიჯებ.

ჯილდოების თაროს უკან კარადების ხუთი მწკრივია. მათ გვერდებზე კი კაბინეტები და საპირფარეშოებია განლაგებული. კარადებთან რამდენიმე ჩემსავით დაგვიანებული მოსწავლე დგას და წიგნებს იღებს.

ჩემს კარადასთან მივდივარ და თავს ლითონის გრილ კარს ვაყრდნობ. ვცდილობ, მშვიდად ვისუნთქო, მხრები და კისერი მოვადუნო. შემდეგ ციფრების კომბინაციას ვკრეფ: 5-4-23.

ადრე აქ დგომისას არაერთხელ მიფიქრია, რომ ჰანა ბეიკერთან დაახლოების შანსი არ მქონდა.

არ ვიცოდი, რას ფიქრობდა ჩემზე, რას გრძნობდა. ნამდვილ ჰანას საერთოდ არ ვიცნობდი. მხოლოდ ის ვიცოდი, რასაც მასზე ამბობდნენ. ამიტომ იმისაც მეშინოდა, ჩემზე რას იტყოდნენ, თუ გაიგებდნენ, რომ ჰანა მომწონდა.

კომბინაციას ვშლი.

იმ წვეულების შემდეგ კი არაერთხელ მიფიქრია, რომ ჰანასთან დაახლოების შანსი ხელიდან გამისხლტა. მეგონა, რომ რაღაც შემეშალა და ცუდად მოვიქეცი. ჰანასთან დალაპარაკების მეშინოდა. ვერ ვბედავდი, კიდევ მეცადა.

მერე კი ის მოკვდა და ნამდვილად ვეღარაფერს შევცვლიდი.

ყველაფერი რამდენიმე კვირის წინ დაიწყო, როცა ჰანამ ჩემს კარადაში რუკა შემოაცურა.

ნეტა ჰანას კარადაში რა ხდება ახლა? შეიძლება მეურვემ გააღო, ყველაფერი ყუთში ჩაალაგა და მისი მშობლების დაბრუნებამდე ადგილი საწყობში მიუჩინა. ან ხელი არავის უხლია და ყველაფერი ისეა, როგორც ჰანამ დატოვა.

გრილ ლითონს თავს არ ვაშორებ, ისე ვაპარებ თვალს უახლოესი დერეფნისკენ, სადაც

ბატონი პორტერი ღია კარში პირველ გაკვეთილს ატარებს.

სწორედ იქ, იმ კართან ვნახე ჰანა უკანასკნელად.

თვალებს ვხუჭავ.

ვისი ნახვა მომიწევს დღეს? მე მეცხრე ვარ, ესე იგი კიდევ რვა ადამიანმა უკვე მოუსმინა ჩანაწერებს. ეს რვა ადამიანი დღეს ინტერესით დააკვირდება, როგორ იმოქმედა ჩემზე ჩანაწერებმა, ისევე როგორც ცოტა ხანში მე დავაკვირდები დანარჩენებს.

საკლასო ოთახიდან ჩემამდე შორეული ხმა აღწევს. თვალებს ვახელ. ამ ხმას ჩემთვის ახლა კეთილგანწყობის ნასახიც კი აღარ აქვს.

– ვინმეს უნდა გაგატანოთ მეორე კაბინეტში, – ამბობს ბატონი პორტერი.

ეს სიტყვები თითქოს შემპარავად მიახლოვდება. მხრები მეძაგრება და კარადას მუშტს ვურტყამ.

ოთახიდან სკამის ჭრაჭუნი ისმის, შემდეგ ვიღაც გამოდის. ლამისაა ჩავიკეცო იმის გაფიქრებაზე, რომ ახლა ერთ-ერთი ჩემი თანაკლასელი მოვა და მკითხავს, რატომ არ ვარ გაკვეთილზე.

ჩემგან მოშორებით, საკლასო ოთახთან უფრო ახლოს, ვიღაც დგას და თავის კარადას კეტავს.

ბატონი პორტერის გაკვეთილიდან გამოსული სტივ ოლივერი თავის დაქნევითა და ღიმილით მესალმება. ის გოგო კი, რომელმაცკარადა ეს-ესაა ჩაკეტა, დერეფნის ცენტრისკენ მიდის და სტივს ლამის ეჯახება.

– ბოდიში, – ბუტბუტებს გოგო და მას გვერდს უქცევს.

სტივი მისკენ იხედება, მაგრამ არაფერს ამბობს, ფეხს უჩქარებს და მიახლოვდება.

– კლეი... ვხედავ, ვიღაცას გაკვეთილზე დააგვიანდა, – ამბობს სიცილით.

ამ დროს ის გოგო თავს აბრუნებს და სკაის ვცნობ.

კისერი ოფლით მეცვარება. ერთმანეთს მზერას ვუსწორებთ, შემდეგ სკაი სიარულს აგრძელებს.

სტივი ახლოს მოდის, მაგრამ მას არ ვუყურებ. ხელით ვანიშნებ, მომშორდეს.

– მოგვიანებით ვილაპარაკოთ.

წუხელ ავტობუსიდან ისე ჩავედი, სკაის არ დავლაპარაკებივარ. მინდოდა, დავლაპარაკებოდი, ვცადე კიდეც, მაგრამ მან თავი იოლად დაიძვრინა. რამდენიმე წელია, ასე იქცევა და ხალხისთვის თავის არიდებაში უკვე დახელოვნებულია.

კარადას ვშორდები და თვალს ვაყოლებ.

მინდა დავუძახო, მაგრამ ყელში თითქოს რაღაც მეჩხირება.

მეორე მხრივ, ისიც მსურს, რომ თავი დავანებო, გამოვბრუნდე და მეორე გაკვეთილამდე დროის გასაყვანად რამე მოვიფიქრო.

მაგრამ სკაი იმავე დერეფანში მიდის, სადაც ორიოდე კვირის წინ ჰანა გამეცალა, მოსწავლეებს შეერია და გაუჩინარდა, ხოლო გამოსამშვიდობებლად მხოლოდ ის კასეტები დატოვა. სკაი მილერის ნაბიჯების ხმა ჯერაც მესმის, თუმცა რაც უფრო მშორდება, ხმა მით უფრო სუსტდება.

გადავწყვიტე, სკაის მივყვები.

ბატონი პორტერის ღია კართან ჩავლისას წამიერად ვიხედები საკლასო ოთახისკენ, მაგრამ მაინც ბევრი რამის დანახვას ვასწრებ. ოთახის ცენტრში მერხს ვხედავ. მერხს, რომელიც ორი კვირაა ცარიელია და წლის ბოლომდე ასე იქნება. დღეს ოთახში კიდევ ერთი ცარიელი მერხია – ჩემი მერხი. თხუთმეტამდე მოსწავლე ჩემკენ ბრუნდება. მცნობენ, მაგრამ ვერაფერს ხვდებიან. ბატონი პორტერი ვერ მხედავს, მაგრამ სადაცაა ისიც მოიხედავს.

უეცრად გრძნობები მაწვება: ბრაზი და ტკივილი, სევდა და სინანული... და რაც ყველაზე უცნაურია, იმედი.

სიარულს ვაგრძელებ.

სკაის ფეხის ხმა უკვე ახლოს მესმის. რაც უფრო ვუახლოდები, მით უფრო სწრაფად მივდივარ და თავს მით უფრო მსუბუქად ვგრძნობ. ახლა აღარც ლაპარაკი გამიჭირდება.

სკაისგან ორი ნაბიჯიღა მაშორებს. ვეძახი:

– სკაი!